ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოსკინდი

5

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ადვილი საქმე როდია ელაპარაკო ახალგაზრდობას, რომელიც სამყაროს გარდაქმნის სილამაზის კანონებით საუკუნის ყველაზე მოწინავე რევოლუციური იდეების საფუძველზე, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე რევოლუციური პარტიის — კომუნისტთა პარტიის, დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით!“

„ლენინური კომკავშირის ძალა პარტიული ხელმძღვანელობაა. ეს შემოწმებულია ცხოვრებით, ეს დადასტურებულია ჩვენი პარტიისა და კომკავშირის მთელი ისტორიით“.

„ახალგაზრდობას, კომკავშირს მომადლებული აქვს ახლის განსაკუთრებული გრძნობა, მომავლის განჭვრეტის უნარი. თქვენ გახსოვთ, ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ ნოვატორთა პარტია, რევოლუციონერთა პარტია ვართ, ნოვატორებს, რევოლუციონერებს კი ყოველთვის ხალისით მიჰყვება ახალგაზრდობა. ეს კანონი დღესაც ძალაში რჩება. ახალგაზრდობის, კომკავშირის ხმას, მათს ინტერესებსა და საზრუნავს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს პარტია, რადგან ისინი ხვალინდელი დღის ბატონ-პატრონები არიან“.

ედუარდ შევარდნაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარკე

299
გამოცემის ოცდამეხუთე წელი

5

მაისი
1982
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

4. ასე სავსე და ლამაზი არ ყოფილზარ არასოდეს!..

ქარიშხლიანი დღეების ექო

6. **ბენო კონჯარია** — ტყვე. მოთხრობა
12. **თეიმურაზ ჯანგულაშვილი** — ომის ფლები მა გონდება. ლექსი

პროზა და პოეზია

13. **კარლო კოტბერიძე** — სამხიარულო მოთხრობები
20. **ლალი გრეგვაძე** — ვინ წაგიძღვება ილუმენამდე? მოთხრობა
37. **მერაბ აბაშიძე** — მოთხრობები
40. **ლიანა ჯანელიძე** — რატომ ტიროდა მარიამი...

მხოლოდ ერთი ლექსი

53. **მიხეილ აბრამიშვილი, ზაჭარო კეფერაძე** — ლექსები
54. **რამაზ კოტბიძე** — თეთრკაბიანი გოგონა. მოთხრობა
60. **დიმიტრი მირიანაშვილი** — ხავსიანი ბილიკი. მოთხრობა
67. **ჯუმბერ ტიკარაძე** — სასწაულები. რომანი. გაგრძელება

ახალი სახელები

81. **გია მუჯირი** — ლექსები

50 — ოთარ შალამბერიძე — 50

85. **ოთარ შალამბერიძე** — ლექსები

ფანდირი

88. **ლეონიდ ხარებათი, ჰაფეზი, ისიდორ ქოზათი, გიორგი გესთაუთი, რევაზ ასაევი, კოსტა მარლიევი** — თარგმნეს **ჯემალ ჭელიძემ, იმედი ჯახუამ, ჯარჯი ფხოველმა, ნოდარ ნარსიამ, გივი ძნელაძემ, შადიმან შამანაძემ, ელდარ კერძევაძემ.**
93. **ალექსეი გუკულოვი** — „მეოცნებე". იუმორისტული მოთხრობა. თარგმნეს **ჯემალ ჭელიძემ** და **ვაჟა ჩორდელმა**
98. **მიხეილ გულკათი** — გედის სიმღერა

---

102. **ვახტანგ გორგანელი** — რეპორტაჟი ყიზლარის იალაღებიდან. ლექსები

გახსენება

105. **შალვა ამისულაშვილი** — სიკვდილის კოშკი. ლექსი

პორტრეტები

108. **ოტია პაჭკორია** — მოყვასი ჩემი.

ჩვენი კალენდარი

115. **ფილიპე მახარაძე**—ლეგენდად ქცეული ადამიანი

მეგობრობა გზად და ხიდად

120. **ამირან კალაძე** — ანტონ ჭანსენ-ტამსაარე და საქართველო

წერილები

122. **მზია შენგელია** — უცნაური კოემა
131. **ლოვარდ ტუხაშვილი** — „იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმენინ საქართველო..."
138. **მიხეილ ჟურდიანი** — საუკუნის დასაწყისი
149. **რევაზ ჩხარტიშვილი** — რაც დავიწყებით არ იბინდება
154. **ოთარ ცქიტიშვილი** — სახელოვანი ცხოვრების გზა.

იუმორი

160. **ვანო ცინცაძე** — თანამედროვე ზღაპრები

მთავარი რედაქტორი

ბორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდწითელი
რისმაგ გორდეზიანი
გიორგი გუბლია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია

გურამ ფანჯიკიძე
ნუგზარ შატაიძე
ჯანსულ ჩარკვიანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
ტარიელ ჭანტურია
რეზო ჭეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

ქალაქ თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში ღვაწლისათვის, 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ქალაქის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის **ქალაქი თბილისი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

ნოსკოვი, კრემლი. 1982 წლის 27 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე სავსე და ლამაზი არ უოფილზარ არასოდეს!..

ზეიმი დაებედა თბილისურ გაზაფხულს.

ასე იყო შარშან.

ასეა წლეულს.

და აი, საბჭოთა საქართველოს თავქალაქის დროშა, ჩვენი სახელმწიფოს უპირველესმა ჯილდომ — ლენინის ორდენმა დაამშვენა...

ეს ჭეშმარიტად დიდი ჯილდო თავისით არ მოსულა. ის ჩვენი ხალხის, ყველა თბილისელის უდიდესმა შრომამ და ბრძოლამ მოიტანა. აკი თვითონ ბრძანებულებაშიც არის აღნიშნული — რევოლუციურ მოძრაობაში ღვაწლისათვისო, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებაში ღვაწლისათვისო... 1921 წელს თბილისში აფრიალებული თავისუფლების დროშა მრავალ ქარცეცხლში გამოატარეს ნაძალადევის პირველი მაისობებისა და ძველ ალექსანდრეს ბაღში 1905 წელს გამართული დიდი დემონსტრაციის მონაწილეებმა, ავლაბრის არალეგალური სტამბის მბეჭდავებმა და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების პირველი მარქსისტული წრეების წევრებმა... ხოლო შემდგომ მთელი ექვსი ათწლეულის მანძილზე ეს დროშა ქალაქის რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრეთა საიმედო მარჯვენას ეჭირა...

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ქალაქის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვისო, ესეც ბრძანებულებაშია აღნიშნული... მართლაც, დიდ სამამულო ომის წლებში ფრონტზე წავიდა საქართველოს შვიდასი ათასზე მეტი მცხოვრები, ხოლო ყოველი მეოთხე კაცი თბილისელი იყო.

„იმოქმედეთ უფრო გაბედულად, იმუშავეთ უფრო ბეჯითად, კვლავაც აამაღლეთ საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი", — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ შარშან თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე გამოთქმული ეს სურვილი მთელი რესპუბლიკისათვის და, უწინარეს ყოვლისა, თბილისელთა მოქმედების პროგრამად იქცა. დედაქალაქელთა გაბედულმა ძიებამ და მონდომებულმა გარჯამ უზრუნველყო მიმდინარე წლის პირველი კვარტლის წარმატებით დამთავრება.

ლენინის სახელი, ლენინის დროშა, ლენინის მოძღვრება, — აღნიშნა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ თბილისის დაჯილდოების გამო გამართულ დიდ სახალხო ზეიმზე, — ლენინი და ლენინიზმი უცისკროვნებდა თბილისის პროლეტარიატსა და საქართველოს და ამიერკავკასიის ყველა მშრომელს გზას რევოლუციის ყველა ეტაპზე, კომუნისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის ყველა ეტაპზე.

სწორედ ამიტომ ლენინის ორდენი კანონზომიერად აკიაფდა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის დროშაზე.

ლენინის ორდენით დაჯილდოვდა რესპუბლიკის დედაქალაქი, რომელიც სსრ კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმბოლურია ისიც, რომ ლენინის ორდენმა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის დროშა გააცისკროვნა ღირსშესანიშნავ წელს, როცა საზეიმოდ აღინიშნება მე-80 წლისთავი რსდმპ თბილისის კომიტეტისა, რომელმაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მატიანეში არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა.

დიდად სიმბოლურია ისიც, ითქვა შემდეგ, რომ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს ლენინის ორდენი მიენიჭა მეათე წლისთავზე, იმ დღის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ სათავე დაუდო საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის ისტორიის ახალ ეტაპს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

დღევანდელი დღე ერთ-ერთი ყველაზე ღირსშესანიშნავი დღეა ათასხუთასზე მეტი წლის თბილისის სახელოვან ისტორიაში! — გუგუნებდა კონსტიტუციის მოედანი.

თბილისში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მოაზროვნენი: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ზაქარია ფალიაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ილია ვეკუა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი სხვა მოღვაწე.

თბილისის ქუჩებს ახსოვთ ქართველი ხალხის დიდი მეგობრები — ლერმონტოვი, ტოლსტოი და ჩაიკოვსკი, გორკი და მაიაკოვსკი, ლესია უკრაინკა და სუნდუკიანი, საიათნოვა და მირზა ფათალი-ახუნდოვი, რუსი, უკრაინელი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების ბევრი სხვა გამოჩენილი შვილი...

ჰეშმარიტად დაუვიწყარი იქნება თბილისის ისტორიაში 1982 წლის 28 აპრილი, ისევე, როგორც დაუვიწყარია 1981 წლის მაისი, როცა თბილისში სტუმრად ჩამოსულმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ბრძანა:

„ლამაზი და თავაზიანი დაგვახსომდება თბილისი, თვალს ახარებს თქვენი ახალმშენებლობანი. მშვენიერია თბილისის ძველი უბნები, რომლებიც განახლებულნი დაუბრუნდნენ ცხოვრებას. ამ უბნებს აღტაცებაში მოჰყავდა გრიბოედოვი და პუშკინი. სწორედ მათ უმღერა ფიროსმანის ფუნჯმა“...

ო, რა ზედგამოჭრილად უთქვამს შენს მგოსანს მართლაც რომ უძველესო და უახლესო, მართლაც რომ უტკბილესო და უთბილესო, ათას ხუთასი წლის საყვარელო თბილისო:

შენი ეშხი უხილავი
ვის და რომელს არ ახსოვდეს?
მომღერალი სულ იყავი,
მომტირალი — არასოდეს!

ვინ, ვინ იტყვის შენ დიდ გარჯაა,
რომ თან გული არ დასწვოდეს?
შენ იცნობდი მრავალ ტანჯვას,
მაგრამ სირცხვილს — არასოდეს!..

ჩვენ მტარვალმა ველარ გვთელოს,
რაგინდ ბადეა არა ჰქსოვდეს,
დაჩოქილი საქართველო
არ იქნება არასოდეს!

მინდა, შენი წელთაღრიცხვა
კიდევ ბევრჯერ ათასობდეს,
ასე სავსე და ლამაზი
არ ყოფილხარ არასოდეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰარიშზლიანი დღეების ეპო

ბენო კონჯარია

" შარაგზის ერთ მხარეს, კოპწია ეზოებში ოდა სახლები იდგა. წინ ტრიალი ფერდობი იყო, საქონელი ბალახობდა, ზ.ძოთ, გორაკის თავზე, თითქოს საგანგებოდო, მათ საჩრდილობლად და გვერდის მოსაფხანად ერთადერთი ვეება მუხა იდგა. მუხის იქით, გზიდან კარგა მოშორებით, კორტოხზე, ძველ ციხესიმაგრეში გერმანელ ტყვეთა კოლონია იყო.

საღამო ხანს ამ კოლონიის ალაყაფის კარიდან აწოწილი, სათვალიანი ახალგაზრდა გამოვიდა და ნელი ნაბიჯით დაუყვა დალმართზე დაკიდებულ ბილიკს.

წინა დღით, სამუშაოს შემდეგ, აქეთ რომ გამოატარეს, ერთი სახლის აივანზე ავტომატმომართული ჯარისკაცის მაქმან შემოვლებული დიდი სურათი შენიშნა, ერთბაშად ნაცნობად ეჩვენა, თითქოს ის მზვერავი იყოო, რომელსაც იგი „მოენედ“ ჩაბარდა, უფრო სწორად: თვითონ ჩაუვარდა ტყვედ:

ახლა აქეთკენ მოაბიჯებდა.

გზის პირას, ჭადრის ქვეშ შედგა, მაგრამ აქედან გარკვევით ვერ დაინახა ჯარისკაცის სახე. წინ წაიწია, — ჰგავს და კიდეც არა ჰგავსო; — გაიფიქრა. ასე ეგონა თითქოს ეს შუბლშეკრული, ამაყად გამომზირალი საბჭოთა მეომრის ბაგეები სადაცაა ამეტყველდება და შესძახებს: — ჰენდე ხოხ!

შეჩერდა, თავი დახარა, სახეზე ცალი ხელი ნერვიულად მოისვა, მერე ნელ-ნელა ასწია თავი და მზერა მისკენ გააპარა, ახლა კი მოეჩვენა თითქოს ირონიულად იღიმებაო, თითქოს ყურში ჩაესმა: „მოდი, მომიახლოვდი, შე გადამთიელო, ნუ გეშინია, ტყვე ხარ და არ გესვრი, თქვენებურად კი არ მოვიქცევი... შენც ხომ იმათი ჯილაგისა ხარ, ვისაც ჩვენი აოხრება და ჩვენზე ბატონობა სწადია, მაგრამ ხომ იწვნიეთ, ჯერ სადა ხართ, ჩვენები იქ ჩავლენ, იქ! გესმის! ჰიტლერის ბუნაგში...

გზაზე ორი დათალხული ქალი გამოჩნდა.

„შავებში, შავებში, ო! რამდენი ასეთი ქალი დადის ამ სოფელში“ — ჩაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩურჩულა — რას ვერჩოდით! როგორ გავვაბრიყვეს, როგორ მოვტყუვდით...

მათ რომ არ შეხვედროდა, გზა გადაკვეთა, იმ სახლის წინ, ჭიშკართან, სკამფიცარზე ჩამოჯდა. თავი ჩაკიდა, მერე იდაყვით მუხლებზე დაყრდნობილ ხელებში სახე ჩამალა. თვალს არიდებდა სოფლელებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მარტო იყო, ისეთი გრძნობა ჰქონდა თითქოს ფაშისტთა მიერ ჩადენილი მთელი ცოდო-ბრალი მის კისერზე ყოფილიყო.

ქალებმა, რომლებსაც ხელში კალათები ეჭირათ და, ეტყობოდათ, ჩაის პლანტაციიდან მოდიოდნენ, ზიზღით მოხედეს, ჩაუარეს და რაღაც ჩაილაპარაკეს.

დიდი და პატარა ცნობდა მათ. უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც გერმანელ ტყვეთა ეოლონია იყო აქ. ტყვემ ჩაიჩურჩულა: — ალბათ ერთიც გულიანად შომაწყევლეს, ალბათ ყოველი დაღუპულის დედა, ქმარი, თუ შვილი, ჩემი თუ სხვა გერმანელის დანახვაზე გუნებაში იტყვის — იქნებ ამის გასროლილმა დამლუპა, იქნებ იმისამო...

არც უკვირდა,
არც სწყინდა,
ბუნებრივად მიაჩნდა...

ჩვენ ავაწიოკეთ, ჩვენ გავხვიეთ ცეცხლში, ჩვენ ვადინეთ სისხლი მთელს ევროპას, — დამნაშავენი ვართ...

როცა ქალები იქაურობაა გააცილდნენ, იგი წამოდგა, ახლა აქედან, ჭიშკრიდან, უნდოდა ერთხელ კიდევ შეეხედა ჯარისკაცის სურათისათვის. მაგრამ ამ დროს შაოსანმა ქალიშვილმა, სახლის კიბე მსუბუქად ჩამოირბინა, ჭიშკრისაკენ წამოვიდა...

მან უკან დაიხია, თითქოს დაიბნაო, ფეხდაბორკილივით გაჩერდა, მერე უაზროდ ახედა ეზოდან გადმოშვერილ ლეღვის ტოტს, რომელსაც აქა-იქ უკვე მწიფე ნაყოფი ესხა...

გოგონამ შუბლი შეჭმუხნა.

— „ამას რა უნდა აქ!" — ჩაილაპარაკა, მერე მოულოდნელად გერმანულ ენაზე ირონიულად მიმართა:

— ლეღვი ხომ არ გნებავთ, თქვენ ალმატებულებავ?

გერმანელი შეცბა, უნებლიეთ მობრუნდა ქალიშვილისაკენ, უცებ ვერაფერი უპასუხა, გაწითლდა, დაიბნა...

— არაფერი, ისე, — უპასუხა ძლივს გასაგონად და მერე გარკვევით იკითხა:

— კი მაგრამ, ასე კარგად სად ისწავლეთ ჩემი ენა?

— თბილისში, სკოლაში.

— ჰო?! კეთილი, ალბათ ამ ენის სპეციალობას გაყვებით.

— არა, უკვე ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. — მეტი რა გაინტერესებთ?

გერმანელმა უხერხულობა იგრძნო და დამნაშავე ბავშვივით დახარა თავი.

— არაფერი? — ახლა მე მაინტერესებს, კოლონიიდან თავისუფლად გიშვებენ? ხომ არ გამოიპარეთ? — მიახალა.

— არა, მენდობიან. — გაბზარული ხმით ჩაჩურჩულა და სცადა ქალიშვილისათვის თვალი გაესწორებინა, მაგრამ ეს მხოლოდ წამით მოახერხა. გამბედაობა არ ეყო, ერთხანს პირდაპირ ემზირა მისთვის...

— დაიმსახურეთ ასეთი ნდობა?

— ალბათ. მე თქვენი მტერი არასოდეს ვყოფილვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაგრამ ახლა?..

— ჰო? — გადაჭრა გოგონამ, — ახლა რა? ძეგობარი გახდით?

— წარმოიდგინეთ, ლამაზო ფროილაინ, — საუბრის ტონი შეცვალა, გერმანელმა — ვინ იცის, იქნებ ოდესმე გაიგოთ... ისე, მინდა, იცოდეთ, თქვენს წინაშეა გერმანელი ჯარისკაცი, რომელსაც მიზანში არ უსროლია, უცოდველია...

ქალიშვილმა ჩაიცინა. — აბა რას იტყვით!

— ჰო! თქვენც მართალი ხართ, ძნელია დაიჯეროთ, მესმის თქვენი.

ამ დროს ბიჭუნას ძახილი მოისმა, ქალიშვილს უხმობდა.

ბენო კონჯარია
ტყვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელმა სახელს მოჰკრა ყური.

— მედეა გქვიათ?

— დიახ! გაგიგონიათ ეს სახელი?

—ო! მედეა, — წარბები აქაჩა გერმანელმა და მრავლისმთქმელად წარმოთქვა — საქვეყნოდ ცნობილი კოლხი ქალი...

იგი წამით გაჩუმდა, მერე კვლავ განაგრძო: — „ჩვენ და ჩვენ, მხოლოდ ჩვენ ვართ ქვეყანაზე ყველაზე ძლიერი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე სუფთა სისხლის ერი, ჩვენ მოწოდებული ვართ მსოფლიოზე ვიბატონოთ“, ჩაგვძახოდნენ ნიადაგ დიდსა და პატარას და, აი, შედეგიც...

გერმანელმა თავი დახარა, მერე იქვე მისდა უნებურად სკამზე ჩამოჯდა. ქალიშვილს გამომეტყველება შეეცვალა, ფართო, შეჭმუხნული შუბლი ოდნავ გაეხსნა, წყლიან, ცისფერ თვალებში აქამდე ასე ცივად რომ გამოიყურებოდნენ, შუქი ჩაუდგა.

— რა ვიცი... — ჩაიჩურჩულა.

— ვფიქრობ, დადგება დრო და... — მან თავი დააქნია, მერე თითქოს თავის ნათქვამს ბეჭედი დაუსვაო... — ჩემი ერი კაცობრიობის წინაშე ნაწილობრივ მაინც გამოისყიდის ამ მძიმე დანაშაულს.

— რითი?! — მიახალა უცებ გოგონამ, — ამ ახალგაზრდა კაცს გააცოცხლებთ? — თითი გაიშვირა სახლის აივანზე დაკიდული სურათისკენ, და მილიონობით მამებსა და ძმებს? — თვალებში ცრემლი მოადგა.

გერმანელმა გეზად გახედა.

— მართალი ბრძანდებით, ფროილაინ, თქვენი ძმა იყო?

— არა, დედაჩემის, კავკასიონის მისადგომებზე დაიღუპა. გავიგეთ სადაც არის დასაფლავებული, ამ ერთ თვეში გადმოვასვენებთ.

— გადმოასვენებთ?!

— დიახ.

წუთით ორივე დადუმდა. გერმანელი კვლავ წამოდგა, ღობეს ზურგით მიეყრდნო.

— მე თქვენ ერთი რამ უნდა გთხოვოთ: ერთი დღით მომეცით აი, იმ სურათის დედანი, — ხელი გაიშვირა ძან.

ქალიშვილმა სახეზე გაკვირვება გამოხატა.

— რად გინდათ?

— მინდა, დაგიბრუნებთ...

გოგონა დაფიქრდა, — ახლა პირველად შეხედა ამ თაფლისფერ, სევდიანთვალება ახალგაზრდა გერმანელს სახეში.

— მამიდა! ბებიამ თქვა მოდიო! — თითქოს მოეპარა ბიჭუნა, რომელსაც მოხარშული ჭყინტი სიმინდი ეჭირა ხელში და იღეჭებოდა, გოგონას ამოუდგა, უცხოს ერთიც ირიბად ახედა და შეუბღვირა, ლუკმა გადაყლაპა, მერე ჩაილაპარაკა: „ფაშისტი“.

გერმანელი წამოენთო.

— ეს იმ ჯარისკაცის შვილია, ნუ იწყენთ! — თითქოს მოუბოდიშაო გოგონამ.

— არა, არა, ფროილაინ, ბუნებრივად მიმაჩნია ყველაფერი ეს! — ჩაიდუდუნა გერმანელმა და ბავშვს ქვემოდან გახედა.

მედეა დაიხარა, ბიჭს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, იგი მყისვე გაიქცა.

— რაც შეეხება სურათს, — უთხრა კვლავ გოგონამ, — გათხოვებთ, მაგრამ... მითხარით მაინც რაში გჭირდებათ?

— გთხოვთ, ნუ მკითხავთ, ბოლოსდაბოლოს, სურათი სამხედრო დოკუმენტი ხომ არაა?

მედეამ პასუხი დააყოვნა, მხრები აიჩეჩა.

— კარგით, კარგით. — ჩაილაპარაკა.

წუთით და ბიჭუნამ კვლავ მოირბინა, ლეღვის ფოთოლშემოხვეული ორი ტარო მოხარშული ჭყინტი სიმინდი ეჭირა ხელში, სიმინდს ოხშივარი ასდიოდა და საამო სურნელებას აპნევდა ირგვლივ.

ქალიშვილმა ბიჭს ანიშნა — მიაწოდეო, მაგრამ იგი დაიჭყანა, — ქვემოდან გამოხედა უცხოს...

— მიაწოდე, ჰა! — გაუმეორა გოგონამ.

— გერმანელია, ფაშისტია! — მიახალა ბიჭმა.

გოგონამ მხარზე გადადო ხელი, თავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკოცა, — მართალი ხარ, მაგრამ ყველა ხომ... მერე აგიხსნი.

ბიჭუნამ ნაძალადევად მიაწოდა.

გერმანელმა გამოართვა, თავი დახარა — „დანკე“ — ჩაილაპარაკა — მერე ბავშვს შეხედა, გულზე ხელი მიიდო — სკაზალ ფაშისტ?!

ბიჭი მიუხვდა, თავი დაუქნია, — კიო.

— მერე ფაშისტს უმასპინძლდები? — გააგებინა დამტვრეული რუსულით.

ბიჭი გაჩუმდა, ქალიშვილს ახედა.

გერმანელმა სახელი ჰკითხა.

— ოტია! — ჩაიდუდუნა ბიჭმა.

— რა! რა! როგორ თქვი? — წამოიძახა უცხომ და ბიჭს სახეში ჩახედა.

— ოტია! — გაუმეორა ახლა ქალიშვილმა.

— ჩვენებურად ოტო არა?

— დიახ, — დაუმოწმა გოგონამ.

— ჩემი სეხნია ყოფილა! — მისკენ გადაიხარა, თავზე ხელი გადაუსვა, ბიჭმა ჯიქურ დაიხია, გერმანელის ხელი მკვეთრად მოიცილა.

— აეა, „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო“ — უთქვამს ბრძენ ხალხს, — ჩაიჩურჩულა გერმანელმა, თავი გააქნია...

ბიჭი გოგონას ამოუდგა გვერდით, თავი მიაყრდნო.

გერმანელი ოტიას თვალს არ აცილებდა.

— კარგი ბიჭია, — ჩაიჩურჩულა.

— მედეა!

— ოტია! — გაისმა ისევ შინიდან, კვლავ ეძახდნენ მათ.

— სურათს ხვალ ამ დროს გამოგიტანთ, — გადაულაპარაკა გოგონამ გერმანელს და ჭიშკარი მოიხურა.

გერმანელმა მადლობა უთხრა, — თვალი გააყოლა, — აუფ ვიდერზეინ! — ნელის ხმით დააწია, მერე შებრუნდა, გზა ლასლასით გადაჭრა და გაღმა, შემაღლებაზე, ჭადრის ჩრდილში მწვანეზე ჩაჯდა, სიმინდს შეექცა...

●

მეორე დღეს ოტო დათქმულ დროზე მივიდა მედეას სახლთან. გაიარ-გამოიარა, არავინ ჩანდა, მხოლოდ ლაპარაკი მოისმოდა სამზადის მხრიდან.

ღობესთან, სკამფიცარზე ჩამოჯდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს სასიყვარულო პაემანზე იყო ქალიშვილთან. ნეტავი სხვა დრო, სხვა ვითარება იყოსო, — გაიფიქრა. ახლა კი... სიძულვილი, ზიზღი... — მეოთხე წელი გადის წვალებასა და განცდაში... ალბათ ცოლიც მეყოლებოდა უკვე, შვილიც... ალბათ ჩემს სხვა ოცნებებსაც შეესრულებოდა ფრთები...

კვლავ წამოდგა, გაიარ-გამოიარა.

უცებ ჭიშკარი ქერა, ცხვირპაჭუა ბიჭუნამ გამოაღო და შედგა, ჯიქურ შეხედა მას.

— არა, ის არ არის, ჩემი სეხნია, ოტია, ის შავგრემანი, შავთვალება იყო, ეს კი... — გაიფიქრა და რუსულად ჰკითხა:

— ვინ ხარ? — რა გქვია ბიჭი?

— კუზმა პეტროვ! — კუშტად მიუგო ბიჭუნამ და მუშტი მოუღერა, დაეჭყანა.

— ფრიც, ფაშისტ! — დასცრა მეჩხერი კბილებიდან.

ოტომ მწარედ ჩაიღიმა, „მალადეცო“ უთხრა და კვლავ ჩამოჯდა, შემდეგ დასძინა — გეტყობა, კარგი ბიჭი ხარ, მედეას დაუძახეო. კუზმა უსიტყვოდ შებრუნდა.

— „მედეა“ — ჩაიჩურჩულა სახელი, ეტყობა ამაყი გოგოა, მოსიყვარულეც, თუ საჭირო იქნება შურის მგებელიც — მიაყოლა ოტომ — მე ხომ იმ მიწაზე ვდგავარ ახლა, — საიდანაც წაიყვანეს მედეა არგონავტებმა, აქედან ფაზისიც ახლოა და დიოსკურიაც. როგორა აქვს ნათქვამი გოეთეს?

„დიოსკურები ყველგან იყვნენ გამარჯვებულნი.

ნორჩი გრძნობებით და სილამაზით გამორჩეულნი“.

— სილამაზით რჩეულია მედეაც, თუმცა... — ჩაიღიმა, — მერე მე რა?!

„ისაა ღირსი ალერსის ქალთა, ვინც

ტყვე

ბენო კონჯარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესძლებს იმათ დაცვას და შველას“ ო! დიდო გოეთე, რაოდენ ბრძენი და გენიოსი იყავი შენ! — გაიფიქრა... მედეაც გამოჩნდა, ხელში რაღაც კვახის ფოთოლში გახვეული ეჭირა, კუზმაც მოსდევდა.

— უკვე მოხვედით? — ჩაილაპარაკა ქალიშვილმა, ოტო თითქოს ბურანიდან გამოვიდაო, უცებ წამოდგა, გაწითლდა.

— ო! ფროილაინ მედეა... — ჭიშკარი გამოაღო, თავის დაქნევით მიესალმა.

ბიჭი ქალიშვილს ამოუდგა, მან კი ცალი ხელი ბეჭზე მოხვია, მერე თავზე გადაუსვა, დაუყვავა, უთხრა წადიო. ბიჭმა ისმინა, სირბილით გაშორდა იქაურობას.

ოტომ ჰკითხა — ეგ კუზმა ბიჭი რა არისო შენი?

— დედ-მამა დაუხოცეს, ჩვენ ვზრდით, მოკლედ, ჩემი პატარა ძმაა... — ახლა ეს გამომართვით, ჭადი და ყველია, გული მეუბნება, რომ თქვენ იმ კატეგორიის გერმანელს ეკუთვნით, ვისაც ფიურერმა მთლად ვერ წაართვა სინდისი, ადამიანობა...

— დანეე შონ, ფროილაინ, თქვენი ხელიდან საწამლავსაც მივიღებდი.

— იაე, კი ხართ ღირსი...

— ჩემს გულში რომ ჩაგახედათ, ასე არ გამიმეტებდით, — წაიჩურჩულა გერმანელმა და ახლა პირველად გაბედა პირდაპირ შეეხედა ქალიშვილისათვის თვალებში.

მედეამ სურათი გადასცა. თან დაამძინა: წუხელ ბევრი ვიფიქრე და მაინც ვერ მივხვდი, რისთვის გჭირდებათ...

— მერე გაიგებთ, — თქვა მოჭრით ტყვემ. გოგონას მადლობა უთხრა და გაკეცილი ქაღალდი ორი თითით ამოაცოცა გულ-ჯიბიდან.

— ეს კი, ფროილაინ, შინ წაიკითხეთ, — დინჯად ჩაილაპარაკა და გაუწოდა. მედეა გაწითლდა, წამოენთო... უსიტყვოდ გამოართვა...

„ახლა ისღა მაკლია, რომ ფაშისტმა...“ გაიფიქრა. ამ დროს, ჭაღარა, წვერებმოშვებულმა კაცმა ჩამოიარა.

— გამარჯობა, ბიძიკო, შენი! — მიესალმა მედეას და გაზეთები გადასცა, ოტოს გამოხედა.

— რა დაკარგვია, ბიძიკო, ამ ჯილაგ გასაწყვეტს შენთან? — გადმოუქნია მკვახედ და გზა განაგრძო.

სოფლის ფოსტალიონი იყო, მედეამ არაფერი უპასუხა.

— გაზეთებში კარგი ამბები წერია, ფროილაინ? წუხელ რადიოთი მოვისმინე შეთქმულებს ჰიტლერზე თავდასხმა მოუწყვიათ, მაგრამ გადარჩენილა ეგ ძაღლთა პირი.

მედეამ ცივად ჩაიცინა.

— ძნელია გერწმუნოთ, რომ გულით ამბობთ.

— მეც დამაეჭვებდა, რომ გეთქვათ, გჯერათ ჩემი, თქვენს ადგილზე მეც ასე ვიტყოდი... — აუფ ფიდერზეინ, ფროილაინ! — მე იმასაც ვგრძნობ, ჩემთან დგომა და ლაპარაკიც არ გეპრიანებათ.

— მართალი ბრძანდებით, — დაცდა ქალიშვილს ისე, თითქოს არც უნდოდაო ასე ეთქვა.

ოტომ სახეში ჩახედა: — თბილი თვალები გაქვთ, ალბათ გულიც, პასუხი კი... — ჩაილაპარაკა გუნებაში, უნდოდა კი, ძალზე უნდოდა მის გასაგონად ეთქვა — თითქოს მედეამაც იგრძნო ეს, წამით თავი დახარა.

— კარგით, ზეგ ამ დროს დაგიბრუნებთ სურათს, — თქვა გერმანელმა. ის იყო ნაბიჯი უნდა გადაედგა მედეას და უცებ მათ თავზე დაადგა შავებში ჩაცმული ჭაღარა ქალი და მოთქმით წამოიძახა:

— შენთან რა სალაპარაკო აქვს ჩემს დამღუპველს, დედა... — მერე შუშაბანდზე დაკიდებულ შვილის სურათისაკენ გაიხედა და განაგრძო — ე, ნანა, შვილო! მკვლელი კარს მოგდგომია და ესროლე ეგ თოფი...

— არა, არა, — უცებ ხელები აასავსავა ქალმა — ვიცი, შენ ამას არ იზამ, უიარაღოაო, მათებურად ხომ არ მოვიქცევით — მეტყვი, შვილო, დედა“...

მოთქვამდა და ცრემლში იხრჩობოდა სახედაღარული, ძაძებში გახვეული ჭაღარა ქალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტო თითქოს ადგილზე გაქვავდაო, ცალი ხელი სარზე მიეყინა, იდგა თავჩაკიდული; თითქოს ესმოდა ამ გამწარებული ქალის ყოველი ფრაზა, ყოველი სიტყვა, ესმოდა დედის, რომელიც ესოდენ გულსაკლავად მოთქვამდა. უნდოდა ამ წუთს მის ფეხქვეშ ჩავარდნილიყო, დაჩოქილიყო, ყველა გერმანელის სახელით, ვისაც კი ნათელი აზროვნება და ადამიანური გული ჰქონდა, ვისაც კი სინდის-ნამუსი აწუხებდა...

მედეა აყუჩებდა, აშოშმინებდა, ეს ცუდი გერმანელი არ ჩანსო, ყველა ერთნაირი ხომ არ იქნებაო...

ოტო უცებ შებრუნდა, მჭადი ყველი იქვე, სკამფიცარზე ჩამოდო და ნაცემ ძაღლივით, ოდნავ მოხრილი, ადგილს მოწყდა...

ნიავქარმა ჩაიშრიალა და კვახის ფოთოლი მარაოსავით გადაშალა.

მოხუცმა თვალი დაადგა, გაჩუმდა, მერე მედეას მხარზე ხელი გადაუსვა, აკანკალებული, ცრემლნარევი ხმით აღმოხდა — ეგ ცოდვით სავსე გადამთიელიც შეგებრალა, შვილო, არა?

გოგონამ დუმილი არჩია.

— იქნებ მე ვამბობ ცოდვას, შვილო... დაღარულ შუბლზე ჩამოპენტილი ჭალარა თმა, დამჭკნარი ხმელი თითებით გადაიწია, მერე მზერა აღმართს შეყოლილ გერმანელზე გადაიტანა, ერთხანს გარინდული გაჰყურებდა, შემდეგ თავი ისე გააქნია, თითქოს რაღაც ინანაო, ცრემლი კვლავ წასდინდა. მის წინ გაყუჩებულ ოტიას გადაულაპარაკა:

— აიღე, ბებია, ეგ მჭადი და ყველი, დაეწიე და მიეცი, ადამიანია მაინც...

ოტიას კუზმაც მიჰყვა, მოკურცხლეს...

მედეამ შინ აირბინა, საწოლი ოთახის კარი მიიხურა და ოტოს მიერ გადმოცემული ქაღალდი გაშალა. ლამაზი, ძალზე ლამაზი ფანქრით ხელნაწერი წაიკითხა:

„ძე ოტო შვარცმა ომის დაწყების წინ, ის იყო ხელში ავიღე ფუნჯი და საჭრეთელი, ის იყო ვიწყებდი პირველი ნაბიჯების გადადგმას ხელოვნების გზაზე და... ფაშისტებმა ფრონტზე მიკრეს თავი, იარაღი მომცეს და მითხრეს „მოჰკალი", „დაიპყარიო"... მაგრამ ჰიტლერს მამაც ჯარისკაცად ვერ გამოვადექი... ჩემი ოცნება იყო ადამიანთა სულის და გულის დაპყრობა ნოსტალგიით და არა იარაღით... მიგულეთ მეგობრად"...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ომის წლები მაგონდება

გმირულად დაღუპული აფხაზი ჭაბუკის
ვლადიმერ ხარაზიას *ხსოვნას*

ხსოვნის ტალღა აგორდება,
მაგონდება მძიმე წლები,
გილზის ლამპა აბოლდება,
ვისლის ნისლით ვიმეწყრები.
გულში ნაღმად დაყოვნდება —
ცრემლია თუ სისხლი მწველი —
ის საფლავი მაგონდება,
რომ გავჭერი ხიშტის წვერით.
ჰოი, ჩემი ჩანგის სიმებს
კვლავ იმ დღეთა წვიმა აწვიმს,
ძმებს ვიგონებ და ვლადიმერ
ხარაზიაც მიდგას თვალწინ.
...შიშველ მკერდით მტრების ტანკებს
გადაუდგა მზეჭაბუკი.
— არ გაგიშვებთ დნეპრისაკენ,
ვიდრე თვალში მიდგას შუქი!
მოღოღავენ ხოხვით, ცურვით
ხოჭოები მჭვარტლისფერი,
ოღონდაც კი ეყოს ჭურვი
მამაც აფხაზ არტილერისტს...
ცეცხლის ალმა შთანთქა ერთი,
ორი... სამი.. — ეგრე ბიჭო!
გადაადნე ცეცხლის ღველფით
ჯავშნის სქელი კედლებიცო.
ვისი ხმაა? ეგებ აფსნი
კოდორიდან გადმოჰყივის...
ჭურვი მორჩა... დარჩა ვაზნის
ამარა-ღა... გული ღვივის
ჭურვად, ნაღმად, ცეცხლად, მეხად—
ნაღვერდალზე უფრო ცხელი —
— არ გაგიშვებთ! დაიჭექა,
მტერს შეება შიშველ ხელით.
...ცეცხლს რომ ჯიქურ მიარღვევდი,
ჰოი, ძმაო ხარაზია,
კლდედქცეული შენი მკერდით
მომხვდურს კარი დარაზია.
ჰოი, შენს ტანს წამოსდინდა
წყაროები მეწამული,
ჩაგიგუბდა თვალში ბინდი,
სისხლის წვეთით შეცვარული.
ან მაშრიყი, ან მაღრიბი,
ნეტავ, რომელ მხარეზეა...
რას გეტყოდა ახლა ბზიფი,
ჰოი, ძმაო ხარაზია...
გზას შინ ვით-ღა გამოიგნებ
ჰოი, ვეჟო, თვალცისკარავ...
წაბლად ჰყვავი დნეპრზე იქნებ,
იქნებ ბზიფზე დაჰქრი ქარად...
დარჩენილი ლამაზ ზღაპრად,
ალმავალი ალმა, მთებში,
უკვდავების გაშლილ აფრას
მოჰყოლიხარ აფხაზეთში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანეკდოტი

კარლო კობერიძე

სამხიარულო მოთხრობები

ინდაურები

(თბილისი-თელავის ავტობუსში ვიღაც შუახნის კაცი ჰყვებოდა)

— ჰოდა, იმას ვამბობდი: დაბარებულივით მოდიოდა წვიმა და, ბაღ-ვენახები ბაღ-ვენახებად, დალოცვილმა, მთლად გადარია საზამთრო — ისე გაისროლა სვე, ისე დაიგრძელა, ნაღდი გლეხკაცი იმსიშორეზე ქალს არ გაათხოვებდა. მაგრამ აქა-იქ ყვავილის ქუდი რომ მოიძრო საზამთრომ და თანდათანობით ჯერ კაკლის ტოლა გახდა, მერე ვაშლისა და ბოლოს დასტამბოსი, მაშინ მოხდა, საგონებელში ერთბაშად ჩავვარდით მესაზამთროე ხალხი — რაღაც ჭია არ გაუჩნდა ვაგლახად?! ის ოხერი, არც უკვე გაჩვენებურებულ ბუსუსიან ჭიას ჰგავდა, არც მუხლუხას, არც მზომავს, არც მრავალფეხას და, რაღა თქმა უნდა არც ჭიაყელას: ენაცვალოს ჩემი თავი, სად გაგონილა უიმისოდ თევზაობა!.. ვერ დავუკარგავ, ცოტათი კი მოგაგონებდა მზომავს; და მაინც ის არ იყო, სხვა იყო: ცოტა ფერით, ცოტა შეხედულებით, ცოტა საქმიანობით და ბევრი მიზნით. შენ რო ფიქრობდი, კილო მანეთი და ათი შაურიაო შეძვრებოდა საზამთროში და მშრალზე კი დაგსვამდა: თვალდათვალ უჭკნებოდა ნაყოფი. მარტო ჩემს თავზე მოტრიალებულიყო ეს მოუკოდავი დოლები. სოფელი ღონიერია და ავიტანდი როგორმე; გავიხედ-გამოვიხედე, გავიკითხ-გამოვიკითხე და, თურმე, სხვასაც ეს დაწყეველილი ჭია არ ჩახტომია უძილობად?! გადაირევი კაცი! — რიღათი აპირებ ან სახლის გადახურვას, ან მანქანის ყიდვას, ან ქორწილს, ან ღიმილს: შენ ისა თქვი, რას ღარა გთხოვს ცხოვრება!

ჩვენმა აგრონომებმა: ეგეთი რამე არც გვინახავს, არც გაგვიგია და არც გვისწავლიაო. წიგნში ისინი [illegible] იბეჭდებიან, გაზეთში, გლეხის ალღო-გამოცდილებაში და, საიდან რა უნდა ისწავლონ! ექიმებისა [illegible] ყოს, [illegible] სატკივარია, იმას ვერ არჩევენ. [illegible]ზე კი მარჯვედ წაგვიჯღაბნიან ხოლმე რეცეპტს, ა ესა სვი და სამ დღეში გაგივლისო. იმათი თქმა რათ მინდა, მამაპაპურადაც არ გამოვიბრუეო, მე არ ვიცი, მესამე დღეა რომ დამემშვიდობება?.. ახლა რაიონის აგრონომები მოგვეშველნენ, დაკვირვებით გაიარ-გამოიარეს და იმათაც: ჩვენც პირველად ვხედავთო.

მართალი გითხრათ, ბევრი არ უყოყმა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიათ, ათიოდე ჭია თავის ფოთლიანად აიღეს ,ხელის კანკალით ჩასვეს შოკოლადის კოლოფში, დაახვიეს სამკეცი ძაფი და სანდო კაცის ხელით გაგზავნეს ცენტრში, რომელიღაც ინსტიტუტსა თუ რომელიღაც სამინისტროში, სიტყვაც გაატანეს, იფრთხილეთო. საინტერესო არ ყოფილიყო, მეორე დღესვე არ ჩამოცვივდებოდნენ ქალაქიდან მანქანა-ლაბორატორიებით. კინაღამ ასი ნაკვეთი დაიარეს და გაიბადრნენ სიხარულით, მთლად ახალი მავნებელია, მსოფლიოსაც ავალაპარაკებთ და დისერტაციებსაც დავიცავთო.

მთელი სამი დღე უკირკიტეს — შაბიამანშიც აბანავეს, გოგირდშიც, წუნწუხშიც; ნაირ-ნაირი ცინებიც სცადეს, ციკოსიც, რა აღარ — ვერაფრით ვერ მოერივნენ! შეიძლება ვერცხლისწყალმა მოგუდოს, ან კიდევ ოქროს მტვერმაო, მაგრამ მალევე მორჩნენ ამაზე კამათს, ჰო, მეცნიერულ კამათს, ცოტა ძვირი დაჯდებაო.

საზამთროში ლუპით დადის ეს ნასწავლი ხალხი, ჩაცუცქდებიან და უკირკიტებენ ჭიებს; მის კვერცხებსაც თუ მიაგნებენ... როგორ გითხრა, იქ უნდა ყოფილიყავ და შენი ორთავ თვალით დაგენახა, აბა, მე როგორ აგიხსნი, როგორია აღმოჩენის სიხარული!...

ჰოდა, იმას ვამბობდი: დადიან საზამთროში და, რისი მორიდება, რას ამბობ? — ფეხით გააქვთ და გამოაქვთ სვე! ეტყვი, გაუფრთხილდიო? ვერ ეტყვი... ისინი საზამთროში დადიან, ეს ჭიის დაბრიყვებული ხალხი კიდევ გზა-გზა დავდევთ ჯგროდ. შევლენ დახურულ მანქანაში, ჩაიკეტებიან. ჩვენც სამლოცველოსავით გარშემო ვუვლით იმ მანქანას. გულა ბაგაბუგი გაუდის, ვაითუ საშველი არ გამოჩნდესო. მესამე დღის ბოლოს დაგვაიმედეს მეცნიერებმა, თავსამტვრევი რამეა ამ ჭიის გაწყვეტა, მაგრამ იმედი იქონიეთ, ორ წელიწადში მაინც აღმოვაჩენთ უებარ წამალსაო; ჰო-ჰო, წიგნებს დაეწერთ, რომაო!.. წავიდნენ. მეც შინ წამოველ.

მოვდივარ და ვფიქრობ: ერთადერთი გამოსავალიღა დარჩა, უნდა დავუარო და ხელით დავუწყო ხოცვა. თუმცა იმდენია ის გამჩენ-ჩაოხრებული, რას აუხვალ! თანაც ყველას ხომ ვერ მიაგნებ? ჭიაც ფოთლის ფერია და იმიტომაც ჭირს დანახვა... თუ ახლა მოგვერდი დამიგდო საზამთრომ, ალაზნის მეორე არხივით დაუმთავრებელი დაემართება ჩემს სახლსაც... ფიქრმა კინაღამ თავის ქალა ამაძრო. ამ ფიქრში ისე ჩავკარგულვარ, ორღობეში მობალახე ვილაცის სახედარს არ წავაწყდი? ალბათ, ისიც ფიქრში დაცოდვილობდა — ძალიან იწყინა და ტყუპი წიხლი გამომიქანა. დროით მოვასწარ, გვერდზე გავხტი, თორემ ექიმებს დამაყენებდა ოვზე. როგორა გგონია, ამ ჭიის გადამკიდეს ვითომ ექიმების ხელში ჩავარდნაღა მაკლდა?..

მიველ შინ, მივეგდე ტახტზე და ავაჩერდი გაულესავ ჭერს: ამ ერთმა ჭიამ, ისიც უსახელომ, მშრალზე ეგრე როგორ უნდა დამსვას-მეთქი. აღრენილი ვარ, აღრენილი, ნუ იტყვი! მინდა ერთი ლაზათიანად შევუკურთხო, მაგრამ სახელი არა ჰქვია და ის მიშლის ხელს — ჩემი სიდედრი ჩამობრძანებულა თელავიდან და, უსახელო ჭიას რომ ამოვუტრიალო სუყველაფერი, თავის თავზე მიიღებს, მე მაგინებო, გავიცინებ — მე დამცინიო; ცხოვრების უკულმართობა დამაღონებს — ჩემი მოსვლა გეწყინაო; ბალღს წავუტურტურებ — ჩემი მისამართით არის გამოსროლილიო. ტრაქტორი ან თოხი შემაგვიანებს — მე მერიდებიო; ადრე მოვალ — მე მყარაულობ, რას შევჭამ და რას დავლევო... ის ჭია ზამთარში მაინც აღარ იქნება, შენ ისა თქვი, რა მეშველება ჩემი სიდედრის გადამკიდეს. ახალგაზრდა მაინც იყოს, ან ქმარზე იეჭვიანებდა, ან ქმარი იეჭვიანებდა ამაზე და ერთმანეთის ყარაულობით, რად გინდა ლაპარაკი — დავისვენებდი! ჩემს სიმამრს, მოკალი და, სახლი დაატოვებინე!..

ვაჰ, კაცო, საბუკვარი და ეგეთი?! — ჭიაზე ვამბობ. სასაზამთროე ნაკელი შირაქიდან ამომიტანეს, ორთავშუად და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებული ორი თვითმცლელი სამასი მანეთი დამიჯდა. მერე კიდევ მოხვნაო, ორმოების ამოღებაო, დათესვაო, ძირების ამჩვილებაო, თოხნაო, ისევ მოხვნაო, ათასნაირი შხამით შეწამლაო, გამოდის, რო ჭიების მუშა ვყოფილვარ!.. კინაღამ დამავიწყდა: დათესილი საზამთრო სამჯერ ამომიყარა მაჩვმა. მე თესლის დალბობა-დათესვას ვერ ავუდივარ, ის კიდევ — ამოყრას. მეოთხედაც რო დავთესე, ავიკარ გუდა-ნაბადი, წავიყვანე ძაღლი და ჩავბარგდი ალაზანზე. დღისით ტრაქტორის გუგუნი მატკიებს თავს, ღამე — უძილობა, ატანა არ გინდა? ვერ აიტან და ქონსაც ვერ მოიკიდებ... ბებერია-მეთქი, იმიტომ გავკაფე ვენახი და ვიდრე ცივად დამყნობილი ვაზი ამოიწევდა და ნაყოფს გაიმეტებდა, ჩემი მოკლე ჭკუით, საზამთროს უნდა გამოვრჩენილიყავ!.. რა გამოვიდა! — ნამყენი ნამყენად მიოხრდება, საზამთრო საზამთროდ და, რაღა გასაკვირია, კრიჭა მქონდეს შეკრული! ოჯახში იციან ჩემი ხასიათი და, როგორა ხარო, ესეც რომ მითხრან, მაშინაც კი გამოვამზეურებ უხსენებელ სიტყვებს, ამიტომ ვინ რაღასა მკითხავს! ის მარტო დედაჩემია ამ ქვეყანაზე, ვისაც ასეთ რამეს არ ვაკადრებ, არც ვაკადრებ და ვერც გავუბედავ.

შემოვიდა დედაჩემი ოთახში — კედლისაკენ ვიყავი თავმიბრუნებული და ნაბიჯის ხმაზე ვიცანი, ის იყო: რაო, შვილო, რას აღარ გავუძელით და ერთმა ჭიამ ამოგვაგდო-მეთქი. ეგ ჭია რა საათქმელია, ის მეც ვიცი და სხვამაც, ვინც ამოგვაგდოო: ცოდვას ნუ იზამ, ყველაფერს მაგია კისერზე ნუ წააქცევ, აკი მარტო წლეულა მოშავდღევდაო. მთელი ექვსი დღე სულ თავპირი ჩამომტიროდა და ამან არ გამაცინა?! დედაჩემსაც გაეცინა, დარდით აღარაფერი ეშველება და სიცილი რაღაზე დავიკლოთო.

ჰოდა, მეუბნება დედაჩემი: უმტერო კაცი არ თქმულა და ნადირი, ფრინველი და ქვეძროომი, ხე და ბალახი, როგორ დავიჯერო, მაგას არავინ ემტერებაო. უცებ ერთმა აზრმა გამინათა გონება, მაგრამ უკვე ღამე იყო და, რომც წავსულიყავ, რას დავინახავდი!.. როგორც წეღანა ვთქვი, მთელი ექვსი დღე აგრონომებისა და მეცნიერების დევნას მოვუნდი; აბა, მე ხო ტრაქტორისტი ვარ და, მთელი ექვსი დღე ის ჩემი „ბელარუსი" ეზოში მეყენა თავისი ძარიანად. ტრაქტორს კი არა, გუბეს არ აჩერებენ მუქთად — რაკი გუბე გქვია, ბაყაყიც უნდა გყავდესო. მე ვინღა მაპატიებდა! არც მაპატიეს: კაი ბარაქიანი ჯარიმა მომარტყეს. ეს ჯარიმა იმდენი არაფერი, ზოგი მიზეზით, ზოგი ჯიბრზე, ზოგიც ეკონომიისათვის, ბარე ასჯერ მომართვეს ასეთი და უარესი სალამიც. კარგმა ცხოვრებამ, გენაცვალე, მოდუნება იცის!.. ის ღამე, როგორც იქნა გათენდა, ჩიტები აყივყივდნენ.

ჩიტები რო აყივყივდნენ, წამოვხტი, რისი პირის დაბანა და წახემსება, მაშინვე დავქოქე „ბელარუსი" და ჩავეხეთქე ალაზანზე...

ხევის პირზე ვცხოვრობ და გასადევარიც დიდი მაქვს. დედაჩემი: ჯანი აღარ მომდევს, ვენახსა და მინდორში კელარ გეხმარებიო, ქათამია — ათი კრუხი მაინც უნდა დასვას, ინდაურია — ხუთი მაინც. ორ-სამ ღორსაც ზრდის და ფურსაც უვლის. მეტი გარჯა რაღა გინდა, თუ ძმა ხარ! მოკლედ, წელიწადში ასორმოცდაათ ფრთამდე ქათამი გვყავს ხოლმე; ინდაური, სულ ცოტა, ოთხმოცი ფრთა...

ჩავეხეთქე საზამთროში, წამოვკრიფე ორმოცდაათიოდე ჭია, ჩავყარე ბებიაჩემისეულ ბურნუთის კოლოფში, გამოვტრიალდი უკან, შევვარდი ეზოში და ეგრევე კოლოფიანად მივუშვირე ქათმებს. პირი არ დააკარეს. მივუშვირე ინდაურებს — წამში ამოკენკეს. სიხარულმა გამაეშმიშა, ჭუკები კიდევ ზედ მაფრინდებიან, კიდევ გვაჭამეო. ჩემი ბალღები, მეზობლებისა — კინც თვალში მომხვდა, ყველა დავიხმარე, შევრეაე ინდაურები იმ ვეება საქათმეში, ცოლის

კარლო კოტბერიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზღუნა ვინ უსმენს — დავკუწე სარეცხის თოკი, გავუკარი ფეხები ინდაურებს, ჭუკებსაც, დავსხი ძარაზე, იქაც დამჭირდებით-მეთქი, ბავშვებიც ძარაზე ავლალე და გამოვცხადდით საზამთროში; გავუხსენით ფეხები და გავუშვით. დაიწყეს კივ-კივი და პიო-პიო, გაბეს სვე: გადიან და გამოდიან, გადიან და გამოდიან! ისე ცქვიტად დადიან და იკენკებიან, ეტყობა იმათი ხაშლამა კიდევ ეს ჭიაა. ზედ იქვე მომიჯნეებსაც უთესიათ საზამთრო, იქითაც იწევენ ეს ჩემი ინდაურები, მაგრამ არ ვუშვებ — რა ქართულია, გავუშვა!

ახლა, ძმაო, უკვე პირველი კაცი ვარ სოფელში და ამას გონივრულად გამოყენებაც უნდა... სოფელში სხვასაც ჰყავს ინდაურები, მაგრამ ჩვენდენი — არავის. ქათამ-ინდაურისთვის გამეტებით დაგვეყარა საკენკი, სამი ფუთი არ ეყოფოდათ ჯერზე. მაინც ძლივს ავუდიოდით ყიდვას. მაგრამ საახალწლოდ რომ გავლალავდი ბაზარზე, იმდენ ფულს დაჰყრიდა ხოლმე, ორ ნორმა ვენახს აჭარბებდა...

ინდაურებს ბალღები დავუყარაულე, მე კი ისევ შინ ამოვბრუნდი: წყალი წამოვიღე კასრებით, ძველი ვარცლიც — წყლის ჩასასხმელად, ძაღლი წამოვიყვანე, ნაბად-საგებელიც მოვხვეტე და ბრიგადირსაც მივაწვდინე ხმა, ჩემს მეწყვილეს უთხარი, გეყო ამდენი ავადმყოფობათქო, ჩამოვიდეს, წაიღოს „ბელარუსი“ და ორიოდე დღით ის დაჯდეს-მეთქი...

დააპლაკუნებენ ინდაურები საზამთროში და ნეტა ერთი დაგენახათ, რა მოწადინებით ეძებდნენ ჭიას! დავდივარ, მეც ვეძებ ჭიას, მაგრამ სადღაა?!. ღმერთი მწამდეს, სალოცავში გავვარდებოდი! მივასწავლე ინდაურებს წყალი, დალიეს და ისევ საზამთროში შევიდნენ. სიცხე ჩამოენდო, ისინი კი, ვითომც აქ არაფერიაო, არც ახსენდებათ ჩრდილი...

ვიდრე მზე გადაიხრებოდა, სოფელია და ქვეყანას მოედო ეს ამბავი. ჯერ მოიჯნეები მომაწყდნენ, მეხვეწებიან, ინდაურები გვათხოვეო. გიჟი არ იყო — რას ვათხოვებ! ორი-სამი დღე მაცალეთ-მეთქი. ორ სამ დღეში ფოთოლიც აღარ დაგვრჩებაო... მესაზამთროე ხალხი კარდაკარ დადის ინდაურების სათხოვნელად, ზოგი არ ენდობა, ზოგიც ატანს, მაგრამ ორ-ორობით, სამ-სამობით, ხუთ-ხუთობით რამდენს მოაგროვებ! ჩემმა გარეგანაშვილმა ყვარლიდან გამოიყვანა ოცდაათი ინდაური, სიდედრი მომეშველაო; ეგე სიდედრი..!

მეორე დღის ბოლოს ჭიის ნასახიც აღარ იყო ჩემს საზამთროში. მაშინ კი მოვიმარჯვე საწერ-კალამი და შევადგინე სია, როდის ვის უნდა წაეყვანა ჩემი ინდაურები. ჯერ რაღა თქმა უნდა, დიდ-დიდი ხალხის მიბაძვით, ნათესავებსა და მომიჯნავეებს გავუწიე ანგარიში. ნიშანი დავადე ინდაურებს და ფართობის მიხედვით ვანაწილებ. ოცი ამას, ოცდაათი ამას, დანარჩენიც იმას. თან პირობას ვუყენებ: მოიჯნავეებო, მეზობლებო, ნათესავებო და ამხანაგებო, როგორც პრესა-რადიო-ტელევიზიით მოგეხსენებათ, ბევრი ხორცის ჭამა საზიანოა, ხალხს უფრთხილდებიან და ამიტომაც გახდა ძნელი საშოვარი: თუ მოახერხე და იშოვე, ცეცხლი უკიდია.

რაკი ადამიანებს გვწყენს ხორცი, რაღა გასაკვირია, ჩემს ინდაურებსაც აუტყდათ გულძმარვა, ამიტომ, შუადღისას ძღომაზე უნდა დაუყაროთ საკენკი. სხვათა შორის საწისქვილედ გამზადებული სიმინდიც შეიძლება და დარკვეული ხორბალიც. როგორც სკოლაში გვასწავლიდნენ, ერთხელ თურმე აოხრებისაგან ბატებმა გადაარჩინეს რომი. ჭკუა რომ ჰქონდეთ იტალიელებს, ბატის ხორცს არ უნდა ჭამდნენ, მაგრამ ისინი კაპიტალისტური ქვეყნის აღზრდილ-აღსაზრდელები არიან და უარესი დანაშაულიც ეპატიებათ. ჩემმა ინდაურებმა კი საზამთრო გადაგვირჩინა განადგურებისაგან და ისტორიაში თუ არ შეიტანენ, ჩვენ მაინც ვცეთ პატივი: არ ვნახო, რომელიმეს ან ფეხი ჰქონდეს ნატკენი, ან ფრთა, ან გამხდარი იყოს, ან მწყურვალი. მე რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში ვცხოვრობდე, ფულს გავაკეთებდი ამით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ერთი, პატენტს ავიღებდი, მეორეც — არავის ვათხოვებდი ინდაურებს და საზამთროს ფასიც ჩემს სასარგებლოდ აიწევდა. მაგრამ ანგარიშს ვუწევ ქალაქისა და სოფლის მუშებს, უსაზამთროო ხალხს და ინდაურებს უსასყიდლოდ ვაქირავებ... საზამთრო რომ მოილევა, ფულის ჩამოსვლა არ დაგავიწყუდეთ: თუკი ძაღლს, ჭიას, ცხენს, დათვს, ადამიანს და ყველასაც კი დაუდგეს ძეგლი, რატომ ინდაურსაც არ უნდა დავუდგათ? ჰოდა, უნდა დავუდგათ — ჩემი ასი მანეთი!..

ლამის გადავიკარგო სადმე — ღამე ერთია და ორი ლეგიონი მთხოვნელი მოდის, პროტექტორებს ხომ ვერ დაითვლი! ჩემი უფროსი ბიჭი გალაჯული დგას კართან და იკრიჭება — დღეს მამა ჩემს მიღება არა აქვსო. ერთ საღამოსაც გვერდითა რაიონის გაზეთის კორესპონდენტი კაკო თათანაშვილი მეწვია, მე მეგონა, გაზეთში გაწერას მიპირებდა, იმანაც: ინდაურები მათხოვეო. უარი ვერ ვაკადრე, გადავაადგილ-გადმოვაადგილე სია და მოვიმადლიერე, მართალია გამოსადეგი ამხანაგი კია, სამაგიეროდ მილიციის ინსპექტორის ქვისლი გადავიმტერე; ესეც არაფერი: ქურდი არა ვარ და მილიციის ინსპექტორი რა ფეხებს მომჭამს!

ორი კვირის შემდეგ ქალაქიდან ისევ მანქანა-ლაბორატორიებით ჩამოვიდნენ ქალაქელი მეცნიერები, აქედან წაყვანილი ჭიები დაგვეხოცა და ახალი გვინდაო. ჩვენი საზამთროები გადაჩითეა, აქეთიქითა სოფლებისაც, მთელი რაიონი დაიარეს და ერთიც ვერ იპოვეს წამლად. ნეტა რა დაემართათო. ავუხსენით, რაც დაემართათ და როგორც. გაგვიბრაზდნენ... ხელი რატომ შეგვიშალეთ მეცნიერულ კვლევა-ძიებაშიო. ისეთი ამბავი დატრიალდა, მაგრად არ დავმდგარიყავით და თანაც გავლენიანი ხალხი არ გამოგვსარჩლებოდა, ნაღდად სასამართლო გვქონდა გამოწერილი...

ასეთი მსუქანი ინდაურებიც არასოდეს გვყოლია! ასე იყო!...

ვინ ჩაიფხუკუნა, ვინ ჩაიქირქილა, ვინ ჩაიცინა.

— რა იმაზე მოეწყე, შიოს ბალღო?? ის შუახნის კაცი ეკითხება მის გვერდით მჯდომ ჯინაებიან ბიჭს.

— აგრონომიულზე.

— გაგიმარჯოს!..

ავტობუსი შიბლიანის გადასახვევთან გაჩერდა: ერთი კაცი ჩავიდა, ერთი კიდევ ამოვიდა და უჯიშო ლეკი ამოიყვანა კალათით.

ვილაცამ დრო იკითხა.

აქა ამგავი სასოფლო-სამეურნეო იარაღების მუზეუმის დაარსებისა

იმ სოფელში, რომელსაც თუნდაც „წაბლიანს“ დავარქმევ, ასოცი გეოლოგი ცხოვრობდა, ასხუთი არქეოლოგი, ოცდათოთხმეტი არქიტექტორი, სამოცდათერთმეტი ჟურნალისტი, ერთი მწერალი (მოსე გულკეთილაძე) და ერთიც — გლეხი. რაკიღა გეოლოგები, არქეოლოგები, არქიტექტორები და ჟურნალისტები სოფლიდან ფეხს არ ადგამდნენ, ამიტომ არც სამსახურის ხალხი ეთქმოდათ, მაგრამ უმუშევრებად კი არ ითვლებოდნენ, არამედ დაუსაქმებლებად ჰო: ჩვენაო უმაღლესი მიგვივლ-მოგვივლია, სწავლა-განათლება თავზე გადაგვდის და მიწაზე დასაღვრელი ოფლი სადა გვაქვსო. მიდი-მოდიოდნენ, იწვნენ თუ იდგნენ, ისევ იმ ბედნიერ დღეს ელოდნენ, წაბლიანში ოქროს საბადოს რომ აღმოაჩენდნენ. მაშინ, ქალაქის დაავრითი წესით აშენებისას, ადვილი შესაძლებელია, ანტიკური ნაქალაქარის

კარლო ალბერიძე
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალაც წაწყდომოდნენ: ჰო, ჰო, რა ხმაურს ატეხდა ადგილობრივი ანუ საქალაქო გაზეთი!.. მოკლედ: სოფელში ერთადერთი მთოხნელიღა დაჩუჩუნებდა. ჰოდა, ამ ერთადერთ მოფამფალებულ გლეხს ის ერთადერთი თოხი არ მოპარეს?! მთელი წაბლიანი ფეხზე დადგა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, წარმოგიდგენიათ, ქურდს მაინც ვერ მიაგნეს! თანაც ის თოხი მაღაზიაში ნაყიდი თოხი არ გეგონოთ, ერთხელ რომ იხმარ ნარბილში და მაშინაც აქეთა გთხოვს კბილებს, არამედ ნაღდი ფოლადის თოხი იყო, მამაპაპეული თოხი...

იფიქრეს წაბლიანებმა, ბევრი იფიქრეს და, როგორც იქნა, მოიფიქრეს: მოდი, მილიციას ვაცნობოთო.

მაშინვე აფრინეს დეპეშა და ჩვენი ფოსტა-კავშირგაბმულობის მოქნილობის წყალობით მესამე დღეს მიაწვდინეს ხმა ოციოდე კილომეტრით დაშორებულ ადრესატს. რაო, რაო, თოხი მოიპარესო?! ორნი მოვიდნენ მანქანით, ერთი კიდევ ძაღლი მოიყოლეს და აქტის შედგენაც დაიწყეს:

— სად დაკარგე თოხი?

— ქოხიდან ამარიდეს, შენი ჭირიმე.

– შენ სადღა იყავი?

— ა ექა, ქოხში მეძინა, შენი ჭირიმე.

— რათ გეძინა?

— დაღლილი ვიყავი, შენი ჭირიმე.

– რათ დაიღალე?

— ვთოხნიდი, შენი ჭირიმე.

– რათა თოხნიდი?

— მიწას უჭირს, შენი ჭირიმე.

— საინტერესოა!...

— ოღონდ ქურდი გვაპოვნინეთ!.. ოღონდ გავიგოთ, ვინ მოიპარა თოხი!... იხვეწება თუ იქადნება მთელი სოფელი.

— ეს რა არის, – აიმედებენ, — აქლემის ქურდიცა და ნემსისასაც, ცალცალკე კი არა, ორივე ერთად დაგვიჭერია.

ვიდრე ძაღლი ასუნსულდებოდა, ყური ცქვიტა თოხის დამკარგავმა ერთადერთმა გლეხმა:

— ჩემი თოხის ხმა მესმის!

სხვებმაც მიაყურადეს — მართლაც თოხნიდა ვიღაც.

— საიდან იცი, რომ შენი თოხია? — ჰკითხა თვალებმოკუსულმა ოპერატიულმა მუშაკმა.

— ჩემი თოხის ხმას შენ მასწავლი? აშამბებულია ვენახი, თანაც ქვიანია... რა ვქნა, ხელიდან წავგლიჯო თოხი?...

— შენ ეგრე ადვილი გგონია თოხის ხელიდან წაგლეჯვა? — უთხრა ერთმა გეოლოგმა.

— ნამდვილად ძაან ძნელია!.. მივალ, ვნახავ მაინც, ვინ არის და როგორ ხმარობს თოხსა, — წასვლა დააპირა.

მაგრამ ოპერატიულმა მუშაკებმა არ გაუშვეს:

— იმ ერთი იმისა არ იყოს, თოხიც თოხსა ჰგავს და რომ თქვას ჩემიაო, მერე რაღას იზამ? აი, ძაღლს ჩავუყენებთ კვალში, თოხში უტაცებს პირსა და ეჟვანსაც შევაბამთ ქურდს.

რომ გავუშვათ, დაფლეთსო, ამიტომ თოკი დაუგრძელეს ძაღლსა და ჩააყენეს კვალში.

წინ ძაღლი მიდის, უკან მილიციელი მისდევს, მათ უკან კი მთელი სოფელი მიყაყანებს. ბილიკიდან ჯერ აშალაფებულ სიმინდში გადავიდა ძაღლი, მერე კლანძამოდებულ ლობიოში, მერე ძუძუმაყვალათი დაფარულ კარტოფილში, მერე კატაბარდათი დაჩრდილულ პამიდვრებში და ადევნებულმა ხალხმაც მთლად გადათელა, გაშარავა იქაურობა. ბოლოს ძაღლი აშამბებულ ვენახში შეძვრა, მთოხნელს, მოსე მწერალს, ცერად გახედა, აიყალყა, ატამზე ჩამოკიდებულ პურის ჩანთაში ჩაყო დინგი და თუშური ყველის ნაგურჯალი ამოიღო.

ოპერატიულმა მუშაკმა შეჭმა არ აცალა — მარჯვედ წაართვა ძაღლს ყველი:

— შენ თუ ქურდი არა ხარ ვინ მოგცა თოთხმეტმანეთიანი თუშური ყველი? — დამცინავად გაუღიმა.

— რა გინდათ ჩემგან? — ცოტა არ იყოს შეშინდა მოსე და უკან დაიხია.

– თოხის წინასწარ განზრახული ქურდობისათვის სამ წელს რომ მოგარტყამთ, მაშინ გაიგებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არ გაუშვათ! — იყვირა ხალხმა.

წაესივნენ თოხის ქურდს, პირი აუხვიეს, ძაღლს რომ ება, იმ თოკით გაუკრეს ხელ-ფეხი, სატვირთო მანქანის ძარაზე შეაგდეს, ზეიდან თოხი დააფეთ და გააქანეს სოფელში.

სულ რაღაც ორი საათის შემდეგ სოფლის კლუბი ბალღებით, სალაყბოს აქტივით, ინტელიგენციითა და ყალთაბანდებით გაივსო.

პირველი სიტყვა კლუბთან არსებული მევიოლინეთა ანსამბლის ხელმძღვანელმა აიღო:

— ამხანაგებო! დღევანდელი დღე ჩვენი სოფლის ცხოვრებაში შევა, როგორც ბრწყინვალე თარიღი, ვინაიდან გადაშენების გზაზე დამდგარ ერთადერთ მთოხნელს მეორეც ამოუდგა გვერდში, — სიხარულის ცრემლი მოიშორა და კულისებში გავიდა, ცელი შემოიტანა, — მალე თიბვის ამინდიც დადგება და, რომ არ მოსცდეს, პაპაჩემის პაპის პაპის ნაქონი ცელი მიჩუქებია!

ვინ თოხი აჩუქა, ვინ — ფიწალი, ვინ — სამურველი, ჭოპოსანი, ქლიბი, ნამგალი და ურო, ვაზის გუთანი, მინდვრის გუთანი, საწნახელი, გოდორი, გიდელი, ცალათა, ლასტი, სასხლავი, ვენახის შესაწამლი აპარატი, გოგირდის შესაფრქვევი ქუფსი... არქეოლოგებმა: ქვის ნაჯახი, ქვის ცელი, ქვის ცული, ბრინჯაოს ნამგალი, ბრინჯაოს ნაჯახი; არქიტექტორებმა: ქაფჩა — ამით ხახვის გათოხნაც შეიძლებაო. მერე: ხახვის თოხი, ქლიავის ტოტის დასაწოდებლად კავი; ამ კავით ტყემლის ტოტის დაწოდებაც შეიძლება და ლეღვისაცაო...

კლუბი თანდათან გაივსო ნაირ-ნაირი ბარით, ფორჩხით, არნადით, კევრით, წალდით, ხელწალდით, სავაზეთი გრდემლით, საბერველით, ურმით: მისი სათადარიგო თვლებით, ლართხებით, ფერსოებით, უბეებით...

მოსეს ტაშის გრიალით გადასცეს ყველაფერი — შინ წაიღეო. ვერ დავტევო.

მაშინ ესპერანტოს შემსწავლელი წრის ხელმძღვანელმა წინადადება შეიტანა, ბარემ აქვე გამოვფინოთო. ერთხმად მოიწონეს.

ასე გაიხსნა წაბლიანში სასოფლო-საშეურნეო იარაღების მუზეუმი.

მუზეუმის დირექტორად მოსე მწერალი დანიშნეს. მოსე გულკეთილაძე, კონსულტანტად — ის ერთადერთი გლეხი.

ახლა კვირაში ექვსი დღე ტურისტებსა და მეცნიერებს იღებენ, ორშაბათობით კი ისვენებენ.

ყველაზე დიდი მეცნიერება ეთნოგრაფიაა მაინც, რომელსაც კიდევ უფრო დიდი მომავალი აქვს, დიახ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი ბრეგვაძე

ვინ წაგვიძღვება ოყამენამდე?

ბერიკაცი

არათუმცა უფალმან აღაშენა სახლი,
ცუდად ჰშვრებიან მაშენებელნი მისნი;
არათუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი,
ცუდად იღვიძებენ მხვმილავნი მისნი.
ცუდად არს თქვენი ეგე აღმსთობა,
აღსდექით შემდგომად დასხდომისა,
რომელნი ჰსჭამთ პურსა სალმობისასა,
რაჟამს ჰსცეს ძილი მოყვარეთა მისთა.

ფსალმუნი დავითისი

ვეება კალათის ფორმის საბაგირო ვაგონი რწევით მიცურავს კლდეებს შუა მომწყვდეულ, ჯერ ისევ მძინარე ქალაქის თავზე და მიჰყავს ერთადერთი მგზავრი, სრულიად ჭაბუკი. იგი კაი ორი კვირაა ყოველ სისხამზე ასე ეულად მიეშურება ზემოთ, მთის წვერზე გამართული მაღაროს სადგურისაკენ, რომლის უზარმაზარი ასოებით მოგვირისტებული სახელწოდება „მშვიდობა" ერთნაირად მოჩანს, როგორც ქალაქის შუაგულში გაკლაკნილი მდინარის სანაპირო ქუჩებიდან, ასევე კლდეთა ფერდობებზე შეფენილი უბნებიდანაც.

მთელი დღე-ღამე მუშაობს საბაგირო გზა, რადგან იგი მაღაროს მუშებისთვისაა განკუთვნილი. ვაგონი მხოლოდ სამუშაო ცვლების დაწყება-დამთავრებიას იხუნძლება მგზავრებით. ახლა უკვე ის დროა, როცა წასასვლელები წასულან, რათა ღამით ნაჯაფარი სხეულები მოასვენონ, სხვანი კი დილის ადრეული ცვლიდან შესდგომიან საქმეს. ასე რომ ამ დროს იშვიათად თუ ვინმე აჰყვება ვაგონს.

ჭაბუკს ის-ისაა აღერებოდა წვერ-ულვაში. ფიქრით სავსე თვალები ვარსკვლავებივით უღვიოდა, ისე დასცქეროდა ვაგონის მოაჯირზე დანის წვერით ამოკაწრულ თავის სახელს, — ჭოლა — თითქოს სამახსოვრო ნობათს უტოვებდა აქაურებს. დღეს საბოლოოდ მიდიოდა ზევით, ამიტომ ხარბად აკვირდებოდა ქალაქს, ასე ლამაზი რომ ჩანდა აქედან, და რომლის მარჯვენა მხარე სულ უფრო უკან-უკან იხევდა. აი, თეატრის თეთრი შენობა, არაკაცი არ იქნებოდა ახლა იქ. უკაცრიელი სცენა გაბუტული ბავშვივით ეფარებოდა ალბათ შინდისფერ, ხავერდის მძიმე ფარდას, რომე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიც ერთ ალაგას დაკერებული იყო. მხოლოდ ჭოლამ შეამჩნია ეს პირველსავე სპექტაკლის დროს, საგანგებოდ კი არ დაკვირვებია, ისე, შემთხვევით მოხვდა თვალში, თორემ მგზავრობისაგან დაღლილს ამეებისათვის დიდად არ სცხელოდა, რადგან დასვენებაც არ აცალეს დასს, ისე სასწრაფოდ გაამართვინეს წარმოდგენა. ხოლო როცა ყველაფერი მომთავრდა, როცა პროვინციული ქალაქის ინტერესიანმა მაყურებელმა ტაშით გააყრუა დარბაზი და ბრავოც ბევრი იძახა დედაქალაქიდან ჩამოსული, თუმც მეორეხარისხოვანი თეატრის კოლექტივის საქებრად, სწრაფად რომ მიიმალა კულისებში და დეკორაციები სცენის მუშათა ანაბარა დატოვა, მაშინ იყო, პლატონ სამანიშვილის ღარიბული ქოხის კედელს მიყრდნობილმა ჭოლამ დაინახა, სცენის ფარდის ზემოთა ნაწილს ერთი მტკაველის სიგრძე-სიგანეზე მისივე ფერის საკერველი ედო და შერცხვა ამ ქალაქელთა მაგივრად, ანდა იქნებ უცაბედი თანაგრძნობა ეწვია მათი ცხოვრების მიმართ, მას კი სირცხვილი ეგონა ეს ადვილად საგრძნობი კავშირი, რასაც მხოლოდ ადამიანობა ქმნის. ჭოლას უყვარდა სცენის ფარდა, მიუხედავად ხარისხისა, და იმასაც ფიქრობდა ზოგჯერ, თუ როგორ არსებობდა თეატრი მანამ, სანამ მას დაევალებოდა სცენია და მაყურებლის დაკავშირება და გაყოფა ფარდის საშუალებით.

ახლა იგი შორიდან უყურებს ყველაფერს, დასცქერის მდორედ მიმავალ, მარგანეცის ნარეცხით გამურულ მდინარეს, სასტუმროს, სადაც თეატრის დასია დაბინავებული. სძინავთ, რა თქმა უნდა, ჯერაც აზრად არავის მოსდის გაღვიძება. მთვარეული მსახიობიც კი, მთელი ღამე დერეფნებში რომ დაბორიალობს, ამ დროს გემრიელ ხვრინვას მოჰყვება ხოლმე. მხოლოდ ჭოლაა ფეხზე, მხოლოდ ის ხედავს, როგორ ამოუშვა ქალაქის აბანოს მურა მილმა შავი მჭვარტლი; როგორ უძრავად გაჩრილან სივრცეში ქალაქის ყველა მხრის კლდეთა სიმაღლისაკენ გაჭიმულ ბაგირებზე აკონწიალებული ფერად-ფერადი სამგზავრო ვაგონები, თითქოს მათაც ქალაქთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და, როგორ ჭირდებოდა მარაო. როცა სეანსის წინ, სულის ხუთვამდე უჰაერო კინოთეატრის სარკეებიან [illegible] სალონში მოზღვავებულ ხალხს ჟურნალგაზეთებს სთავაზობდა, ვედრებასავით წარმოთქვამდა: „ახალი ფილმები", „საქართველოს ქალი", „მოდები", „ქსოვა", „ახალი ფილმები", „საქართველოს ქალი", „დროშა", „მოდები", „რადიო". თუმცა იცის ჭოლამ, რაც უნდა აყიდვინოს დედას.

ახლა უკვე თვალჩაუღწევ სიღრმეში დარჩა თეატრის შენობა, სასტუმრო, ლამაზი პანორამაც. უცებ ქერაულვაშიანი მსახიობი გაახსენდა, ჰამლეტის როლის დუბლიორი. „დოყლაპია. — გაიფიქრა ჭაბუკმა. — ზოგჯერ იქნებ მეც პაპიროსი ვგონივარ, ისე მსუნაგურად უცახცახებს ნესტოები ჩემს დანახვაზე". კი არ ბრაზობდა, შემნდობი დაცინვით იგონებდა. „მაგის ხნის რომ ვიქნები, ნეტა როგორ წამივა საქმე?" ნუთუ, ნუთუ ისიც ოდესმე ასე გაიწვდიდა ხელს და ვინმე, ჯერ ისევ პატარა ბიჭს, რომლის დარდითაც დედა თეთრად ათენებს, სთხოვდა პაპიროსს მხოლოდ იმ მიზეზით, რათა გაუთავებელი სმისა და ღრეობის შემდეგ ჯიბეში გახვრეტილი გროშიც აღარ ექნებოდა. და ნუთუ იმ ბიჭის დანახვისას (ნაცვლად იმისა, თბილი სალამი და ალერსიანი სიტყვა ეთქვა) სხვებივით ისიც სწრაფად მიიდებდა ტუჩებზე შეწყვილებულ საჩვენებელ და შუათითს და უსიტყვო თხოვნის შემდეგ წამითაც არ დაიღლიდა ტვინს იმაზე ფიქრით, თუ საიდან უნდა ჰქონოდა ბიჭს ასე გამოულევლად ყველა მსურველისათვის პაპიროსი? ხალხის გამრთობი, მხიარული მსახიობები თუნდაც ერთხელ, მხოლოდ ერთხელ რომ დაინტერესებულიყვნენ და ეკითხათ: ჭამე რამე ჭაბუკო დღეს? ანდა: ძილს რატომ იკლებ, სად მიგეჩქარება ადრიანად ამ უცხო ქალაქში? მაგრამ არავინ იძლეოდა მსგავს შეკითხვებს. ჭოლას კი ეცოდებოდა ყველა, ეს დიდი და უსუსური ბავშვები. განა მხოლოდ ეცოდებოდა, უყვარდა კიდეც, ყმაწვილის გაუმჟღავნებელი, სპეტაკი სიყვარულით. უხაროდა, როცა კაცები, რომელთაც ართობდათ ქეიფი, იცოდნენ მოურიდებელი გინება და ჰყავდათ საყვარლები, ისე უცქერდნენ, როგორც მხსნელს, თითქოს ერთ ღერ პაპიროსში ჩატეულიყო მათი ყოფნა-არყოფნის მთელი არსი.

ისევ ეძინათ ამ დიდ ბავშვებს, ეძინათ ააკუთარ, ანდა საყვარლის ლოგინებში, რაც ჭოლას უფრო და უფრო მეტად ანსხვავებდა დაღლილ, გულგრილ, მაგრამ უვნებელი ბრბოსაგან. მისი გამსუბუქებული სხეული ლაღად ეგებებოდა ახალ დღეს. და მზეც, მთის თავანზე რომ აგორებულიყო, ეგონა, საკუთარი არსებიდან შობა. შეჰყურებდა კრიალა ცაზე გამჭვირვალე ნისლის მარაოსავით ოქროსფრად მიფრქვეულ მნათობს და ისეთი განწყობა ეუფლებოდა, ვინმე რომ ჰყოლოდა გვერდით, სულ ერთია ვინ, ჭოლა ეგებ არც დაფიქრებულიყო, პირდაპირ, გულწრფელად განეცხადებინა: იცით? მე მზე მაქვს გულში!

რა მალე გაირბინა დრომ. აგერ ახლა არ იყო ყველაფერი? ის უცნაური გაცნობაც...

ბაზრის შესასვლელთან ზედ მიწაზე გადაქცეულიყო ბერიკაცი, გაზეთების კიოსკის კარზე მიენდო თავი, ხალხი ეხვია გარშემო. გონს რომ მოვიდა და თვალთ დაუბრუნდა სინათლე, ვიღაცამ ჩაჰკითხა: ხომ უკეთესათა ხართ ახლა?

ბერიკაცმა თვალები აღაპყრო, მის წინ ჭაბუკი იდგა, შავგვრემანი, თმახუჭუჭა.

— შეგიძლიათ ადგეთ? — ჰკითხა ისევ.

მაგრამ ბერიკაცმა მაშინვე ნაჭრის პარკს გადახანა თავი, წყლიან ქილას ჩახედა, რომელშიც რამდენიმე კუპრისფერი ჭია იკლაკნებოდა. ქილა პარკიანად შემოიდო მუხლზე, ოღონდ ბოლომდე ჩაკეცა ნაჭერი. მალე გამოჩნდა მუშტარიც. ხელი რომ დაიცალა, მერეღა დაეპირა ადგომა. ჭაბუკი მხარში შეუდგა და წამოაყენა.

— წამობრძანდით, სახლამდე მიგაცილებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერიკაცმა თავი გაიქნია — შორს ვცხოვრობ. — უთხრა. — ძალიან შორს.

– არა უშავს, ჩამოსული ვარ, დრო ბევრი მაქვს, გასეირნება გამომივა.

მერე სწორედ ამ მაღლა-მაღლა მცოცავი საბაგირო ვაგონით დაეკიდნენ სივრცეს. მაშინ იყო, ბერიკაცს მოეწონა ჭაბუკი, სთხოვა, სანამ აქ იქნები, საქმეზე წამიკარი ხელი, ნამეტანი გვალვები დაიჭირა, ქალაქში სიარული მიმძიმს, წურბელები გამიყიდე, შენ შენს კუთვნილს მიიღებ, მეც ცოტა სულ მოვიბრუნებო. საბაგიროდან სულ აღმა-აღმა მინდვრებით იარეს ფეხით ოთხიოდ კილომეტრი. პირველივე სოფელში ბერიკაცმა პატარა, ნაპირებჩატბორილი რუ ანახვა ჭაბუკს და შეხვედრაც აქვე დათქვეს დილაობით. ახლაც მასთან მიდიოდა.

დღესაც გამთენიიდანვე ჯიუტად, ფეხმოუცვლელად იდგა ბერიკაცი თავთხელ წყალში და სიამით ელოდა კანზე ყოველ უმნიშვნელო ბწკენას; კისერსწამოცმულ დაქექილ ღვედზე აკონწიალებული პლასტმასის ვარდისფერი ვედრო ჭიპამდე დასთრევდა. იგრძნობდა თუ არა ფეხზე ამ ბწკენას, დაიხრებოდა მყისა, ფრთხილად აიცლიდა მიწებებულ წურბელაა, თითქოს თითების ფრთხილი, შემპარავი მოძრაობით სამადლობელს აღუვლენდა უხილავ ძალას, რათა არ გააწბილა, უქმად არ ჩაურონია გალიგვულ წყალში კანკალი, ამდენი მოთმინება. თუმცა ბერიკაცი მიჩვეული იყო მოთმინებას, რითაც უშუალოდ უკავშირდებოდა არსებობას, რითაც უნდა გამკლავებოდა თვით სიცოცხლეს.

მისი ხელობა წურბელებით ვაჭრობა იყო, მით ირჩენდა თავს და ინახავდა ერთადერთ ააუნჯეს — მშვენიერ ინესას, ზუსტად თხუთმეტი წლის უკან ახალშობილი, ჯერ ისევ თვალებაკერილი რომ მიუგდეს ეზოს ბოლოში გადაფანჩული თხილია ძირაა.

სანამ ჯანი მოსდევდა, ქალაქში ჩასვლა რა იყო მისთვის, უცბადვე დაყიდდა, დაიცლიდა ხელს; ზოგჯერ ბაზრამდე მისვლაც არ სჭირდებოდა, გზაშივე გაუსაღებდნენ ხოლმე ნაცნობი მუშტრები, მის დანახვაზე სიხარულით რომ მოსიცხოდნენ: წურბელა! წურბელა! ახლა კი ღმერთმა გადმოხედა, ეს პატიოსანი ბიჭი გამოუგზავნა. ყოველ დილით კაპიკ-კაპიკ მოჰქონდა მას ნავაჭრი თანხა, თავის წილს მიიღებდა ფეხისა და გაყიდვის ქირად და კვლავ წაიღებდა ჭიებით სავსე ქილას.

ჭოლას ისიც უნახავს, როგორ ზეზეულად თვლემდა ხოლმე წყალში მდგომი მოხუცი. აკანტურებდა ჭალარა, გაბუებულ თავა, ღვედზე დაკიდებული ვედრო მკერდსა და მუცლის გარდიგარდმო აუქანდებოდა, მაგრამ მალევე ფხიზლდებოდა, სათითაოდ ამოჰყოფდა ფეხებს წყლიდან იმის შესამოწმებლად, ამართლებს თუ არაო საქმე. მერე აიცლიდა თითო-ოროლა შავ სლიპინა ჭიას, წყლით ძრომოფარულ ვედროში ჩაუდახებდა და კვლავ წყალში ჩააგებდა ფეხებს. ზოგჯერ წონასწორობას ჰკარგავდა მოხუცი, იღლებოდა, წელში იდრიკებოდა, საჭირო იყო, შეეცვალა მდგომარეობა, რათა როგორმე გაეძლო კიდევ, თორემ ჯერ სადაა. თითო წურბელაა ორ აბაზად ანგარიშობდა, მალ-მალ ითვლიდა, კრებდა, ამრავლებდა. ეს ფული თუგინდ დებოდეა უკვე ჯიბეში. ყველანაირად ეწყობოდა ხელი. მის ბედზე აფთიაქში რახანია გაწყდა ჭია. მედიცინამ აკრძალაო, ჰოდა ფასი დაედო ბაზარს.

მაგრამ რა, ზოგჯერ ღმერთი უწყრება წყალს, ჭიაც გადაშენების გზაა ადგას. დღითი დღე უფრო და უფრო ახელდება შეგროვება, ესეც არ იყოს, ადვილად ცივდება მოხუცი. გუშინდელი ბავშვი კი აღარაა. რა გააკეთა. მერე კი ახველებს და ახველებს მთელი ღამეები. ამიტომ იცის ძახ თბილი დღეები ფაალ. ზაფხულმა უნდა აოჩინოსო ზამთარი. ფიქრობს თავისთვის. ზოგჯერ კი როგორ უწყდება ქანცი. უკანასკნელი ძალაც ეცლება. მაშინ ოთხზე გადადის. ხელებიც და ფეხებიც ხაფანგის მოკალეობაა ეს

ლალი ბრეგვაძე

ვინ წაგიძღვება იღუმენამდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოულება. ზედ ნიკაპთან უდგაა ვედროს პირი, ღაბაბით ებჯინება წყალზე აციმციმებულ ჭურჭელს და არ აძლევს გადაყირავების საშუალებას. ყველაფერი რიგზეა, ამ დროს ბერიკაცი ორი ჯეელის მაგივრობას სწევს.

ახლა ჭოლა უკანასკნელად მიდის ბერიკაცთან. ერთბაშად შექანდა საბაგიროს ვაგონი და გაჩერდა. აქედან ფეხით აჰყვება ოკრობოკრო დამრეცს მიფენილ, ვაზის ლერწივით დაგრეხილ გზაწვრილს. უკანასკნელად ჩაუთვლის ნავაჭრ ფულს, მიიღებს თავის წილს და დაემშვიდობება. დასი ამთავრებს გასტროლებს, ხვალიდანვე გაემგზავრება. ოიდიპოს მეფეს უჩვენებენ ამ საღამოს. ჭაბუკს არ მოსწონს ეს სპექტაკლი, რადგანაც რეჟისორს ისე ჩაუფიქრებია ყველაფერი, დასაწყისიდან დასასრულამდე ერთხელაც არ იხურება და არ იხსნება ფარდა. დეკორაცია წინასწარვეა გამზადებული მოშვლეპილ სცენაზე, არავითარი ინტერესის მომგვრელი იდუმალება, მაყურებლის თვალწინ ეწყობა ყველაფერი. — ესეც ახალი მოდა, — ფიქრობს ჭაბუკი.—ნეტა ვის გაუგია თეატრი ფარდის გარეშე. ან მას რიღასთვის უხდიან ხელფასს. ერთიც ვნახოთ და წესად შემოვიდეს სცენის გაშიშვლება, მაშინ ხომ უნდა დაემშვიდობოს სამსახურს, ამ ხალხს, ასე რომ უყვარს და რომლისთვისაც თვით იგი არაფერს არ წარმოადგენს, პაპიროსის ერთი ნაფაზია მხოლოდ. დღესაც ასიამოვნებს მათ, სათითაოდ ჩამოურიგებს სიგარეტის გაუხსნელ კოლოფებს, მადლობად ღიმილს მიიღებს, და ჭოლა კმაყოფილი იქნება, უზომოდ კმაყოფილი.

შორს, ნეტარებია ექსტაზში გაყუჩებულმა ველმა უცებ წამოაფრინა კუპრისფერი ყვავი—ჯერ ერთი, მერე მეორე, ახლა მთელი გუნდი მიმოფანტა, და ისინი, უადგილოდ ნათქვამ სიტყვასავით, უნიათოდ გაეხირნენ სივრცეში. მათ სიშავეში ლამაზმა ბუნებამ მკაცრი თვალით გამოიხედა. ყვავები ყველგან არიან, ვითარცა გარდაუვალობა სიმართლისა, მეტ-ნაკლებად რომ აურვებს ადამიანის გულს. მაგრამ მოკრიალებული, უჩვეულოდ მაღალი ცის თაღქვეშ აცეტებული ყორანა ფრინველები მხოლოდ ეგზოტიკურ სანახაობას წარმოადგენდა ქალაქის ჭუჩებს შეზრდილი ყმაწვილისათვის, რომლის აზრითაც სწორედ ასეთ უკაცრიელ ველზე შეეძლო ეულ ლირს, ნამდვილი მეფური ცრემლით ეტირა, და არა მაყურებლის წინ, მოჩვენებითი, ძნელად გულამაჩუყებელი სლუკუნით, რაც კულისებში მიყუჟულ ჭოლას მზადყოფნის ნიშანს აძლევდა. ამის შემდეგ სწრაფად უნდა დაშვებულიყო ფარდა.

აჰა, ქვის კარიერიც გამოჩნდა, აქედან ბევრი აღარაფერი მანძილია, მალე ბერიკაცთან იქნება.

ინესა

— აი ჩემი კარ-მიდამოც. — თქვა ბერიკაცმა. — ძალიან მწყინს, რომ მიდიხარ, ალბათ ვეღარასოდეს გნახავ. ესეც არ იყოს, მადლიან საქმეს მიკეთებდი.

ჭოლამ დამნაშავესავით აიჩეჩა მხრები, ეჭვი არ ეპარებოდა, გულწრფელად რომ წუხდა ბერიკაცი.

— შინ მარტო ვცხოვრობ, ვერაფრით გასიამოვნებ, ამიტომ არ გეპატიჟები, ისე კი სამტეხლომდე მიგაცილებ, ნელა ვიაროთ ოღონდ, ჰაი, რომ აღარ მამდევს ჯანი.

ისინი ტყრუშულის გადაღმა იდგნენ და ვიდრე ბერიკაცი ლაპარაკობდა, ეზოში გამართულ ფანჩატურს იქით, ღარიბული ქოხმახის პარმაღზე შემთხვევით მოფრენილი უცხო ჩიტივით შემფრთხალი გოგო დაინახა. საშინლად ეწყინა, მიხვდა, იცრუა ბერიკაცმა — მარტო ვცხოვრობო.

— აღარ შეგაწუხებთ, — თქვა ჭოლამ ისეთი ადამიანის ტონით, ვინც უნდოდ მიიჩნიეს, ვისაც ეშმაკმა უწყის, რისთვის აფარებდნენ ხელს თვალებზე.

გოგო თვალმოუცილებლად გაჰყურებდა ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ჭაბუკს. გამოუმშვიდობებლად წავიდა, ერთხელაც აღარ მოუხედავს უკან. ორთავ ხელი შარვლის ჯიბეებში ეწყო და უცხო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგოსათვის საოცნებო უცხო მხარეში მიეშურებოდა.

მას არ უნახია ინესას გაშენებული მზესუმზირის ყანა, არ ისურვა, სილამაზეში უფლისწულივით გაევლო, არც ინესას დედოფლობა უღიარებია, რათა ჩიტებისათვის ეთქვა: გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ, დედოფლის დაუკითხავად რომ მოფრენილხართ.

არა, არა და არა...

იგი მიდიოდა უშორეს მხარეში, სადამდე მანძილი იქნებ მხოლოდ ერთი ამოსუნთქვა იყო, ანდა ერთი გულიანი კისკისი. არავის არაფერში ედო ბრალი, მაგრამ გოგოს გული მაინც იმდაგვარად სწყდებოდა, თევზს კუდში რომ წაეტანები, ის კი გაგისხლტება, დაგივრება ხელიდან. განა შეიძლება სახელი დაერქვას ამას? მაგრამ მაინც აკონკრეტებ, გულში, შენთვის, მხოლოდ შენთვის, და ერთი სული გაქვა, რაღაც უწოდო, სულ ერთია, რა, მერე უიღბლობას ეაახი იალაუნებურად.

ფშატის ხეები აეფარა მიმავალა და გოგო გაოცებულს ანაბარა დარჩა. ვინ იყო ჭაბუკი? საიდან გაჩნდა? ან მამამ რატომ იცრუა, მარტო ვცხოვრობო? უეცრად აეკვიატა სურვილი, დადევნებოდა უცნობს, ეთქვა ყველაფერი, სიმართლე ეთქვა: ეს მე ვარ, ინესა... მერე მის ფიქრს მიუგდებდა ყურს ჭაბუკი: ვიცი ვინცა ხარ. შენ ხომ ღრუბლებზე ხატიხარ ხშირად, როცა მზე ჩადის და დასალიერი ცუდად ფერმოკიდებული საალდგომო კვერცხივით ჭრელდება. შეჭირხლულ ფანჯრებზეც მინახიხარ ზამთრობით. როგორი თეთრი და გამჭვირვალე ჩანხარ მაშინ, თვალებს ხუჭავ, თანაც იცინი, გინდა, რომ სახე შეიცვალო და ვერ გიცნო, მაგრამ მაინც ვიცი, რომ „ისა" ხარ. კაშკაშა დღეს, როცა მზეს ვუსწორებ მზერას, დაბრმავებამდე ვუძლებ და შემდეგ სახლის თეთრ კედელს მივაცქერდები, მაშინვე მუქ ლაქად იხატება მასზე ადამიანი. ვიცი, რომ ისიც შენა ხარ. მამამ კი დაგიმალა ჩემი თავი. რატომ? ნუთუ შესაძლოა დააფარო ხელი დღის ნათელა და თქვა, არ გათელილა, ანდა სქელი ფარდის ნაოჭებით განდევნო ქუხილი.

ინესა მიჩვეული იყო თავის თავთან საუბარს. გულისწყვეტასაც მიჩვეული იყო. პატიებაც იცოდა. ამიტომ პატიობდა საკუთარი ხელით გაშენებულ მზესუმზირის ყანას, როცა იგი ციცაენ ააღერებდა თავს და დაბლა, ტანმაღალ ღეროებს შორის დარჩენილ გოგოს, ვინც სიცოცხლე მიანიჭა ამ თავმოძწონე მცენარეებს, ზედაც არ უყურებდა; პატიობდა მთვარეს, რომელიც შუაღამისას მოადგებოდა ფანჯარას და აიზბრების თანაზიარი უხდებოდა; აგრეთვე — თეთრი აკაციის ფოთლება, ერთ ღეროზე რომ თითქოა იმიტომ ასხმულიყვნენ, რათა ინესას კითხვებზე — ლამაზი იქნება თუ არა? ვეყვარები თუ არა? მოვა თუ არა? მალე თუ გვიან? — გაეცათ პასუხი, მაშინაც, მაშინაც პატიობდა, როცა ფოთლები გოგოს სურვილის საწინააღმდეგო პასუხს იძლეოდნენ.

მაგრამ რად თქვა მამამ ასეთი ტყუილი? შეიძლებოდა თუ არა ამის პატიება? გაეცემდა კი ოდესმე ამ თავსამტვრევ კითხვაზე პასუხს? ერთი კი ცხადი იყო: არასდროა არაფერი უნატრია უფრო გულმხურვალედ, როგორც უცნობი ჭაბუკის კვლავ ხილვა. ის კი წავიდა, სამუდამოდ.

დროთა კავშირი

არც ჭაუასუატი იყო და არც გლახაკი, არამედ თავია თავზე ხელმიშვებული და გასაცოდავებული, უპატრონო და უქმმაგო. ჩია ტანი და მოკლე ხელფეხი ჰქონდა, ხუჭუჭა თმა მოუვლელობისაგან ალაგ-ალაგ ქეჩასავით გახდომოდა. წვრილი, ღრმად ჩამჯდარი თვალებიდან ისე სალმობიერად გამოჩერებოდა, თითქოს სცოდნოდეს, ამ გარეგნობით ხაზს რომ უკავაძდა მთელ თავის ცხოვრებას, რომელშიც ედო წი-

---

ლალი გრეგვაძე
ვინ წაგიძღვება ილუმენამდე?

ეროვნული

ლი და არც ედო, მისი არსიდან გამოდიოდა, მაგრამ მაინც მის გარეშე არსებობდა, და რომელსაც ხელნაწერის ბოლოში მიწერილი პროსკრიპტუმივით, ხელოვნურად იყო მიტმასნილი თუ მიმატებული.

არავინ და არაფერი გააჩნდა, ყველაფერი დაეკარგა, რისი დაკარგვაც კი შეიძლებოდა, ისე გასინჯეთ, საკუთარი სახელიც. კაცს სინამდვილეში ჭოლა ერქვა, მაგრამ ახლა მაა გოჭოს ეძახდნენ. არც იცის, ვინ შეარქვა ეს მეტსახელი, ერთი კი უდავოა: ისე მოირგო იგი, ისე შეეთვისა ყოველივეს, რაც ამ ერთ თითქოს ჩვეულებრივ სიტყვაში იყო ნაგულისხმევი, აღარც ახსენდებოდა, ოდესღაც თავისი ნათლობის სახელი რომ ჰქონდა, ჭეშმარიტად ქრისტიანული, ლამაზი.

ხილბოატნეულის მაღაზია მოედნის კუთხეში იყო. მისი შემტვერილი ვიტრინებიდან გააცქეროდა ხოლმე მთელ მოედანს, სადაც წრეზე მობრუნებულ ტროლეიბუსთა ჰაერში გახინდრული შტანგები მალიმალ ყრიდნენ ნაპერწკლებს. ასცქეროდა ადამიანთა წყვეტილ ნაკადებს გადასასვლელებზე და იმასაც, გვიანი სთვლობის ცივი ქარი როგორ ებრძოდა, ფოთოლ-ფოთოლ ეარცვავდა ბუმბერაზ ჭადრებს, რომელთა თავზეც ირაო მტრედები ჰკრავდნენ კამარას. ფოთოლცვენის ოლივაშესამჩნევ ბზრიალა ისეთი სიმსუბუქე, ისეთი სინაზე ჰქონდა, როგორც ედგარ დეგას პუანტებზე საცეკვაოდ შემზადებულ ქალებს. მაგრამ გოჭოსათვის ყველაფერი ეს კარგა ხანია მხოლოდ მკვდარ დეკორაციად ქცეულიყო იმ უსაშველოდ გრძელ დრამაში, ცხოვრება რომ ერქვა და მაყურებელი კი როლებს უკრავდა ტაშს და არა მსახიობებს. წარმოდგენაც არ ჰქონდა, თვითონ მონაწილე უფრო ეთქმოდა დრამის თუ მაყურებელი, ერთი კია, ამ მოედანზე იგი ხშირად დაღერღეტობდა გამვლელთა შორის, მეტადრე მაშინ, როცა საქმეებს მოისტუმრებდა. და მაღაზიის დირექტორისაგან სულ კაკალ-კაკალ დათვლილ, თეთრ ქაღალდში გამოკრულ მიხაკადარიჩინს სთავაზობდა გამვლელებს.

კაცის ფიზიონომია სრულიად უცნობთა სახეზეც ღიმილს იწვევდა, მით უმეტეს, თუ ორიოდ კათხა ლუდი, ზედაც ასი გრამი არაყი ჰქონდა გადახუხული. განა ერჩოდა ვინმეს, ზოგჯერ ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა, ენას აღარ აჩერებდა, რას არ როშავდა მაშინ, რა აღარ ახსენდებოდა. ოხ, როგორი საბრალო, თანაც რარიგ მეამბოხე ხდებოდა. სწორედ ადამიანურ სისუსტეთა ეს ერთდროულად გამოვლენილი პარადოქსები იყო, რის გამოც ღიმილს ვერ იკავებდა მისი ყარაჩი ცხვირ-პირის შემხედვარე. თუმცა ღიმილიც ხომ ათასგვარია.

დღესაც ვიღაცებმა ჩააცეცხლეს. დალიე გოჭო, რამდენიც გაგეხარდება, დალიე, — ეუბნებოდნენ ფანჯრებდაორთქლილ ვიწრო ლუდხანაში მაგიდის კუთხესთან მჯდომს. ისიც თავდაუზოგავად სვამდა, სანამ ყვინთვა და სლოკინი არ დაეწყო. მერე ჩათვლიმა, მაგიდაზე ჩაჰკიდა თავი. ასევე მიატოვეს, ოღონდ ოფიციანტი გააფრთხილეს, ცოდვაა, ნუ გაგდებთ, ცოტას წაუძინებს და თვითონ წავაო.

წავიდა. აბა იქ ხომ არ დარჩებოდა, სახლში წავიდა. გაჩახჩახებულ მეტროს სადგურში შესულა ჯერაც არ გამონელებოდა სიმთვრალე. მჩვარივით ქცეოდა მთელი სხეული, თავი უბჟუოდა, აცაბაცა მიუდიოდა თვალები.

ვაგონი ნახევრად ცარიელი იყო, მაგრამ გოჭო არ დამჯდარა, ფეხებს აბოწიწკებდა აქეთ-იქით, ცოტას გაივლიდა გვიან მგზავრებს შორის, ადგილს მოინაცვლებდა, დააცქერდებოდა ვინმეს. მთლად მექანიკური იყო ეს მზერა, უაზრო, ცარიელი. განა მართლა აინტერესებდა ვინმე, განა მართლა ვინმეს ხედავდა მისი თვალი: რალაცას დაჟინებით ფიქრობდა თავისთვის და დროდადრო მოშლილი პატეფონივით ერთი და იმავე აჩემებულ ფრაზას იმეორებდა მწყრალად: შენ თუ დაიბადე, მეც ხომ დავიბადე, ვაა, მე არ დავიბადე? ზოგს ეცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდა მის სიტყვებზე. ზოგს გული უკვდებოდა, ისეთებიც იყვნენ, შიშის გრძნობა რომ ეუფლებოდათ. სასაცილოა. გოჭოსი ეშინოდათ, შინ მიმავალი გოჭოსი. ვიღაც ჭაბუკმა გულიანად ჩაიქირქილა კარში გასვლისას და გამხიარულებულმა თანმხლებ ამხანაგს ასე უთხრა: ჩაჩაჩულ წინდას არ უგავს სიფათი?!

აი ბოლო გაჩერებაც. ვაგონიდან გამომავალ ხალხს წინ გამოუსწრო გოჭომ, და როგორც ჩვეულებრივ ხდება საზოგადოებაში განსხვავებული ტიპით დაინტერესება, ახლაც მგზავრთა ყურადღება თან გამოჰყვა მას. მეტროს ორმხრივი ამოსასვლელი ჰქონდა, მაგრამ არც ერთისკენ არ წასულა გოჭო, იქვე იდგა ბაქანზე, მარმარილოს მასიურ სვეტთან, მატარებლის მისასწრებად აჩქარებული ჯარისკაცის წინ. მგზავრებმა დაინახეს ჯარისკაცმა უდიერად რომ აუქნია მას ხელი და აჰა, შემოეჯარნენ კიდეც.

— გამომართვი. — ეუბნებოდა გოჭო. — გამომართვი რა. — მუჭში ჩაბღუჯულ ქაღალდის ფულს სჩრიდა ტანზე კოხტად მომდგარ ფარაჯის ჯიბეში.

— მოუსვი აქედან. — თქვა ჯარისკაცმა. იგი თითქოს იდიოტს, შანტაჟისტს ან ნევრასთენიით დაავადებულს ტუქსავდა.

ძალზე ახალგაზრდა ჩანდა ჯარისკაცი, ამაყი, თავმოყვარე. სულ სხვა ენაზე ლაპარაკობდა (რა გასაკვირია, გოჭო ხომ იმ საოცრად მცირერიცხოვანი ხალხის შვილი იყო, ვის ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცს იშვიათად შეხვდები ამ უზარმაზარ ქვეყანაში), მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, შესანიშნავად უგებდნენ ერთმანეთს. გოჭო მოკლე-მოკლე მარტივ წინადადებებს ხმარობდა.

— გამომართვი რაღა, გესმის ჯარისკაცო?

— მე ეფრეიტორი ვარ. — თქვა ჯარისკაცმა.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. — აჰა, აიღე. — ისევ სჩრიდა ფულს. ეს ის თანხა იყო, მთელი დღის გასამრჯელოდ რომ მისცეს მაღაზიაში. იგი შტატზე კი არ ჰყავდათ გაფორმებული, ასე, დღიურად გადმოუგდებდნენ ხოლმე რაბოჩიცას.

ხალხმა იმატა. მეორე მატარებელიც ჩამოდგა უკვე და რაკი დარწმუნდა, ამასაც ვერ გაჰყვებოდა, უფრო გაღიზიანდა ჯარისკაცი. ინციდენტის მოწმენი კი მაშინვე თანაგრძნობით განეწყვნენ მუდოს გარეგნობის კაცუნასადმი. ჯარისკაცმაც იგრძნო ეს და, ყურადღების ცენტრში მოხვედრილს, ნერვებმა უმტყუნა; რაკიღა სიტყვით ვერა გააწყო, ლაბადის საყელოში ჩააფრინდა კაცუნას, დამხრჩვალ წიწილასავით ასწია მაღლა.

პროტესტის ნიშნად ერთხმად იხუვლა ხალხმა. მეტროს მილიციელმაც არ დააყოვნა, და საქმის ვითარება რომ შეიტყო, გაბრაზდა, მთვრალი რატომ ჩაუშვეს მეტროშიო. მერე სანამ ჯარისკაცი უმწიფარი მამაკაცის ფალცეტით ჯიყჯიყებდა, ხოლო მილიციელი ყველანაირად ცდილობდა მის დამშვიდებას, გოჭო იდგა ხალხში, მწარედ იღიმებოდა და ფიქრობდა: ეხ, ჯარისკაცო, სულ ერთია, ეფრეიტორი ხარ თუ ვინა ხარ, მე შენ მაინც არ გაგარტყამ, არც დედას შეგაგინებ. ჯარისკაცებს გულისფანცქალით ელიან დედები. კარგად იცი ეს და ამით სარგებლობ. ისე მე და ჩემმა მზემ, ერთი გემრიელი შეფურთხების ღირსი ხარ, მაგრამ არც ამას ვიკადრებ. წადი შენი გზით, მშვიდობით გევლოს.

ისევ ჩამოდგა მატარებელი. მილიციელმა ჯარისკაცს სთხოვა, — დაბრძანდით, ამას მე მოვუვლი. — და გოჭოს ხელით ანიშნა, ჩემთან წამოხვალო.

ახლა ხალხი ატყდა, გაუშვი, ნეტა სად მიგყავს, რა დააშავა. მაგრამ მილიციელმა წესრიგისაკენ მოუწოდა მათ: ნუ ღელავთ, მე ვიცი ჩემი მოვალეობა, დაიშალეთ! დაიშალეთ!

არც უცდია წინააღმდეგობის გაწევა, მორჩილად გაჰყვა. მერე შიშის გამო კი არა (იმდენად მართალი იყო თავის თავთან, შიში რა სახსენებელია), ისე, გულისტკივილის გამოსახატავად მოუნდა

ლალი გრიგვაძე

ვინ წაგიძღვება ილუმინამდე?

ეთქვა რაიმე—კაცი არ ვიყო... უნამუსო ვიყო... —ეძებდა შესაფერის სიტყვებს, მაგრამ არც ერთი არ მოეწონა, უფრო უპრიანად ასე თქმა ჩათვალა: ძაღლიშვილი ვიყო, თუ დამნანებოდა, გულით შევაძლიე.

— კარგი ერთი. — თქვა მილიციელმა. — საქმე შემოგლევია.

მილიციელმა იგი მეტროს პირდაპირ მდებარე განყოფილების სამორიგეოში მიიყვანა, და მერე, როცა გოჭოს დანაშაულს ჰყვებოდა, მორიგეები სიცილით იჭაჭებოდნენ.

— საწყენი რა იყო, უფროსო? — ჰკითხა გაოცებულმა გოჭომ ზორბა მილიციელს. — განა თქვენც ჩემს ადგილზე ასევე არ მოიქცეოდით?

— მეე? — იკითხა მილიციელმა.

— დიახ უფროსო, მითუმეტეს, თქვენ გაცილებით სერიოზული კაცი ჩანხართ, ფულიც ჩემზე მეტი გექნებათ.

— მეე? — კვლავ იკითხა ზორბამ. ახლა მეტროს მილიციელს მიუბრუნდა: კოლეგა, აუხსენი მაგ შენს კლიენტს, რომ აქ კითხვა-პასუხის საღამოს მოწყობას არ ვაპირებთ, ან კიდევ იმისას, რა ქვია ერთი რომ ეკითხება, მეორე კი პასუხობს? ჭიჭიკო, შენ გეცოდინება მაგ. ზორბა ოსური აქცენტით ლაპარაკობდა, აკო „შ“-ს ნაცვლად „ს“-ა, ხოლო „ჭ“-ს ნაცვლად „წ“-ს წარმოთქვამდა.

— ინტერვიუ. — თქვა თვალებამოწითლებულმა მეორე მორიგემ. ეტყობოდა კონიუნქტივიტი სჭირდა.

წასვლისას მეტროს მილიციელმა რაღაც გადაუჩურჩულა სამორიგეო თეჯირს მიღმა მჯდარ ზორბას, რომელმაც ხმამაღლა უპასუხა: დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება, არ ვაწყენინებთ.

წამდაუწუმ რეკავდა ტელეფონი. ყურმილს ზორბა იღებდა. გოჭო თავისთვის იჯდა მონჯღრეულ სკამზე და ელოდა, რა განაჩენს გამოუტანდნენ.

ზორბამ უდიერად დააგდო ყურმილი ტელეფონის აპარატზე. — კალეს ცოლი იყო, — თქვა მერე ბუზღუნით, — ისევ იშიასმა შეუტიაო.

კონიუნქტივიტიანმა თავი ... ლა.

— ასე წაბმა არ შეიძლება ძმაო, უკვე მერამდენე მორიგეობას აცდენს. როდემდე შევინახავთ, ერთხელაც გაუგებენ და მოგჭამა ჭირი. იშიასი და მილიცია ერთად ვერ იქნება, ვერა!

მერე გაიკმინდნენ. ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმოდათ. კონიუნქტივიტიანი პატარა მაკრატლით იკვეცავდა ფრჩხილებს, ზორბა კი რაღაც ძველ ქაღალდებს დებდა სახვრეტელაში და მთელი ძალით ურტყამდა მუშტს. დრო გადიოდა... გადიოდა. მაგრამ ნუთუ ამასაც დრო ერქვა და იმასაც, როცა იმერული ყანების უთოხარ კიდეებში, ლობიოს ასატყუებელ ჭიგოს წვერზე შემოაკუპული მესკიის თვალწინ უნაზესი საპოვნელები იკოკრებოდნენ, ან ქალაქურ დაისზე წმინდად შერაცხულ მთის წვერს დაყუდებულ ვეება სატელევიზიო ანძას ნელა, შემპარავად მიუყვებოდა ჩამავალი ნარინჯისფერი მზის სხივნათელი, სანამ წვერამდე მისული ერთბაშად არ გაქრებოდა. მაშინ გრძნობდი, თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ დადის დრო. ეს კი რას ჰგავდა. ამ ორი შეხმატკბილებული მილიციელის შემყურეს, გოჭოს მოეჩვენა, ნამდვილად გაჩერდაო დრო.

მაგრამ როდის-როდის ზორბამ ამოღერღა: სად უნდა წავიდეს ეს საცოდავი, ტრანსპორტი აღარ მოძრაობს. მოდი რა ქენი იცი ჭიჭიკო? გადაიყვანე იქით, მადლია, ახლა ძაღლსაც აღარ გააგდებენ გარეთ. ჩვენც საქმეში ჩაგვეთვლება. არც აუღია თავი, თავისთვის ბურტყუნებდა, ისევ აჩხაკუნებდა სახვრეტელას.

კონიუნქტივიტიანი ზანტად წამოდგა, ძლივს იდგა ფეხზე, საბრალოდ ბლიტავდა დაწირპლულ თვალებს. ალბათ მილიონჯერ ერჩია, აქედანვე გაეშვა „მსხვერპლი“.

ზორბა არ სცდებოდა, მართლა სადღა წამსვლელი იყო ამ დროს, დილამდე შეიფარებდნენ, მერე კი ვიღა დააკავებდა. უხმოდ წაიძურწა კონიუნქტივიტიანის ზურგსუკან. თითქმის ერთი სიმაღლისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი იყვნენ. გოჭო თვალა არ აცილებდა მის სამხრეს, ზედ ერთი ვარსკვლავიც რომ არ ეკერა. „ესეც ჩემსავით გაუბედურებულია“. — გაიფიქრა თანალმობით.

ის იყო კარებში უნდა გასულიყვნენ, რომ ზორბამ დაიძახა: რა გვარია კითხე ერთი, ბარემ ჟურნალშიც გავატარებ.

მაგრამ სანამ შეჩერდნენ, სანამ კონიუნქტივიტიანი ბრიანებას შეაარულებდა, დაუმატა: ჭიჭიკო, ეს ისე ფიქრობს, ნიღლავს დავდებ, არც ემახსოვრება თავისი გვარი.

მაგრამ გოჭომ მაშინვე თქვა: ქართველიშვილი, ქართველიშვილი ვარ.

— კი, — თქვა ზორბამ. — აბა, სხვა ვინ ჩაიდენდა მსგავა სისულელეს. კარგი, კარგი, წადით. მეც ვკითხულობ რაღა. ჩემგან თავიაუფალი ხარ ჩიტო, ოღონდ ეგ იაევ უკან გამომიგზავნე, თუ, რა თქმა უნდა, გზაში არსად დაეძინა. გაიგე, ჭიჭიკო? არ დაგეძინოა-მეთქი!

— ჰო, ჰო, გავიგე. — მორჩილად უპასუხა ჭიჭიკომ. — გავიგე.

გამოსაფხიზლებელში, რომელიც ერთ სართულად ზედ მიწაზე იდგა ყოველგვარი ბელეტაჟის გარეშე და სტუდენტი მდგმურებისათვია მისაქირავებელ ქოხმახს ჰგავდა, ორნი დახვდნენ. ერთი იატაკზევე მიგდებულიყო, მთლად გატიალებული ჩანდა, შარვალში ჩაესველებინა, თავიაივე შარდში ეგდო და ხმამაღლა ხვრინავდა. მეორე კი, თვალებდაჭყეტილი, ქოსა და სიბერემორეული მჭლე კაცი აკამფიცარზე წამოსკუპულიყო ოთახის ყრუ კედელთან. მთლად არ გამონელებოდა სიმთვრალე, მაგრამ ეტყობოდა, უძილობა სჭირდა. გოჭოს დანახვაზე ოდნავ გაიღიმა, თანაგრძნობით, პროფესიული სოლიდარობით.

ოთახი შარდის სუნად ყარდა. სიმყრალე ვერ გააოცებდა ხილბოსტნეულის მაღაზიის დამხმარე მუშას. ვინ იცის, ზურგით რამდენი ტომარა დამპალი კომბოსტო და კარტოფილი უთრევია. აქოთებული, ნამისდღემჩარი მწვანილი თუ ათასგვარი ნაგავი. მაგრამ შარდის სიმყრალე სულ სხვა იყო, აუტანელი, მახრჩობელა, საზიზღარი.

— გაგქაჩეა? — ჰკითხა მჭლე კაცმა გოჭოს, როცა მილიციელი გავიდა და უხმაუროდ მოიხურა კარი. თანაც დაუმატა: ნახე? აღარ ჩაგვკეტა. აი ჭკვიანი, იცის არსად წამსვლელები რომ არა ვართ. რატომ არ დაჯდები მეგობარო, დასალევი არაფერი გვაქვა, მაგრამ დილამდე როგორმე უნდა გავძლოთ.

გოჭო მივიდა, გვერდით მიუჯდა.

— მე კირიონი მქვია. — თქვა დამხვდურმა. — თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვა, მთავარია, დილამდე გავძლოთ როგორმე. ექთანმა გნახა?

არაო. — თავი გააქნია გოჭომ.

— ეგ შენს სასარგებლოდ ლაპარაკობს.

და გოჭოს გაუხარდა, კირიონმა სახელი რომ არ ჰკითხა.

— მაინც საინტერესოა, კინწისკვრით მოგათრიეა თუ ხელკავით? — ვერ მოიცვენა კირიონმა.

— არა, თვითონ მოვედი, ჩემი ნებით.

— სულელი ყოფილხარ. არ გეწყინოს ასე რომ გელაპარაკები, სხვაგვარად არ მეხერხება. მოსაწევი არაფერი გაქვს?

გოჭომ შუა-შუა გადამტვრეული სიგარეტები სათითაოდ ამოიღო ჯიბიდან. ასანთი კირიონს აღმოაჩნდა.

— მე კი ერთი ჭკუადამთხვეულის გულისთვის გავები. — ამოიბოღმა პირველსავე გაბოლებაზე. აბა რა ჩემისთანების ადგილია აქ. კაცო, მე არც დემოსთენე ვარ, არც ციცერონი, მაგრამ როცა საჭიროა, ვლაპარაკობ.

დღეა კირიონი ეკლესიის ჭიშკართან ნაშოვნი მოწყალებია ფულით გვარიანად გამოიბრუჟა კაფეში, სადაც ფანჯრებზე ფარდების ნაცვლად ბრტყელ-ბრტყელი სერვანტინები დაეკონწიალებინათ. ღვინოც გაუთავდა. მაგრამ მაშინვე არ წასულა, გაჭიმული იჯდა ბიუსტივით.

ლალი გრეგვაძე

ვინ ფაბიძლვება ილუმენამდე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა კაცი, მის მაგიდას რომ მიუჯდა, ინტელიგენტს ჰგავდა, კოხტად ეცვა, ახლადწვერგაპარსულმა საპარიკმახეროს სუნი მოიტანა, რამაც კირიონს იაე შეუღიტინა ცხვირში, უცებ ისეთ გუნებაზე განაწყო, უკვე მივიწყებულ ქალს რომ შეხვდები, არადა როგორ გიყვარდა ერთ დროს, მაგრამ ხელი გკრა, სხვასთან გაიქცა, თანაც ეს უტვინობით დაემართა, თორემ განა შენთან უფრო ბედნიერად არ გალევდა წუთისოფელს? მოსულს მთლად ცვილისფერი ედო სახეზე, უგუნებოდ ჩანდა. ლუკმა არ ჩაუდევს პირში, ღვინო დაასხა, კირიონისათვის რიგიანად არც შეუხედავს, მასაც შეუვსო ჭიქა. უსიტყვოდ დალიეს. კაცმა კვლავ შეავსო ჭიქები, მერე ჭამას შეუდგა, მაგრამ ნაძალადევად, მოვალეობისათვის უფრო ჭამდა, ვიდრე შიმშილის მოსაკლავად. ჩუმად ისხდნენ. ახალგაზრდა კაცი ფანჯრის სერპანტინებს მიშტერებოდა, თითქოს მის მიღმა ჩაბნელებულ ქუჩაზე კი არა, უფრო იქით, ბინდდარეულ სივრცეში ცდილობდა გაეღწია მზერა, სივრცეში, რომელსაც სამგზავრო მატარებლის გაბმული შემადგენლობა შუქჩამდგარი ვაგონებით აღვივებდა, აზიარებდა სიცოცხლეს. შორეული ნათელი ძალაუნებურად იტაცებდა თვალა, და კაციც თითქოს იმ შორეთში გადასახლდა წუთიერად. მაგრამ ჩაილია ბოლო ვაგონიც, კაცმა ისევ მოსწყვიტა თვალი ფანჯარას, კვლავ გამოექცა ფიქრს და მაშინვე ცხადლივ დაბრუნდა რეალობა, ისე ცხადლივ, როგორც ავანსცენაზე მდგარი მსახიობის შიშვლად გამოწვდილი ხელი, რომელზეც ძარღვების დათვლაც შეიძლება.

ისევ დაასხა ღვინო, მაგრამ კირიონს ხელი აღარ უხლია ჭიქისათვის. გაწა არ უნდოდა, მაგრამ შეიკავა თავი.

— არ ვარგა მასე. — თქვა მერე. — ეგ აზრები სასწრაფოდ უნდა გამოიბერტყოთ თავიდან.

— რა აზრები? — გაიკვირვა ახალგაზრდა კაცმა.

— ჩემო ძმაო და შვილო, გგონიათ დიდ საიდუმლოს ფლობთ? სულაც არა. ისეთი განა რა უნდა იფიქროთ და განიზრახოთ, რაც სხვას ერთხელ მაინც არ გაევლოს გუნებაში. ჩვენ, ადამიანები, ერთი მოდგმისანი ვართ, რითაც არ უნდა იტანჯებოდეს კაცი, ტკივილის განცდა ერთნაირია. ტკივილი კაცობრიობის პირველი მტერია, ხოდა, სწორედ მისი მორევა გმართებთ. არ გაკვირდეთ, ანდა არ იფიქროთ, პირველივე შემხვედრს ასე ველაპარაკებოდე. რა მენაღვლება, ვინ რას განიცდის და რას აპირებს. როცა თავის თავს იმეტებს კაცი, ნებით ეთხოვება ამ ცხოვრებას, მე რა მეკითხება, თუ საკუთარი ჭკუა დღედაღამ ჩასჩიჩინებს — ოღონდ აქაურობას მოსცილდი და შენი საქმე საათივით აეწყობაო, მაშინ მე ვიღასი ტაკიმასხარა ვარ?

კაცი მიშტერებოდა კირიონის ორ, მოძრავ წერტილივით მიმჯდარ ჩხაკა თვალს. აოცებდა მისი აზრები, ძველისძველ, გაქუცულ პალტოში გახვეული ბეჩავის ღირსეული, დაჯერებული ტონი.

— ყოველთვის უნდა აკეთო რაღაც, თუნდაც უსარგებლო, — განაგრძობდა კირიონი, — მაგრამ მთავარია, აკეთო. იქნებ გგონია, თუ სხვის ცხოვრებაში ჩაიხედავ და დაინახავ იმას, რის დანახვასაც გიკრძალავენ, რასაც შენ საქმედ არ თვლიან, ხოლო შენ მაინც შენსას არ დაიშლი, კეთებაში არ ჩაგეთვლება? ვინ მოგახსენათ? ასე ფიქრი ალბათ იმ ვაჟბატონებს ეპატიებათ, ვერის დაღმართზე გაპრიალებული მანქანებით რომ დასრიალებენ და ყოველ კაბიანს კანჭებზე აკვირდებიან, აბა, შეიძლება ამას გავუჩერო მანქანა თუ არაო. ვიცნობ მე მაგ დახვეწილ არამზადებს, მორალს იმ პიჯაკივით რომ ექცევიან, რომელსაც მხოლოდ წვეულებებზე იცვამენ, რაც შეეხება ზნეობას, მასზე საერთოდ ამბობენ უარს. ყველა საქმიანობს, ტრაბახობს, აშენებს, იგონებს, მიფრინავს მაღლა-მაღლა, წერს წიგნებს, მაგრამ კაციშვილმა არ იცის, რა გაწუხებთ და რას განიცდით ახლა თქვენ, კაციშვილმა, ჩემს გარდა. ამიტომ მოვალე ვარ, არ დავხუჭო თვალი, არა, მე არ მოგცემთ ამის უფლებას, არ მოგცემთ-მეთქი. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირიონმა ჩონჩხადქცეული მუშტი მთელი ღონით დაცხო მაგიდას. სავსე ჭიქა შეხტა და შავი ღვინის შხეფები პალტოს ბოლომოცრეცილ სახელოზე დაესხურა. მერე იყევ დაიმშვიდა ხმა, მოლბა: დარდი ნუ გაქვთ, განა ვინმეს ვეტყვი, თქვე კაი ადამიანო, განა პირველად ვხედავ თქვენს მსგავსს, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს, რომ ჩემი მოვალეობა დამავიწყდეს. აი რა არის მთავარი. კაცი როცა თავის ვალს იხდიდა, სინდისი მშვიდად აქვა. აბა მეტი რაა ჩვენი ცხოვრება. — თქვა და ლაქლაქით გამშრალი ყელი სულმოუთქმელად ჩაიწმინდა ღვინით.

— იმას ვამბობდი, — თავისაა არ იშლიდა მაინც, — თუ ყველამ თქვენსავით იმსჯელა, კაცის ჯილაგი გაწყდება ქვეყნიერებაზე. მერედა, გეკითხებით, კარგი იქნება? მითხარით, კარგი იქნება? კი მაგრამ, ვის უნდა დარჩეს დედამიწა? გიფიქრიათ ამაზე? არ გიფიქრიათ, ხომ ვხედავ რომ არ გიფიქრიათ. მე კი გაიძულებთ. არ დავუშვებ, რომ თქვენი გაიტანოთ, არაადგზით არ დავუშვებ. გასაგებია? თუმცა გულახდილად რომ გითხრათ, ბედი გქონიათ, მოდი და არ შეგხვედროდით, მერე? ვინ იცის, როგორ წაგივიდოდათ საქმე, მაგრამ აწი ნურაფრის გეშინიათ. მე ხელს შევუშლი მაგ განზრახვის აღსრულებას. დღეის იქით მორჩა, დაემშვიდობეთ თქვენა ოფოფებს, გახსოვდეთ, კირიონი უფლებას არ მოგცემთ, გახსოვდეთ!

ახალგაზრდა კაცმა ორაზროვნად ჩაიღიმა.

—არაფერი მესმის. — თქვა მერე.

— თავს ნუ იკატუნებთ. — უფლებაალზევებული ადამიანის ტონი მიიღო კირიონმა. — მშვენივრად იცით, რაზეცაა ლაპარაკი.

— რაზე, თქვი გარკვევით.

— იმაზე, რომ თვითმკვლელობა გაქვთ გადაწყვეტილი.

— ღმერთო დიდებულო! — გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა. — ან გიჟია, ან ნათელმხილველი. — ისევ სმენად იქცა.

კირიონმა კი თავი დახარა, ამოიოხრა და თქვა: — უთუოდ სიგიჟეს დამწყებებთ, ვიცი, მე ყველას გიცნობთ. მაგრამ მთელი ჩემი ბედნიერება ისაა, რომ პატიება შემიძლია. თქვენც გპატიობთ, არაფერია აქ საკვირველი, ბედი გწყალობთ, ეაა და ეს, რა ბევრი იწილო-ბიწილო უნდა ამას. ყისმათი ადამიანს თვალებში უდგას, ანდა შუბლზე აწერია. საკმარისია, კითხვა იცოდე, მორჩა და გათავდა.

— უნდა წავიდე. — თქვა ახალგაზრდა კაცმა. — საიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, ახლა კი უნდა წავიდე.

— ეგრეც ვიცოდი. ხედავთ? ორიოდ მართალი სიტყვა გითხარით და უკვე გარბიხართ, დამფრთხალი კურდღელივით გარბიხართ. არ გჯერათ, თანაც გიჭად მთვლით. ან იქნებ გერცხვინებათ ჩემთან ჯდომა, თავმოყვარეობა შეგებღალათ. პატიოსანი კაცი ჩანხართ, ამიტომ არ მოგერიდებით, პირდაპირ მოგახსენებთ: პრეზიდენტი და პრეზერვატივი ლექსიკონში გვერდიგვერდ არიან. საკაცილოა არა? სწორედ იმას ჰგავა, სად ერეკლეო... მაგრამ რა მოხდა, განა რა შავდება ამით? აბა დაფიქრდით, სწორს არ ვამბობ? ისე კი, სხვათა შორის რომ იცოდეთ, მე ერთ დროს ფაგოტზე ვუკრავდი და ოდნავი ჭაუა რომ მეხმარა, ახლა პრიალა პენსნე უნდა მეკეთოს. თუმცა არაფერია, რადაც გინდათ ჩამთვალეთ, ოღონდ ჩემი რომ არ გჯერათ, ამით თქვენა თავს მტრობთ. ყველაფერი გეპატიებათ, რწმენის დაკარგვა კი არა. მეც რაღა ბევრი გავაჭრელე, ისიც ხომ ვიცი, მაინცდამაინც არ გინდათ წასვლა, სიტყვით ამბობთ მხოლოდ, თორემ განა შეგიძლიათ ცარიელ მაგიდაათან ნახევარ ჭიქა ღვინოს შემატოვოთ და წახვიდეთ? რაააკვირველია, ამაა არ ჩაიდენთ, მაგის კაცი არ ჩანხართ, მაგრამ მაინც ამბობთ, უნდა წავიდეო. აეეა მუდამ, ადამიანი იმას იჩემებს, რაც სრულებით არ ეპიტნავება. მაგრამ არა უშავს. ყველაფერი კარგად მესმის, განა გულში იმას არ ფიქრობთ, ამ კეთილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცთან კიდევ დავლევ ღვინოსო, და ანგარიშობთ, რამდენი დაგრჩათ ჯიბეში ფული. მოტანაზე არ შეგაწუხებთ, მე თვითონ...

ახალგაზრდა კაცმა მართლაც დადო ფული მაგიდაზე.

— ახლავე, ახლავე გეახლებით. — სხაპასხუპით თქვა კირიონმა, ფულს ხელი წამოავლო და დახლისაკენ გასწია.

სანამ დაბრუნდებოდა, ახალგაზრდა კაცმა აშკარად იგრძნო, არ უნდოდა მასთან განშორება.

— აჰა, ახლა აღარაფერი გვიჭირს. — სიამოვნებით მოახარა კირიონმა, ორი ბოთლი ღვინო შემოდგა მაგიდაზე.

— თუ ერთი მაინც ვინმე დაგრჩათ გულშემატკივარი, გადარჩებით. — თქვა მერე. მე მაგან დამღუპა, რადგან იმ დღიდან, როცა ყველასადმი დავკარგე რწმენა და უმეგობროდ აღმოვჩნდი, კაპიკად იქცა ჩემი ცხოვრება.

მოხუცს თვალები დაუსველდიანდა, მსმენელი სჭირდებოდა ბეჩავს, ჰაერზე და წყალზე მეტად, ყველაფერზე მეტად, ისეთი მსმენელი, რომელიც კონკებში გამოხვეულს კაცად შერაცხდა, ყურად იღებდა მის აზრს, თუნდაც მცირე ხნით ისევ აზიარებდა ადამიანურ სრულფასოვნებას.

— საკუთარი თავი უნდა იპოვო. — თქვა კირიონმა. — მაშინ მეგობარიც რომ არ გყავდეს, სიკვდილზე მაინც აღარ იფიქრებ კაცი.

— მართალი ხარ მოხუცო, მაგრამ განა ეგ ადვილია?

— არაა ადვილი. — დაჟერებულად თქვა კირიონმა. — მე იცით როდის მივაგენი ჩემს თავს? როცა იმდენი შეცდომა დავუშვი, გამოსწორებაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. მახსოვს რამდენჯერმე ვიტირე, ყოველი ტირილი საკუთარი თავის გამოგლოვება იყო. გვიან მივხვდი, ახალსა და კარგს არაფერს აღარ უნდა დავლოდებოდი. ამ დროს მოსალოდნელი იყო, თვითმკვლელობით დამესრულებინა ყველაფერი. მაგრამ უეცრად აღმოვაჩინე, რომ ის, რაც დავკარგე, სიცოცხლეზე ნაკლებად მიღირდა, მაშასადამე, ჩემში ცხოველური საწყისები სჭარბობდა. მივხვდი ამას, და რაკი მივხვდი, გაიოლდა ყოფა. მერე კი იცით რა ვქენი? მათხოვრობა დავიწყე. გგონიათ იოლია? ერთ ამბავს გეტყვით, სადღაც ამომიკითხავს: ოდესღაც ლამაზმა ქალმა თვითმკვლელობის წინ სარკე მოითხოვა და შიგ ჩაიხედა. ძერე კი არც დაფიქრებულა, ისე მოიკლა თავი.

„მადამ ბოვარის ისტორიას მიყვება. — გაიფიქრა ახალგაზრდა კაცმა.

— საქმე იმაშია, რომ ქალი სიცოცხლის არსს საკუთარ სილამაზეში ხედავდა, და რაკიღა სილამაზე დაკარგა, სიცოცხლეზეც უმფოთველად თქვა უარი. ეს კი ნიშნავს, რომ მან თავისი თავი იპოვა. ამის შემდეგ სიკვდილიც უფრო ადვილია და სიცოცხლეც. ეს გირჩიეთ, მეტი კი არაფერი.

— იცი რა, მოხუცო? საკმარისია კიდევ ერთხელ გნახო, და მაშინ უთუოდ მოვიკლავ თავს. — სრულიად სერიოზულად თქვა ახალგაზრდა კაცმა.

კირიონს კრინტი აღარ დაუძრავს, უჩუმრად ადგა. ფეხი ერეოდა, ბანცალ-ბანცალით მიემართებოდა კარისაკენ. ზღურბლთან მისული შემობრუნდა, მთელი ხმით იყვირა: მთავარია შენს თავს მიაგნო! იფიქრეთ, იფიქრეთ ამაზე! ხელრიალით არ დაემთავრებინა ფრაზა, რომ წაბორძიკდა, მთელი ძალით მიეხეთქა კარის მინას და ზრიალით ჩამოტეხა ძირს.

მაშინვე დაბარებულივით გაჩნდა ქუჩის მილიციელიც, კაფეს მოსამსახურენი ზარალის აანაზღაურებას ითხოვდნენ, ლანძღავდნენ, ჭოჭოლას აყრიდნენ მოხუცს. ნელოლად მისი თანამესუფრის შეთავაზებულ წინადადებაზე დამშვიდნენ. — გაუშვით, — თქვა მან, — მე გიზღავთ ზარალს. მაგრამ მილიციელმა იმ პირობით, რომ სახლამდე მივაცილებო, თან გაიყოლია კირიონი.

უნებურად მომეჭცა. — უთხრა გოჭოს გულდაწყვეტილმა კირიონმა. — მეგონა მართლა სახლამდე მიმაცილებდა, გზაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინმეს რომ არ გავენაწყენებინე, მან კი აი რა გამიკეთა. მთელი გზა ჩამჩიჩინებდა, რად გასკდიო. ვერაფერიც ვერ ვუთხარი. რა აზრი ჰქონდა, მაინც არ დამიჯერებდა. ჩვენ ახლა ერთ ბედში ვართ, ხელშეშლილი კაცი ჩანხარ, ამიტომ ვიცი დამიჯერებ. მაგრამ შენც მითხარი რა გიჭირს. მიამბე რამე, დარდი შეგიმსუბუქდება.

— რა დარდი. — თქვა გოჭომ. — მე რა დარდი უნდა მქონდეს.

— არ მჯერა მაგ ბაიათის. ცოცხალ ადამიანს ყოველთვის ადარდებს რაღაც. ბა მე განა სათრობად ვეტანები სასმელს, ხატების შესანდობარა ვსვამ. იცი, რა საბრალოდ გარდაიცვალნენ ხატები?

არა, არ იცის. მას უნახავს სცენაზე ატირებული მეფეები, საქართველოს უპირველესი მხატვარი, უნახავს ორფერი მდინარე, და ისიც, თუ ქარში როგორ ცეკვავენ ტარანტელას გვირილებით გადაპენტილი, დრაპირებული კორდები; და ნამდვილი წამებაც განუცდია: ვარსკვლავებით მორთული ღამე, ჭრიჭინობელების მოუღლელი ხმები, ეზოს სიბნელეში ძეძვის ღობეებთან გაციალებული ციცინათელები, მოღიავებულ ფანჯრებში შემოფრენილნი უკვე საზიზღარ, შავ-შავ მწერებად რომ იქცეოდნენ, ტკიპებივით ეკვროდნენ ჭერს, კედლებს, გადაწეული ფარდის ბახრამებს; მას კი სული სძვრებოდა იმის შიშით, დედის თავთან ამოკუზულ სუდარაზე არ დამსხდარიყვნენ... და ვარსკვლავებიც... ვარსკვლავები... ხატების გარდაცვალება კი არც უნახავს და არც წარმოედგინა.

— ეეხ, ხელგაწვდილი ვთხოულობ ამიტომ სამოწყალოს, მერე იმ ფულით შესანდობარს ვსვამ, რადგან ვიცი, გარდაცვლილთ ვეღარაფერი გააცოცხლებს. შენც გეყოლება ვინმე, ცოცხალი ან მიცვალებული, ვისი შესანდობარიც აუცილებლად უნდა დალიო. დაკარგული ბედნიერების შესანდობარი.

— ბედნიერების... — ირონიულად გაიმეორა გოჭომ.

— მასე არ ვარგა. — თქვა კირიონმა. — ვერ დამჯერებ, ყოველთვის უბედური ყოფილიყავი, ბედნიერებას ერთხელ მაინც არ ჩაევლო შენს სიახლოვეს.

მართალს ამბობდა კირიონი, მათხოვრის კონკილაში გამოხვეული მჭერმეტყველი.

— რა დღეა დღეს? — იკითხა გოჭომ, ვითომ ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონოდეს.

ოღონდ საუბრის თემა შეცვლილიყო, ოღონდ კირიონის შეკითხვებისათვის თავი აერიდებინა. მისთვის „დღეს“ აღარ არსებობდა, სადღაც სივრცეში ეკიდა, რადგან წარსული წავიდა, მომავალი კი არ გათენებულა. ისინი დროთა შესაყარზე იყვნენ, გარკვეული პასუხი არ არსებობდა, მაგრამ კირიონმა სიტყვაში „დღეა“ მაინც უკვე ჩავლილი და განცდილი დრო იგულისხმა. — ხუთშაბათია. — უპასუხა.

— ხოო? — თქვა გოჭომ.

— კი. დღეს სასადილოებში თევზის მეტი არაფერი ჰქონდათ. — ეს უკვე ნაღდი პასუხი იყო.

— ღვთიური დღეა ხუთშაბათი, წმინდა დღე. — თქვა ისევ კირიონმა.

გოჭოსათვის გაუგებარი იყო, რას გულისხმობდა იგი „წმინდაში“ და საერთოდაც უცხო იყო ეს სიტყვა მისთვის, მაგრამ როდიდან? იქნებ იმ დღიდან, როცა ჯერ ისევ სკოლის მოსწავლეს პირველად გაუჩნდა პიჯაკის ყიდვის სურვილი. მაგრამ მამინაცვალმა უბრალოდ და მარტივად განუმარტა ყოველივე: შენ ხომ ჯერ არ მუშაობ, არაფერი შემოგაქვს ოჯახში. ბავშვისთვის ამის თქმა იკმარა, მოულოდნელობისაგან გამშრალი ცოლი კი დაამშვიდა: სულ მალე გაიზრდება, თვითონ მიხედავს თავს.

მაშინ? ვითომ მაშინ გაიუცხოვა სიტყვა „წმინდა“, თუ ცოტა მოგვიანებით, როცა მარგანეცის ქალაქში ჩატარებული გასტროლებიდან დაბრუნებულმა პირველი ხელფასი მიუტანა დედას და სთხოვა: დედიკო, ამით მამას პიჯაკი ვუყიდოთ.

ლალი გრიგვაძე

ვინ ფაგიძლვეგა ილუმენამდე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან მიხვდა, სიკეთის სახელით შურისძიების პირველი მსხვერპლი მისი საყვარელი დედა რომ გახდა. მყუდროება დაირღვა ოჯახში, კინკლაობა გახშირდა ცოლ-ქმარს შორის, კაცი სახლიდან გაიქცა, და დედასაც ამის შემდეგ დიდი დღე ღარ ჰქონია.

და გოჭოსათვის იქიდან მოყოლებული, ყველაზე წმინდა, რაც კი ადამიანს შეიძლება ებადოს, ესაა განშორება.

ხილვები... ხილვები...

თვალსაწიერამდე გაჭიმული პურის ყანები, სირბილეშეპარული, საღამოს სხივისფერი. ის ზის ყანისპირას, აუარებელი ფუტკარი შებზუის გარშემო, ფიჭებიდან ოქროსფერი, ბლანტი სითხე იღვრება. ხელს უხვედრებს ნაკადს, მაგრამ ადამიანის ხელის მტევნები ჭურჭლად ვერ ყოფნის უხვ წყალობას. ძირს იღვრება თაფლი და მიწაზე გუბედ დგება. მსწრაფლ წაუწვება გუბეს, ეწაფება. ვიღაც ეტანება მაშინ საყელოში. ისიც სწევს თავს და ხედავს ორ ხელს, ისისაა რომ მოშორდა მის პერანგს. ქალის თეთრი ხელებია ეს, ნაზი ხელები, ადამიანის სხეულის გარეშე დარჩენილი, შემზარავი, თითქოს მიწიდან ამოზრდილიყვნენ. მერე ხელები ვეება ზანდუკს უდებს ცხვირწინ, და ქალის ხმაც გაისმის: იამინე, მე ვკვდები. ვკვდები და შენ უნდა მიპატრონო.

ვერც გონა მოავლა მოასწრო, ვერც პაუხი, ისე გაქრნენ ხელები. იგი დაეცქერდა ზანდუკს, მაშინვე მიხვდა, თავსამტვრევი საქმე დააკისრეს. მერე რა, ყურად არ იღებს დავალებას. ისევ მიუბრუნდა გუბეს. მაგრამ მოულოდნელობისაგან გაბეცდა. მიწა ხარბად ისრუტავდა თაფლს და თვალის დახამხამებაში უკანასკნელი ნარჩენიც ჩაშრიტა. ღარ მოედინებოდა ღვთიური ნაკადი, ფუტკრებიც შორს გაფრენილიყვნენ.

წამოდგა, მტკიცედ გადაწყვიტა, ყური არ ეგდო მოჩვენებისათვის, ზანდუკი იქვე მიატოვა და პურის ყანებისაკენ გაშლიგინდა, |გარბის მწიფე ყანაში, ლაწუნით მიარღვევს წელამდე ამოყელყელავებულ თავთავთა ჯარს, მაგრამ ღარ ემორჩილება ფეხები, სურს იყვიროს, მაგრამ ღარ აქვს ხმა. როგორ ჭირდება ახლა ყველაფერი ის, რაც არა აქვს. და იგი პირქვე ვარდება მწიფე პურის ყანაში. მაშინვე ხდება სასწაულიც: ისევ ის ზანდუკი უდგას ცხვირწინ. ახლა უკვე ვეღარ დაიძვრენს თავს, ისიც იცის, რაც ავალია.

— შობელძაღლი! — ცრის ბრაზით. — რაღა მე, რაღა მაინც და მაინც მე!

— მაშინ, მიმიყვანე იღუმენამდე. — იხვეწება ქალის ხმა.

— რას ბრძანებ. — ბუზღუნებს იგი. დაცინვით აპურჭყუებს, რადგან მშვენივრად იცის, კარგა ხანია, რაც იღუმენი გარდაიცვალა, მონასტრის გადახჩუებულმა მონაზვნებმაც ქვეყნის ჭირი წაიღეს, თითო-ოროლაღა თუ დაბოგინებს კიდევ, რათა მრევლდაფანტული მღვდლის საამებლად წმინდა საყუდარის სახელი შეუნარჩუნონ მონასტერს. მათაც, როგორც ხმები დადის, თურმე გაჭირვებით გააქვთ თავი, ძლივა უდგათ სული. „ეს კი, ეს უბედური, მათგან მოელის დახმარებას“.

იღებს მძიმე ზანდუკს. ეჭვიც ღარ ეპარება, რომ ფხიანი თავთავებით ჩაზღვავებულ ყანაში უცნობი ქალის ცხედარი მიაქვს.

— მაინც ვინა ხარ? — კითხულობს.

— ადამიანი.

— რომელი ადამიანი?!

აი, მიწას თხრის უკვე. ჯერ ჯოხით, მერე თითებით, რადგან აქ ნიჩბია შოვნის იმედი არაა. მაგრამ გაუჭირდა. რაიმე სხვა უნდა იღონოს. გზაზე გამოვიდა, ეგებ მგზავრი ვინმე შეეგულვებინა, დახმარება ეთხოვა. არც ის დავიწყებია. საფლავში აუცილებლად რაღაცის ჩაყოლება რომაა საჭირო. რახან აქამდე მივიდა საქმე, ვეღარ უღალატებს რჯულს. მაგრამ რა უნდა ჩაეტანებინა ცხედრისათვის? გზისპირას მაყვლის ბუჩქებისა და ეკალას ბარდებს გარდა არაფერი იყო. და მან უმწიფარი მაყვლით აჩურჩხლული კინწალი შეაწყვიტა ბუჩქს.

მაგრამ მალე ყველაფერი აირია. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქის ვიწრო ქუჩაზე აღმოჩნდა. საპარიკმახეროს კარში თავგამოყოფილმა დიდულვაშა დალაქმა ძმაკაცურად გაუღიმა, ხელიც დაუქნია. ისიც შევიდა, ბზრიალა სკამზე მოკალათდა. სიამით ჩასცქეროდა დიდ სარკეში დალაქის ფუნჩულა ხელში მომარჯვებულ სამართებელს. მერე ბავშვივით შეციცინებდა მბრუნავ კარუსელს. მერე აპურებდა სკვერის გუბურებში ლამაზად მოსრიალე გედებს, ნახინკალს ფშვნიდა, მარცვალ-მარცვალ ისროდა წყალში. მაგრამ არ აცალეს. ვიღაცამ ეჭვი გამოთქვა: მოწამლავს გედებს, არიქა! დააკავეთ! ბავშვები შემოერტყნენ გარშემო, ფეხის გადადგმის საშუალება აღარ მისცეს, ერთმა მოზრდილმა ბიჭმა ფერდში უთავაზა მუშტი.

— რას მერჩით.—წაილუღლუღა მან.

— ახლავე ნახავ. — გაჰყვიროდნენ ბავშვები, თან მილიციელს უხმობდნენ.

ამ ღრიანცელში მას მოეყურა ნაცნობი ხმა: მე უკვე მოვკვდი! შენი იმედით მოვკვდი! გაახსენდა, ყველაფერი გაახსენდა, გაუკვირდა, რა უნდოდა აქ, რა ესაქმებოდა ამ ონავრებთან. ისინი კი გაიძახოდნენ: ახლავე დავაჭერინებთ შენს თავს, ახლავე დავაჭერინებთ!

— ნუ იზამთ, ბიძიკო. — შეევედრა იგი. — მე დღეს მიცვალებული უნდა დავმარხო. ოღონდ ნიჩაბი არა მაქვს. მაშოვნინეთ ნიჩაბი.

მიეცათ სიცილის საბაბი. მიქელ-გაბრიელია, მიქელ-გაბრიელი, თავა იგიჟიანებს, — იძახდნენ მოზრდილები, შედარებით პატარები კი ხტუნავდნენ, წივილით აყრუებდნენ იქაურობას: მი-ლი-ცი-ა! მი-ლი-ცი-ა! მოჯარულ ბავშვთა თავებს მიღმა მან დაინახა ძუნძულით მომავალი მილიციელი, დაინახა და მთელი ხმით იყვირა:

— მიშველე! თუ კაცი ხარ, მიშველე! გადამარჩინე!

და გადარჩა.

— ცუდად ხარ? — ჩაჰკითხა კირიონმა. — რა გაყვირებს.

სწრაფად მოფხიზლდა გოჭო, თვალები მოიფშვნიტა და ადგა. აღარ შემრძელია. — თქვა მერე. — კარი ჩემთვის დატოვეს ღია, დანაშაული არაფერი მაქვს, მივდივარ.

— მოიცა.—გაჯავრდა კირიონი,—დილამდე მოიცა, რა იყო, განა პრეფერანსს ვთამაშობთ, წაგების შიში რომ გქონდეს. თუმც რატომ არა, ესეც შეეძლებოდა, ჩვენს მეზობელს ოდნავ ღირსეულად რომ ეჭიროს თავი. ნუ წახვალ, ცოტა წავილაპარაკოთ, თვალზე რული არ მეკარება, თორემ რა გაძლებს ასე ბუსავით. მოიცა, ესეც გაიღვიძებს დილამდე, საღათას ძილი ხომ არ შეეყრებოდა, ვნახავთ რა კაცია. თანაც საინტერესოა, როგორ თენდება ამ ოთახში.

— არა. — თქვა გოჭომ. — არ შემიძლია. — დააშტერდა კირიონს, მეოცნებეო, — გაიფიქრა,—ამიტომ შეიძლება ბედნიერიც კი იყოს.

კირიონს არც ის გამოპარვია, რაღაც მნიშვნელოვანი რომ იფიქრა წასასვლელად გამზადებულმა, და არც ის, ცხოველის სიმშვიდე რომ ედგა მას თვალებში.

— შენც წამოდი. — შესთავაზა მან კირიონს.

— არ ივარგებს, მე დილით ნოტაციები უნდა წამიკითხონ, რახან აქამდე მოვედი, ვალდებული ვარ მოვისმინო, თორემ ჩემს ნახვას რა უნდა, მე შენ გეტყვი, არ ექნებათ საბაბი.

— მაშინ კარგად იყავი. — თქვა გოჭომ და ოთახიდან გავიდა.

ჯერ ისევ ბინდი იყო გარეთ. ნელა გადაიარა ქუჩა და მაღალზე გამართულ ეტაკადას შეუყვა.

ღამე ამცირებს მანძილს, ახლო მოდიან მოგლუვებული მთები, ამოწეულა დაბლა ჩავარდნილი ტაფობიც, სადაც ნებიერად სძინავს ქალაქს. უზარმაზარ, მორუხო-მოთალხო ფერით ნაქარგ გობელენს მოჰგავს დასალიერი. ფანტასტიკური სირბილე გადაჰკვრია ქალაქის განაპირას მორკალულ მთათა დაკუზულ თხემებს, რომელთა ჩაღრმავებებში მქრქალი ლილისფერი ადევს ცის შესა-

ყარს. ... და ვარსკვლავებიც... ვარსკვლავებიც... ჩვენი უმწეობის სიმბოლო. სწორედ მიწისა და ზეცის ფერთა კონტრასტი ქმნის იმ სირბილეს, საიდანაც როგორც დედის საშოდან, იბადება სურვილი აქამდე ვერნაფიქრის, ამოუცნობის წვდომის: ვინ ვარ? მორჩილად აღაპყრობ თვალს მოჭედილ ცისკენ, გეკარგება უნარი ფიქრის, ხოლო ერთადერთი, რისი შეგრძნებაც შეგიძლია, ესაა მოკრძალებული მადლი სამყაროს მარადიულობის წინაშე, რომელიც გაიძულებს გაირინდო ჯადოქმნილივით.

ყველანი, როდისღაც, ადრე თუ გვიან, ვხვდებით, რომ ის წამიერი გარინდება სხვა რა შეიძლება იყოს, თუ არა ჩუმი ლოცვა, ძალუმად რომ იღვენთება ძლიერისა და უდიადესის წინაშე, და კიდევ წინასწარი გლოვა მომავლის ცოდვების გამო, კითხვასთან — ვინ ვარ? ჯერაც რომ არაფერი გააჩნია საერთო, მაგრამ რომლის ძილჩაქცეულ, ბუნდოვან წიაღში უკვე ჩაისახა მრავალმნიშვნელოვანი, ეჭვიანი, მაგრამ აუცილებელი სიტყვა — მონანიება.

არის ისეთი რამ, რისი მონანიებაც არ ძალუძს ადამიანის ვითომდა ყოვლისშემძლე ნებას. მაგრამ თუკი ვინმე მაინც ახერხებს, ცოტაოდენ მაინც იმსუბუქებს სულის კირთს, ასეთებზე ამბობენ, იგი ქუდბედიანი დაიბადაო.

გოჭოს საქმე სულ სხვა იყო. მასში ორი ადამიანის აჩრდილი სახლობდა: ერთის, — რომელსაც უნდა მოენანიებია, მაგრამ რომელიც აღარ არსებობდა, მეორის კი — რომელიც არსებობდა, მაგრამ არ შეეძლო მონანიება. ანკი საერთოდ რა შეეძლო გოჭოს?

მაღაზიაში ყველაზე პირველი სექციონერი მოვიდა. იქვე თხოვლის ჯოხივით დაყუდებული გოჭო რომ დაინახა, დიდკაცურად ჩაიღიმა, გამარჯობა როდი გახსენებია, კარს მიადგა პირდაპირ, რკინის ურდულის ახსნა დაიწყო. სექციონერმა ბრახვანით რომ ჩამოაგდო ურდული, არც მაშინ განძრეულა გოჭო. ოთხ საკეტზე იყო კარი დაკეტილი. საქმეს რომ მორჩა, კვლავ მოიცალა სექციონერმა, მობრუნდა, ისევ ის დიდკაცური ღიმილი ეფინა სახეზე.

— შენ რა, ბლის კენწეროზე გეძინა? — გაეხუმრა თუ მოეფერა.

— არა, — თქვა გოჭომ, — მილიციაში.

— რა ჩაიდინე, შე უბედურო? — იკითხა სექციონერმა და ახარხარდა. გული რომ იჯერა, ახლა ბრძენკაცის ტონით თქვა: დააშავებდი რამეს, დანაშაულისათვის კი ტუჩებს არავინ დაგიკოცნიდა.

კვლავ ბრძენკაცივით დაიქნია თავი და მაღაზიაში შევიდა. არ დალოდებია პასუხს. არც გოჭოს უფიქრია ახსნა-განმარტებების მიცემა. ანკი რა ეთქმოდა, — არაფერი დამიშავებიაო? მერე და ვინ დაუჯერებდა, ცარიელი სიტყვების საკენკს ვინ ჭამს ახლა. მთელი ისტორიის მოსასმენად კი სად ეცალა სექციონერს. აგერ დახლიდან იძახის უკვე: გოჭო, დღეს ფეხი არსად გადგა, საქონელი უნდა მივიღოთ, მთელი მანქანა შენი გადმოსაცლელია. და იგი საწყობისაკენ გამავალი ღია კარის სიმრუმეში მღამიობივით უჩინარდება.

გოჭომ ლაბადის ჯიბეში მოაფათურა ხელი, ის ნაცოდვილარი ფული ამოიღო, გულდაგულ გაასწორა დასრესილი. დღესაც ამდენსავეს მისცემენ. საღამოს ქაშვეთთან ჩაივლის, კირიონს მოინახულებს, იქ იქნება, სად წავა აბა, გამოუშვებენ თუ არა, ისევ მიაკითხავს თავის სამარადღეო ადგილს — ეკლესიის ჭიშკარს, ათასი ჯურის ადამიანი რომ შედის შიგ, რადგან რელიგია ის სამკაულია, რომელსაც მოქალაქეობრიობა ტვირთმძიმობის ჟამს მიიბნევს ხოლმე საგანგებოდ ჩაცმულ საზეიმო თუ სამგლოვიარო ტანისამოსის გულისპირზე. მაგრამ მოწყალებას მხოლოდ ზედმეტად გრძნობაგაფაქიზებულები იძლევიან, ისინი, რომლებსაც მშვენივრად მოეხსენებათ, რად ფასობს ყოველი წვეთი ჩაყლაპული ცრემლი.

და მერე?..

მერე კი ნახავს გოჭო, როგორ ისმება ხატების შესანდობარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

სერვიუსის მონა

ჩვენი მოდგმა უხსოვარი დროიდან სერვიუსის წინაპართა მონები იყვნენ. სერვიუსის მამამ პირადი ღირსებების გამო გაანთავისუფლა მამაჩემი და სასახლეში მიუჩინა ბინა. ამის შემდეგ თხის ხორცი და მყავე ღვინო აღარ მოგვკლებია მე და დედაჩემს.

მე და უმცროსი სერვიუსი ტოლები ვიყავით. ერთად გავიზარდეთ. დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდათ სერვიუსებს. რას არ ნახავდით იქ: ვირგილიუსიდან დაწყებულს ციცერონის სიტყვებამდე. ეს იყო ნამდვილი თავშესაფარი ჩემისთანა კაცისთვის და უმცროსი სერვიუსის მამამ დამრთო კიდევაც ნება მის ვაჟთან ერთად მესარგებლა უძველესი პაპირუსებით.

ათი წლის ვიყავი, როცა პირველი ლექსი დავწერე და სერვიუსის მამას წავაკითხე. თავიდან იგი გულკეთილად დამცინოდა, მერე კი, როცა დაინახა, რომ ჩემს ლექსებში მეამბოხური ცეცხლი ენთო, შეფიქრიანდა და ცოტა არ იყოს, ამითვალწუნა კიდეც.

ჩემთვის კი ყველაფერი სულ ერთი იყო. მე ჭეშმარიტ თავისუფლებას ვუგალობდი და ერთადერთი, რაზეც გამწარებით თავს ვიმტვრევდი, ის იყო, რომ ჩემი ლექსები ბანალური არ ყოფილიყო.

სერვიუსის მამის უკმაყოფილება კი თანდათან იზრდებოდა და ბოლოს ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ბოძებული თავისუფლების ქაღალდი წამართვა და ისევ მონების სადგომში მიკრა თავი.

აქ გავიცანი ჰედა. ორივენი თექვსმეტი წლის ვიყავით. იგი ჯერ მიფრთხოდა, მერე კი დავახლოვდით.

ჩვენი ამბავი რომ სერვიუსის მამამ გაიგო, საშინლად განრისხდა, რადგან ჰედა ომში დატყვევებული მთავრის ქალიშვილი იყო და ამდენად ბევრად პრივილეგირებული ჩემზე. მონათა სადგომში მხოლოდ იმიტომ ამყოფებდნენ, რომ სასახლეში უმცროსი სერვიუსის მეგობრებს თვალი არ დაედგათ მისთვის.

უმცროსი სერვიუსი ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემს სანახავად. ყველას უკვირდა ბატონიშვილის აგრე დაკნინება. ბოლოს მან იხილა ჰედა და მისდამი სიყვარულით განიმსჭვალა. მაშინ მე და ჰედამ გაქცევა განვიზრახეთ. გავიქეცით კიდეც, მაგრამ დაგვეწიენ, გვიპოვნეს, დაგვაბრუნეს და სასტიკად გვცემეს. ამის შემდეგ ჰედა თვალით არ მინახავს.

დრო კი გადიოდა. მე უკვე ოცი წლის შევსრულდი. მამაჩემი და დედაჩემი ისევ სასახლეში მსახურობდნენ, რადგან ახალგაზრდები იყვნენ და უფროს სერვიუსს მათი თავიდან მოცილება ჭკუაში არ მოსდიოდა.

მონათა სადგომში რატომღაც ყველას ვძულდი. როცა ერთ მოხუც მონას ვკითხე, რატომ იყო ასე, მითხრა: — თავისუფლებას რომ კაცი ვერ შეიფერებს, ის ზიზღის ღირსიაო, — და მომაფურთხა.

ამან გამამწარა. გადავწყვიტე, ისევ გავქცეულიყავი. გავიქეცი, მაგრამ კვლავ დამიჭირეს, დამდაღეს და ახლა უკვე ქვის სამტეხლოში მიკრეს თავი. აქ კი მართლაც ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო.

ერთ დღეს ვიღაც ახოვანი კაცი გვეწვია. მან თვალი დამადგა და უბრძანა, წამოვეყვანეთ. ასე მოვხვდი გლადიატორთა სკოლაში.

აქ შედარებით მეტი თავისუფლება იყო; ღამღამობით ქალაქში გამოვდიოდი

ხოლმე რამდენიმე საათით. გაქცევის სურვილი დიდი მქონდა, მაგრამ ამისთვის შეიძლება ჩემი მეგობრები დაესაჯათ და ამის გამო თავს ვიკავებდი.

ერთ დღეს სკოლის მეპატრონემ გამოგვიცხადა, რომ მეორე დღეს ცირკში უნდა გამოვსულიყავით საბრძოლველად. ასპარეზობას კეისარი დაესწრებოდა.

იმ ღამეს არ მძინებია.

დილით ფორანში ჩაგვსხეს ათი კაცი და ცირკში მიგვიყვანეს. აქ ხუთ კაცს შავი ტანსაცმელი ჩააცვეს, (მათ შორის მეც), დანარჩენს ცისფერი მახვილები დაგვირიგეს და გვიბრძანეს, საასპარეზოდ გავსულიყავით.

მწყობრი ნაბიჯით გავედით მოედანზე. ცირკი ხალხით იყო სავსე. პირველ რიგში სერვიუსების ოჯახს მოვკარი თვალი.

— მოგესალმებით, კეისარო! — დაიძახეს ჩემმა მეგობრებმა. მე არაფერი მითქვამს. სერვიუსებს მივჩერებოდი.

ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

მშვიდად გამოვედი მწყობრიდან, კეისრის ტრიბუნისკენ წავედი. [illegible] შემეძლო, ხმამაღლა დავიყვირე:

— მოგესალმები კეისარო და რომაელო ხალხო და ვფიცავ, თითიც კი არ გავანძრიო შენთვის!

ერთბაშად სიჩუმე ჩამოწვა, მერე კი საშინელი ღრიანცელი ატყდა.

უჩვეულო გრძნობა დამეუფლა. ვგრძნობდი, რომ რაღაცისგან განვთავისუფლდი.

— ცეცხლი! ცეცხლი! — ღრიალებდა ბრბო.

ცირკის კუთხეებიდან ზედამხედველები მომვარდნენ გახურებული რკინებით. ჰაერში დამწვრის სუნი ავარდა. მე არ ვინძრეოდი. ეს უფრო აცოფებდათ მათ და გამწარებით მიდაღავდნენ სხეულს.

მე კი ვიდექი...

ვიდექი და ვფიქრობდი მოხუცი მონის სიტყვებზე: თავისუფლებას რომ კაცი ვერ შეიფერებს, ზიზღის ღირსიაო...

ახლა მე თავისუფალი ვიყავი...

ორი წერილი—ერთდროულად მიწერილი ახლობელი მამაკაცისა და ახლობელი ქალისადმი

წერილი პირველი

ჩემო გივი, ალბათ შენც გაოცებს ხანდახან, რაც ჩვენს შორის მოხდა: შეხვედრაც და განშორებაც. ვიცი, ძალიან გიყვარდი... მეც არ ვიყავი შენდამი გულგრილი.

ახლა ალბათ ყველგან მეძებ, მაგრამ გთხოვ, ამას თავი დაანებო. მე აღარასოდეს ვიქნები შენთან. ნუ გაგიკვირდება ასეთი უეცარი ცვლილება. რა ვქნა, თავს ვეღარ ვერევი.

ნუ გგონია, თითქოს მარტო მამაკაცებს გქონდეთ განმარტოების სურვილი, უცნობმა ძალამ მაიძულა ყოველივე დამეთმო და გადავკარგულიყავ. მე აღარ შემიძლია ვინმე მიყვარდეს.

ვერ გეტყვი, რომ ეს გრძნობა კეთილშობილურია, მაგრამ ჩემთვის ახლა ესეც სულ ერთია, ზოგი ალბათ შეშლილადაც ჩამთვლის. არც ამას ვაქცევ ყურადღებას. შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელსაც ბოლომდე ვენდობოდი, ამიტომ არც ახლა დაგიმალავ:

იმ უკანასკნელ დღეს, როცა ერთად ვიჯექით აივანზე, სადაც ასე გვიყვარდა ჯდომა და ხეივნის ყურება, უცებ მომეჩვენა, რომ ჩემს გვერდით სატანა იჯდა. თითქოს ხითხითიც შემესმა მისი. ეს სულ ერთი წამის განმავლობაში იყო, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, რათა მთლიანად შემცვლოდა წარმოდგენა ჩვენს ურთიერთობაზე. უცებ წარმოვიდგინე, რომ ჭუჭყიანი ჭაობის სიმყრალეში ვიხრჩობოდი. შემზიზღდა ყოველი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე... ის ხელიც, ალერსით რომ გადამისვი ხელზე. მეგონა, მწვანე, აშმორებულ სითხეს მისვამდი, რომელშიც წამის წინ ბაყაყები ყიყინებდნენ.

მყისვე გაგაშვებინე ხელი და მოვიკუნტე. ღმერთო, რა ცუდად გავხდი! უეცრად მთელი სიცხადით ვიგრძენი, თუ არა განმარტოება, ვერაფერი მიხსნიდა. მხოლოდ ის იყო განსაწმენდელი, ყველაზე მყარი და რეალური, რომელიც კი არსებულა ამქვეყნად.

ღმერთის სიყვარული? არა, ღმერთმანი არა. ამაზე უფრო დიდმა და ძლიერმა გრძნობამ მოიცვა ჩემი არსება. თვალი გადავავლე ჩემს წარსულს და შევძრწუნდი. რა შეცდომებს ჩავდიოდი! უცებ ყველაფერი შეიცვალა. იმ დღიდან დაიწყო ჩემი სულიერი კათარზისი. ასეთი რამ, თუმცა ნაკლები სიმწვავით, ხშირად მქონია. თუნდაც ბავშვობისას. ერთ შემთხვევას მოგიყვები: პატარაობისას ერთი ბიჭი მომწონდა ჩვენს კლასში. უცოდველი გრძნობა იყო. ერთხელ მასწავლებელმა გამოიძახა. ბიჭმა გაკვეთილი არ იცოდა და მე შემომყურებდა. რატომღაც დავიბენი და ვერ ვუკარნახე. მასწავლებელმა ორიანი დაუწერა. დაჯდომისას ბიჭმა უხეშად მიბიძგა ხელი. როცა შევხედე, იმდენი სიცივე ამოვიკითხე მის თვალებში, რომ გავოცდი. იმავე წამს არულიად საპირისპირო გრძნობა დამეუფლა. იმდენად შემებრალა თავისი გაბოროტების გამო, რომ სხეული მომიდუნდა. ეს რაღაც უცნაური გრძნობა იყო. ის ბიჭი ცოცხლადშობილ მკვდრად მომეჩვენა. ასეთი კაცი ვერაფერს დაინახავს თავისი ცხვირის გარდა... ვერ შეამჩნევს იმ ყველაზე დიდსა და მთავარს, რომელიც უცვლელი რჩება ასეული საუკუნეების განმავლობაში. ასეთი შემთხვევები ზრდიდნენ ჩემს სულს, სანამ საბოლოოდ არ მივაღწიე იმ დიდ გრძნობას, რომელიც ახლა დამუფლებია. მთელი ქვეყანა აღსდგა ჩემს წინაშე და მთელ ქვეყანას ავუამბოხდი მე. ბანალურად არ მოგეჩვენოს ეს, რადგან თითქოს ხშირად მომხდარა ასეთი ამბები. მაგრამ მე ახლა ამისაც არ მეშინია. ჩამთვალეთ როგორადაც გნებავთ, მხოლოდ ჩემს სიმარტოვეს ნუ შეუშლით ხელს, ნუ დამიწყებთ ძებნას.

ჯერ თითქმის სამი თვეა, რაც ნაცნობ გარემოს მოვწყდი, მაგრამ უკვე ვგრძნობ, რომ დიდი ტვირთისაგან განთავისუფლდი. აღარა ვარ შებოჭილი და დათრგუნვილი. ეს კი ძლიერ ბევრს ნიშნავს ჩემთვის. თქვენ, მამაკაცები, ვერასოდეს გაიგებთ ქალის ბუნებას. იგი არამდგრადია და მერყევი. მაგრამ არიან იაეთებიც, რომელთა სულიც ბოლოს შედგება მარტვილობის იმ საფეხურზე, რომელიც წმინდანობას ეაზღვრება... და მაშინ კი ფუჭია ყოველგვარი თქვენი ცდა — ჩამოიყვანოთ იგი იქიდან და ყოველდღიურობის ლაფში გასვაროთ. ასე რომ, მშვიდობით. ჩემზე ნუღარ იფიქრებ.

ნინო.

წერილი მეორე.

გეხვევი და გკოცნი, ჩემო საყვარელო დაო და მეგობარო, ქეთუსა! უკვე სამი თვეა, რაც მე და ანდრო ერთად ვართ და მგონია სულ რამდენიმე დღე გავიდა-მეთქი. წარმომიდგენია, რა ამბავში იქნება გივი. მაგრამ არა უშავს... ისეთი წერილი მივწერე, ქვასაც კი აატირებდა. ხელში შემიკლეს მისმა იპოქონდრიებმა. თანაც მე თავისუფალი ქალი ვარ და სრულიადაც არა ვარ ვალდებული ერთ მამაკაცზე ვიყო მიჯაჭვული. კი, გეთანხმები, იყო დრო, როცა გივი ძალიან მიყვარდა, მაგრამ მეტად ძალე მომაბეზრა თავი. ასეც არ იყოს, ანდრო მე ბავშვობიდან მიყვარდა. შენ ანდრო უნდა გახსოვდეს. გახსოვს, ბავშვობაში ერთი ბიჭი რომ მომწონდა კლასში, რომელმაც ერთხელ საშინლად მცემა, რატომ არ მიკარნახეო. ეს სწორედ ის ანდროა. ო, რამდენი ცრემლი ვღვარე მაშინ იმ საძაგლის გამო. ალბათ მკითხავ, ვარ თუ არა ბედნიერი? გიპასუხებ ჰოსაც და არასაც. მაგრამ ახლა ამაზე არაფერს გეტყვი, რადგან მგონი ანდრო ბრუნდება. აი, მისი ფეხის ხმაც ისმის წინკარში. მეორეჯერ უფრო ვრცლად მოგწერ.

შენი ნინო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიანა ჯანელიძე

რაცხიმ ცირიოდა მარიამი...

„ზაზა, ზაზა, აბა თქვი, ვინეები არიან, პეპელა თუ წიწილა? ა, პეპელა თუ წიწილა? ზაზა, ვინეები არიან, თქვი“... ეზოში ვიღაცა ჯიუტად მდუმარე პატარას ჩასციებოდა, თითქმის ზედ ნანის ყურთან იმეორებდა ამ ერთსა და იმავე ფრაზას, ქალს რომ ახლა თავისი ტლანქი ინტონაციით იზიდავდა. „ვინეები“ მოეწონა, თან შედარება ეუცნაურა, სად პეპელა, სად წიწილა. მაინც არ წამოწეულა, ფანჯრიდან რომ გადაეხედა, ვერ გაბედა, რადგან სამზარეულოდან ახლახან გამოსული, ცალგვერდა სავარძელში მოკალათებული მამიდა სწორედ ლაპარაკის ეშხში იყო შესული. ამას წინათ როგორ იწყინა! ასეა, გისარგებლებენ, ყოველნაირად მოგიხმარენ, მერე კი გიბინიკებენო, ასე თქვა, ტყუილად ყური რომ გათხოვონ, იმასაც ვერ ეღირსებიო. ხმა აუკანკალდა. ნანის მაშინ ნამდვილად ემწარა მამიდას აღელვება, მაგრამ საკუთარი უდანაშაულობით შემცბარმა (მხოლოდ მზერა აარიდა, ისევ იმ ძველ ამბებს შეჰყოლოდა მამიდა, ნანის რომ თვალი უნებლიეთ ჰაერში გაუშტერდა), ვერა და ბოდიში ვეღარ ამოღერღა.

მამიდას ჟღალ, ახლა, ამ წუთში, ჭმუნვისაგან ისევ განწმენდილ გუგებში ნანისათვის ასე ნაცნობი სხივი ჩამდგარიყო. მას თითქოს მიეჩქმალა ქალის შემჭკნარი, დიდი ხნის დამძიმებული ნიკაპი, დასთამაშებდა ლოყებს, ჯერ კიდევ საკმაოდ გლუვი, ფაქიზად მოხაზული რომ ჰქონდა.

ამ ბოლო დროს ძმისწულს კი აღარ აოცებდა, უფრო ღლიდა, კიდეც აღიზიანებდა ის ფერდაუმცხრალი, გზნებით მოკიაფე ყვავილი, მამიდას რომ საკუთარი წარსულის წიაღში გაეხარებინა. რაღაც დამთრგუნავ სევდასაც ჰგვრიდა ოდესღანდელი ტრფიალის კვლავაც ესოდენ ცოცხალი სუნთქვა. თვით აი ეს მაცდურად მოღიმარი, თან ყოვლად უბიწო სიამე ეუცხოებოდა. თითქოს ქვეყნად არც არსებობდა ვნებათა ტკივილი, არც მამაკაცთან საბედისწერო ჭიდილის მომწყლავი სიმძაფრე, არც თუნდაც საერთოდ ადამიანური ძარღვის გამომცდელი რაიმე საქმიანობა, და იყო შესაძლებელი რაღაც ეიფორია, სახელდებული მაღალ ქალურ ხვედრად, მტკნარი ყოველდღიურობის ერთადერთ ჭეშმარიტად ღირებულ საფასურად.

მამიდამ იუსტინე ყაფლანიშვილთან თავისი პირველი შეხვედრის ამბავს ის იყო ცეცხლი შეუკეთა და თითებდაშაშრული კოჟიჟა ხელი სანუკვარ ყვავილის სიგრილეს შვებით შეახო, კარის ღრიჭოში რომ ნათელა დიასახლისმა თავისი წითლად შეღებილი ბუწუწი შეარხია. წუთით დაელოდა მოპატიჟებას, მერე კი კარს ერთი მაგრად დაეჯაჯგურა და გაპარჭყული ტალახმოკიდებული ფლოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტები შუა ოთახში შემოაფლატუნა. თეთრ ჩოხაახალუხიანმა იუსტინე ყაფლანიშვილმა მამიდას სახეზე შეყინულ ღიმილს მორჩილი მზერა შეაგება, ელვარე თითები კლავიშებს უმალ მოსწყვიტა და წერწეტი ტანის რხევით ნათელა დიასახლისის თვალთა ხედვას განერიდა. შორს არ წასულა. ნანიმ ხომ ზეპირად იცოდა ეს პირველი სცენა. ჰაერში ჯერ კიდევ თრთოდა შოპენის ნოქტიურნი და იუსტინეც უნდა დაბრუნებულიყო, რათა თავისი როლი ამ პირველ სცენაში ბოლომდე შეესრულებინა. მას ხომ ჯერ წესიერად არც დაუნახავს ახალი სტუმარი: ერთი კი შეავლო ნებიერი თვალი ნინუცის გვერდით მდგარ უცხო ქალიშვილს (იმ დღეს მამიდას „ამერიკულ ბაზარზე" ნაყიდი ვარდისფერი შიფონის კაბა ჩაეცვა), მაგრამ ჯერ არ ზიარებია მის ჭეშმარიტ ანდამატს, არ განუცდია იგი როგორც უსაშველო საცთური, რომელმაც მერე, უამრავი წლის შემდეგ, აიძულა კვლავაც გაუდრეკელი იუსტინე ამბორეყო სწორედ ის კორძი, მამიდას რომ უკვე საჩვენებელი თითის ბოლოსთან ამოსვლოდა და თვისი პირველი ელდა — მამიდას უებრო სიტურფე ეღიარებინა.

ნათელა „ხაზეიკამ" საგანგებო ღიმილი თან შემოიღვანია, ლურსმნიან სკამზე გვერდულად, სიფრთხილით ჩამოჯდა და ფრჩხილის მოშავო წვეტით სუფრაზე რაღაც ლაქას გულმოდგინედ დაუწყო ამოფხეკა:

— ის ოთახი, არა, მე რომ ვიძახდი, ოძელაანთ კიდეც გაუქირავებიათ. სუ 18 მეტრო — ას მანეთ ამაზე მეტი...

იმ დღესაც, გატეხილი შუშის თაობაზე სალაპარაკოდ რომ შემოვიდა, ღიმილიანი სახე ჰქონდა. ქარი რომ თავისას არ იშლიდა, ოთახის „კარაკოშკას" კი არც ერთს საკეტი არ გააჩნდა, ეს ნათელასათვის ახალი ამბავი არ იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ ზარალიც ვერ იყო სახუმარო და მის ჩვეულებრივ თავაზიანობას ისეთ თავგამოდებას ანიჭებდა, რომლის ანაზღაურება არც კაპიკ ნაკლებ ხუთ მანეთს თუ შეეძლო მხოლოდ. მამიდას სახე ავად დაეძაბა, ნანიმ რომ პატარა ყოყმანის შემდეგ, ხელი ზურგსუკან კედელზე დაკიდებული ჩანთისაკენ წაიღო... ახლა კი ნამდვილად გულში მოხვდა დიასახლისის ჩამოკრული. „ოთახი დაუმთავრებელი, ბათქაში მაინც არ ყარდეს ააე. კარი ხომ არც შიგნით გიშვებს, არც გარეთ. ზედ ცხვირწინ — გზატკეცილი. 500 მანეთად ღირებული სკინტი და ასფალტი, ესეც შენი აგარაკი". მამიდას შეავლო თვალი და ნათელასათვის აღარაფერი უთქვამს. მიხვდა, იუსტინე ყაფლანიშვილს ამჯერად აღარ ეწერა მათთან დაბრუნება. ნესტიან ოთახში მიჰქრა, გაილია ნოქტიურნის უკანასკნელი ნარნარი ბგერა და ერთბაშად აეღერდა იმერული, მრავალი ილეთით აღჭურვილი, „ჩემო ბატონო".

დიასახლისი ერთხანს კიდევ განაგრძობს მამიდას პირისპირ მაგიდასთან ჯდომას. „ბავშვებს ტყემლის ტოტი მოუტეხიათო" ... თითქოს სხვათაშორისო, ისე ამბობს, წინა დღის ჩალილავებულ თვალს უმიაამართოდ აშტერებს და აფორეჯებულ სახეზე კვლავაც ღიმილჩაუმქრალი, როგორღაც ერთბაშად ტოვებს ოთახს. მამიდა ღრიჭოიან კარს მოწყურებული რუსულით უგებს ნიშანს. მერე დგება და მედიდური პროფილი მწვანე ჩაიდანთან ერთად კარს იქით, სამზარეულოსაკენ ჯიქურ მიაქვს. ახლა სწორედ ის დროა, ნათელას მდგმურები რომ ზემო, ნამუსრევიან წიწვნარისაკენ გაიხიკებიან ხოლმე. სამზარეულოში, გაზქურასთან, თავისი პატარა საყავეთი ბატონი ლევანი დგას. მისი ჭაღარა ფაფარი და ლურჯი სპორტული რეიტუზი ნანიმ მოღიავებულ კარში ეს წუთია დალანდა. წარმოიდგინა, მამიდა რომ უცებ შეფრთხიალდება და გახევებულ სახეზე რბილი ქალური ციმციმი გადაურბენს.

ნანი ღია ფანჯარასთან მიდის. ხედავს ჭიშკრის მხრიდან აშკარად შეთხელებულ ტყემლის ხეს და უმალვე ავიწყდე-

---

ლიანა ჯანელიძე
რატომ ტირიდა მარიამი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა იგი. პატარა ეზოში ახალი, დილას რომ ჩამოებარგნენ, ის მდგმურები დააბოტებენ. მამაკაცის ბრტყელი ხოტორა გოგრა და მოკლე, მკვიდრად ნაგები სხეული ამაჩუყებელი სიზუსტით მეორდება სულ ერთ ბეწო არსებაში, რომელიც სტაფილოს კვლებში დგას და დიასახლისის დამთხვეულ ქათმებს ისეთი გამომეტყველებით დაჰყურებს, თითქოს მათი გასაჭირი გაუგია და მაინც არაფრად უჩანს, რადგან „სელავი", იცის, ასეთია ცხოვრება.

„ესეც ზაზა"... ნანი ერთხანს ინტერესით ადევნებს თვალყურს მის დანახვაზე აწიოკებულ ფრინველს. რა თავ-პირს იმტვრევენ, როგორი სიშლეგით უტევენ ერთმანეთს საკვების მოლოდინში. მხოლოდ მამალი ინარჩუნებს ღირსებას. თავი მაღლა უჭირავს, სიახლიანი ბიბილო ზედ თვალზე წამოუგდია და ისე, ნამალევად, თითქოს გაკვრით, ამოხედავს ხოლმე ქალის ხელებს. ნანი ფანჯრიდან პურს უფშვნიდ. აგერ უკვე თვეა ამას აკეთებს და ყოველთვის უკმარიობის გრძნობა უჩნდება ხოლმე. ერთი-ორჯერ თუ დაინახა, როგორ აჭმევდა ნათელას დედამთილი ქათმებს და ისიც წყალში ჩამბალი პურის ნატეხები იყო. აკი უთქვამს, „პური არ აძღობს" ფრინველსო. ნანის სჯერა დედაბრის და ახლა. ვინ იცის მერამდენედ, უკვირს, როგორ აქამდე არც ის, დედაბერი, არც თვითონ არ მისულიყო აგერ, მეორე ქუჩის კუთხემდე (სადაც სპეციალური საკენკი იყიდება თურმე), რომ ეს გათანგული, შიმშილით ჭკუიდან გადამდგარი სულიერნი ერთხელ მაინც ნამდვილად დაეპურებინათ.

●

ნიკო შაბათ შუადღეს ამოვიდა ქალაქიდან. ერთ ხელში საზამთრო, მეორეში პეპლების საჭერი დაეკავებინა. ბავშვები ეზოში აედევნენ. უმცროსი პეპელსაჭერიანად მკლავზე ესკუპა, როდესაც მოახლოებულ მამიდას თავი საკოცნელად წაუხარა და მთელ მის მოალერსე იერს მხრებზე ხელის ძუბუქი შეხებით გაეპასუხა. ცალი თვალი ნანისკენ ეჭირა. მჭიდე, წყლიანი თვალი, სილრმიდან წამოსული, ახეულისმიერი სითბო რომ იცოდა ხოლმე.

ქალმა მზერა წამით სარკისკენ გააპარა. არ ესიამოვნა, ისეთი ფერმიხდილი, სახემიკნავებული ჩანდა. ხალათიც კარგა შელახული ეცვა. ჯიბე მოაგონდა, მეორე დღეა უპირებს დამაგრებას. კარადის სარკეში თმა ოდნავ გაისწორა და ლოგინზე მიყრილ ტანსაცმელს აჩქარებით დაუწყო ალაგება. ახლაღა დაინახა ეს ოთახი ამ მამაკაცის თვალით. არა, რა თქმა უნდა, არ გამოდგებოდა წესრიგის ნიმუშად. ამბორიც, ცოტა არ იყოს მობოდიშების, თითქოს სავალდებულო გამოუვიდა. იცოდა, ახლა ის უნდა გაეკეთებინა, რააც მეუღლე მდგომარეობისათვის აბსოლუტურად შეუფერებელ საქმიანობად მიიჩნევდა. ისევ მაგიდას დაუბრუნდა და ნახატებს კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი. თავიდანვე ეს ერთი ეჩვენა განსაკუთრებით საინტერესო. მომსხო ცრემლების მიღმა, ქალის დალალებს რომ უხვად ერთვოდა, ზედ გულზედაც კი ებნია რამოდენიმე კურცხალი, მაუბუქად მოხაზული, სევდით გამომზირალი სახე ჩანდა. „მაგდალინა" — იუწყებოდა ქალალდის ნაგლეჯზე რუსული წარწერა. დახედა თუ არა (დილით კარადის ქვემოდან ცოცხს გამოაყოლა), მაშინვე აგარაკზე გამომგზავრების დღე დაუდგა თვალწინ. ქმარმა მანქანა უეცრად მოაყენა. ნანი სახეალეწილი აწყდებოდა აქეთ-იქით, რადგან ის დრო, სანამ ბარგს ჩაალაგებდა, ქმარს შემოსვლისთანავე იმ უჰაერო, მახრჩობელა სივრცედ ექცია. სადაც ქალი თევზივით პირს აღებდა ხოლმე, რომ კივილი არ დაეწყო, ან საკუთარი გულისპირი არ ჩემოეხია. ქურთუკიც ვერ იპოვა. ბავშვის ერთადერთ თბილ ქურთუკს ვერა და ვერ მიაგნო. ქმარი იატაკზე დაყრილ ბარგს ზიზღიანი სახით ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გვერდს უვლიდა და, როგორც ყოველთვის გაავების ჟამს, რაღაც მზაკვრული, ღდინში ჩამსდევი გამოწვლილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით უდგენდა სამხილს. ქეთინოს კი სწორედ ამ დროს ზემო კარადიდან „ტიციანი“ გამოეჩხრიკა, „მონანიე მაგდალინელზე“ გადაშლილი ალბომით დედას მოსდგომოდა. ქალი სულ წამით გაუჩერდა ბავშვს, არა იმიტომ, რომ აეხსნა მისთვის რაიმე (დაკივლებაღა შეეძლო მხოლოდ), ნაცნობმა მივიწყებულმა სახემ გააოგნა, რომელშიც ახლა ხორცსავსე მოდელის მწუხარე ნიღაბი კი არა, უზარმაზარი ადამიანური სილბო და შინაგანი ნათელი ამოიკითხა.

სანამ პატარა მამამისს ეჟღურტულებოდა, ნანიმ მოასწრო ქეთინოს ნახატი ოთხივ მხრიდან მაკრატლით შემოესწორებინა, უკნიდან წებო გადაესვა და რვეულში ჩაეკრა. კიდევ რამოდენიმე გადასდო შესანახად. ერთი-ორი უმცროსის ნაცოდვილარიც შეარჩია. მთლად უნარს მოკლებული ნახატები იყო. სხვა რამეთი ხიბლავდა, სამყაროს იმ უსაშველო რწმენით, ამ ერთსა და იმავე აყვავილებულ ხეში, წაფერდებულ სახლსა და ბაფთიან გოგონაში რომ იყო გაცხადებული. ქალმა იცოდა, უმცროსა ცხოვრების განცდა ქეთინოსავით იჭვნეული კი არა, უფრო მიმნდობი, უშუალო, მდაბიური ჰქონდა და ამ სულის აუმღვრევლობაში ტკბილწვდომა ჩვილის სურნელივით ათრობდა და ამავე დროა რაღაც საყოველთაო უმწეობის აკვიატებული შეგრძნებით მსჭვალავდა ქალს.

ქმრია „მშიაო“ რომ გაიგონა, რამდენიმე ნახატი უკვე ჩაეწებებინა. კაცმა რომ თქვას, ეს წებოთი თითებია თხუპნაც ახირებასავით იყო. ვითომ გადაწყვიტა, ზაფხულის სამახსოვრო ალბომი გაეკეთებინა. „მშიას“ გაგონებაზე ნახატები მაგიდიდან უცებ მოხვეტა, დროებით გვერდზე გადადო. კიდევ მიიკუთვნა ორიოდ წუთი. ნემსში ძაფი გაუყარა და, ქმრისაგან ოდნავ შებრუნებულმა, ჩამორღვეულ ჯიბეს დამაგრება დაუწყო. სამზარეულოდან, სადაც მამიდა უკვე ფუსფუსებდა, ხორცეულის ტაფაზე შიშინი მოისმა და ნიკოსათვის სააამო სურნელიც წამოვიდა. „გაიგეთ, მშიაო“... — მაინც ისე დასძახა, ქალი შეკრთა, ნემსი ფრჩხილქვეშ გაიყარა. თითა კბილი დააჭირა, სისხლის წვეთი გამოიდინა. თითქოს ეაიამოვნა კიდეც. სანამ მაგიდას აწყობდა, თითი შეუჩერებლად, გულის გამაწვრილებლად სტკიოდა. მაცივარში რძით სავსე ქილას შეავლო თვალი. ნიკო რომ არა, ახლა, ჩვეულებისამებრ, სულ უბრალოდ წაიხემსებდნენ. მამიდა ამ დროს ყოველთვის კაკაოს ადუღებს, ბავშვებს კი „ძროხის რძეს“ მნიშვნელობით ასმევს. პატარა მაღალ ჭიქას ბოლომდე იყუდებს და ეზოში რძის თეთრი ულვაშებით გარბის. ქეთინო რძეს ამრეზილი წრუპავს, სხვა აინტერესებს, მაგალითად, ფიქრობს ძროხა თუ არა, „მაინც ფიქრობს ალბათ“... — ნანი აჯიკას წაეტანა, იცოდა, ძოიკითხავს. ქმარი ფანჯრისკენ მიბრუნებული აბოლებდა, მის ახოვნებაში, რომლითაც ქალი აშკარად ამაყობდა. ინსტინქტთა მოძალეობას ხედავდა და ამ ბოლო დროს ეს რატომღაც უფრო აღიზიანებდა. უცებ შეებრალა, იგრძნო, როგორ შეეპყრო ახლა შიმშილს. სამზარეულოში რომ გავიდა, გაზის ქურასთან დახრილი მამიდა მკვრივ, ვარდისფერ კატლეტებს უკვე აბრუნებდა...

მზე გადაიხარა თუ არა, და ჰაერი ამოძრავდა. გარეთ გამოვიდნენ. ზედ ჭიშკართან, ახლად დაყრილ ხრეშის გორაზე, ნათელას ბიჭი იჯდა. ცარიელა პურს ილუკმებოდა. აკი საუზმისას, მამიდამ რომ გოგოებს მოუჯინა, თითქმის არაფერი უჭამია. ხელ-პირი დაბანინა და, უთუოდ, ეს წაუხდენდა მადას. ნანის ბავშვი, მგონი, გაღიმებული არც უნახავს. რაღაც განსხვისებულ არსებად ეჩვენება. თუმც იშვიათად ხედავენ სახლში. დედამისი დღეს მხოლოდ შეღამებულში დაბრუნდება სამკერვალოდან. ბებერიც არ ჩანს, იმ თავის აფთიაქში ბოთლებს რეცხავს. ქალს სამზარეულოში ბუზების ანაბარა მიყრილი ქვაბ-ჭურჭელი და ერბოკვერცხი გაახსენდა და უფროსი გოგო მოიკითხა. ბიჭმა არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი უპასუხა, განზე გაიხედა, ხრეშის კენჭებს ქუჩის გადაღმა დაუწყო სროლა

ეს ხრეში და აგური გუშინ აქ საბარგო მანქანამ გადმოტვირთა. მანქანას თვითონ დიასახლისი მოჰყვა. მერე ნიჩაბი ეჭირა და გაბნეულ მასალას ერთი ადგილას აქუჩებდა. ჭიშკრისაკენ წინ წახრილი ეზიდებოდა. მის ირგვლივ არავინ ჩანდა. ნანი ფანჯრიდან ხედავდა დიასახლისს და ცდილობდა მთელი მისი შემართების მუღამი ამ მზით გამომწვარ, კონვულსიურად მოღიმარ სახეში ამოეკითხა. თუმც აკი უთხრა, კიდევ ორი ოთახი უნდა მივაშენოო. ქირაში თითო ათას ნაკლებ არ წავაო.

როდესაც ნათელას გემბანიან, რალაც უცნაური ხომალდივით გაზიდულ სახლს შემოუარეს, და უკანა ვიწრო ჩიხიდან გამოვიდნენ, ქუჩის ჩრდილები უკვე დაგრძელებულიყო.

მამიდას ქმრის ნაჩუქარი, ამდენი წელიწადია რომ უფრთხილდებოდა, სწორედ ის ქოლგა წამოეღო. გაშალა თუ არა, ძმისწულს გადმოხედა — მას ისევ დავიწყებოდა თავისი „პანამა“. მზე პირის კანს აფუჭებსო, მამიდასაგან იმდენჯერ ჰქონდა გაგონილი, კიდეც სჯეროდა. მაინც არ ღირდა შებრუნება. ნანი ის იყო მოემზადა, მის ქალურ თვისებებში მუდამ შეეჭვებულ მამიდას მორიგი შეგონება მოესმინა, რომ ქუჩის მეორე მხარეს ისევ ის გლეხი გამოჩნდა. აგერ რა ხანია თივას სულ ამ ქუჩით ეზიდებოდა, გორასავით ზვინის ქვეშ დატანებულ ურიკას რის ვაივაგლახით ექაჩებოდა ხოლმე. მამიდა გლეხის დანახვაზე, ჩვეულებრივ, საქმეს თავს ანებებდა და, ფანჯარასთან მდგარი, დაახლოებით ერთსა და იმავე შეკითხვას, პასუხს რომ არსაიდან მოელოდა, ისე ამოიკვნესებდა: ნამდვილად თავის მოკვლა განუზრახავს ამ საცოდავს! კი მარა, რაც აქეთ ადრე სახედარი მინახია, ვითომ აიღეს და ერთიანად გაწყვიტესო!..

გლეხმა ორღობედან ასფალტზე გამოაღწია თუ არა, ხელნები მიწაზე დაუშვა და პერანგის მუქად ჩაწუწული იღლიები გამოაჩინა. ქუდით ლოყებზე ჩამოღვრილი ოფლი შეიწმინდა, სულს ითქვამდა.

სანამ ნანი რამეს მიუხვდებოდა, მამიდას შარაგზა უკვე თითქმის გადაეჭრა, თავის ეგზოტიურ ქოლგიანად პირდაპირ საზიდრისაკენ მიროინინებდა. „ჩემო ბატონო...“ — მამიდა ახლა მოპირდაპირე ტროტუარზე ზურგით უდგა, ფრაზის დასაწყისიღა გაიგონა. კიდეც წამოწითლდა.

შუა ხნის კაცმა თავის პატარა ქუდი აუჩქარებელი მოძრაობით ისევ კინკრიხოზე მოათავსა და მამიდა, ქარი რომ უფრიალებდა კაბის ფირფიჩებს, ქვემოდან კუშტად შეათვალიერა:

„ვირებიო?.. ქალაქში გადასახლდნენ, იქა, სადაც შენისთანები დაიარებიან, აი...“

გლეხმა რომ მათკენ გამოიხედა და თითი საფეთქელთან დაიტრიალა, მამიდა უკვე შემობრუნებული იყო. ნანიმ უნებლიეთ ქმარს გახედა, დაინახაო თუ არა, ვერ მიხვდა — ის ახლა ბავშვებთან ერთად გზას განაგრძობდა.

მამიდასათვის თვალი აღარ გაუსწორებია, ისიც ეყო, ქოლგის გამჭვირვალე ჩრდილში, მის შემცბარ, გამტკნარებულ სახეს რომ მოჰკრა მზერა.

მამიდამ ხელჩანთა გაშალა და მათკენ აღარ გამოუხედავს, ბაზრისაკენ ისე აუხვია.

●

სკვერში გაიარეს. ლუდის ფარდულთან სრულიად ფხიზელი ვალიკო იჯდა. ქეთინომ იცნო — ჩვენი სახლის პატრონიაო. ვიღაც შავგვრემან, ბომბორათავიან მამაკაცს ებაასებოდა. ვალიკოს მოყვითალო გახამებული პერანგი ეცვა, რომლის ათინათში მკრთალი უულვაშო სახე ღირსებით აღბეჭდილი და თითქმის ფაქიზი უჩანდა. ნანიმ გაიკვირვა, აქამდე რომ არ უნახავს ეს კაცი. ყოველ საღამოს უკვე ყრუდ ჩაბინდებულ დერეფნით მიყანცალებდა ხოლმე. იმ დღეს კი, როდესაც უკანა ოთახიდან ნათელას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგუდული კივილი შემოესმათ, ქალი კარებში გაჭრილ მამიდას არ ადევნებია, ოთახში დარჩა. მამიდა მალე დაბრუნდა. დიასახლისს ვერაფერში სიამოვნებია მდგმურის მოწმეობა, სისხლიან პირს კედლისკენ იბრუნებდა თურმე. კაცი უკვე მოშვებულიყო, გოგო რომ ტიროდა, იმას ეხვეოდა, სლუკუნებდა. მეორე დღეს მამიდა დილაადრიან უკვე ფეხზე იდგა, რათა „ხაზეინი“ ფხიზელი მოეხელთებინა. ნანიმ წარმოიდგინა, როგორ ასწავლიდა ჭკუას თავისი გაუტეხელი, მარად იმედიანი „გენაცვალეთი“ ამ მიუდგომელი სახის, უკვე ჭაღარამოკიდებულ კაცს (ვალიკო სისხამაც გადაკრულში ყოფილა, „ამიერიდან ქალბატონოს“ ამბობდა და ხელი მკერდთან მიჰქონდა). ახლა ეუხერხულა. პატარას ხელი ჩასჭიდა, სკვერის მოაჯირზე ააბობღიალა. ნიკომ, ქეთინოსთან ერთად მოშორებით რომ მიაბიჯებდა, თითქოს ზურგით იგრძნოო — მწყრალად მოუხედა. მართლაც ემძიმა, მაგრამ, იცოდა, ბავშვი აქ ჩვეულებრივად არ გაივლიდა და ბარემ დაემორჩილა.

მერე სულ მაღლა, თეთრად შეღებილ ფიცრულ კედელს აუყვნენ. დროდადრო საგუშაგოებს ხედავდნენ. (შეღებილი ტერიტორია რომელიღაც მაღალი უწყებისა იყო), ღობის იქით ძაღლები ყეფდნენ. კარგა დიდხანს რომ იარეს, ვიწრო ქუჩებს რომ გასცდნენ და პატარა ეზოების უბადრუკ ჩრდილებს თავშეფარებული მოაგარაკენი უკან მოიტოვეს, გზა უცებ გაიშალა და თეთრი ღობეც ჩათავდა. კედელს კიდევ აგრძელებდნენ. მაგრამ ამ ადგილას მავთული არ იყო ჯერ შეფიცრული. რკინის ხარიხას ქვემოდან გაუძვრნენ და „ქეთინოს ბაღიც“ წინ გადაეშალათ. ქალი შეცბა — ამ სიშორეზე უშვებდა თურმე ბავშვებს. აქ არც გუშაგები იყვნენ, ძაღლების ყეფა ახლა ქვემოდან, ძლივსღა მოისმოდა. ყური რომ გადასჩვეოდა, ისეთი ჭარბი, მკვრივი სიჩუმე იდგა. ფერადი კენჭით მოკირწყლულ ბილიკებით, ფანჩატურებითა და ხიდებით გაწყობილ მსუყე სიმწვანეში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. სულ ახლო შავ-ყვითელი ზოლებით მოხატულმა ფრთოსანმა შეიფრთხიალა, რათა იმ წამსვე მჭიდროდ გადახლართულ ვარჯებში გაუჩინარებულიყო. გრძელ ძელსკამთან გაწოლილმა თეთრმა ძროხამ ბავშვებს თვალი ერთი გადაავლო და ზანტი მზერა ისევ უსასრულობას შეუერთა. მარჯვენა მხრიდან საიმედოდ დაცული წალკოტი მარცხნიდან სოფლის ყანებსა და ყამირ გორაკებს ერთვოდა. ბავშვებმა მამა მორკალულ ხიდით ხევზე გადაიყვანეს და აბიბინებულ ფერდობზე დაეშვნენ. ქალს უმცროსის სიცილი ესმოდა. მის ხმაში ისევ ის მკაფიო, ლაღი ინტონაცია ენიშნა, რომელიც მისთვის სანუკველი და ამავე დროს თითქმის ყოველთვის რაღაც მშფოთვარე შეგრძნების მომგვრელი იყო.

ქალმა ფანჩატურს მიაშურა. ეს ფანჩატური ზედ ხევის თავზე იდგა, ისე რომ აგარაკის ტყიან შემოგარენს გადაჰყურებდა. მხოლოდ ახლა დაინახა, რომ ეს სოფელი მარტოოდენ საკუთარი საჭიროებებით შეძრულ ადამიანთა ასპარეზი კი არა, რაღაც აღმატებული, თავისთავადი ბუნების ნაწილი იყო. ქვემოთ, ტაფობში, მიჯრილ სახურავებს ვანდგომილი პატარა ტბა წმინდა სილურჯეს ირეკლავდა. მის ირგვლივ შორეულ ბურუსამდე თვალუწვდენელ, მზით განელებულ ლივლივა სივრცეში აცურებული ქედები გაწოლილიყო.

ქალი ღრმად, მთელი მკერდით სუნთქავდა. თითქოს სულში ნათელი ჩაღვარა — სიმრთელე იგრძნო. ის (მომავლის შეგრძნება რომ აღარ ჰქონდა ხოლმე) სადღაც გამქრალიყო, საკუთარი მოგონილი ეჩვენა. უთუოდ მშვენიერის, არგანწირულის ნაწილი იყო კაციც, და ისევ ჟრუანტელამდე, როგორც ემართებოდა ხოლმე, ახლაც განიცადა — აი ეს შინაგანი ბიძგი, ეს უეცარი საშველი მასში არსებული იდუმალის წყალობა რომ იყო. უნდა მიეღო იგი, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსნა, როგორც უზენაესი ჭეშმარიტება, რომელიც ქალს განსჯის უნუგეშობისაგან გადაარჩენდა...

იქ, სადღაც ქვემოთ, ძაღლი აყეფდა. მამაკაცის წამოძახილიც მოესმა, ოღონდ სიტყვები ვერ გაარჩია, შეწუხდა — ამასწინანდელი მოაგონდა. სეირნობისას ერთ-ერთ საყარაულოს ჩაუარეს. იქითა მხარეს საქანელები ეკიდა, გაზონებს შორის სათვალიანი ბიჭუნა ველოსიპედს დააქროლებდა. ბავშვებმა ღია ჭიშკრისაკენ გაიწიეს. გზა ყარაულმა გადაუღობა. ორნი იყვნენ. ქეთო მაინც დაძრომას უპირებდა, ფორმიანების უკან რომ პირდაღებული ქოფაკი არ გამოჩენილიყო. მაშინ კი იკადრა გამობრუნება.

ყეფა მიწყდა. ისევ სიჩუმე ჩამოწვა. მზით გახურებული ფიჭვის სურნელი იდგა. მართლაც რომ კარგია, აწი ყოველთვის წამოყვება აქეთ ბავშვებს. კედები რომ ჰქონდეს იქ, ქვემოთ, ღრანტეებშიაც ივლის. ქეთინო ხომ მუდამ გეშით იკვლევს გზას, არასოდეს იმ ეზომიდამოს არ სჯერდება, ზაფხულობით რომ მოიკალათებენ ხოლმე. ქალს ნათელას გადამხმარი კვლები და ტყემლის ხე წარმოუდგა და ახლა, როდესაც მასში ისევ იმ აუხსნელმა, სიღრმით აღმოცენებულმა სიმშვიდემ დაისადგურა, და საბედისწერო ყულფი კვლავ სადღაც შორს, უქმ სათამაშოსავით ქანაობდა, ძველმა, სეზონურად რომ უმძაფრდებოდა ხოლმე, საფიქრალმა გაკენწლა: არსებითად ხომ ნანის და მამიდამისის ყოველწლიური საზაფხულო ჯახირი იმისი იყო, რათა ბავშვები შემოეტყუებინათ შემთხვევით უბადრუკ თავშესაფარში და მათთვის ის ჯერაც შეუბუმბლავი თოთო ფრთები დაეჭრათ, სადაც ჰაერთან შერწყმის უნარი ჩაბუდებულიყო...

ნიკოს ხელში გვირილების პატარა კონა ეჭირა. ნანის ქოშინით მიაჩეჩა, ფერდობი ძლივს ამოეთავებინა. რამდენი აბლოტიალეს, ასეთ ნაპარავ სიამოვნებას რა უთხარიო (საყარაულოდან შეუმჩნევიათ კიდეც), ის სიტყვები გამოსცრა, ქალი რომ ყოველთვის ცდილობდა მათგან ბავშვების ყურები დაეცვა. ქეთოს არ გაუგონია, დედას ისეთი შუბლგახსნილი უახლოვდებოდა. თმაზე დაფენილი ფოთოლი ბავშვს თითქოს უცხოს ხდიდა — პატარა ალი იყო თუ გაცოცხლებული ძველი გრავიურა. ქალს უმცროსი შეებრალა, დაღლილი ჩანდა, მამამისის ნაჩუქარ პეპლების საჭერს მწუხარედ მოათრევდა. ნიკომ, ახლა კი გვეყოო, ბავშვებს შეუსტვინა, აბა გაუყევითო — გზისკენ ანიშნა. სამმართველოში ხვალ ალიონზე მიელოდნენ. თამაზიც არ გაუფრთხილებია, აქეთ ისე წამოსულა. უნდა დაურეკოს — ვიღაც ნიკოს ნაცნობი ნატურალურ ღვინოს შეპირებია თურმე. აკი უთხრა ნანის, თაბუკაშვილებთან ვიყრით თავსო. ავთოს ახალი რეპერტუარი დაუმუშავებია — რუსულ „ძველბიჭურს“ ამღერებს. ქალმა წარმოიდგინა ნაცნობი მყუდრო სასტუმრო და გაიფიქრა, რომ არ იქნებოდა ურიგო ახლა იქ ყოფნა: სასიამოვნო სუფრა, მუდამ ვიღაც გამოსაცნობი უცნობები, თავში ყოვლის შემწყნარებელი ბურუსი და ის უმიზეზო აღტკინება, დილამდე რომ გაგაძლებინებს ხოლმე.

●

საღამოს შუქი გამოირთო. ნანიმ ნახმარი ჭურჭელი სამზარეულოში გაყარა და მამიდას გვერდით ნავთის ლამპას საკერავით ხელში მიუჯდა. ეს ლამპა ნათელა-„ხაზეიკამ“ პირველსავე დღეს შემოიტანა, სინათლე ჩვენსკენ ხშირად ითიშებაო. ახლაც შემოიხედა, ნიკოს უსინათლობია გამო მოუბოდიშასავით. ნიკომ მხრები აიჩეჩა, გაუღიმა, ვითომ რა შენი ბრალიაო. ფეხბურთს კი ელოდება, ოთახს დიდი მოუთმენელი ნაბიჯებით ზომავს. ბავშვებს რა ხანია სძინავთ. დღეს უდრტვინველად, თითქმის ნებით მიაშურეს საწოლებს და ქალიც მადლიერია, იქით მიიხედავს. იქ სიბნელე მიამიტად ფშვენს. რაღაც მყარი, დაფუძნებული სიმშვიდის შეგრძნება არ ეშვება, ოთახში რომ მამაკაცის უზარმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარი ლანდი არ დააბოტებდეს. ხან დაქუცმაცდება და სიფრიფანა აჩრდილებად ქცეული კუთხე-კუთხე რიალებს, ხან კი ერთიან ყრუ ლაქად აეკვრება კედელს და მაშინ საკერავზე თავდახრილ ქალსაც მოუსვენრობა იპყრობს. იცის, ქმარი შიშნეულად ვერ იტანს სიბნელეს, და სწუხს, რაღა ამ შაბათს...

თვითონ ხომ ლამის ელოდება ამ გარინდების ჟამს, როდესაც ირგვლივ წყდება ტელევიზორთა ღრიანცელი და საერთო უთავბოლო ფუსფუსი და მჭრქალ სინათლეში ცხვირზე სათვალეწამოცმული მამიდა იმ თავმოთნე მარადიულ ქალად კი არ ევლინება ძმისწულს, არამედ, ანაზდად შერწყმული სიმყუდროვეს, ქალური თვითტკბობისაგან თითქოს ერთბაშად თავდახსნილი, წმიდა სათავეს ეშურება ხოლმე. მაშინ იღვიძებს ის მამიდას ბეჩავი და მაინც სისხლსავსე, ცინცხალი იმერეთი. ნანი ხარბად ეწაფება მის კილოს, მის წამიერ ფერება, ელაციცება იმ მარილს, წინაპართა სიცილის ნიჭს თუ თვისებას რომ უწოდებს. და რადგან ამ დროს მზადაა დაიჯეროს, თითქოს ნაღველი ეკრძალვოდეს კაცს, მართლაც რომ თავდავიწყებით ეძლევა გალაღებას.

ნიკომ კი უკვე სადილობისას სოფელზე საუბარი (ერთი სულ პატარა ამბით რომ წამოიწყო მამიდამ) მისთვის ჩვეული შეუპუებლობით იმ ერთადერთ კონკრეტულ ჩარჩოში მოაქცია, რომელშიაც ჩირადაც აღარ ღირდა. უუფლებო იყო ხიბლი გარდასულისა, და ნანის საყვარელი კუთხე იაევ იმ მტკივან ადგილად იქცა, სადაც რამოდენიმე წკავწკავა ბებერი თითზე დასათვლელ წვრილფეხს დილა-საღამოს კიდევ ეხმიანება ხოლმე.

არადა ის იყო დათა ჩიქოვანმა დიდი ცაცხვის ჩრდილში ცხენი დააბა (ორ კვირაზე ნაკლებ არ იცოდა დათამ სტუმრობა) და შუბლზე ხელის ტკაცუნით შემოდგა ოდის კიბეზე ფეხი — ხაჭაპურებით სავსე ხურჯინი აბაშის გზაზე დავკარგეო; ბიჭები, ესე იგი, გიგო, ნესტორ, კაკო, ჯვები, კუკუტი, მოჯამაგირე სერაპიონი, ჯერ რიკულებიანი კიბე არ ამოეთავებინა სტუმარს, უკვე ალაგედან იყვნენ გადაცვენილები. კიბის თავზე გაჩერებულმა დათამ ხელი მაყვლიან ალაგესკენ მოიჩრდილა, და, ჩექმის ყელამდე ძლივს წვდებოდა, იმ მამიდამ კი გაიგონა, რომ ჩაილაპარაკა: „აა? ვითამ ავნებს ყმაწვილებს პაწა განავარდებაო?...“

ნანის, ალბათ, სულელური ღიმილი ეკერა სახეზე. მგონია, ქმარს შესცინა კიდეც. ნიკო ყურინის მტევანს უხალისოდ კენკავდა და ამ წუთს ცოლს სახეცივი ამრეზითაც ათვალიერებდა. ქალმა უნებურად თმაზე გაიკრა ხელი, როგორი უცხო, მოულოდნელი გამოხედვა იცოდა. თითქოს ის, რაც ნანისათვის იყო ქმარში ესოდენ ცხადი, შეიძლებოდა ისევ და ისევ ეჭვმისატანი ყოფილიყო.

გასეირნებამაც აღერღა. ვითომ, რა დროს ლათაიებიაო. გზაში რამდენჯერმე გაიმეორა, სოფელი იყოს და ბავშვები კი სულ ასე სხვის კარდაკარ დაწიალებდნენო.

— მამიდა-ბატონო, — ნიკო ახლა ზეზე იდგა. ფანჯრის რაფას მიყრდნობილი კბილში ასანთის ღერს იჩრიდა და ქალს, აქაურობაა რომ გასცლოდა, დახორავებული ჭურჭლითა და საჭმლის ნარჩენებით მოფენილ მაგიდაა ფეხიფეხზე გადადებული, სახეშეფაკლული რომ უჯდა, ზემოდან თვალებმოწკურული დაჰყურებდა:

— იმ შესანიშნავი კიბის ნაშთი თუა, მე რომ მინახავა? ეხ, რიკულებო!... არადა, რაც ამ ზაფხულების წოწიალში ფული დახარჯულა, იმ თქვენს ოდასახლს ვითომ ააშველს ვერ დაადგამდა? ვინ რა მოინდომა? ჩემა მეულლეს ხომ პრაქტიკული ალღო, შეიძლება ითქვას, მოდგმით არ გააჩნია. თორემ აქამდე წყალს ვერ გავიყვანდით? ერთი ორასი მეტრია იმ თქვენს წყარომდე, მეტი ხომ არა?..

ნანი ახლა კი წამოდგა. მაგიდას დაუწყო ალაგება. ეს ბავშვები. მართლაც,

---

ლიანა ჯანელიძე
რატომ ტიროდა მარიამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერ მიაჩვია წესრიგს. ულ აურ-დაურ-ვიათ აქაურობა. მანამ რეცხავდა ჭურ-ჭელს, მანამ ტრიალებდა, რომ ოთახში, თუნდაც ნიკოს თვალის მოსატყუებელი, წესრიგი დაემყარებინა, ძველ მოპაექრეთა მორიგი შებაასება ესმოდა. მამიდამ, ამას ჰქვია — გაღმა შეედავე და გამოღ-მა შეგრჩებაო. იმ ეზოში რომ წელი-წადში ერთი-ორჯერ შარვლიანს ტყუი-ლად გაეარ-გამოეარა, იმ ასწლიანი ნაძ-ვების აჩეხვას ვინ ოხერი გაბედავდაო. როგორც ყოველთვის, თანდათან ეკიდე-ბა სიფიცხე. შუბლაძეების სიძესაც იხ-სენიებს. პლაჟებზე კი არ დაეხეტება, ამ წელიწადს ორჯერ გაუთოხნია სოფელში ეზო. საკუჭნაოც გაუახლებიაო. ნიკომ (მითუმეტეს, რომ ბიჭვინთის საგზური თითქმის ჯიბეში უდევს) მთელი საგზრე-ულოს ოდითგან ფუჭსიტყვაობის, სრუ-ლი უნიათობის რამდენიმე დამაჯერებე-ლი საბუთი მოიშველია და, რა თქმა უნ-და, მამიდასაც ჩაასო კლანჭი. რაღაც წვრილმანებს ჩაჰკირკიტებს. ახლა ვირ-ტუოზულად შეუდგენს პირად ბრალდე-ბას. მთავარია, ბავშვების მიუსაფრობა-ში ბრალი თვითონ კატეგორიულად აი-ცილოს და შვებასაც იგრძნობს. მაგრამ მეტი მოუვიდა: „სხვისი შვილები ნეტა რა სანაღვლოაო“... მხოლოდ მამიდას ცრემლმა დაარწყულა ნიკოს ჭინკა. ახლა უკვე შეუძლია ის ჭრილობა გილოკოს, რომლითაც თავისი ღვიძლი სათაელი უნდა დაეპურებინა.

მამიდაც, რა გზა აქვს, ნელი-ნელ წყნარდება. სიძე გულში მჯიღს კი არ ირტყამს, საკმარისია მერე აი ასე, სათ-ნოდ გიჯდეს და თანაგრძნობით გამლ-ხვალ ნამიან თვალს თვალში გიყრიდეს.

ნანი კარადაში ბავშვის კაბას კიდებს და სარკიან კარს ხურავს. ზედ სარკის თავზე ქეთინოს დაწნული გვირგვინი ირწევა ოდნავი შარიშურით. ფოთოლი შემჟღნარა, მაგრამ ჯერ კიდევ იმ ნელ, შემპარავ სურნელს აკმევს. მამიდამ რომ სოფლიდან გაჩანაგებული ხეივნის ამ-ბავი ჩამოიტანა, ბავშვი ატირდა. მერე აჩეხილი ნაძვები ესიზმრა. მამიდა აწ-ყნარებდა, თავებია გადაჭრილი და კი-დევ ამოიყრისო. საოცარია, ქეთრნ ხომ არასოდეს უნახავს ის ეზო-კარი.

ქალი ხედავს ფანჯარაში მზეზე ალაპ-ლაპებულ თუნუქის ჩიტს, ნათელას ალა-ყაფის კარს რომ ამშვენებს და ზედ კარ-თან ატუზულ პატარა ტყემლის ხეს. უფ-რო სწორად ვერ ხედავს ამას. წვიმს. დროთაგან გაშავებულ ძელის ჭიშკრამ-დე ისე შორია, რომ მზერას იქით, ნისლ-ში გაშლილ სივრცისაკენ იტაცებს. ნაძ-ვები მიჯრით დგანან, ჩუმნი, იდუმალნი, ვეებანი. „მაინძელოოო!“ იყო თუ არა? შორია ჭიშკარი. ოთახი წვიმის ჩქამითაა სავსე. გოგონას ირგვლივ სხვადასხვა ხმაზე აწყობილი კაპაკუპი ისმის. აი, უმატა, წყალი დგაფუნით აწყდება ყა-ვარს და ტაშტის ფსკერზეც შფოთით აჩქარდა მძიმე კაკუნი.

იმ ზაფხულს, ნანი რომ სოფელში ჩა-ვიდა, ბაბუას ლოგინი ბუხართან იდგა. ბაბუას წიგნებიც აქ დაეწყოთ. აქ არ წვიმდა. მოჩითულ ბალიშზე მოხუცის თეთრი ძვლისაგან ნათალი სახე ესვე-ნა, და როდესაც მამიდამ სხვენზე ვარცლი აიტანა და ბუხრის მილთან, ბაბუას ლოგინის თავზე დადგა, ნანი ფიქრობდა, რომ უპირველეს ყოვლისა ის შუქიანი, სპეტაკი სახე არ უნდა დასველებულიყო.

... მზე ჩავიდა თუ არა, დერეფანიც უცებ ჩამუქდა. ეზოდან ბავშვების ერი-ამულმა თითქოს იმატა კიდეც. აივანზე სიგარეტით ხელში ბატონი ლევანი გა-მოვიდა, მოაჯირთან დადგა. უთუოდ გა-სეირნებას აპირებდა, ის უსახელო ფე-რის კოსტუმი ეცვა, მამიდას რომ საგო-ნებელში აგდებდა — ზღვის ტალღის იყო თუ შებინდების ღრუბლისა. უკან თავშეხვეული ლილი გამოჰყვა, ზურგზე ჯაგრისი ჩამოჰკრა. თან ფანჯარასთან მდგარ ნანის თვალი ჩაუპაჭუნა. ლევანს ჯიშიანი ჭაღარა თავი მაღლა, ოდნავ გა-შეშებული, ეჭირა. მართლაც დასანახად რომ ღირდა, ისე იდგა ხოლმე. როგორ მოსწონდა ნანის ამ კაცის თავმტკივანი მეუღლე, თავის შეფარული ღიმილით, მთელი სიცოცხლე რომ აატანინა უპირა-ტესი ბატონი ლევანი. ქალი გულია, მადლიანი ხელობის პატრონი! თუნდაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ნიგვზიანი ფხალი რად ღირდა, გუშინ რომ შემოიტანა. როგორც მამიდამ აღიარა, მაგდაგვარი კაი ხანია არაფერი უგემიათ.

ქვემოთ, კიბესთან, ახალი მდგმური გაჩერდა. მოკლე, ჩასხმული ზედატანი მაისურში იყო აქვს ჩაჭედილი, როგორც ყალიბში. მისი პატარა მოდელი, ზაზა, ნანიმ უკვე ბავშვების შუაგულში დალანდა, გაშინაურდა კიდეც. ეს უსინათლობა რაღა ჯანდაბაო, დიდმა ზაზამ, რა თამაში გვიცდებაო! ნიკომ გაიგონა თუ არა, თამაშიო, აივანზე გამოვიდა. ბატონი ლევანი ნიკოსკენ ოდნავ შემობრუნდა და კეთილგანწყობის ნიშნად შენაცრისფერებული წარბი შეატოკა. გაიბა ცხოველი, მეტად დაინტერესებული ბაასი, რომლის დეტალები ქალს არაფერს ეუბნებოდა და კვლავაც განაცდევინებდა იმ სიუცხოვეს, საკუთრივ მამაკაცურ, მისთვის სადღაც მარადის ჩაუწვდომელ არსებაა რომ მოეტანა.

ოთახში შებრუნდა. მამიდას უკვე ლამპა ჩამოეღო, შუშას წმენდდა, ქუთუთოები ოდნავ შეშუპებული უჩანდა. წინ ჟუკოვის «Воспоминания и размышления» ედო. ბატონმა ლევანმა მეზობლურად შესთავაზა წასაკითხად. საგულისხმო ადგილები მოუნიშნა კიდეც. აბა რა იცის, მამიდას რომ მხოლოდ რომანები იტაცებს. მაინც ლამპას წმენდს. ძმისწული მის ხელებს აკვირდება, რომელთა სილამაზე ასე ნათლად ახსოვს. უთრთის, კარგა ხანია რაც შენიშნა. ნანიმ აიღო მამიდას ხელი და, თითქოს ვერ გაუძლოო მოლურჯო ძარღვის ბებრულ ფეთქვას, ხელზე აკოცა. მამიდამ ხელი აიქნია, შეტრიალდა, კარადისკენ წავიდა. ასანთს თუ ეძებს. ღია ფანჯრიდან ოთახში გრილი ჰაერი და დაგუდული ბაასი იღვრება. დიდი ზაზას უფერულ ხმას ნიკოს ტემბრი ახშობს, მკვეთრი და რბილიც, აღბეჭდილი გულდაგულ მამაკაცური მშვიდი ღირსებით.

●

კვირა დილას, ის იყო „ლეუანკები“ აკეცეს და აწრიალებული ნიკო, სიგარეტი რომ გამოლეოდა, პურზე გაქცეულ ბავშვებს აედევნა, ოთახში დიასახლისი შემოვიდა. ხელში ხორციანი შეჭამანდით სავსე მათლაფა ეჭირა. მაგიდაზე დადგა. აჰა, მამიდამ ხომ გუშინ საზამთრო მოუკითხა. იმის საპასუხო თუ იყო. ნათელას წითური თმა რქის შავი სავარცხლით უკან სადად დაემაგრებინა. მუქი მძიმე ქსოვილის კაბა ეცვა, თავაზიანი გრიმასაც მოეშორებინა. სახე დღეს მშვიდი, მეტად სანდომიანი ჰქონდა. ბავშვის საფლავზე ავიდეთო, რომ უთხრა, მაშინღა გაახსენდა ნანის, ეს ავირადღე სოფელში მიცვალებულთა მოხსენიებისაა. მოსაკითხაც ახლა მიუხვდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა იყო.

ორი წელი შესრულდა, რაც ნათელაა ჩვილი დაღუპვოდა. დაეძინა, დილას კი აღარ იყო თურმე. სულ სამ დღეს ჰქონდა ბავშვს სიცხე. ბიჭს ჯერ ენა ეჩლიქებოდა, კუკო რომ შეარქვა. გოგო იყო, ასეც ეძახდნენ.

სასაფლაოზე ავლა დიასახლისმა პირველი საათიანთვის დათქვა. ქმარი დაბრუნდა თუ არა, ნანიმ მათთან ერთად წამოსვლა შესთავაზა. თითქმის შეიცხადა — რაღაც დღენახევრით ჩამოვაულვარ, სასაფლაოზე რა მინდაო. მერე ეზოში იჯდა და დიდ ზაზას, ბრტყელ კეფას რომ წამდაუწუმ იქექავდა, ნარდს ეთამაშებოდა. კამათლიან ხელს ისე ლაღად გაიქნევდა, ეტყობოდა, დღეს იღბლიანი იყო.

პირველს რაღაცა აკლდა, ნანი რომ ბავშვებიანად სახლიდან გამოვიდა. ნათელა და ბიჭი უკვე ქუჩაში იდგნენ. „მომიცათ, მოვდივარო“, — ნიკომ ისე დაიძახა, თითქოს დავიწყებოდათ, წამოსვლა რომ სურდა.

ასეც იცოდა, რომ წამოვიდოდა: სანახაობა იზიდავს. მაგრამ მთავარი დიასახლისია, — ახლა, თითქმის გაუცნობიერებლად, მის მიმართ რაღაც შემწეობის ფორმას ეძებს.

კიდეც აგრილდა. თხელ-ნ თიმთიმა

ლიანა ჯანელიძე
რატომ ტირდა მარიამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლრუბელს ამოფარებული მზე მხოლოდ ბუუტავდა. სასაფლაო ხალისით გამომზირალი ადამიანებით იყო სავსე. საფლავებზე ნაირ-ნაირი ხორაგი ელაგა. საჭმელს მადაზე მოსული ჭირისუფალნი შეექცეოდნენ. საერთო შთაბეჭდილებას აქა-იქ ჯერ კიდევ მოუნელებელი დარდით აღბეჭდილი სახე თუ არღვევდა. ერთ მხარეს, სილრმეში, ქალმა ძველი ქვის ჯვრიანი ზოდებით შემკული სადა საფლავები შენიშნა. მათ ირგვლივ ლონივრად ბიბინებდა მაღალი გაუთელავი ბალახი.

ნათელამ და ბიჭმა გვერდი აუარეს ფაფმარმარილოიან ფართოდ მოცირკეთებულ საფლავს, რომლის შუაგულში, საკმაოდ დიდი კომპანია გაშლილ სუფრას უჯდა. ყანწიანმა მამაკაცმა, თვალები რომ უკვე ცერად გაურბოდა, განსვენებულს — ხელს საფლავის ქვისაკენ იშვერდა — „ჩვენზე უკეთესი ვაჯკაცი" უწოდა. უკეთეს ვაჟკაცს მეტსახელად პანლურა რქმეოდა. ამას წარწერა იუწყებოდა. უცნაური იყო. თან მთელი სურათი ქალს ანაზდად არარეალური, რაღაც მისტიური ეჩვენა: თალხ მარმარილოს ზლუდეში მოქცეული შეზარხოშებული მეინახენი, შავსავე მაგიდაზე დაყრილი აზამთროს ხაშხაშა ნაჭრები და პანლურას თითქოს ნაცნობი სახე, აფუთფუთებულ სასაფლაოს რომ მაღალი კედლის ნათელი სილრმიდან ოდნავ დამცინავი, ყოფნა-არყოფნასთან შემარიგებელი სიმშვიდით გადმოსცქეროდა.

დალმართი ჩაათავეს თუ არა, რკინის ლობეებს შორის ჩაჭედილ სულ ერთ ბეწო ოვალურ, საფლავს წაადგნენ. წვრილი თეთრი ქვით იყო უბრალოდ შემორაგული. ნათელა ჩაიკუნტა და საფლავის ზედაპირზე კამფეტი და რამდენიმე ნაჭერი ნამცხვარი დაალაგა. ბიჭმა სასთუმალთან ვაშლი დადო. ჯიბით თუ მოჰქონდა, თორემ ხელში თითქოა არაფერი სჭერია., სასთუმალი შებათქაშებული აგურისა იყო. ზედ დახშული პირისახის ფერმკრთალი ჩვილის ფოტო ეკრა. „კუკო, პატარა საფინქსი", —გაიფიქრა ქალმა. თავის ძმას ჰგავდა.

დიასახლისი თეთრად მოხიმხული ოვალის გვერდით ლოდზე ჩამოჯდა. მძიმე ხელები მუხლებზე დაიწყო, თავი ჩაქინდრა. ერთხანს ასე იდგნენ. მერე ჩუმი, გაბმული წკმუტუნი შემოესმათ. ნანი აღელდა, ქმარს შეხედა... ნიკო მის წინ ჩაცუცქულ ქალს თავზე ადგა. თმაზე ხელი არ გადაუსვასო გაიფიქრა, დიასახლისი იუცხოებდა, ვერ გაეგო ეგებ. როგორ იყო, რომ ამ მამაკაცი გარდა სახვათა შორის მას აი ეს სახებაც მიეცა. როგორ შეთვისებულიყო ის რაღაც ბრმად მბორგავი და არსებითად უკეთური, რაც მათზე ასე ჩვეულად წვრილწვრილად ძალმომრეობდა, ამ მეორე აშაარა სულთან. კაცს სხვისი ვარამ-საატივარიაკენ რომ მიერეკებოდა ხოლმე.

უკან სასაფლაოთი აღარ წამოსულან. ბიჭმა ციცაბოთი ჩაირბინა და მოკლეზე გაიყვანა. ორიოდ წუთში ყველანი უკვე შარაგზაზე იდგნენ. თვითონ გაუჩინარდა. ნანიმ მიმოიხედა, ბიჭი აღარსად იყო. მერე გზის ნაპირს გაუყვნენ. ფართო შარაზე ტრანსპორტი ორივე მხრით ისეთი სიჩქარით მოძრაობდა, სახეში ქარი სცემდათ. წინ დიასახლისი მიდიოდა. მჭლე, თითქოს ნათხოვარ ფეხსაცმელში წაყოფილ ფეხებს ძიწაზე მაგრად, ქუსლზე დაბჯენით ადგამდა. ამ სიარულში, ისევე როგორც პატარა ცქაფი სხეულის დაძაბულ მიმოხვრაში, რაღაც უსაათო, ბედთან გაძალიანების სიმხნევე იყო. „ვალიკო ნეტა სად დაიკარგაო", — გაიფიქრა. არც გოგო ჩანდა, არც ბებერი. ასფლავზე „ხაზეინი" რომ ვერ დაინახა, მაშინ მოაგონდა წუხანდელი სცენა. ღამით მკვეთრმა, თვალებში მობჯენილმა სინათლემ გამოაღვიძა. ქუჩის ლამპიონი აბდღვრიალებულიყო. ხმაც მოესმა. ფანჯრიდან გაიხედა. ლამპიონის ქვეშ ვალიკო ქანაობდა. დღისით რომ ნანის თვალში მოხვდა. ის პერანგი ჩამოძენძეოდა, ვიწრო მკერდზე მჩვარივით ეკიდა. ქუჩის გაყოლებით ვილაცას აგინებდა, მუშტს უღერებდა. იქით ქალმა ორი სოლიდური შესახედაობის პორთფელიანი მამაკაცი დალანდა. აქეთ არ მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავთ, თვალს ისე მიეფარნენ. მაშინღა შეამჩნია დიასახლისი — ტყემლის ჩრდილში მდგარა. ახლა წამოვიდა. ვალიკომ შენელებული მუშტი მოუქნია, ააცდინა. მერე, ცოლმა რომ მანქანით მოზიდა, იმ ქვიშის გროვასთან იდგა, ქვიშას ფეხს უშენდა. წაბარბაცდა და იქვე გაიშხლართა. ნათელა შეეყუდა, ალაყაფისაკენ ბორძიკ-ბორძიკით წამოიყვანა...

●

სწორედ იმ ვიწრო მორკალულ მოსახვევს მისდგომოდნენ, სადაც გზა აღარ ჩანდა და მანქანები ალალ-ბედზე უხვევდნენ ხოლმე. წითელმა მსუბუქმა მანქანამ, თითქოს ქეთოს ზურგს ამოჰფარებოდაო — წკიპზე ჩაუქროლა. ქალმა ბავშვი გზის პირას, შემაღლებულზე, შეაგდო. ქეთო ფერდობს შეაცოცდა. რომ გამობრუნდა, ხელში თეთრ-ლილისფერი სიფრიფანა ყვავილი ეჭირა. ქალმა უსიამოდ შეხედა, ცოცხალი ყვავილის მოწყვეტა არ უყვარდა, სწყინდა თითქოს. შვილს აღარაფერი უთხრა. შეკითხვას მოელოდა, რა ყვავილიო (ბავშვი ხომ სიტყვას, როგორც თვით საგნის საიდუმლოს, ისე ეწვალებოდა ხოლმე), გაუჩუმდა — თავი დაიცვა.

— დედა, მაინც რატომ ტიროდა ის... მარიამი?

ბავშვი ერთხანს ჩუმად მოდიოდა. ხელში ყვავილს ატრიალებდა და ქალიც, ისევ იმ შიშზე გადაერთო, გზის ეს აშკარად სახიფათო მონაკვეთი ბავშვებიანად როგორმე მშვიდობით გაევლოთ. შეკითხვა კი, მართლაც, მოულოდნელი იყო. ესეც ექსკურსია სასაფლაოზე... თეთრი კენჭით მონიშნული კუკოს ერთი ბეწო სამკვიდრებელი და იქვე ჩაკუნტული ქალის საწყალობელი წკმუტუნი. ამ შთაბეჭდილებას რომ ბავშვი არ აპატიებდა, ქალმა იცოდა კიდეც. ოღონდ ამდაგვარ შეკავშირებას, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა. უთუოდ, ეს ვალის ამოღებაც იყო. აკი ამავე შეკითხვას ერთხელ უკვე წაუყრია. მაშინ მისი ძმა-თადარიგე მეუღლე, სწორედ თავის ამპლუაში რომ იყო, უნებლიეთ შეეშვალა: ბავშვს ტიციანის ალბომი ხელიდან გამოგლიჯა და კარადაზე შეაგდო. მერე უცებ წამოვიდნენ. ქვემოთ პატარა ავტობუსი იცდიდა. ქმარს კარი უკვე ჩაეკეტა და ახლა „საიდუმლო საკეტს" უკირკიტებდა, ქალს რომ ტიციანი მოაგონდა — დაიმტვერებაო — კარადის თავზე დარჩა...

გონებაში პასუხის რამდენიმე ვარიანტმა გაურბინა, არც ერთი არ ვარგოდა. იმიტომ კი არა, რომ შვილი მაინცდამაინც ვერ მიუხვდებოდა სათქმელს. როგორ აეხსნა ბავშვისათვის ის, რაც მისთვისაც უფრო გრძნობადი იყო, ვიდრე ცნობიერი და მერე... როგორ ექცია უბრალო მოსაყოლ ამბად სუფევა იმ სიტყვისა, რომელიც ბავშვს თავის წიაღში ეგების სულ სხვა, დედისთვისაც დაფარული გზით მიელოდა.

აკვერი გამოჩნდა თუ არა, შარაც გაიშალა. ლუდის ფარდულთან, გუშინ ვალიკოს რომ ებაასებოდა, ისევ ის თავბუკა კაცი იდგა. გაღეღილ პერანგში მუქად შებანჯგვლული მკერდი უჩანდა. ფარდულის უკნიდან შავი ნაგაზი გამოცუკცუკდა და მსხვილთავას ფერხთით ჩაჯდა. კაცმა ძაღლს ეეხვის ნაჭერი დაუგდო, გვერდზე გადააპურჭყა. ერთმანეთს აშკარად წააგავდნენ. მხოლოდ მიახლოებისას დაინახავდი, გამომეტყველებით რომ მკვეთრად განსხვავდებოდნენ. კაცი თვალწვრილი იყო, ძაღლს კი თითქოს სევდაა ნაჩვევი. რაღაც ახვა სიკეთით გამთბარი თვალები ჰქონდა.

ბავშვმა (შეკითხვა თუ ისევ მერმისისათვის შემოინახა) ნაბიჯი შეანელა, ამ ორს დააკვირდა. მოდია და არც მოდის. უფრო უკან-უკან იყურება. მამამისმა მოუხედა. ქეთოო. შეუძახა მჭახედ, არ უყვარს პირდაღებულები. როდესაც ქმარი ააამელს არ ეტანება, მექანიკური რიტმის ფასი იცის და მისდამი პატივისცემით მძიმედ იმსჭვალება ხოლმე.

ეზოში დიასახლისის გოგო დაუხვდათ. დღეს მუშაობდა თურმე. ქალაქში ყო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილიყო. ნანის გულსაკიდი მოხვდა თვალში, მომსხო, კარგი ნაკეთები. კაბასაც ესადაგებოდა. გოგო „ჩამცმელი“ იყო. სალამოს სახლში ავტობუსით გვიან ბრუნდებოდა. მოიშილიფებდა და ჩანთაში ჩაკეცილ თეთრ ხალათს ამოიღებდა. გარეცხავდა, მერე თავდახრილი დიდხანს აუთოვებდა. მერე პატარა ლალისფერ შუშას წინ დაიდგამდა და ისევ თავდახრილი ფრჩხილებს იკეთებდა. ან შეღამებულში ეზოში სკამზე იჯდა და გზას გაჰყურებდა. ალიონზე თეთრ ხალათს ჩანთაში ისევ ჩაკეცავდა და მოიკაზმებოდა. ალღო ჰქონდა, მაგრამ გემოვნება, ანაზდად, რაიმე დეტალში უღალატებდა ხოლმე.

გოგოს ახლა მოდური მოსასხამი ეჭირა ხელში. ნანიმ ერთი თვალი დაჰკრა, თვითონ რომ კაი ხანია დაეძებდა, სწორედ ისეთი. დიასახლისი ხარისხს ხელით უსინჯავდა. ეზოში მის მიერ გაჭედილ სკამზე ისხდნენ, ირგვლივ ქათმები წიოკობდნენ. ბოლოს ხმას აუწიეს — მაინც ფულის ანგარიში იყო...

მამიდას სახელდახელოდ მჭადი და ხაჭაპური დაეცხო, ნიგვზიანი ფხალიც ლილის რეცეპტით გაეკეთებინა. ნანის საყვარელი სუფრა იყო, მისი მეუღლე კი აზიზად ეზიარა. ახლა თბილისში ჩავა და პირველსავე სასადილოში დაეხარბება სუნიან ქაბაბს.

მერე ნიკოს მოტანილი საზამთრო ისევ ჭამეს. ჭეშმარიტად ნიკოსი იყო, სწორედ ის სიტკბო ჰქონდა, მის მიყურადებულ წკიპურტს რომ არ გამოეპარებოდა.

გამოთხოვებისას შეეტყო მამიდას, წყენა ვერ მოენელებინა. ნიკო მოეხვია, თან ნანის თვალი ჩაუკრა, ვითომ „აზნოუშვილება“ იქით ვცეთ პატივიო. მამიდამ თავი როგორღაც უხერხულად გამოინთავისუფლა, არც შეხედა, თვალები დაეხარა.

მერე ბაქანზე იდგნენ და ნიკოს ავტობუსს ელოდებოდნენ. „ნუთუ ქალბატონო, ვერ ჩამობრძანდებითო?!“ ... დაუოკებელი რომ იყო და, ესე იგი, უნებლიეთ ერჩოდა, ყოველ მოძრაობაში, ბავშვებთან ურთიერთობაშიც კი სულ ეტყობოდა.

მალე პატარა, ნაცრისფერი ავტობუსი ჩამოდგა. რომ დაიძრა, მათკენ აღარ გამოუხედავს. გვერდით იმოდენა ქალი უჯდა, ნიკოს პროფილს ფარავდა კიდეც.

ქეთომ, „ჩვენს ბაღში“ წავიდეთო. ქალს გაახსენდა ის სივრცე, ჩუმი სიმწვანე. საგუშაგოები დაითვალა — გვიანღაა, ძლივს დაიყოლია ბავშვები, რომ აქვე, ზემო წიწვნარში ასულიყვნენ.

უშველებელმა, ჟანგიანი მილებით დატვირთულმა მანქანამ ჩაუარათ. მილები იმ სიგრძე იყო, მანქანა უკვე მოსახვევს მისდგომოდა, აგერ ნაძვს რომ წიწვი შეალესა. გირჩა ჩამოცვივდა. ქეთომ ერთი აიღო, ხელისგულზე დაიდო. პატარაც დაიხარა, მერე უცბ წამოხტა და პეპლების საჭერით, ეს ორი დღეა რომ არ იშორებდა, წინ გაექანა. შეღრმავებულს მიადგნენ. აქ, ალბათ, თხრილი იყო. ახლა კი ბალახეულით დაფარულა. ქალი ფერთა სინატიფემ გააოცა. როგორ გადარჩენილიყო ეს უნაზესი სუნთქვა ამ თითქმის ბორბლების ქვეშ მოქცეულ პატარა ყვავილეთში. ისევ ნუგეში გაისმა! მელოდია ჟღერდა. პეპლებიც ტურფად ფრენდნენ. ნანიმ პეპლების საჭერი ბავშვს გამოართვა და ტარი ძალით მოქაჩა. ვერ მოერია, მერე ერთი დაატრიალა და ისე ამოაძრო. ბავშვი სახტად დარჩა. ტირილიც ვერ მოესწრო — ქალმა რგოლზე წამოცმული წითელი ბადე ჩაჩივით თავზე დააკოსა.

გზაში აზლუქუნდა. წიწვნარში რომ შედიოდნენ, ზემო, მეჩხერ ტოტებში ჯერ კიდევ ბაცი სინათლის ზოლი ესვენა. ქვემოთ კი ჰაერი ჩამუქებულიყო. ქალი კვერცხის ნაჭუჭით შეჭრელებულ ბორცვზე ჩამოჯდა, ბინდს გახედა. ბავშვები იქით იყვნენ. იქით უმცროსის ახლა უკვე დამშვიდებული ღუღუნი ისმოდა და ხეებს შორის წითელი მოძრავი ლაქა გამოკრთოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი ლექსი

მიხეილ აბრამიშვილი

—

ზღვაო, შენი ერთი წვეთი,
მერე შენ და შენი ღმერთი.
მიწავ, ერთი პურის ყუა,
სადმე საპოვნელი თუა.
ცაო, შენი ფერი, ლურჯი,
ოდნავ ამოვავლო ფუნჯი.
მზეო, შენი ერთი სხივი,
გამჭოლი და მრავალმხრივი.
სულო, ერთი ორი სიტყვა,
რაც არ თქმულა, რაც არ ითქვა, —
მერე?!. ვაგლახ, სანატრელო
აღარ მრჩება არაფერი!

ზაქრო კეჟერაძე

—

აღფრთოვანებული ხელები

ხელები, — რა თქმა უნდა, —
ანათებენ,
ხელები აგრე მხოლოდ
მშვიდდებიან...
ხელები ლაჟვარდებში მამაღლებენ,—
ხელები ლაჟვარდებში მიმერთვიან!—
ხელები, ხელები იმდენია...
და ყველგან აღტაცებით მიმელიან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ კობიძე

თეთრკაბიანი გოგონა

ასეთი რამ ადამიანს მხოლოდ კუროორტზე თუ დაემართება. მოცალეობის ჟამს. მე ეს ამბავი კისლოვოდსკში გადამხდა.

საქმე არაფერი მქონდა. სანატორიუმის მახლობელი აღმართ-დაღმართები მოვილიე და რკინიგზის სადგურისკენ გადავუხვიე. აქ პერონზე გასასვლელად ქვის კიბეები უნდა ჩაიარო. ის კიბეები ჩათავებული არა მქონდა, რომ მარცხნივ, ბილეთების სალაროსთან, ვიღაც მზემოკიდებული, თეთრკაბიანი ქალიშვილი დავინახე. ოცდაოდე წლის თუ იქნებოდა. იდგა, ქერა და ლურჯთვალება, და თავის რიგს მორჩილად ელოდებოდა.

უცნობ ქალებს ქუჩაში არასოდეს ავტორლიალებივარ. მაგრამ ამჯერად რატომღაც არ იქნა და ისიც კი ვერ მოვახერხე, რომ ქალიშვილისათვის მზერა მომეწყვიტა და ჩემი გზით წავსულიყავი. კიბის მოაჯირს მივეყრდენი და გავირინდე.

ჩემსა და იმ ქალიშვილს შორის მანძილი ოცდაათიოდე ნაბიჯი იქნებოდა. მის სახეს ხეირიანად ვერც კი ვხედავდი. ქერა და ლურჯთვალება რომ იყო, ეს უკვე გითხარით. ოდნავ სავსე, ლამაზად ჩამოქნილ, მზემოკიდებულ სხეულს თეთრი კაბა ძალიან უხდებოდა და, ალბათ, ამან მომნუსხა. ვიდექი, ვცდილობდი, გარშემო მოზიმზიმე ხალხს არაფერი შეემჩნია და გოგონას ვუჭვრეტდი.

ბილეთების რიგში სულ ათიოდე კაცი და ქალი თუ იდგა. გოგონას რიგმა მალე მოუწია. დაიხარა, სალაროს სარკმელში შეიხედა, მოლარეს ღიმილით რაღაცა უთხრა და ფული გაუწოდა; ბილეთი გამოაწოდეს. ღიმილითვე გამოართვა და გამოტრიალდა. უეცრად თავში გამიელვა, თუ ჩემსკენ წამოვიდოდა და გვერდი ამიარა, უთუოდ გამოველაპარაკები-მეთქი. მაგრამ შეჩერდა, ღიმილი ჩაიქრო, ბილეთი კაბის ჯიბეში ისე ჩაიდო, რომ ზედ არც კი დაუხედავს და პერონისაკენ გაუხვია. გრძელ, ყვითელ სკამთან მივიდა, ჩამოჯდა, მუხლებზე კაბა გაისწორა და გულხელი დაიკრიფა. აშკარა იყო, რომ მატარებელს ელოდებოდა და მანამდე საქმე არაფერი ჰქონდა.

კისლოვოდსკიდან სადგურ მინერალური წყლებისაკენ ელექტრო-მატარებელი ყოველ ნახევარ საათში გადის. გოგონას საყურებლად დიდი-დიდი, ოცდახუთი წუთი მრჩებოდა. რა თქმა უნდა, შემეძლო, მეც იმავე მატარებელში ჩავმჯდარიყავი და თუნდაც მინერალურ წყლებამდე გავყოლოდი, მაგრამ... შეეფერება კი ასეთი საქციელი ჩემი ასაკის ადამიანს? გარდა ამისა, ის ელექტრომატარებელი, განსაკუთრებით ნაშუადღევს, ხალხით ისე გაიჭედება ხოლმე, რომ ქალის ჭვრეტა კი არა, სულის მოთქმაც კი ჭირს. ბედს შევურიგდი. გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავწყვიტე, ისევ ოც-ოცდახუთიოდე წუთს ვიკმარებ-მეთქი და მოაჯირს უფრო მოხერხებულად მივეყრდენი.

კისლოვოდსკში ყოველი მეორე კაცი მოცლილია. ლამაზი და მოხდენილი ქალიშვილი კი, უპირველეს ყოვლისა, მოცლილების ყურადღებას იპყრობს. ამიტომ სულაც არ გამკვირვებია, როცა ჩემს თეთრკაბიან გოგონას ორმა, მოდურად, ჯინსებსა და წარწერებიან მაისურებში გამოწყობილმა, ჭაბუკმა რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა. ჩაუვლიდნენ, უტიფრად შიგ სახეში მიაჩერდებოდნენ და გზას ისევ გააგრძელებდნენ ხოლმე. გოგონას რამდენიმე ნაბიჯით რომ გასცდებოდნენ, ის ჭაბუკი, რომელიც მხარმარცხნივ მიდიოდა, — უფრო დაბალი, შავგვრემანი და ჩასუქებული, — უკან მიიხედავდა ხოლმე და თავის ამხანაგს რაღაცას წაულაპარაკებდა. მაშინ გოგონასაკენ ის მეორეც — მაღალი, გამხდარი და ქერაც მიიხედავდა და გაიღიმებდა. მოტრიალდებოდნენ, გოგონას ახლა აუვლიდნენ და ყველაფერი ისევ თავიდან მეორდებოდა.

ეს ყველაფერი სამჯერ თუ ოთხჯერ გამეორდა. გოგონამ ეს შეამჩნია, მაგრამ აინუნშიც არ ჩაუგდია, წინანდებურად გულხელდაკრეფილი, მშვიდად იჯდა: ერთხელ კიდევ დაამთქნარა, ტუჩებზე ხელი მიითათუნა და იქით გაიხედა, საიდანაც მინერალური წყლებიდან მომავალი მატარებელი უნდა გამოჩენილიყო.

მეოთხე თუ მეხუთე გზობაზე ჭაბუკებმა რაღაც გადაწყვიტეს. სკამს სწრაფად მიუახლოვდნენ და გოგონას ერთი მარჯვენა მხრიდან მიუჯდა, მეორე კი — მარცხნიდან. მაღალმა და ქერამ ჯინსის უკანა ჯიბიდან ვარდისფერი მიხაკი ამოაძრო (რას ან ნახავს ამ ქვეყნად ადამიანი!), გოგონას გაუწოდა და ღიმილით რაღაც უთხრა.

გოგონამ მხრები აიჩეჩა, გაიღიმა და თავის გაქნევით ყვავილზე უარი განაცხადა.

ჭაბუკებს შეერთომა და დამორცხვება სულაც არ დაატყობიათ გამოცდილები გამოდგნენ. ჯინსის უკანა ჯიბეზე ახლა მეორე — დაბალმა და შავგვრემანმა ჭაბუკმა იკრა ხელი, სისხლივით წითელი მიხაკი ამოაძრო და გოგონას გაუწოდა. გოგონას ახლა კი მხიარულად გაეცინა, მაგრამ მიხაკზე მაინც თავის გაქნევით უარი განაცხადა.

დაბალმა და შავგვრემანმა თავისი სისხლისფერი მიხაკი ხელში უაზროდ შეატრიალა. თავისი ვარდისფერი მიხაკი ხელში ასევე უაზროდ შეატრიალა მაღალმა და ქერამაც. ერთმანეთს დაბნეულად მიაჩერდნენ. მერე ორივენი წამოდგნენ, გოგონას უკიდურესი გალანტურობით თავები დაუკრეს, ღიმილით რაღაც უთხრეს და სადგურის მეორე მხარეს, ქუჩაზე გავიდნენ. ათიოდე ნაბიჯიც კი არ ექნებოდათ გადადგმული, რომ იმ გოგონას არსებობა სულაც გადაავიწყდათ: მოსახვევიდან გამოსრიალებულ ტაქსს ხელების ქნევით რაღაც მიაყვირეს, ჩასხდნენ, კარი მიიჯახუნეს და ქვევით, ბულვარისაკენ გაქანდნენ.

გოგონა ისევ თავის სკამზე იჯდა. იმ ჭაბუკების არსებობა აღარც ამას ახსოვდა. ყოველ შემთხვევაში, თავის მაჯის საათზე იალიან მშვიდად დაიხედა, მერე სადგურის საათს გაჰხედა, რისთვისაც ოდნავ უკან გადახრა დააჭირდა, და ისევ გულხელი დაიკრიფა.

სადღაც გამიგონია, თუ წამიკითხავს, საზოგადო ადგილას გულხელდაკრეფილი ჯდომა და დგომა მაინც და მაინც კარგი ტონი არ არიაო. არ ვიცი, არც ის ვიცი, კარგი ქცევისა და თავდაჭერის კოდექსი ვინ და როდის შეადგინა. ამას კი გეტყვით, რომ იმ გულხელდაკრეფილ გოგონაზე უფრო საამო საჭვრეტი ჩემს ცხოვრებაში ბევრი არაფერი შემხვედრია და, ჩემს ხელთ რომ ყოფილიყო, იმ წუთებს ალამომდე მაინც გავიგრძელებდი.

მოგეხსენებათ, კურორტზე უცხობ ადამიანთან გამოლაპარაკება მაინც და მაინც დიდ ცოდვად არ ითვლება. თუ

რამაზ ქოგბიძე
თეთრკაბიანი გოგონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენა შესიტყვებაზე ღიმილით გიპასუხეს, მეტი საჭიროც აღარაფერია. სულ ადვილი შესაძლებელია, რომ იმ ადამიანთან ერთად, რომლის არსებობაზეც ნაშუადღევის სამი საათისთვის წარმოდგენაც კი არ გვქონდა, იმავე საღამოს ფილარმონიაში წახვიდეთ და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ ორკესტრს მოუსმინოთ, ან რესტორანში შეუხვიოთ და აქაური ოფიციანტების ისედაც აწეწილ ფინანსებში კიდევ უფრო მეტი ქაოსი შეიტანოთ. ასეთი შემთხვევით ნაცნობობა მერე ხშირად წლობით გრძელდება და, თუ ამ ალიანის მონაწილეობას დავუჯერებთ, ორივე მხარეს ბევრ სიხარულს ანიჭებს...

ხოლო თუ არ გაგიმართლდათ და თქვენს შესიტყვებაზე სასურველ პასუხს ვერ ეღირსეთ, ნურც ეს დაგაღონებთ. უბრალოდ, თქვენთვის არ ეცალათ, სხვას ელოდებოდნენ. ვიღაცას უერთგულეს ბოლოსდაბოლოს, ამის უფლება ყველას აქვს. თქვენ ჭიქა ნარზანი იგემეთ, ცოტა კიდევ გაისეირნეთ და დაელოდეთ, სანამ ახლა ვინმე თქვენ თვითონ აქეთ არ შეგესიტყვებათ. არა მგონია, დიდი ხნის ლოდინი დაგჭირდეთ.

ის ორი ჭაბუკი, წეღან იმ თეთრკანიან გოგონასთან გამოლაპარაკება რომ სცადეს, სწორედ ისე მოიქცნენ, როგორც საკურორტო ქცევის კოდექსი მოითხოვს. გოგონამ მათთან ნაცნობობა არ ისურვა? კეთილი და პატიოსანი. კარგად ბრძანდებოდეს! ჭაბუკები საითმე გაისეირნებენ, და იქნებ მათთან ნაცნობობა ვინმემ უფრო უკეთესმაც კი ისურვოს. მორჩა და გათავდა.

მე კი ერთ ადგილზე ვიდექი და თეთრკაბიანს ნაძალადევი გულგრილობით მივჩერებოდი. წინა კაცი უკანას ხიდიაო. თუ ის ჭაბუკები თავიდან მოიშორა, მე რაღა წითელი კოჭი ვიყავი? არც კალმით ნახატი ვაჟკაცი მეთქმის, არც დიდად ენაწყლიანი გახლავართ, და არც დათაფლული ლაპარაკი მჩვევია, ქალებს რომ აჯადოებს ხოლმე.

ჰოდა, ჯანდაბას! თავი იმით ვინუგეშე, რომ საქმე არაფერი მქონდა და არსად მეჩქარებოდა. საცა იყო, მატარებელიც ჩამოდგებოდა: გოგონას ბილეთი უკვე ჯიბეში ედო, ვაგონში ავიდოდა და ადგილს დაიკავებდა, ელმავალი იბღავლებდა და — მშვიდობით! ამ პატარა დარდსაც ისე მოვინელებდი, როგორც ბევრი უფრო დიდი და მწვავე სატკივარი მომინელებია.

სანამდე მე ამ ფიქრებში ვიყავი, გოგონას სკამს ვიღაც მაღალი და ჩასუქებული შუაზიელი მიუახლოვდა. შუაზიელს იმიტომ ვამბობ, რომ შავი თვალები ჰქონდა, ღაწვმაღალი, უფერული, თითქმის ნაცრისფერი სახე, სუფთად გადაპარსულ თავზე კი ჭრელი „ტუბეტეიკა“ ეკოსა. სკამზე მძიმედ დაეშვა, პიჯაკის ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, გაშალა და კითხვას შეუდგა. ძალიან დინჯად, საკუთარი ღირსების გრძნობით იქცეოდა. იქნებ, უკეთესიც კი ყოფილიყო, ის საკუთარი ღირსების გრძნობა ცოტათი ნაკლები რომ ჰქონოდა. ქალიშვილისაკენ ერთხელაც არ გაუხედავს. მის არსებობას საერთოდ ვერ ამჩნევდა. ქალიშვილმა მაინც საჭიროდ სცნო, წელში გამართულიყო და მუხლებზე კაბა გაესწორებინა. და აღარც გულხელი დაუარეფია: მარჯვენა ხელის იდაყვით მარცხენა ხელისგულს დაეყრდნო, რომელიც კალთაზე ედო, ლოყა კი მარცხენა ხელისგულზე დაასვენა და ასე გაირინდა.

მაგრამ ეს მეზობლობა სულ ერთ წუთს თუ გაგრძელდა. პერონის მეორე, შორეული ბოლოდან რამდენიმე კაცის ხმამაღალი შეძახილი მოისმა. იქ ისეთივე ღაწვმაღალი, შავბლუზა და „ტუბეტეიკიანი“ შუაზიელები შეგროვილიყვნენ და ამას, გოგონას მეზობლის, ყვირილითა და ხელების ქნევით თავისკენ უხმობდნენ. გოგონას მეზობელმა ყურად იღო თვისტომთა მხურვალე მოწოდება. მათ თავი ჭეშმარიტად ეპიკურეული სიმშვიდით დაუქნია — ამ დროს სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შეტოკებია, — წამოდგა, გაზეთი გულდასმით დაკეცა და ისევ პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო, — ეს თავისუფლად შეეძლო გზადაგზა გაეკეთებინა, — და დინჯი, აუჩქარებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბიჯებით თვისტომთან წავიდა. ისინი გარშემოეკიენენ და ხელების ქნევითა და ხმამაღალი შეძახილებით რაღაცის მტკიცება დაუწყეს. მან თავი რამდენჯერმე დინჯად დააქნია. მერე ხელი ჩაიქნია და იქით, პერონის ბოლოსაკენ გაალაჯა. დანარჩენები ისევ ხელების ქნევითა და ხმამაღალი შეძახილებით უკან დაედევნენ: მალე მთელი ჯგუფი თვალს მიეფარა.

მთელს ამ ოროომტრიალს მხოლოდ ის მოჰყვა, რომ გოგონამ ისევ გულხელი დაიკრიფა და სკამის ზურგს მიაწვა.

მე ისევ კიბეზე ვიდექი.

ალბათ, მიმხვდარი ბრძანდებით: იმ წუთებში არაფერი ისე არ მინდოდა, როგორც იმ ქალიშვილის გაცნობა, იმ ორი წეღანდელი ბიჭის მარცხი უკვე აღარ მაფიქრებდა. ყვავილები კი შესთავაზეს, მაგრამ ის ყვავილები შარვლების უკანა ჯიბეებიდან ამოაოვრეს, რაც უკვე დიდი უნამუსობაა. მაგრამ ეს ეც არ იყოს, ვინ იცის, როგორი სიტყვა-პასუხი ჰქონდათ, როგორ როყიოდ გამოელაპარაკნენ. მე მათი სიტყვები ხომ არ მესმოდა. მათ ქალიშვილს თავი ვერ მოაწონეს და იმანაც გზა დაულოცა. ეს კი სულაც არ მოასწავებს იმას, თითქოს ამ ქალიშვილს ცოცხალ ქვეშეთში საერთოდ არავის გაცნობა არ სურდეს და ამ წუთისოფლის გალევას ალბ მარტოკა აპირებს. რატომაა გამორიცხული, რომ ბედი სწორედ მე გამიღიმებს?

მაგრამ მაინც რა უნდა მექნა? როგორ გამოვლაპარაკებოდი? აკი გითხარით, არაფოდეა ჩემს სიცოცხლეში ეს არ გამიკეთებია, თუმცა-ღა უთვალავჯერ მიხახავს და გამიგონია. სხვები ამას როგორ უბრალოდ, უშუალოდ და ძოხდენილად აკეთებენ. მე ამისი ნიჭი, ალბათ, ღმერთმა არ მომცა. გამუდმებით იმაზე ვფიქრობდი, საცაა, მატარებელი ჩამოდგება, გოგონა ვაგონში თავის ადგილს დაიკავებს, სამიოდე წუთის შემდეგ მატარებელი ისევ მინერალური წყლებისაკენ გაქანდება და ამ გოგონს სამუდამოდ დავკარგავ-მეთქი. თუ დამიჯერებთ, ამ მოსალოდნელ განშორებას პირდაპირ უმძიმეს დანაკლისად განვიცდიდი. თითქოს ჩემს ფიგურებს ადასტურებს, სადგურს ელექტრომატარებელი მოუახლოვდა. მწვანე მკერდზე წითელხაზიანი ელმავალი შემოიჭრა და პერონის გასწვრივ გრეელი შემადგენლობა ჩამოაყენა. მთელი სადგური ხმაურით, შეძახილებით, გნიასით, სიცილ-კისკისით და კიდევ ათასგვარი ხმებით გაივსო. ჩემს ქალიშვილს თითქმის ველარც ვხედავდი — თვალის ყოველ დახამხამებაში აქეთ თუ იქით მორიალე ჩამომავლელნი, დამხვდურნი თუ წამსვლელნი ეფარებოდნენ. მაგრამ რაც მერე დავინახე, იმან საგონებელში ჩამაგდო. მატარებლის ჩამოდგომისას ქალიშვილი არ აფუსფუსებულა და სხვა წამსვლელებივით ვაგონების შესასვლელება არ მივარდნია. ისევ ისე მშვიდად და აუღელვებლად იჯდა. ერთიორჯერ მაჯის საათზე დაიხედა. მე ისიც აი ვიფიქრე, სადგურის საათს, ალბათ, არ ენდობა-მეთქი. მერე, პერონზე ხალხი რომ ცოტათი შეთხელდა, მშვიდად წამოდგა, პერონი გადასჭრა, ქუჩია ნაპირას მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაეშვა, ერთი წუთის შემდეგ მეორე მხარეს ამოვიდა და ფილარმოგანიერი კიბეებია პირდაპირ ჩამწკრივებულ მეყვავილეებს მიუახლოვდა.

აქ ვარდები, მიხაკები, ქრიზანთემები თუ გლადიოლუსები დღე-ღამის ყოველ დროა იყიდება. ყვავილები საკმაოდ იაფია და საამიოდ ფული ქალიშვილს ნამდვილად ექნებოდა. მაგრამ როგორ უნდა მოესწრო ყვავილების ყიდვა და მატარებელზე მობრუნება? ან, თუ ყვავილების ყიდვა უნდოდა, რაღა მატარებლის ძოსვლას დაელოდა?

მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა, რომ ქალიშვილი არც ყვავილების ყიდვას აპირებდა და არც მატარებლით გამგზავრებას. იგი მეყვავილეთა უგრძესი მწკრივის თავში მდგარ ხანში შესულ, ზონზორობა დედაკაცს მიუახლოვდა, ყვითელ ჩაის ვარდებს რომ ჰყიდდა, დაიხა-

---

რამაზ ჯობიძე
თეთრკაბიანი გოგონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა. ვარდები დაყნოსა და დედაკაცს ღიმილით რაღაცა ჰკითხა. დედაკაცმა გულგრილად ხელი ჩაიქნია და რაღაც ცალყბად უპასუხა. გოგონა არ მოეშვა და იმავე ხალისიანი ღიმილით კიდევ რაღაცა ჰკითხა. დედაკაცის სახეზე გაკვირვება გამოისახა. დედაკაცი დაიხარა, თავის ვარდებს თითონვე უსუნა, ჩაიცინა და ხელი ისევ წელანდელი გულგრილობით ჩაიქნია. გოგონაც იცინოდა. მერე დედაკაცს რამდენჯერმე თავი დაუქნია, ალბათ დამშვიდობების ნიშნად, მოტრიალდა, სადგურის მიმართულებით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და წამსვლელებით გაჭედილ, წასასვლელად გამზადებულ მატარებელს მიაჩერდა.

არა, ის ამ მატარებლით წასვლას არ აპირებდა.

კაცმა რომ თქვა, დიდად მოულოდნელი და გაუგონარი ამ საქციელში სრულიად არაფერი იყო. აქ სალაროში რომ ბილეთს შეიძენთ, იმ დღეს ღამის თორმეტ საათამდე შეგიძლიათ, რომელ მატარებელსაც გინდათ, იმას გაჰყვეთ. ამისი სრული უფლება გაქვთ. გოგონას, ალბათ, არ ეჩქარებოდა და მეორე, მესამე ან სულაც მეშვიდე მატარებელს მიჰყვებოდა. ეს კი ინის მომასწავებელი იყო, რომ მე საკმარისი დრო მექნებოდა საიმისოდ, რომ, თუ, ვაჟკაცობა მეყოფოდა, გოგონას გამოვლაპარაკებოდი და გამეცანი თუ, რა იქმა უნდა, მისი ნებაც იქნებოდა. თავში სწორედ ეს აზრი მიტრიალებდა: ბედი გწყალობს და ხელს ნუ ჰკრავ, რა ვუყოთ, რომ უცნობ ქალს ქუჩაში არასოდეს გამოლაპარაკებიხარ, ოდესმე რომ გაბედო-მეთქი...

უცბად ყველაფერი გადავწყვიტე. კიბეები ჩავირბინე, პერონი გადავჭერი და მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავეშვი. ახლაც ის მიკვირდა, ამდენ ხანს როგორ ვყოყმანობდი, რა დიდი საქმეა ვიღაც გოგონასთან გამოლაპარაკება, ბოლოს-დაბოლოს, თუ არ ამყვა, იმ წელანდელ ბიჭებს მივბაძავ, აინუნშიც არაფერს ჩავაგდებ და ჩემს გზას დავადგები-მეთქი.

როცა ქუჩის მეორე მხარეს ავედი, გოგონა ისევ იმ მეყვავილე დედაკაცს ელაპარაკებოდა. რაღაცაზე ორივეს ეღიმებოდათ. ჩემს სმენას გოგონას ხმაც მოსწვდა — საამო, წკრიალა და ახალგაზრდული, და მეყვავილე ქალისაც ხრინწიანი, ბოხი და ბებრული. რატომღაც ასეთი გრძნობა გამიჩნდა, ახლა რომ ქალიშვილს გამოველაპარაკო, კაი, თუ იმ ბერიქალს არ ესიამოვნოს და რაიმე უხეში მაკადროს-მეთქი. სიბერეში შესულ ქალებს მაინცდამაინც არ უყვართ, როცა მათი თანდასწრებით ახალგაზრდა ქალისადმი ყურადღებას იჩენენ. ბულვარისაკენ ათიოდე ნაბიჯი გადავდგი, იმ ვარაუდით, აქ შორიახლო ვისეირნებ, ისე, რომ ქალიშვილი მხედველობიდან არ დავკარგო, და მერე, როცა იგი ბერიქალს მოშორდება, მივეახლები და გამოველაპარაკები-მეთქი. ისე კი, სიმართლე უნდა გითხრათ, წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ მაინც რა უნდა მეთქვა... ამის მოფიქრება ბოლო წუთებისათვის გადავდე.

გოგონას და ბერიქალის მასლაათი კარგა ხანს გაგრძელდა. ის მატარებელი უკვე კარგა ხნის წინათ წასული იყო, პერონი დაცარიელდა და ახლა თანდათან უკვე ახალი მატარებლის მოძლოდინე ხალხით ივსებოდა. ისინი კი ისევ ისე იდგნენ და მასლაათობდნენ. მე ისიც კი ვიფიქრე, ძველი ნაცნობები, ან ნათესავები ხომ არ არიან-მეთქი. მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, გოგონა დაიხარა, ჩაის ვარდების კეებერთელა კონიდან ერთი, ყველაზე დიდი და ყვითელი ვარდი ამოარჩია და ბერიქალს ღიმილით დაანახვა. ბერიქალმა დინჯად თავი დაუქნია. ერთმანეთს კიდევ ორიოდე სიტყვით შეენაცვლნენ. გოგონამ კაბის ჯიბიდან ფული ამოიღო და გაუწოდა. ბერიქალმა თავის დაქნევით გამოართვა და ხურდა დაუბრუნა. და მათი ნაცნობობაც ამით დამთავრდა. გოგონა ახლა უკვე ვარდით ხელში, ისევ მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდა და პერონისაკენ გაემართა. ვიფიქრე, ახლა მივა და ისევ თავის სკამზე დაჯდება-მეთქი. არც შევმცდარვარ: მივიდა და ისევ იმ თა-

ვის სკამზე დაჯდა, ოღონდ გულხელი ალარ დაუკრეფია: მარჯვენა ხელში ვარდი ეჭირა, მარცხენა კი კალთაზე დაედო.

მე ისევ ყოყმანი დამეუფლა.

არაფრით არ ჰგავდა, თითქოს გოგონა ვინმეს გაცნობაზე ფიქრობდა, ან დაყაბულდებოდა. არა. მარტო იყო და თავს მშვენივრად გრძნობდა. არაფერი აწუხებდა და არავის ეძებდა: აქეთ-იქითაც არ იყურებოდა, ბილეთიც ჯიბეში ედო და მატარებელში მაშინ ჩაჯდებოდა, როცა მოეპრიანებოდა. ალბათ, დიდად არც საითმე ეჩქარებოდა. ახლა მე რომ მივსულიყავი და ნაცნობობის გაბმას ვცდილიყავი, ვინ იცის, იმას რა მოჰყვებოდა. არა, ზრდილი და, თავდაჭერილი ქალიშვილი ჩანდა, უხეშ სიტყვას და საქციელს, ალბათ, არ მაკადრებდა, მაგრამ... უარი მაინც უარია, ოქროს ლანგრით მოგართმევენ, თუ მუჯლუგუნის თანხლებით.

რა უნდა მექნა?

ბალიან მალე, სულ ორიოდე წუთში გამოირკვა, რომ, თურმე, არაფერიც არ უნდა მექნა. სანამ მე გოგონას მივჩერებოდი და ჰამლეტის სენით ვიტანჯებოდი, პერონის მეორე მხარეს ვიღაც ტანმაღალი, სულ თეთრებში გამოწყობილი ჭაბუკი გამოჩნდა. სწრაფად მოდიოდა. იმისი გამოჩენა იყო და ჩემი გოგონაც სკამიდან წამოიჭრა. სადღა იყო ამისი წეღანდელი სიმშვიდე და აუღელვებლობა? წამოვარდა, ჭაბუკს შორიდანვე რაღაც მიაძახა და ორივე ხელი დაუქნია. ჭაბუკმა ნაბიჯს უმატა. თითქმის გამოიქცა. გოგონა მისკენ წავიდა. წუთსაც არ გაუვლია, რომ ერთმანეთს სწორედ პერონის შუაგულში შეხვდნენ. ჭაბუკმა ორივე ხელი მხარზე დაადო და თვალებში ჩახედა. გოგონამ ერთი კი შეკრთომით მიმოიხედა, მაგრამ მაშინვე ყველაფერი გადაივიწყა, ფეხის წვერებზე აიწია და ჭაბუკს ყელზე აკოცა. მოტრიალდნენ ხელიხელჩაკიდებულნი, იმავე სკამისაკენ წამოვიდნენ. მე იმის დანახვაც კი ვერ მოვასწარი, თუ ის ჩაის ვარდი ჭაბუკის მარჯვენა ხელში როგორ აღმოჩნდა.

ბედი მქონია? თუ, პირიქით, უიღბლო ვყოფილვარ? ღმერთმა უწყის... ეს კი იყო, რომ როცა მორიგი მატარებელი ჩამოდგა, გოგონა და ჭაბუკი ვაგონში ერთად ავიდნენ.

წეღან სალაროში გოგონას ერთი კი არა, ორი ბილეთი უყიდია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიმიტრი მირიანაშვილი

ბავსიანი ბიბიკი

ათანასეშ სამოცდაათ წელს ამ ხუთი წლის წინათ გადააბიჯა. მირონცხებული თავის ჯაფითა და მაჯის ნაუურით, პატივცემული ხელობით და პირდაპირობით — აი, მისი „ბაშფორთი".

ჭაღარა ულვაშები სახეს კდემამოსილებას რომ მატებდა, ზომიერზე უფრო გრძელი მოუჩანდა, ბოლოები ულვაშების საზღვრებს სცილდებოდა. წარბები უფრო მუქი ჭქონდა თმაზეც და ულვაშებზეც. ეს წარბები კი არა, ძეძვის ორი ჯარჯი თვალებს თვის ბულულებად დასდებოდა და ზემოდან საამო ჩრდილს აფენდა. თუ ხანდახან მაინც ხელს არ გადაისვამდა და თვალებზე ჩამოფარებულ წარბებს ზემოთ არ „აივარცხნიდა". ქვეუანა ამღვრეული ეჩვენებოდა.

ათანას, თავის საიდუმლო, ქუდის ქვეშ იმალებოდა: ხშირი, თეთრი თმა — იფიქრებდით, ქუდიან კაცს ხატავსო. ნამდვილად კი მოიხდიდა თუ არა ქუდს, აშკარავდებოდა „საიდუმლო" — ხედავდით თეთრად მოკრიალებულ მელოტ წრეს.

წინათ, როცა მოდა იუო და ათანაც გაცილებით ახალგაზრდა გახლდათ, უქმე დღეებშიც ვერცხლის დიდბალთებიან ქამრით და ჩოხითაც დასეირნობდა. ახლა ის ქამარი დიდ, ძველ სკივრში ჩაეკეტა და მზის სხივს არ აჩვენებდა. ჩოხამ კი დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო.

ძველი ტანსაცმელიდან „კარტუზიღა" შემორჩენოდა და ამასაც მხოლოდ ბედნიერ დღეებში თუ დაიხურავდა. ეს ქუდი ეპოქის სურნელებას უნარჩუნებდა და როგორღაც უხდებოდა კიდეც: ქუდის მაღლა ნაწილი, კაკარდის ზემოთ იუო აბზეკილი და მრგვალ სახეს თითქოს აგრძელებდა. ხელები გეგობებოდათ ძვლებისაგან ჭქონდა გამოჩორკნილი. დაკოჟრილ, დაბრეცილთითებიანს რომ აკვირდებოდა. მწარედ ეღიმებოდა:

— ეს ვერანა, კუს ფეხებიაააა, თითებიაააა, თუ რა ოხრობაა, ვერ გამიგია, ეგრე რამ გაახევა და გააოკრობოკროვა!

ათანასე პირველი ომის მონაწილეც იუო, სარაკამიშთან დაიკრა და მარცხენა ფეხით კოჭლობდა.

ბუნებით უწუინარი, ალალი ლუკმის მჭამელი კაცი, შვილებსაც პატიოსნებას ჩასჩიჩინებდა:

— ისევ მათხოვრობა ირჩიეთ, უსინდისობით მონახვეჭსო.

ეს მოძღვრება ათანას სიმდიდრეც იუო და სიღარიბის მიზეზიც.

ათანა ბალღი დაობლდა. სიცოცხლის გრძელ გზაზე ბევრის მომსწრე და მნახველი იუო იგი. პატარაობიდანვე ობოლ ბიჭს ჯერ მეთუნუქე ქარუმამ გაუწია პატრონობა — ხელობისაკენ გზა გაუხსნა, მაგრამ (ღმერთმა სული გაუნათლოს), შეგირდი ხელობას ჯერ ხეირიანად არც კი იუო დაუფლებული, ოსტატს უანგიანმა თუნუქმა სისხლი მოუწამლა და ათანა ისევ უპატრონოდ დარჩა.

ახლა მჭედელმა ნიკუამ აიყვანა შეგირდად.

რიუეში, ბნელ სარდაფში შეჭყუნულ პატარა სამჭედლოს ათაბაბისხნის უანგიან გრდემლზე, ათანა სამ წელს ურტყამდა მძიმე უროს და ეს ჯაფაც წყალში ჩაუცვივდა: ძია ნიკუაც დაავადმყოფდა, აღარ შეეძლო ამ მძიმე საქმის გაძღოლა და სახელოსნო გაყიდა.

ათანა ისევ ღვთისანაბარა დარჩა. ადვილი არ იუო უპატრონოს, შრომით გზის პოვნა და სწორად სიარული.

ამის შემდეგ ათანას შორეულმა ნათესავმა, მილგაუვანილობის კარგმა ოსტატმა, შეიფარა და ონკანების თილისმა შეასწავლა. როცა აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავლი შეათავა, შაკრუას შეუამხანაგდა და ქარვასლის გვერდით, პატარა სახელოსნო გახსნა.

გათენებიდან შებინდებამდე მომქანცველი შრომა იმდენ გასამრჯელოს აძლევდა, რომ კიკოლას სახაშეში შესულიყო, ალალი ლუკმა შეეჭამა და პირნათლად ეცქირა ქვეყნისათვის.

ათანა ხელობით იყო კურთხეული, თუმცა მას კურმარილის კაცად უფრო იცნობდნენ. ეს იმიტომ კი არა, რომ მისი გაკეთებული ონკანი დაეწუნებინა, ან წყლის გაყვანაში ერთიათად მეტი აეღო. არა. წინასწარ არც კი ურიგდებოდნენ, რაკი იცოდნენ, რომ ხელოსანი, რაც ღირდა იმაზე მეტს არ აიღებდა, არც ონკანის გამოცვლაში, არც „ტრაინიკის", „მუფტის" და ახალი მილის დაყენებაში. თუ იმაზე მეტს მისცემდით, ხურდას დაგიბრუნებდათ, მაგრამ თუ კიდევ შეეცდებოდით მაინც აეღო, შემოგიბღვერდათ, მისკენ გაწვდილ თქვენს ფულიან ხელს აგიკრავდათ, ან ბანჯგვლიანი მაჯით ისევ თქვენკენ გადმოლუნავდა და ბრაზიანად გეტყოდათ:

— არა, არა, შვილოსა, რაც არ მერგება, არც მინდა. მე მათხოვარი არა ვარ. თუ მაინცადამაინც ბევრი გაქვს, წადი ეგემანდ ხიდთან ბევრნი სხედან, გლახაკს მიეცი, მადლობას მაინც გეტყვით, მე ხელობის კაცი ვარ! — შუბლშეკრული ეს პასუხი ისეთი ჯიჯური და მეტყველი იყო, რომ ათანას ხასიათის მცოდნე მუშტრებიდან ვერავინ ბედავდა მისთვის თუნდ ერთი კაპიკი იმაზე მეტი შეეძლია, რაც ნამდვილად ღირდა. თან რა მარჯვენა ჰქონდა, ოქროსი.

გულგაღეღილი და მართალი, გაჭირვებაში გამოზრდილი ოსტატი უყვარდათ კიდეც. რაკი ამხანაგებიც მისი ამყოლები იყვნენ. ერთმანეთისათვის ცეცხლში ჩადგებოდნენ და წარბშეუხრელად ჩაიწვებოდნენ.

რიყეში მუშაობდა, ვერაზე ერთ პატარა მამისეულ სახლში კი ცხოვრობდა, რომელიც მას თავისი ხელით ჯერ კიდევ მაშინ აუშენებია, როცა ათანა სულ ორი წლისა ყოფილა. ეს ორსართულიანი სახლი ბაიაზეთის ქუჩის ბოლოში იყო წამოგზენტული და ამ, ოდესღაც დიდი სახლიდან, ათანას მხოლოდ დაბლა, ბნელი ოთახიღა ეკუთვნოდა. რაკი გაჭირვების დროს მის დაქვრივებულ დედას. მაღლა სართულის ოთახები ვიღაც ვაჭრისათვის მიეყიდა, მეულლის გარდაცვალების მეორე წელსვე.

აქვე. ახლომახლო ცხოვრობდნენ მისი ძმებივით ერთგული, სიყრმის და ხელობის მეგობრები მაჭარა, გრიშა, ქარუმას ბიჭი დათა, ნიკუას ნაშვილები ვასილა, ისაკა, ქვის მთლელი პეტრუშა და დალოცვილი, გემრიელი საჭმელის ოსტატი მეხაშე კიკოლაც.

ათანა ოცდახუთი წლის ვაუკაცი იყო, როცა ოქრომჭედელმა ისაკამ, პეტრუშას დახმარებით ნავსი გაატეხინეს და ოთოლი გოგო, მარიკა ცოლად შერთეს — პატრონი გჭირდებაო.

ცოლის შერთვის შემდეგ ომში გაიწვიეს. ჯერ გერმანიის ფრონტზე იბრძოდა, მერე კი, უფრო გვიან, სამხრეთში, თურქეთის ფრონტზე.

ათანა დაჭვრილშვილდა. ოჯახზე ზრუნვამ მალე წელში მოღუნა — სამ ბიჭს ზრდიდა.

ცოლის უყამფრობით და ბედოვლათობით ოჯახზე მალე გაუტყდა გული. მაგრამ რაკი ბაწწიყო და ბალღები ეზრდებოდა. ჩამოკრუნჭული სახით და ზიზღით ეწეოდა ქალაქს, შვილების და ქვეყნის ბათრით. მარუსა. მართალია ობლობაში იყო გაზრდილი, ნაგრამ გაჭირვებას მომგირნეობა ვერ ესწავლებინა. მის უყაირათობას სიზარმაცეც ემატებოდა. ეს კი ათანას სულ არ მოსწონდა. მარუსა მთელ დღეებს ნეზობლის უსაქმო დედაკაცებთან ჭორაობდა და უბედობდა, უბედობდა და ჭორაობდა.

რაკი ათანა დარწმუნდა, ამ ხნის დედაკაცის მორჯულება ცემითაც აკი აღარ შეიძლებოდა, როგორღაც „გაველურდა". რჩებოდა ისევ სადმე ამჭრებში ყოფილიყო. ვიდრე ცოლისთვის ეცქირა და მისი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებისათვის ესმინა.

ჯახირით ყველა ბარტყი დაბუმბლა და დასაფრენადაც იყო საქმე მომწიფებული, რომ ერთი ახალი საზრუნავი გაუჩნდა: სიბერის ჟამს მეოთხე შვილიც შეეძინა. გოგო ეყოლა. პირველ ხანებში ათანა ვერ ურიგდებოდა ამ უბედურებას. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ამასაც შეეჩვია.

ნაბოლარამ (ცოტა რომ წამოიზარდა). მომღრავლებული წყლულები მოუშუშა. სიმხნევე შემატა, სახლიდან გასული ნათელაზე ფიქრობდა. ის ედგა თვალწინ. პატარა. ტიტინაენინაანა. შინ ჭიმავალი ცდილობდა ხელცარიელი არ მისულიყო, რაკი იცოდა. ნის ჯიბეს გამჩხრეკელოდებოდა.

უფროსი შვილის დაკორწინების შემდეგ ჯერი მეორეზე მიდგა. ისიც დაებინავა, ახლა მესამე... დარჩა ათანა ისევ მოძულებული ცოლის და პატარა ნათელას ანაბარა. შვილების დაბინავებამ და ბედნიერებამ მის გულს ნაღველი არ კი მოაკლო. უფრო შემატა: სახლი დაცარიელდა. ნათელა მამის გულშემატკივარი და მისი ერთადერთი ყურის მიმგდები იყო. უყვარდა. ურეცხავდა, სადილს უწმენდდა. ასრულებდა დედის და შვილის მოვალეობასაც.

„ათადან-ბაბადან აგრე ყოფილა: გამრჯე კაცს უქნარა ცოლი უნდა შეხვდეს, თორეშ გამდიდრდება, პატრონსანს, ეპატიოსნო გადაეყაროს, თორემ ქვედნად მარტო სიკეთე და

დიმიტრი მირიანაშვილი
ხავსიანი ბილიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინდისი გაბატონდება. რა იქნებოდა, შე დალოცვილო ღმერთო, ცოლიც მუყაითი და გამრჯე მოგეცა. შენ რას დაკარგავდი! მე კი... ეეეჰ!" — ფიქრობდა ხოლმე მარტოდ დარჩენილი ათანა და ოხრავდა. უჩიოდა თავის ბედს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სიძნელის მთავარი აღმართი გავლილი ჰქონდა. შვილები დაბინავებული ჰყავდა ნათელას გარდა, მაგრამ...

გულის საიდუმლოც ჰქონდა. ეს იცოდა ათანამ და სონამ. ეს დარდი დიდი ხანია გულს უკაწრიდა და ამის გამგები არავინ იყო:

აქვე, ბაიაზეთის ქუჩის მოსახვევში, ქვრივი სონა ცხოვრობდა. მას ქალიშვილი ჰყავდა, გაათხოვა, სიძე თავის სახლში მიიყვანა და ცხოვრობდა პატიოსანი შრომით და გარჯილობით. — ებრძოდა ჯანღიან დღეებს. ფერითა და სისხლ-ხორცით სავსე ქალზე მიუვარდა გული ათანას ჯერ კიდევ მაშინ, როცა ნათელა არც კი იყო ქვეყნად მოსული. ათანას სონას მარტო გარჯილობა და მუყაითობა კი არ მოსწონდა, სონა გარეგნობითაც დახატული იყო. ქვრივს თავი შორს ეჭირა. ათანა გულდაკოდილი დადიოდა. მაგრამ არ იმჩნევდა, გამხელაც არ შეიძლებოდა, რას იტყოდნენ ტოლები, ნაცნობები, შვილები... ოხრავდა ათანა და ათასნაირ ხერხებს ეძებდა მის დასავიწყებლად, მაგრამ თითქოს განგებ, მხოლოდ მასზე ფიქრობდა. ალბათ იმიტომ, რომ სონამ თავი ძალიან შორს დაიჭირა და გაოხრებული გული კი თითქოს ამის ჯიბრზე, მასლა ხედავდა და ემასლაათებოდა თავის გუნებაში. ქუჩაში რომ ხვდებოდა, ისე აივლიდა, ისე გადაუჭრიდა ათანას გზას, თითქოს ქვეყნად არც ყოფილიყოს, არც დაენახოს, არც შეენიშნოს. ათანამ იცოდა, რომ მისი გარემოების კაცს სონა არ გაჰყვებოდა. აი, სწორედ ამით იყო მოკლული. მაგრამ ცარიელი სიტყვა რაღა იყო! მხოლოდ უბრალო, ტკბილი სიტყვა ეთქვა კაცისთვის, ის ხომ კარგად იცნობდა ათანას.

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები თვეებს, წლები წლებს სცვლიდა და ათანას გულში სონა ისევ ჯიუტად იდგა და ფეხს არ იცვლიდა... ეს შემთხვევა კი დიდი ხნის წინათ მოხდა:

საღამო იყო. ზურგზე იარაღებით სავსე, ყურებიანი კატარა ჩანთა ეკიდა. დილით წასული სახლში ბრუნდებოდა. აღმართზე ნელი ნაბიჯით მიდიოდა და სონაზე ფიქრობდა. თითქოს მის ბედზე წინ მიმავალი სონა დაინახა. ნაბიჯი აიჩქარა, წამოეწია და გულმა ყბა გაიღო: გადაწყვიტა სწორედ ახლა ეთქვა დიდი ხნის გულისნადები, სწორედ ახლა იყო სახერხო წუთიც. არც ზემოდან მომავალი, არც ქვემოდან. გაუსწორდა და მორცხვი სალამი მისცა. სონამ თავისი ცისფერი თვალები შეანათა და ოდნავი შიშნარევი სალამით უპასუხა: „გაგიმარჯოს". ათანამ, როგორა ხარ, რასა იქო, რა ამბავიაო და ბოლოს... თუმცა დაინახა, რომ სონა უგულოდ პასუხობდა, დოსტოლლივ გაანდო გულის დარდი: „რას იტყვიო, არც შენა გყავს პატრონი, არც მეო... ქალმა ათანა შეარცხვინა: სამი შვილის მამა ხარ და ასეთ რამეს როგორ კადრულობო. ქვრივმა ალბათ ასე მწარედ იმიტომ გამოთათხა, რომ ათანა ცოტა დალეული იყო და... იმას დააბრალა. აბა, ფხიზელი როგორ გაბედავდა. შეზარხოშებულმა ოსტატმა ვერაფერი უპასუხა, გაისუსა, სირცხვილისაგან აიწურა, მწარედ ამოიოხრა და თავჩაღუნული აჰყვა აღმართს. მის შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ეს შეხვედრაზე დღემდე არავინ იცოდა. სონას სადმე რომ წამოსცდენოდა, ქვეყანა შეიყრებოდა, მაგრამ რაკი ამოპანღურებული კაცისათვის არავის წამოუძახებია, მაშ ნამუსი შეუნახავ. ეს რომ სონას ეთქვა, ათანას მეზობელი და მეგობარი გრიშა ქვეყანას შეუყრიდა, საქვეყნოდ გახდიდა მეგობრის მარცხს. ბოროტი განზრახვით კი არა. ისე. ვითომ ხუმრობით, ორჯერ-სამჯერ გაკენწლავდა, გაეხუმრებოდა და ესეც საკმარისი იქნებოდა, რომ ქვეყანა შეყრილიყო.

საიდუმლოს შენახვის ეჭვი იმედს არ უკარგავდა—ბოლოს და ბოლოს გატყდება და ეშმაკის ცხენიდან ჩამოვაო. ეს აზრი შერცხვენილ კაცს ნებას არ აძლევდა ასე გამოლანძღულიც კი გასწყრომოდა. პირიქით, ოსტატს უფრო მეტად აეწვა გული. სონა უფრო ღრმად შეიჭრა ნაჭრილობევში და იქიდან აყრიდა მარილს. ამ დღიდან სონასთან სიახლოვე მხოლოდ ოცნებასღა შერჩა: ილაჯგაწყვეტილი ადამიანი ელოდებოდა ისეთ დროს, როცა სონა მას იკადრებდა და უკმეხობაზე ბოდიშსაც მოუხდიდა.

„აკვიატებული სურვილები ღმერთმა თუ მომიზღო ჩემს საწამებლად", ფიქრობდა ოსტატი. იყო ხოლმე დღეები. როცა თავს კიცხავდა:

— „ალბა, შეშვენის ჩემი ხნის კაცის გონებამ და გულმა ეგეთი სურვილები ატაროს!" ღმერთს კი ესეც შეშურდა: ამ ოცნებამ განუკურნებელი ჭრილობა მიაყენა". მართალია ამ ამბავს თან არ გადაჰყოლია ათანა, მაგრამ არც დააკლდა რამე.

●

დიდხანს არ უავადმყოფია. სონა გარდაიცვალა.

როგორ გაამყლავნოს ამ ერთადერთი ოცნების დაკარგვა! არა და კაცია, გული აქვს! ეეე! თითქმის ოცი წელია, ოცი! მართალია, ათანას ზედაც რ უყურებდა, მაგრამ რა, რომ არ უყურებდა! სამაგიეროდ ათანას ცხოვრებაში ამ ოცი წლის მანძილზე, არც ერთი დღე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ გამორეულა, რომ მასზე არ ეფიქრა. მასთან არ ყოფილიყო ოცნებით. მაინც. ახლა?

ახლა მოკვდა და ვერც კი მისულა, რომ როგორც შესია, ცრემლი დააყაროს. რა ქნას, რა მოიფიქროს! „ბიჭებისაკენ" წავიდა, სწორ-ამხანაგებისკენ. აქ მან თავი ვეღარ შეიკავა. ვერც გრიშამ, ვერც პეტრუშამ, ვერაფერი გაიგო. მარტო ისაკა მიხვდა გუმანით, სადაც ათანა „უკაკუნებდა" ოქრომჭედელმა ჭიქა აავსო და თქვა:

— მოდი, ღმერთმა შეიწყალოს ამ ქვეყნიდან წასული ადამიანები. — და პურის პატარა ნატეხს ღვინის წვეთები დააკაურა. გრიშას რაღაც წასჩურჩულა. პეტრუშამ გაიგონა თუ არა, საქვეყნოდ დაილრიალა:

— ვინ სონა ტო, გაგიუდი! — გაიკვირვა პეტრუშამ. გაოცების და გაუგებრობის ნიშნად ისაკას სახელთან გაშლილთითებიანი ხელი ათამაშა, ისაკას გრიშა წამოეშველა:

— ბაიაზეთიდან ჩვემოთ რო ჩაუხვევთ ხოლმე, „უგლაოში", მეორე სართულზე რო დადაკაცი მოკვდა, იმაზე ამბობს, გაიგე!

— ჰოო, ვიცი, ვიცი, რამ მოკლა, კაცო? გუშინ იყო თუ გუშინწინ. ქუჩაში ვნახე! — კვირობდა პეტრუშა.

— გუშინწინ როგორ ნახამდი, როცა ეგ ქალი ერთი კვირაა ლოგინად იყო ჩავარდნილი. — გამოაგონა ისევ გრიშამ.

„ბიჭები" გრიშას სახლში ღვინოს სვამდნენ. სუფრა ღარიბული იყო, ნამეტანი სახელდახელო: ღვინო ათანამ მოიტანა. პური, ყველი, გუშინდელი კერძის ნარჩენი, ცოტაოდენი ბოლოკი, ოხრახუში და ერთად ლაპარაკის სურვილი. ეგ იყო და ეგ!

ათანა მაგიდის კუთხეში გრიშას გვერდით გატრუნული იჯდა და მარტო ღვინოს სვამდა. თითქოს თავის დღეში პირში ცვარი არ ჩაეშვა. ორ-ორი ბოთლი რომ დაიცალა, ათანამ კბილები ააკრაჭუნა, გული გაიღეღა, თავი გააქნია და მაგიდას მუშტი დასცხო, მერე დარდისაგან დამძიმებული თავი მაგიდაზე დაშვებულ მკლავზე დადო, სახე დამალა და ატარდა კაცი. „ბიჭებმა" ერთმანეთს გადახედეს და ზოგი ჩქამით, ზოგი გამუღავნებული გაკვირვებით, ერთმანეთს ხელის მოძრაობით, ჩურჩულით და ბუტბუტით ეკითხებოდნენ თუ რას უნდა ნიშნავდეს ესაო. ყველა კვირობდა და ვერ გაეგო. პეტრუშა და გრიშა ხუმრობას გუნებაზე იუვნენ და აინუნშიაც არ აგდებდნენ ათანას ცრემლებს. გრიშას საკმაოდ მოკიდებული ჰქონდა და უწრუწუნებდა:

— წპუუ, აღუ, ძუძუ არ გინდა მოგაწოვო? — და ამგვარ ხუმრობაზე თვითონვე იცინოდა და პეტრუშას ახელებდა.

— ემაიდან დაუღიტინე, იქნება გეეცინოს-ეე, ხულელ, რა გაბღავლებს, ერთი ჩემს გულშიაც ჩამაიხედე, იქნება მეცა მაქვს სატირალი!

— ვა, თუ ტირილი გინდა, იტირე, მაგრამ... ვის სპეციალნა ადგილს ხომ არ გამოგიყოფთ! — ეკვიმატებოდა პეტრუშა გრიშას. — ვა, მა-მაძალი, დღეს რა ტირილის გუნებაზეა ყველა. იცი, ისაკაჯან, რა გითხრა, ზოდი, გრიშამ და ათანამ იტირონ და ჩვენ კიდევ ვიმღეროთ, არა, როგორი სიტყვაა, ძა!

— ჩვენც ყველანი დავიხოცებით, პეტრუშ. როგორც ზე დღეს გრიშას სტუმარი ვიყავი. ისე წუთისოფლის სტუმრები ვართ და მიცვალებულს ყველამ პატივი უნდა ვცეთ! — ესა თქვა ათანამ, კუდი დაიხურა, ადგა და გარეთ გავიდა.

●

ხვალ გასვენება იყო. ათანას გულის საიდუმლო ნუგეში მიწისთვის უნდა მიებარებინათ და მას კი ტირილიც არ ეშეეძლო.

ათანას მოეჩვენა, სონას ძმები ამრეზით უყურებდნენ. ეს კი ისე გაიგო, რომ გასვენებაზე არ უნდა მისულიყო „ალბათ ამებმაან თუ თქვა სულგანათლებულმა!" ზეზობლურად რომ იყოს, რალა მიპატიჟება უნდოდა! ან „ბიჭები" რომ მისულიყვნენ, ისიც აედევნებოდა, როგორც ზეზობელი, მაგრამ ათანას ახლობლებიდან ბლეხუნას გარდა არავინ მისულა (ერთ სახლში ცხოვრობდნენ), მაშ ათანა ვინღა იყო, თეთრ ყვავად შელეტებულიყო!

გასვენების დღესაც ათანა დილიდანვე სალიდან გავიდა და სალამოს გვიან დაბრუნდა. ერთბანს შინ უაზროდ იტრიალა და დატოვა ბინა. სონა უკვე დაესაფლავებინათ. ბალნი დაბრუნებულიყო და ზისი სახლის ეზოში გაშლილ სუფრაზე ლაგდებოდნენ. თავჩალუნულმა ათანამ სონას ეზოს ჩაუარა, იქით არც კი ზიუხედია, სასაფლაოსკენ წავიდა.

სონას საფლავზე ახლადშეყრილი ბიწა ზვირად იდგა. სალამობანი იყო და ახლო-მახლო არავინ ჩანდა. ათანა აზვინულ ევითელ ზიწასთან დიდ ლოდზე ჩამოჯდა. ბოთლებიანი ხელჩანთა ლოდთან ზიდგა და ქუთი მოიხადა. საფლავზე ყვავილები ეყარა. ყვავილებს მიაშტერდა და დაინახა ის, ერთხელ სონას ხელში რომ ეჭირა. ამ ყვავილნა თვალწინ ისევ ისეთი ქალი დაანახვა. დალვრემილი, მაგრამ ცოცხალთვალებიანი ქვრივი. მისი შემოხედვა ათანას სიცოცხლეს რომ მატებდა. გული ამოუჯდა, თავი ჩალუნა და უნებურად მის ფეხებშეა ყვითელი ბიწა რომ ეყარა, სონას საფლავთან ამობარული, ცრემლებით დაასველა. დასტიროდა უკანასკნელ. ისედაც უნუგეშო იმედს, მისმა გულმა ასე უჩვეთოდ რომ აიჩემა და არ დათმო საფლავის კარანდე...

დიმიტრი მირიანაშვილი
ხავსიანი ბილიკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარდში ჩაღრმავებულმა ათანამ ვერც კი გაიგო, თავს როგორ წაადგა ვიღაც უცნობი, ხორკლიან ჯოხზე დაყრდნობილი ათანას შორიახლო რომ გაჩერდა. როცა ათანამ აიხედა, უცნობმა გაუბედავად ჰკითხა:

— რა იყო შენი?

ათანამ პასუხი შეაგვიანა.

— არაფერი... ძალიან ახლობელი...

— ახალგაზრდა იყო?

— ჰო, არც ისე..

— კაცი იყო თუ ქალი?

—ქალი... ქალიც არის და ქალიც.

ათანამ ხელჩანთა თავისკენ მიიცურა, ბოთლი ამოიღო, თლილ ჭიქას გაუბერა, წამობერტყა, ავსო, პურის ლუკმა დაასველა და ბუტბუტით თქვა:

— ღმერთმა შეიწყალოს. — თვალები აჩქარებულად აახამხამა, ამოიოხრა, თავი გააქნია და ღვინით სავსე ჭიქა პირზე მიიყუდა. მეორედ შევსებული უცნობს გაუწოდა. — შესანდობარი დალიე.

ჯოხზე დაყრდნობილმა უშნოდ გასხეპილი თელის მრუდე კეტს ხელი მოაშორა და ჭიქისკენ გაიწოდა. ჯოხი იღლიაში ამოიდო, მეორე ხელიც გაითავისუფლა და ულვაშებზე გადაისვა. გაუბედავად ჩაახველა და გაუბედავათვე თქვა:

— ღმერთმა სული გაუნათლოს, — პურის ნატეხი ღვინით დაასველა, საფლავს მიხედა და აუჩქარებლად განაგრძო: — მაგის მოსაგონებლად თქვენ გაგიმარჯოთ... ყველანი იქ წავალთ. ჩვენ ხომ სტუმრად დავდივართ მიწაზე, — ამბობდა ჯოხიანი. — ჩვენი ადგილი აი, აქ არის. — ჯოხი მიწას დაარტყა; გაჩუმდა, ჭიქით დამძიმებული ხელი უკანკალებდა და აუჩქარებლად ამბობდა: — შენ ეგა თქვი, ჩვენი საფლავის პატრონი ვინღა იქნება... შეიწყალოს... ათანა ამ კაცთან გატყდა. სულ ერთია, ვერ იცნობდა და ალბათ არც მომავალში ნახავდა. ან კი რა დასამალია.

— ოცი წელი, კაცო! — კვირობდა და თავს აქნევდა ღვინისაგან უკვე შეხურებული „სტუმარი" — ალბათ ბედიც არის, თორემა... ჰო, რაღა! ბედია! მაშ რა ოხრობაა, — და ყველიან ლუკმას ლოღნიდა. — ეგრე გამოდის, რომ... დასაფლავების დროს აქ არა ყოფილხარ და ახლა მოხვედი? თუ შეგაგვიანდა?

— არა, მე ახლა მოვედი. — ამბობდა ნაწყვეტნაწყვეტად ათანა. — სხვანაირად ვერ მოვიდოდი და... აბა, როგორ მოვიდოდი! — ველარ გაბედა ბოლომდე ეთქვა აუსრულებელი ოცნება, ვერ გაბედა ეთქვა, რომ ის, ამ საფლავზე ფარულად და მალულად მოვიდა, რომ პირისპირ მარტოდმარტო შეხვედროდა და ერთხელ მაინც ის ეთქვა, რაც სწადდა. ამ უცნობთანაც ვერ გაბედა, რომ სონა მისთვის ყველაფერი იყო, ის კი სონახათვის, ფუუ, არაფერი!..

დიდხანს ილაპარაკეს, მაგრამ დარდიან კაცს თითქოს კიდევ დარჩა სათქმელი, მას გულის მოოხება, ბოღმიხგან დაცლა აკლდა, სურდა ტკივილების სადმე დატოვება, მაგრამ სად?

კარგად იყო შეგინდებული, რომ ათანა უცნობ, ღვთიხნიერ კაცს გამოემშვიდობა და სახაფლაო დატოვა. სონას სახლისკენ აიარა, შეუხვია მისი ეზოსკენ და მიუპატიუებლად მივიდა. უკვე საკმაოდ მთვრალები კიდევ სვამდნენ.

ათანა გრძელ სკამზე თავჩაღუნული იჯდა გატრუნული. თლილი ჭიქა აუვსეს, სურდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვის თქმა უმძიმდა, გაუბედავად ჭიქისკენ ხელი გაიწოდა, თავისკენ მიიცურა, აიღო. უაზროდ დაჰყურებდა. ქარვისფერ ღვინით სავსე ჭიქა ხელში კანკალებდა. ღვინის წვეთები სუფრას და პურის ნატეხს ასველებდა. მაგიდას დასცქეროდა. ბოლოს როდის და როდის თავისთვის წაილულღლუღა:

— ღმერთმა შეიწყალოს. — თვალები დაახამხამა და ცრემლები თეთრ სუფრაზე დაიმსხვრა, ერთი, მეორე, მესამე... მკაცრ, გარინდებულ სახიდან უსიცოცხლობა იფერფლებოდა. ასე სახეგაკუშტული, თავჩაღუნული კარგა ხანს იჯდა, თითქოს გვამი ისევ საფლავთან დარჩენოდა, მას ხედავდა, შავი კაბით, ასე რომ უხდებოდა და ხატავდა სონას. ეჩვენებოდა, რომ სადღაც უდაბნოში იჯდა. არც ვისმე ხმა ესმოდა და ვერც ხედავდა. ორი ჭიქა დაცალა, ადგა და წავიდა...

სონას სიკვდილმა თან წაიღო ათანას ხალისი და სიცოცხლე. დარჩა კაცი ცისა და მიწის შუა ჩამოკიდებული. დადიოდა ცოცხალმკვდარი, აბედივით იყო გაბუებული, როგორღაც გარინდებული.

●

ჩაიგრიალეს კიდევ წლებმა. ათანა მინდორში მარტოდ გადარჩენილ ხესავით ჩანდა. ნათელამ, მართალია, დარდისაგან გამოჩამიჩებული კაცი ცოტა გამოაბრუნა, მაგრამ ქვეყანა რომ ცარიელდებოდა, შვილს ხომ არ შეეძლო ისაკა, შაქრუა, პერტუშა, გიგუას ბიჭი ნიკალა, ქიტუა გაეცოცხლებინა... ვიღას დაუძახოს და გადაუკრას სიყვარულით სავსე ხიტუვები!

— პეტრუუუშ, ჰა, ჰაი, პუტრუუშ!

— ზახრუმან! — გააგონებდა თავისი სოროდან სიცილმოღერებული პეტრუშა.

— ქეიფ ვონცეს, პეტრუუშ! — და თან გასახელებლად განგებ აგრძელებდა მისი სახელის ბოლო ხმოვან ბგერას. პეტრუშა პასუხის ნაცვლად სომხურად რაღაც მლაშეს ეტყოდა, რომლის გემოც ათანამ იცოდა და თვითონ მთქმელივე, პეტრუშა იცინოდა.

— პეტრუშ, შენს ქელეხში იმდენი უნდა დავლიოთ, რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თან გაგიტანოს! — შეაგებებდა პეტრუშა, და აი, ახლა პეტრუშა აღარ იყო ცოცხალი.

როცა მეგობრები ერთად ისხდნენ, სულ იმაზე ოხუნჯობდნენ, რომ როგორმე სიკვდილი მოეტყუებინათ და მოუსავლეთს თვითონ კი არ წასულიყო, არამედ მოსაუბრე გაეგზავნა, ჯერ მას ენახა, დაეთვალიერებინა იქაურობა, გაეგო „მაზანდები" და აქ რომ დაბრუნდებოდა, უველანი ერთად წასულიყვნენ.

ასე დასცინოდნენ სიკვდილს. ახლა!

ახლა გლახუნას და კიკოლას გარდა აღარავინ იყო...

ეს ტკბილად მოსაგონარი დღეები აგონდებოდა ათანას და უცნაური ყინი წამოუვლიდა ხოლმე და ერთიანად წალეკავდა, ამ ქვეყნიდან გახიზნული ამხანაგების ნახვისა, მათთან საუბრისა, ყინიანი ხარხარისა. ვერ გაეგო მხოლოდ, რატომ ჰქონდა მას ამის სურვილი. ან საიდან მოდიოდა ეს უცნაური, უჩვეულო ნდომა? გულს იმით იმშვიდებდა, რომ ალბათ ასეთი გიჟური სურვილი ასაკმა თუ იცის, თორემ როგორ შეიძლებოდა ახლა იმ „ბიჭების" გაცოცხლება და უცებ მის თვალწინ წამოუელუელავება.

ამ ბოლო ხანებში ახალი „სენიც" შეემატა: ახალი ბინა მისცეს ხარფუტში. მოსწყდა ბალღობიდან შეჩვეულ და შეკვეთილ უბანს, სადაც ისიც კი კარგად ახსოვდა, თუ რა იყო ამ ადგილებში. ვიდრე სახლებს. ააშენებდნენ — ქალაქის განაპირა გასადევარ და უკაცრიელ ადგილზე. გუშინდელ დღესავით ახსოვს ხაძოვრები, ბაღები და სახნავები. მერე მის თვალწინ უველაფერი გაკრა და ქალაქად იქცა. სიყრმის მეგობრებს ამ სახლების აშენებაშიც ეხმარებოდა, რომლებიც ახლა მის გვერდით, დიდი გოლიათების შემყურე თითქოს დაპატარავებულან. სახლის მშენებლები ამ ქვეყნიდან გაიბარგნენ, მაგრამ შენობებს რომ უცქერდა, ეგონა, მის პატრონებს ებაასებოდა. ხარფუხი რა ჭირად უნდოდა!

რკინის პატარა მილზე წამოცმული, იარაღით სავსე ჩანთას წამოიკიდებდა ათანა და სისხამ დილით ისევ იმ კუთხეში, იმ ეზო-ყურეში ტრიალებდა. იარაღს კი დაათრევდა, შეიძლება ვისმე რამის გაკეთება დასჭირდესო. იპოვიდა სადმე ჯერ კიდევ მიწაზე მოსიარულე თანატოლს და ემასლაათებოდა, ან შეჰყურებდა სახლებს, რომელშიც სიყრმის მეგობრები ოდესღაც ცხოვრობდნენ. ახლა, თუმცა ნაშიერები ახმიანებდნენ ამ კედლებს, მაგრამ იმათ რა!

ბევრი გაკვირვებული იყო ამ კაცის უცნაური ჩვევებით და მასხარად იგდებდა.

ერთადერთი მისი ბავშვობის მოწმე და იმის მცოდნე, რასაც ამხელა მანძილზე ათანა ვერაზე ამოჰყავდა ღამის ყარაული გლახუნა იყო. ათანა სახლის ჩრდილებსღა ელაპარაკებოდა და როგორღაც მშვიდდებოდა.

გუშინ ათანა დილის მახივში კიკოლას ეკითხებოდა ყოფილიყო: კიკოლაც ხომ ვერელი იყო, ათანას მეზობელი: ისიც მოსწყვიტეს თავის სათაყვანებელ უბანს და ყოველ საღამოობით, ვისმე ენახავო, ვერის ბაღში ამოდიოდა. აქ პოულობდა თავისი უბნის ხნიერ ხალხს. აი, ეს მოხუცი კიკოლა გარდაიცვალა, წინათ რიყეში პატარა სახაშე რომ ჰქონდა. სწორედ იმ დუქანში იყრიდა თავს ათანას ამ ჭრობა ამ ორმოცდაათი წლის წინათ... უველა დარდს ახალიც მიემატა — გუშინ კიკოლაც მიაბარეს მიწას.

გვიანი შემოდგომის სუსხიანი დილა თენდებოდა. დილის ბინდ-ბუნდში ძლივს ჩანდა კანტიკუნტად გავლილი ადამიანთა ჩრდილები. ქუჩა უკაცრიელად გამოიყურებოდა, თავჩაღუნული ათანა პირდაპირ შუა გზაში მიაბოტებდა ბანდახან ჩერდებოდა, იყურებოდა მარჯვნივ, მარცხნივ, მიდიოდა და უსინათლო გრიშაზე ფიქრობდა, ახლახან კიკოლას გარდაცვალებამდე ერთი თვის წინ რომ დაასაფლავეს. თვალწინ წამოეკალკუნენ ორმოცდაათი წლის წინანდელი დღეები. ათანა გაჩერდა. ეინმე მოუარა: „გახიზნულები" აქ მოსულიყვნენ, მათთვის შეეხედა. ორიოდე სიტყვა ეთქვა... კიკოლა, გრიშა, შაკრუა, პეტრუშა, ისაკა, სონა... მოკირწყლულ გზაზე (სადაც დღისით მანქანები დაჰქრიან) იდგა გარინდებული. გული ამოუჯდა. ცრემლი შავ ასფალტზე დაიმსხვრა, გაუჩინარდა. უკვალოდ გაქრა. კიდევ. კიდევ.

„ასე გაქრნენ უველანი". — თავის კანტურით, თითქოს ვისმე ნიშანს უგებსო, ბუტბუტებდა ათანა და ცივ გზას დაჰყურებდა და უკვირდა. რომ გამქრალი ცრემლით კიკოლაც, გრიშაც, ისაკაც, პეტრუშაც დაინახა... თითქოს გამოფხიზლდა ბურანში ჩაძირული. გიჟურად მოუხდა... კი, გიჟურმა სურვილმა წამოუარა — ძველებურად გადმომდგარიყვნენ ფანჯრებიდან და ერთი ულმერთოდ გაეცინათ, ან გაელანძღათ. მოუნდა ერთხელ კიდევ შეეხედა მათთვის. მხარზე სელი დაერტყა, გალაზღანდარებოდა (როგორც ჯელობაში). ერთი, ერთად ერთი მაინც დაენახა, მხოლოდ ერთი და ეთქვა ძველებურად სასიხარულო. საცრემლო...

ეს ფხიზელი. საღგონებიანი კაცი უცებ თითქოს ვიღაცამ შეაგულიანა. ხელი ჰკრა, შეანჯღრია. შეაზანზარა, შეუბარბაცა მთელი არსება. მაღლა აღმართა მძლავრი მაჯები, გაფარჩხული, ოკრო-ბოკრო თითები მუშტებად აქცია და დაიღრიალა:

— ჰეეი ბიჭებოოო. სადა ხააართ, გამოდიიიით, თქვე ჯანუის თავებო. უოჩების ჭიდ-

დიმიტრი მირიანაშვილი
ხავსიანი ბილიკი

ლის მოყვარულნო, ორთაჭალის ბაღების მოციქულნო, სადა ხართ, გამოდით, გამოდით-გამომეხმიანეთ, მეჩხუბეთ, გამლანძღეთ, დამარტყით რამე, გამოდით! — ყვიროდა მუშტებ აღმართული ათანა და სართულებს გასცქეროდა მარჯვნივ, მარცხნივ...

ყვირილმა ჯერ კიდევ ბურანში ჩაძირული სახლების აივნები და სართულები გამოაფხიზლა, გაიღო ფანჯრები და ცნობისმოყვარენი იცქირებოდნენ. ათანა კი ყვიროდა და ხან შაშრუას სახლს უხმობდა მარჯვნით, ხან ისაკას სახლს მარცხნივ. სახლებიდან ქალებიც, კაცებიც, დიდებიც, პატარებიც იცქირებოდნენ, მაგრამ არც ერთი არ იყო ათანას ნაცნობი, გამგები...

— რა უბედურებაა, ადამიანს სახლშიც არ ასვენებენ...

— ვინ არის, კაცო, დაებით თუ გიჟია! — დაიღრიალა მეორე სართულიდან ხმელმა, პერანგიანმა.

ხეირის საცქერად პატარებიც მოცვივდნენ და „გაგიჟებულ" ძიას პირში შესცქეროდნენ. ათანა ერთისკენ ყველაზე ახლოს რომ მოსულიყო, წაიხარა და ჰკითხა:

— პაპა გყავს?

შეშინებულმა ბიჭმა უკან დაიხია და უპასუხა:

— არა.

— ნუ გეშინია, ახლო მოდექ. — უთხრა ათანამ და ხელით ახლოს მისვლა ანიშნა. ბიჭი ახლოს არ მიდიოდა და არც გაქცევას ლამობდა.

— რა ერქვა პაპაშენს?

— ქიტესა.

— სად არის ეხლა?

ბოლო შეკითხვაზ ბიჭი დაებნია, რომ გარდაცვლილ პაპაზე ასეთ რამეს ეკითხებოდნენ. მაგრამ მაინც ღიმილით უპასუხა:

— იქ არის, ბაგებში, საფლავში.

— არ გეცოდება, რომ მიწაშია?

ბიჭს გაეცინა, მისმა დოსტებმაც მხარი აუბეს, მოხუცს დასცინეს — რაღაცა მოსვლიაო.

ზემოდან გლახუნა მოდიოდა. ბიჭებშუა ათანას თვალი რომ მოჰკრა, მისკენ წავიდა, ხალამი მისცა და იკითხა:

— რა ამბავია, რა მოგვიდა?

— არ იცი, რაც მომივიდა?!

— ეს ხალხი რას შემოგსევია, უსიამოვნება ხომ არაფერი შეგემთხვა?

— ეს ხალხი, გლახუნა, გიჟად მთვლის, გაგიგონივარ, ბიჭო, გიჟი, გაიგე! შენ მაინც უთხარი რამე, ამათ ჰგონიათ მაბოდებს და ვყვირი.

გლახუნამ ათანას მხარზე ხელი მოხვია და ნაზად უთხრა:

— წამოდი, ჩემთან წავიდეთ. — ათანამ ხელი გააშვებინა, დიდი სახლის შესასვლელ კიბეზე ჩამოჯდა.

— ეს რა დღეში ჩავვარდი, რომ გულის ბოღმის მოცილებაც კი სიგიჟედ მითვლიან. — ბიჭო, წავიდნენ, გაიხიზნენ...—მოსთქვამდა ათანა.

გლახუნამ კვერი დაუკრა.

— ჰო, წავიდნენ, გაიხიზნენ...

ათანას ირგვლივ შეგროვილებს კი უბრძანა:

— წადით, აბა, რას უყურებთ, რა არის საოქვენო, დაიშალენით, გაიარეთ!

— ვაი ამის პატრონს! — ჩაილაპარაკა ერთმა, კარგად ჩაცმულმა, ჩამსხვილებულმა კაცმა, ზიზღით შეხედა ათანას და თავქვე დაეშვა.

— არაფერია, — გაეპასუხა მეორე. — მაგას ღვინო ალაპარაკებს, გაჭარდება და გაუვლის.

გლახუნამ თვალები გადაუბრიალა და მრისხანედ შეუტია:

— შენა გგონია, ღვინოა?! ხუნი მაინც არ იცი, შე კაი კაცო! შეხედე კაცსა და ისე თქვი. ჯერ კაცს უნდა იცნობდე, რომ ასეთი რამ დასწამო, შენ რა იცი, რა ალაპარაკებს, ღვინო რა შუაშია!

●

საღამო იყო, სუსხავდა. თოვლი მოსულიყო და ისედაც ძნელად სავალ დაღმართზე თოვლსა და ჭუაკს სიარული გაეძნელებინა.

ქვევიდან სვენებ-სვენებით კაცი მობარბაცებდა. ძველი, დაბამბული შავი პალტო ეცვა. თავზე ფერშეცვლილი თუშური ქუდი ეხურა, ასლოკინებდა. იმ ადგილზე, სადაც ამ ერთი თვის წინ გულშემოყრილი ათანა გაჩერებულიყო და ხალხი შემოხვეოდა.

— სად მოგისწრია გლახუნავ, სად „დასველებულხარ"? — ჩაუცინა ვიღაც ზემოდან მომავალმა შებარბაცებულ, წელში მოხრილ გლახუნას. პასუხის ნაცვლად მღვრიე თვალებით ზანტად შეხედა, მწარედ ამოიგმინა და როცა შემკითხველმა პასუხი ვერ მიიღო და განაგრძო თავისი გზა, გლახუნამ ხელი ჩაიქნია და თავისთვის, ძლივს გასაგონად ჩაიბუტბუტა:

— ათანა დავმარხეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ტიკარაძე

ფანტელები

რომანი

ზარი დაირეკა მერე, მორიგი ლექცია იწყებოდა, აუდიტორიისაკენ გაემართა ყველა და გედეონიც მიჰყვა: დინჯად მიირწეოდა, მოღლილი ნაბიჯით და ამჯერადაც ისე ჩაფიქრებული, როგორც ყოველთვის. მას შემდგომ, რაც შემთხვევისა თუ აუცილებლობის წყალობით, ცნობილ პიროვნებად ქცეულიყო... და, აი ლექტორიც შემოვიდა, ის ჭაღარა, ფრიად პატივსაცემი პროფესორი, რომელიც ინსტიტუტის საიუბილეო დღეებში ყველაზე პირველად დამგვანებოდა ქურუმს და მერეც, საიუბილეო დღეები ისტორიის წილხვედრად რომ ქცეულიყო, როცა სხვა პროფესორ-მასწავლებლებს უკვალოდ გაჰქრობოდათ ის ძალაუნებური პოზა, მომხიბვლელი დროისა, კვლავაც დიდხანს დადიოდა ქურუმივით...

გაღიმებული შევიდა იმ დღეს პროფესორი აუდიტორიაში: აღაყღაყებოდა სახე, უციმციმებდა თვალები, შეათვალიერა იქ მყოფნი დაკვირვებითა და საგულდაგულოდ. ღიმილი ისევ შერჩენოდა და ბოლო ხანებში აღარც არავის აკვირვებდა ეს ამბავი. მისჩვეოდა და შეჰგუებოდა ხალხი ამგვარ ყოფას მისას და, აი, სტუდენტებს რომ შეავლო მზერა, შეშფოთება დაეტყო, თუმც იღიმებოდა ისევ, მერე კი გედეონი შენიშნა და გაუქრა გაღიმებულ სახეზე შეშფოთების გამომხატველი გამომეტყველება, წავიდა ბოლოს მისკენ და წარმოსთქვა: „მომილოცავს, უმაწვილო, წარმატება, დღევანდელ გაზეთში წერილი წაიკითხე თქვენზე, მესიამოვნა, სიმართლე რომ გითხრათ, გახარებული ვარ ფრიად და მოხარულიც...“ სტუდენტთაგან არც ერთს არ გაჰკვირვებია პროფესორის საქციელი, არც ღიმილს გაუოცებია ვინმე იმისას და არც სიტყვებს. ადრე, რამდენიმე თვის წინათ რომ მომხდარიყო მსგავსი რამ, ალბათ ერთი მითქმა-მოთქმა ატყდებოდა. მარტო სტუდენტები კი არა, პროფესორ-მასწავლებლები თუ სხვა თანამშრომლებიც განცვიფრდებოდნენ... გაბსოვთ ალბათ, როგორ დავტოვეთ ეს კაცი უკანასკნელად: ზამთარი იდგა მაშინ, გედეონი და რეზო კი ახალგამოსულნი იყვნენ გამოცდიდან, თანაკურსელები შემოხვეოდნენ გარს — დამფრთხალნი გამოიყურებოდნენ, სიმკაცრე აშინებდათ ჭაღარა, ფრიად პატივსაცემი პროფესორისა, ლეგენდებად რომ დადიოდა. თავად კი კმაყოფილი ბრძანდებოდა იგი, რეზოს პასუხსაც მოეჯადოვებია და გედეონის უცნაურ უნარსაც, გახალისებული დააბიჯებდა მერხებს შორის. მერე უცებ კარი გამოაღო აუდიტორიისა და სახტად დარჩნენ დერეფანში მდგომი სტუდენტები — ის ჭაღარა, ფრიად პატივსაცემი პროფესორი კარის ზღურბლზე დამდგარიყო და იღიმებოდა, — თვალებიც უღიმოდა მაშინ და სახეც, — მთავარი კი ის იყო, რომ საოცრად უხდებოდა ღიმილი, საერთოდ არა სჩვეოდა და ალბათ იმიტომ, უცხო ხილი გახლდათ, წარმოუდგენელიც: და დაუჯერებელიც.

მერე ხმაც გაისმა მისი, მეტყველებაც შესცვლოდა გარეგნულ იერთან ერთად, ადრე, ყოველთვის, რაც კი სტუდენტებს, კოლეგებს და სხვებსაც ახსოვდათ, თუკი მკაცრად წარმოსთქვამდა სიტყვებს, უხეშობამდე რომ ბევრი აღარაფერი უკლდა, ამჯერად მომნუსხველ სითბოსა და უჩვეულო სინაზეს გამოხატავდა იმისი ხმა. „შემოდით, ჭაბუკებო და ქალიშვილებო, რაღას უცდით მანდა, ყველა ერთად შემობრძანდით!...“

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, 1981 წ. № 11, 12, 1982 წ. № 1, 2, 3, 4.

შენიშნავს ბოლოს უხერხულ მდგომარეობას სტუდენტებისა, ერთდროულ შიშს და განცვიფრებას და დინჯად მიემართება მათკენ, გზა-გზა კვლავაც იმ კეთილსა და სათნო ღიმილს აფრქვევს. სტუდენტები კი თანდათან მოდიან გონს — მსუბუქად გაბრუებულნი არიან ახლა, ნელ-ნელა უქრებათ შიში, დილიდან რომ უძაბავდათ ნერვებს, მაგრამ როგორ მოიქცნენ, ვერ მიმხვდარან ვერაფრით, მერე კი, როცა პროფესორი ერთ-ერთ ქალიშვილს ჩაავლებს მკლავში ხელს და სხვებს ისევ გაღიმებული სახითა და ალერსიანი ხმით მიიხმობს აუდიტორიისაკენ, შემოდითო, მთლიანად ქრება შიშიცა და ნერვიულობაც, აღარ არიან ახლა დაძაბულნი, მხოლოდ განცვიფრება რჩება და მსუბუქი, საოცრად თბილი გრძნობა სიამოვნებისა.

აუდიტორიისაკენ დაიძრნენ ბოლოს სტუდენტებიცა და გაღიმებული პროფესორიც, წინ გამომცდელი მიაბიჯებდა, ისინი კი უკან ასდევნებოდნენ უხმაუროდ. სიჩუმე ჩამოვარდნილიყო მერე, უჩვეულო მოლოდინის გამომხატველი, პროფესორი კი დინჯად დააბიჯებდა მერხებს შორის, გაღიმებული კვლავაც, გედეონი დასდგომოდა ახლა თვალწინ და ნანობდა, რატომ ადრე-ვე არ მივაქციე უურადღება მაგ სტუდენტსო. თუმცა, გადაწყვიტა უცებ, როგორც კი შემხვდება, ყველაფერს გამოვკითხავ, როგორ ცხოვრობს, მშობლები ვინა ჰყავს, სადაურია, და კიდევ სხვა ამბებსო... სახეზე ღიმმორეული შეავლებდა მზერას სტუდენტებს დრო-დრო, მივიდოდა ბოლო მერხამდე, შემობრუნდებოდა, დაფას მიუახლოვდებოდა და ვერა და ვერ იცილებდა ღიმილს, თუმც, ეტყობა, არც ჰქონდა სურვილი ამისა... წელან კი, როცა რეზოს პასუხი მოეწონა და თავისდა უნებურად მოუნდა გაღიმება, ძლივს შეიკავა თავი, ნებისყოფის წარმოუდგენელი დაძაბვა დასჭირდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება აღბეჭდვოდა იმ დროს, თითქოს გაგანია სიცხე იყო და მოულოდნელად ცივ, უინულოვან წყალში ჩავარდნილიყოს, მერეც ზუსტად მსგავსი რამ მოხდა, როცა გედეონის ნიჭი თუ უნარი შეამოწმა და დარწმუნდა, სინამდვილეს შეეფერებოდა გაზეთში აღწერილი ამბავი, თუმც კი გაწბილდა მაშინ, რაკი გაზეთებისა, იქ გამოქვეყნებული სენსაციური ამბებისა არაფერი სწამდა მაინცდამაინც, მაგრამ ისე უჩვეულოდა და წარმოუდგენლად მოეჩვენა ყველაფერი, ჯერ თავიდან რეზოს ცოდნა, რასაც არაფრით არ მოელოდა, მერე უნარი გედეონისა.

ვიდრე გამოცდიდან გაისტუმრებდა ბიჭებს, წამით გადაურბინა სახეზე ღიმილმა, მაგრამ ჩამოიშორა უმალვე, ისე რომ გედეონსა და რეზოს არაფერი შეუმჩნევიათ. ნაძალადევად მისცემოდა ფიქრს, რა არის, ღიმილი შევიკავოო, მაგრამ ისინი გავიდნენ თუ არა, დიდხანს ვერ შეძლო შესრულება განზრახულისა — უცებ მოეფინა სახეზე ღიმილი, თვალებშიც აუბრდღვიალ- და და არავითარი უხერხულობა არ ეგრძნობა, რაც მთავარია, კაციშვილს არ ეხილა ჯერ იმისი გაღიმება, ასე ეწადა და ნებავდა თავად, ეს კი იმ აფორიზმიდან გახლდათ გამომდინარე, რომელიც სიცოცხლის მთავარ და უტყუარ პრინციპად ექცია ჭაბუკობიდანვე, სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული თუ უფრო ადრიდან და ისე მიეღწია იმ დღემდე, ერთხელაც არ უღალატნია ამ პრინციპისათვის.

ძლიერი ნებისყოფის ბრალი იყო ეს ამბავი, რომლითაც გულუხვად დაეჯილდოებია ბუნებას და მერე თავადაც გაეკაუებია ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე... მაშინ კი, ბიჭები რომ გავიდნენ აუდიტორიიდან, ჯერ რომ არ განეცადა არასდროს, იმგვარი სისუსტე და უძლურება იგრძნო, მაგრამ არა სწყენია, იქამდე განუცდელ ნეტარებასა და სიამოვნებას დამორჩილებოდა, ასე იყო მერეც, მერხებს შორის რომ დააბიჯებდა, ენერგიული, თითქმის მკვირცხლი ნაბიჯით, შეუფერებელი რომ იყო იმისი ასაკისათვის... ფიქრით კი გედეონს მიბრუნებოდა ისევ, კვლავ ის დასდგომოდა თვალწინ და რეზოც, ახსენდებოდა, შიშის ნატამალი რომ არ დასტყობია არც ერთს და ახლა, გაღიმებული რომ სცემდა ბოლთას და ზეაწეული განწყობილებაც დაუფლებოდა, ის პრინციპი აეჭვებდა, რომელიც აღაფრთოვანებდა ყოველთვის, მარტო ეგ კი არა, მხნეობასაც ჰმატებდა ყოველი დაეჭვების ჟამს. მეცნიერს რომ ეწვევა ხოლმე დროდადრო — ჭეშმარიტ მეცნიერებზე ვამბობ — იმ დღეს დააეჭვა პირველად შიშით შექმნილმა სიყვარულმა... მერე კი, დრო რომ გავა, ბევრი ფიქრის შემდგომ, სამუდამოდ უარყოფს და გარდასული წლების უდიდეს შეცდომად მიიჩნევს პროფესორი ამ პრინციპს...

„გამოდით და ყველამ ერთად აიღეთ ბილეთები“... — მიმართა კარგა ხნის დუმილის შემდგომ სტუდენტებს. ესეც მოულოდნელი და უჩვეულო ამბავი გახლდათ, მაგრამ სტუდენტებს უკვე სავსებით გაჭრობოდათ შიში, სჯეროდათ, ყველაფერი კეთილად ჩაივლიდა. ჭაღარა პროფესორმა კი დიდხანს აღარ დააყოვნა — რამდენიმე შეკითხვა დაუსვა ჯგუფს, რომელი მიპასუხებთო... დაფრთხნენ კვლავაც სტუდენტები, ბოლოს გამბედაობა მოიკრიბეს და რამდენიმემ რომ უპასუხა, კმაყოფილი და ნასიამოვნები ვარ თქვენი ცოდნითო, განაცხადა, მერე ცალ-ცალკე იძახებდა ყოველ მათგანს მაგიდასთან, რომელსაც თავად მისჯდომოდა, ჩააცქერდებოდა ჩათვლის წიგნაკს და იმ ნიშანს წერდა, რაც წინა გამომცდელს ჩაეწერა. ნახევარი საათიც არ დასჭირვებია მთელი ჯგუფის გამოცდას და ერიამულით გამოცვივდნენ სტუდენტები აუდიტორიიდან, იქამდე კი სიტუვა წარმოსთქვა პროფესორმა, სათითაოდ შეავლო მზერა ჯერ იქ მყოფთ, რაღა თქმა უნდა, ღიმილი ასციმციმებოდა სახე-

ზე და თვალებშიც აკიაფებოდა, შესცქეროდა ერთხანს სტუდენტებს და მერე ლაპარაკი დაიწყო.

რაც კი მეცნიერებისათვის მოეკიდა ხელი, პირველად მაშინ წარმოსთქვა იმგვარი სიტყვა: „ახლა კი, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, რაკი მასიამოვნეთ მართლაც თქვენი ღრმა ცოდნითა და გამჭრიახობით, რასაც არ მოველოდი არაფრით, კარგ დასვენებას გისურვებთ ზამთრის არდადეგებზე. ძალ-ღონის აღდგენასა და გაკაჟებას, ეს კი აუცილებელია მომავალი დაძაბული სემესტრისათვის. ჩემი ღრმა რწმენით, კარგი სპეციალისტები დადგებით თქვენა და, იმედი მაქვს, ასახელებთ მშობლებს თქვენსას უპირველესად და მერმე კი მშობლიურ ინსტიტუტს და თქვენს აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებს...“

მარტო ეს როდი იკმარა. კიდევ სხვა მრავალი კეთილი სურვილი უძღვნა ჭაღარა, გაღიმებულმა პროფესორმა სტუდენტებს, ბოლოს კი წასვლის ნება რომ დართო, აღფრთოვანებულებმა დატოვეს აუდიტორიაცა და გაღიმებული პროფესორიც და ვიდრე ინსტიტუტის დერეფნებს გაეცლებოდნენ, ერთთავად მაშინდელ ბედნიერ დღესა და კეთილ გამომცდელზე ლაპარაკობდნენ, და ამგვარი რამ დაასკვნეს — ტუუილი ყოფილა ყველაფერი, მაგ კაცის სიმკაცრესა და უცნაურობაზე რომ გვსმენოდაო, ცოტა არ იყოს, ინანეს კიდეც. სულელები ვართ მართლაც, რა გვაფრთხობდა გამოცდაზე გასვლის ჭინო... მერე ინსტიტუტის შენობიდან გავიდნენ კმაყოფილნი და მალე გადაივიწყეს იმდღევანდელი დაძაბულობა-შიშისფეთებაც, ჭაღარა პროფესორიც, გამოცდაცა და განცვიფრებაც პროფესორის საქციელს რომ გამოეწვია. ყოველ მათგანს თავისი საზრუნავი აწუხებდა და იმას მიუბრუნდნენ.

ხოლო პროფესორმა სტუდენტების გარდა, სხვათა განცვიფრებაც გამოიწვია იმ დღეს და მარტო მაშინ კი არა, დრო რომ გავა, შემდგომაც ძალზე ხშირად გააოცებს და უხერხულ დღეშიაც ჩააგდებს ირგვლივ მყოფთ, ისეთი უჩვეულო და საოცარი იქნება იმისი ყოველი მოქმედება და საქციელი. ერთი ძალზე მნიშვნელოვანი რამ კი წინასწარვე მინდა იცოდეთ, იმ დღის შემდგომ ის ჭაღარა, ფრიად პატივისაცემი პროფესორი, სიმკაცრით, მომთხოვნელობითა და პრინციპულობით რომ იყო ცნობილი ახალგაზრდობიდანვე, მარად გაღიმებულ, სიკეთესათნოებით სავსე ადამიანად იქცევა...

ხოლო გამოცდის გასრულების შემდგომ, კარგა დიდხანს დააბიჯებდა აუდიტორიაში, იღიმებოდა განუწყვეტლივ. თან კი გონებას იმისას საკმაოდ აბურდულ-აწეწილი ფიქრები მისძალებოდა. ყველაფერი ერთდროულადა და ერთიმეორის მიყოლებით ახსენდებოდა, რაც თავს გადახდენოდა: ბავშვობის შორს, წლებს მიღმა დარჩენილ ულამაზეს ხანასაც იხსენებდა და ჭაბუკესაც, სტუდენტობასაც და შემდგომ სხვას ყველაფერს ერთად. ზოგიერთ ისეთ ამბავსაც, მივიწყებას რომ მისცემოდა; პირვანდელი ელვარება შერჩენოდა გარდასულ ამბებს და მაშინდელი სიცხადე-სიმკვეთრეც. მთავარი კი ის გახლდათ, კმაყოფილი იყო ჭაღარა იგი თავისი თავისაც, განვლილი, გრძელი წლებისაც, რომელიც ჯოჯოხეთურ შრომა-გარჯასა თუ მუდმივ ძიებას დარჩენოდა და შთაენთქა. საამაყო გახლდათ გარდასული წლები, რომელიც იმ ჭაღარა, ფრიად პატივსაცემ და ამჯერად და დღეის ამას იქით ნიადაგ გაღიმებულ პროფესორს გამოევლო...

კარგა გვარიანი დრო დაჰყო იქა. დაცარიელებულ აუდიტორიაში, მერე კი გამოვიდა და დერეფანს დაუყვა — მიაბიჯებდა ჩვეულებრივზე უფრო ჩქარი ნაბიჯით, გზადაგზა ვერც ერთი ნაცნობთაგანი ვერ ასწრებდა მისალმებას. ულიმოდა სახე, უციმციმებდა თვალები, ისინი კი, შემხვედრები, როგორც კი პროფესორი მიესალმებოდათ და ჩაივლიდა, შეჩერდებოდნენ უმალვე, ადგილზე ქვავდებოდნენ თითქოს, გაოცებულნი გააყოლებდნენ მზერას. თითქმის დამფრთხალნი, დღემდე არასდროს ეხილათ იმისი ღიმილი და ვერც წარმოიდგენდნენ. ნეტავ რა უნდა მომხდარიყო, რამ გააბარა ასეო. — ფიქრობდნენ და არც ის დარჩენიათ შეუნიშნავი, საოცრად რომ ამშვენებდა ის კეთილი, თითქმის გულუბრყვილო, უმანკო ღიმილი... ყველა ამჩნევდა ამ მოულოდნელობას იმ დღესაც და მერეც, მომდევნოებში, მაგრამ შემდგომით შემდგომ, როცა თვალი შეაჩვიეს და დარწმუნდნენ, აწი ღიმილს ვეღარაფრით ჩამოიშორებსო, ეჩვენებოდათ. მარტოდენ იმ პირველ დღეებში შვენოდა ღიმილი პროფესორს, ვიდრე უცნაურობად გამოიყურებოდა. მერე, დრო რომ გავიდა და აღარაფერი შეცვლილა, არასასიამოვნო, უფრო უარესიც, თითქმის ამაზრზენ შთაბეჭდილებასაც სტოვებდა ირგვლივ მყოფებზე ღიმილი ჭაღარა პროფესორისა... იმ დღეს კი ღიმილ-ღიმილ-გამარჯობა-გამარჯობათი დატოვა ინსტიტუტის შენობა. უინვიან ქუჩებს მიუყვებოდა მერე, ნასიამოვნები, შემსუბუქებული, საამოდ მოთენთილი თანაც, გვარიანად გადაქანცა ქალაქის ქუჩებში სიარულმა და კვლავაც გარდასული წლები აცახცახებოდა თვალწინ, ყოველი წვრილმანი აბსენდებოდა — მივიწყებაში ჩაკარგულიც, თითქმის მკვდრეთით აღმდგარი და ცხადად შემორჩენილიც... საღამოს, როცა თავის სადარბაზოს მიუახლოვდა, სურდა გულით, ვინმე ნაცნობთაგანი შეხვედროდა, ლაპარაკის საღერღელი აშლოდა, ვეღარ მოეთმინა შინ მისვლამდე, აიარა ორი სართული, მე-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეს რომ აუუვა, კარი გაიღო ერთ-ერთი ბინისა, ახალგაზრდა ქალი გამოვიდა იქიდან და პროფესორსაც აღარ დაუუოვნებია, მიესალმა უმალ და, სხვებისა არ იუოს, ისიც განაცვიფრა: სახელითაც მიმართა და შინაურთა ამბებიც გამოჰკითხა, ოჯახის ყოველი წევრისა სათითაოდ და დაწვრილებით, და ბოლოს, ამგვარი რამ მოაუოლა: „ძალიან ნიჭიერი ბავშვი ჩანს თქვენი ბიჭი, ოო, ცოცხალი ბავშვია და ვგონებ, უნდა მოგეხსენებოდეთ დიდებულად, მთელი ჩემი მოსწრება, ადრეული სიჭაბუკიდან მოყოლებული, თავაუღებელ მეცნიერულ შრომას მოვახმარე და აღზრდას ახალგაზრდობისას, წლებიც შევალიე და ჯანმრთელობაც, ძნელად თუ შევცდები ხოლმე მსგავსი დაკვირვების ჟამს და გეტყვით, რასაც ვფიქრობ: დიდებული ადამიანი დადგება თქვენი შვილი, ეტყობა აქედანვე, მე აღარ ვიქნები იმ დროს ცოცხალთა შორის, ასაკი მაძლევს ამის თქმის საშუალებას, კარგად უწყით საკმაო ხნისა ვარ და გამიხსენებთ ალბათ მაშინ, როცა ახდება ყოველივე. სასახელო მამულიშვილად იქცევა თქვენი შვილი... ოღონდ მთავარი აი, რა გახლავს, ნუ მოაკლებთ აღზრდასა და განათლებაც უნდა მისცეთ აუცილებლად, მერე კი თავადვე გაიკვლევს გზას ცხოვრებაში. ჰო ერთი რამ არის კიდევ, — და ღრმად ჩაფიქრდა. თვალთა ირგვლივ ნაოჭები შემოეჯარა, თუმც ვერ შეატყობდი ვერაფრით, ფიქრის თავი თუ ექნებოდა ახლა, რაკი სახე და თვალები უღიმოდა უწინდებურად, ფიქრით კი, აი, რასა ფიქრობდა: „ჰო, ცუდი პრინციპი ავირჩიე სახელმძღვანელოდ. რა ვიცი, ახლა მეჩვენება ასე, შემდგომაც ხშირად დავფიქრდები ალბათ ამაზე, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რაღა დროის ფიქრი და სინანულია. უვარგისობა იყო, შიში შეიქმს სიყვარულსა-მეთქი, რომ მჯეროდა, ამ საუკუნისათვის შეუფერებელი, დამამცირებელიც... ვაი რომ, გვიანია ძალზე. თუმც კმაყოფილი ვარ მაინც, ამ სიბერისას რომ დავინახე ჭეშმარიტება...“

იდგა, გაღიმებული პროფესორი ბმის ამოუღებლად, იმ მეზობლის ქალსაც ვერ დაეძრა სიტყვა, ქურდულად თუ შეავლებდა ხოლმე მზერას, აჯადოებდა ლამაზი ღიმილი, რომელიც კაცს მოჰფენოდა საოცრად კეთილ სახეზე და თბილ თვალებშიც ჩასდგომოდა, გაოცებულიც იყო, დამფრთხალიც. ნასიამოვნებიცა და დარცხვენილიც. მართლაც დიდებული აზრისა ყოფილა ჭაღარა პროფესორი მის ერთადერთ ვაჟიშვილზე. ქალს ახლა გული სიამოვნებით ეკუმშებოდა. სჯეროდა ღრმად, ერის სასახელოდ გაზრდიდა შვილს. ეჭვიც არ ეპარებოდა, რაკიღა პროფესორმა ბრძანა ესა, ადამიანმა, რომელსაც შეუმცდარი ალღო ჰქონდა გამომუშავებული ხანგრძლივი წლების მანძილზე, და ერთი რამ ფიქრი აფორიაქებდა, ჰქენჯნიდა კიდეც: „ჰხედავ! რა დიდებული ადამიანი ყოფილა ეს კაცი, ჩინებული მოსაუბრე, [illegible] რი ყურადღებიანი, მე კი დღემდე არაფერი ვიცოდი, არადა, რამდენჯერ ავყოლილვარ მეზობლებს, როცა ჭორავდნენ ხოლმე...“

პროფესორმა კი, ეროხელ კიდევ რომ უარყო გუნებაში პრინციპი იმ აფორიზმისა, სახელმძღვანელოდ რომ ექცია და ადრე მოსწონდა კიდეც ამითი თავი, საუბარი განაგრძო:—დარწმუნებული ვარ, დიდი ადამიანი დადგება მართლაც, ვატყობ და უნდა მერწმუნოთ კიდეც, არ ვიცი, რა საქმეს მოჰკიდებს ხელს, მაგრამ სულ ერთია მაინც. ოღონდ ერთი რამ არის მთავარი, გამოგიტყდებით და გეტყვით გულწრფელად, იცით რა? საოცარი შეიძლება იყოს, მაგრამ მეც მხოლოდ აგერ ახლაღა ვხვდები ამას, მთავარია, არ დაივიწყოთ, თამამად უნდა გაზარდოთ, არავითარი შიში თუ მსგავსი რამ. შიში უარსაყოფია, საშინელებაა, უარესიც, თითქმის ბოროტება...

ეს საკმაოდ ვრცელი ტირადა რომ წარმოსთქვა„ თუმცა კვლავ სურდა ლაპარაკი, მაგრამ მიხვდა, ზედმეტი გამოუვიდოდა, კარგად იუავითო, — დაემშვიდობა მეზობელს, ნელა აიარა კიბე და ზარი დარეკა. კარი მეუღლემ გაუღო და თვალები გაუფართოვდა უეცრად ქალს, დაფრთხა ელდანაკრავივით და ერთხანს იდგა გახევებული, ხმა ვერ ამოეღო. ფერიც თანდათან მისდიოდა — საოცრად შეცვლილიუო ქმარი დილას აქეთ, არ გასჭირვებია ამის მიხვედრა, თვალის ერთი შევლებისთანავე შეამჩნია ქალმა, რომელიც ,ხანგრძლივი წლების მანძილზე მისჩვეოდა უცხვირპირობასაც თუ კიდევ სხვა მრავალ უცნაურობას მეუღლისას, თუმც ბევრი რამ არ მოსწონდა იმისი, ფიქრში ხშირად ჯალათსაც უწოდებდა, მაგრამ რაკი ამაუი დედაკაცი იყო, კაცისშვილისთვის არ გაუმხელია ქმრის ნაკლოვანებანი, შინაურებისთვისაც კი. ხოლო სხვებს, ცხადია თავისთავად, არ გაანდობდა არასდიდებით... ხოლო მისი მეუღლე გაღიმებული დამდგარიუო ახლა კარის ზღურბლზე, ალერსი აჰკიაფებოდა სახეზე. თვალებშიც ჩასდგომოდა და შემკრთალიუო ქალი. მიჩვეული არ გახლდათ მსგავს საქციელს ქმრისას. რადგან პროფესორი, ისე ჩაევლო იმის გრძელ ცხოვრებას მხოლოდ და მხოლოდ ზემოთ ნახსენები პრინციპით ხელმძღვანელობდა უველგან და ყოველთვის. შინაც და გარეთაც და ახლა ქალს გაოცებასა და შიშთან ერთად, გონიც არეოდა, აღარ ძალუძდა ნორმალური აზროვნება. მერე კი შორეული წლები გაახსენდა ახალგაზრდობისა ძალაუნებურად, არა, მაშინაც არ მოსწრებოდა მსგავს საქციელს მეუღლისას და უარესად დაეფრთხო იმის სახეზე აღბეჭდილმა ალერსიანმა გამომეტყველებამაც და მომჯადოებელმა ღიმილმაც.. ოთახში შევიდა ბოლოს პროფესორი, ლაპარაკის საღერღელი აშლოდა ხელასლა, რამდენიმე ალერსიანი სიტყვა უბოძა ქალს, რომე-

ლიც ვერა და ვერ მოსულიყო გონს, აღგზნებულად დაიწყო ლაპარაკი: „დიდებული ჯგუფი გამოვცადე დღეს, იშვიათად რომ შემხვედრია, ისეთი, ნიჭით აღსავსე, განათლებული ჭაბუკები და ქალიშვილები, გაგიკვირდებოდა, იმგვარად კარგები იყვნენ, მესიამოვნა ძალზე და შენ ნუ გაგაოცებს, ასე რომ მხედავ გამხიარულებულს, უჩვეულო გუნებაზე მყოფს...“

ზამთრის იმ ყინვიან ღამეს ძილი გაუტყდა ქალს, მეუღლეს ფრიად პატივსაცემი, იმ დღიდან კი ნიადაგ გაღიმებული პროფესორისას... მთელ საღამოს დიდებულ გუნებაზე ბრძანდებოდა კაცი, ენად გაკრეფილიყო საერთოდ დარბაისელ-სიტყვაძვირი ადამიანი, და, გარდა ამისა, უჩვეულოდ აცუნდრუკებულიყო კიდეც, არ შეეფერებოდა იმის ხნოვანებას, სიბერის ეამს კი არა, ახალგაზრდობის დროსაც არ დამართნოდა მსგავსი ამბავი... ჯერ იყო და, ვახშამს რომ შემოუსხდა ცოლ-ქმარი, შორეული წლები გაიხსენა პროფესორმა ახალგაზრდობისა და ის ამბავიც მოაყოლა, ადრე არასდროს რომ არ გახსენებოდა, წარსულში დარჩენილი, გაფერმკრთალებული, მივიწყებას მიცემული ხანა, ერთმანეთი რომ გაიცნო ქალ-ვაჟმა, ისეთი წვრილმანები და უმნიშვნელო დეტალები აგონდებოდა გარდასულისა. ქალს რომ აღარ ახსოვდა საერთოდ, იმას რომ არ მოჰგონებოდა, ვერც გაიხსენებდა და ახლა დიახაც ცხადად ხედავდა ჩავლილ ამბებს, წარმტაც ფერებში რომ აფართხალებულიყო, თითქოს მომხიბვლელი სურნელიც ატანდა იმ წლებიდან... ბოლოს, წარსულის გახსენებით ოდნავ რომ იჯერა გული, ასეთი რამ თქვა პროფესორმა: „ყოველთვის მიყვარდი, ახალგაზრდობის წლებიდანვე მოყოლებული, გაგიცანი თუ არა, იმ პირველი დღიდანვე, და ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ახლაც მაშინდელივით მიყვარხარ, თუმცა კი ვცდილობდი ნიადაგ, საგულდაგულოდ მიმეჩქმალა ეს ამბავი. შენ კი არა, თავსაც არ ვუტყდებოდი, მიყვარდი და ახლაც ასეა... და ვგრძნობ, თუმცა გვიანია გამხელა, მაგრამ გეტყვი მაინც, უნდა იცოდე სიმართლე: ვცდებოდი და საშინლადაც, ის განვლილი წლები და ჩემი სიცოცხლე მწარე შეცდომა იყო და ვის უნდა ვუთხრა ახლა ესა, თუ არა შენ, ადამიანს, რომელიც ყოველმხრივ ღირსეული თანამგზავრი იყავი ჩემი სიცოცხლისა....

დინჯად ესაუბრებოდა, ქალი კი დაძაბულიყო საშინლად, ვერა და ვერ მოსულიყო გონს, ხუმრობდა თუ სერიოზულად ლაპარაკობდა ქმარი, ერთი რამ კი იცოდა დარწმუნებითა და ნათლად, ხუმრობა საერთოდ არა სჩვეოდა იმას, ასე იყო ყოველთვის, რაც კი ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ ის ღიმილი აეჭვებდა, აკარგვინებდა თავგზას, უჩლუნგებდა უნარს საღი აზროვნებისას,—უჩვეულო გამოცოცხლებაც იმისი, სიტყვამრავლობაც და ქალი უფრო და უფრო იძაბებოდა, ხმის დაძვრაც ვერ გაბედა, ისე ეშინოდა, ეშინებული, უსმენდა ქმარს და ძლივსლა იკავებდა ცახცახს, ის კი განაგრძობდა დინჯად და დაბალი ხმით ხან, ხან აჩქარდებოდა და ხმასაც აუმაღლებდა მოულოდნელად, აღსარებას უმხელდა თითქოს თავისი ცხოვრების თანამგზავრს და ალბათ ასე იქნებოდა მართლაც, ის ღიმილი რომ არა, რომელიც ხუმრობის იერფერს სძენდა წრფელი გულით ნათქვამს, დაუჯერებელსა და როყიოდ წამოსროლილს ადარებდა. ხოლო ქალი გაბრუებული და ფერმიხდილი უსმენდა, ეხვეოდა თავბრუ, ჰაერიც აღარა ჰყოფნიდა, ის კი განაგრძობდა: — ჰო, პირწმინდადა და კეთილსინდისიერად გაქვს მოხდილი ვალი, ცხოვრება რომ აკისრებს დედაკაცს. პატიოსანი მეუღლისაც, მზრუნველი, შვილებზე გადაყოლილი დედისაც, პირნათლად. და ქალს მეტიც არ მოეთხოვება არც სამშობლოსა და არც კაცობრიობისაგან, სამაგალითოდ განვლე შენი ცხოვრება ღა არ გაგიკვირდეს მხოლოდ ახლა რომ გეუბნები ამას, დამნაშავე ვარ. რა თქმა უნდა, შენს წინაშე და არ გაიოცო. ვცდებოდი-მეთქი, აგერ ახლახან რომ გითხარი... ჰო, ჭეშმარიტებაა, დიახ, ასეა, ჩემო კარგო. და თავადვე დღეს შევიცან მხოლოდ სიმართლე, თუმც გვიანია და ძალზეც, მაგრამ კმაყოფილი ვარ მაინც. სიცოცხლის დასასრულისას რომ ჩავწვდი ყოველივეს: მთავარში ვცდებოდი, არ ვიცი, ხვდები თუ არა, რა პრინციპით ვიცოცხლე ამქვეყნად, არა, არ გეცოდინება ალბათ, რადგან არც ერთხელ არ წამომცდენია სიტყვა ამაზე... ჰო, ის პრინციპი აღმოჩნდა მცდარი და უვარგისი: შიში შეიქმს სიყვარულსა-მეთქი, ყოველთვის მჯეროდა და, რაკი დარწმუნებული გახლდი ასე რომ იყო, ერთნაირად ვირჯებოდი ყველგან. — შინაც და გარეთაც, შიში და მორიდება მინდოდა ჰქონოდა ყველას ჩემი, ახლა კი, ჩავწვდი ჭეშმარიტებას და თავდაყირა ამოტრიალდა ყველაფერი, რაც კი უცილოდ მიმაჩნდა უწინ...“

„დადუმდა პროფესორი. გაასრულა სათქმელი ძლივს. შესცქეროდა ცოლს, სითბო-ალერსს აფრქვევდა თვალთაგან და იღიმებოდა ისევ; ბოლო დედაკაცი ახლაღა უღრმავდებოდა სიტყვებს ქმრისას, მშვიდდებოდა თანდათან, მაგრამ შიში ვერა და ვერ დაეთრგუნა: ქმრის გაღიმებული, საოცრად თვითკმაყოფილი გამომეტყველება სახისა არ აძლევდა მოსვენებას. ელოდა ერთხანს, იქნებ საუბარი განაგრძოს, ანდა ეგებ ღიმილი ჩამოიცილოსო, მაგრამ აღარაფერი რომ აღარ უთქვამს და ღიმილიც შერჩენოდა, მერე ეობის შემდგომ გაბედა და უთხრა კაცს:

— რაღაც უცნაურად გამოიყურები დღეს, — წამოენთო სახე ამას რომ ამბობდა, გარდასული წლები მობრუნებულიყო თითქოს ისე დაი-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორცხვა და პროფესორს არ გამოჰპარვია ცოლის ასეთი აღელვება. ესიამოვნა. ქალმა კი, როგორც იქნა, განაგრძო: — ჰო, უცნაურად გამოიყურები. ცუდად ხომ არ გრძნობ თავს?..

— არა, პირიქით, — უმალვე მოუგო ქმარმა, სახე ხომ უცინოდა და უცინოდა ისედაც, ესეც არ იკმარა, გადაიხარხარა. — ცუდად კი არა, ასეთი ბედნიერი, დღეს რომ ვარ, მგონი არასდროს არა ვყოფილვარ...

ამით გასრულდა ცოლ-ქმრის იმღამინდელი საუბარი. ყინავდა ქუჩებში. ხოლო პროფესორს ტკბილად ეძინა, უდარდელად, კმაყოფილი იერი დასთამაშებდა სახეზე და უბედნიერესი ვინმე იყო მართლაც. ჩვეულებრივზე ადრე ჩაწვა იმ ღამით დასაძინებლად, სხვა დროს, შუაღამეს რომ გადასცილდებოდა, იმის მერეც ძლივს გაახსენდებოდა ლოგინი და თვალის მოხუჭვა, მაშინ კი საქმე არ მოჰგონებია, ნაადრევად მიაშურა საწოლს... ხოლო ქალი სიბნელეში შესცქეროდა ქმარს, აშკარა იყო, რაღაც უბედურება თუ ფათერაკი შემთხვეოდა, ძილშიაც შერჩენოდა წეღანდელი უცოდველ-უმანკო ღიმილი, იწვა უდრტვინველად და ღრმად სუნთქავდა, თანაზომიერად. მერე როდის-როდის იყო, ქალიც მინებდა ძილს, მაგრამ არა, თავს იტყუებდა მხოლოდ, ძილს ვერ ეტყოდი იმას — წარამარა ახელდა თვალს შეშინებული და მეუღლისაკენ აპარებდა დამფრთხალ მზერას, მტანჯველი შიში ეუფლებოდა ისევ და ისევ, როცა კი იმის ღიმილს დაინახავდა სიბნელეში...

იმ ღამეს უჩვეულო ნერვულობასა და დაძაბულ შიშისფეთებაში გაატარებს ქალი, მეუღლე ნიადაგ გაღიმებული კაცისა, პროფესორისა, რომელსაც მხოლოდ იმ დღეს ჩამოსცილებოდა მსგავსება, ინსტიტუტი საიუბილეო სამზადისისას რომ დასტყობოდა: ახლა ქურუმისა აღარაფერი ეცხო იმას და, რა თქმა უნდა, ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, საერთოდ, წარმოუდგენელია კმაყოფილ-უბედნიერესი, ნიადაგ გაღიმებული ქურუმი... ხოლო ქალმა თითქმის უძილოდ გაატარა ის ავად სახსენებელი, ჯოჯოხეთური ღამე ზამთრისა და შემდგომით შემდგომაც, რამდენიმე ღამეს კიდევ არ ჩამოსცილებია უძილობაცა და ნერვული დაძაბულობაც. ნათესავ-ახლობლებიც აფორიაქდნენ პროფესორისა, თავდაპირველად შვილები — მეორე დღესვე დაიბარა ისინი დედამისმა და უველაფერი წვრილად უამბო, გაუმხილა უბედურება, თავს რომ დასტყდომოდა ოჯახს. მერე და მერე დრო რომ გავიდა და უველაფერს ჩვეულებრივი კალაპოტი დაუბრუნდა, მეტი რაღა ძალა ჰქონდათ, დრო მკურნალია. და, ისინიც შეეგუენ უოველივეს: ჯერ ჭაღარა, ნიადაგ გაღიმებული პროფესორის შორეული ნათესავები თუ ახლობლები დამშვიდდნენ, მერე შვილები და ბოლოს ცოლიც შეეჩვია მდგომარეობას... ხოლო თავად ის, კვლავაც გაღიმებული დაიარებოდა უველგან და უოველგან ღამღამ, ძილშიაც გამუდმებით დასთამაშებდა სახეზე ის გულუბრყვილო, ტკბილი კმაყოფილებისა და უმაღლესი ნეტარების გამომხატველი ღიმილი და სხვა ამბებსაც როდი დაუყოვნებია, კიდევ ბევრი რამ უცნაურობა დასჩემდა: ადრე, აი, იქამდე, ვიდრე გაიღიმებდა და სამუდამოდ აღიბეჭდავდა სახეზე და თვალებშიც აიკიაფებდა იმ ღიმილს, ახსოვდა უველას, ვისაც კი იმასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია, ძალზე სიტყვაძვირი ვინმე ბრძანდებოდა, მეტწილ გაჩუმებული იყო ხოლმე, ფიქრს მინებებული, ახლა კი, არას დაგიდევდა, საჭირო იყო თუ არა, ლაპარაკს იწყებდა, აღტკინებული გახლდათ იმ დროს, ღალატობდა ზომიერების გრძნობა, საოცარ ენაწყლიანობას ამჟღავნებდა, მოსაბეზრებელ მჭევრმეტყველებას და, რაც მთავარია, უწინდებურად როდი იწვევდა შიშსა თუ ძრწოლას, არც კოლეგებს ეუფლებოდათ ეგ განცდა, არც სტუდენტებს და აღარც ოჯახის წევრთ, ხოლო ღიმილი უსიამო გრძნობას ბადებდა, თავად კი, მგონი, ბაიბურსაც არ უნდა ყოფილიყო, კაციშვილს არ უგრძვნია, თუკი იმჩნევდა ცვალებადობა-გარდაქმნას, უკანასკნელ ხანებს რომ მოეტანა მისთვის, რასაც უველა დიდებულად გრძნობდა, ყოველი უბრალო ნაცნობიც კი...

დაბიჯებდა ჭაღარა პროფესორი, რომელსაც მართლაც დიდზე დიდი წვლილი მიუძღოდა და დამსახურებული პოპულარობითაც სარგებლობდა საზოგადოებაში, აღიარდა უამრავი სპეციალისტი თუ მკვლევარი და მეცნიერებაც წინ წაეწია საკუთარ გამოკვლევათა წყალობით. იღიმებოდა და იღიმებოდა დღენიადაგ. სახეზე უზენაესი ნეტარება თუ ძნელად წარმოსადგენი თვითკმაყოფილება აღბეჭდვოდა და ადრე, როცა ყოვლად ჩვეულებრივ მეცნიერ-მუშაკთაგანი ბრძანდებოდა, თუკი იშვიათად დაილაპარაკებდა ხოლმე და კაციშვილს არ შეაწყენდა თავს ზედმეტი საუბრითა და ენაწყლიანობით. ახლა, იმ საბედისწერო დღის შემდგომ, როცა სახეზე სამუდამოდ აღბეჭდა და დაარჩნდა ღიმილი და იერი კმაყოფილი ადამიანისა, წარამარა იწყებდა საუბარს, არ დაგიდევდათ, მოითხოვდა თუ არა ვითარება, ენამჭევრობდა უცნაური ხალისითა და აღტკინებით, ასე და ამგვარად ხდებოდა უველგან: ოჯახში, როცა მარტონი იყვნენ ისა და მისი მეუღლე თუ მაშინ, როდესაც სტუმრები ეწვეოდნენ ხოლმე, ინსტიტუტში ლექციებზე თუ კათედრის სხდომებზე, უველგან, უველგან, სადაც კი წამოუვლიდა დაუძლეველი ენინი ლაპარაკისა და აზრის გამოთქმის საშუალებაც მიეცემოდა და უნდა ითქვას, ინსტიტუტის ხელმძღვანელობასა და პროფესორ-მასწავლებლებს გამოუვალ მდგომარეობას უქმნიდა ხშირად: ერთი ჩვეულება მოსდგამდა პროფესორს ახალგაზრდობიდანვე — კრებებსა და სხდომებზე უყვარდა დასწრება, უყვარდა ცო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტაა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, სულიერ მოთხოვნილებად ჰქცეოდა-მეთქი. ჰო, ასე იყო, არაამქვეყნიურ სიამოვნებას ანიჭებდა ყოველი კრება თუ სხდომა და რაკი საოცრად წესრიგის მოყვარულ ადამიანადაც იყო ცნობილი თავიდანვე, ვგონებ, რაც კი თავი ახსოვდა, არც ერთი კრება არ გაუცდენია და ეს თვისება თუ ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვეულება, მერეც შემორჩა, იმის შემდგომაც, სამარადისოდ რომ გაელიმა, უარესიც, გაუცხოველდა კიდეც ყინი კრებებსა თუ სხდომებზე დასწრებისა და დიდი სიამოვნებითა და აღტკინებით მოელოდა ხოლმე ნანატრ დღეს, ესწრებოდა მერეც, თუმცა, უნდა ითქვას, უმჯობესი იქნებოდა გაეცდინა, და არც აგებინებდნენ, მაგრამ იტყობდა თავად, რაკი ბოლო ხანებში საოცარი ცნობისმოყვარეობაც დასჩემდა — ხალისითა და გატაცებით კითხულობდა ვესტიბიულში გამოკრულ განცხადებებს, ჯერ ერთი არ გამორჩებოდა, რაღა თქმა უნდა, არც ის გამოეპარებოდა, კრება თუ იყო დანიშნული; ინსტიტუტის ხელმძღვანელობასა და პროფესორ-მასწავლებლობას, სწორედ აი, ეგ ამბავი უქმნიდა უჭერხულ მდგომარეობას: წარმოიდგინეთ ამგვარი რამ — მიმდინარეობს კრება, საქმიანი, ფრიად სერიოზული ატმოსფერო სუფევს ირგვლივ, რადგან სხვაგვარი რამ წარმოუდგენელია, ცხადია თავისთავად, ასეც უნდა იყოს, იხილავენ, დავუშვათ, რომელიმე ნაკლოვან მხარეს, რომლის გამოსწორება საშური საქმეა, ეძებენ გზებს ნაკლის გამოსასწორებლად და მიზეზსაც, რათა შემდგომ ის ნაკლი აღარ განმეორდეს. ამ დროს კი, რომელიღაც გამოუსწორებელი, მომღიმარი კაცი, რომელიც სრულიადაც არ გახლავთ დამნაშავე, რაკი განგებ არ იღიმის, გულდაგულ ისმენს გამოსულთა წინადადებებს, ამასაც როდი კმარობს, უბის წიგნაკშიც იწერს შენიშვნებს, მერე კი უმალვე, საშუალება როგორც მიეცემა, თავადაც გამოდის სიტყვით — აზრის გამოთქმა სურს და ხომ ვერ აუკრძალავ, ლაპარაკობს საქმიანის კილოთი, რიგიანად თანაც, და მაშინ, როცა სხვები დასერიოზებულნი არიან, იღიმება და იღიმება... მიხვდებით ალბათ, სხვათა უზერხულობას გამოიწვევს ღიმილი იმ კაცისა... ანდა ასეთი რამ ვთქვათ: კრება მიმდინარეობს დავუშვათ, კვლავაც, საკითხს განიხილავენ უდისციპლინო თუ ჩამორჩენილი სტუდენტებისას და იცის ყველამ, აუცილებლად უნდა დაისაჯონ დამნაშავენი, ამ დროს კი გამოდის სიტყვით ჰალარა, ნიადაგ გაღიმებული პროფესორი, რომლის დამსაბურებას, წვლილსა და ღვაწლს ვერავინ უარყოფს და მოითხოვს უდისციპლინო სტუდენტთა დასჯას — სტიპენდია მოუუხსნათ, ან საუვედური გამოვუცხადოთ, ანდა, რაღას ველოლიავებით, ავდგეთ და სულაც გავრიცხოთ ინსტიტუტიდანო... სამართლიანი მოთხოვნაა, კარგადაც ლაპარაკობს, ლოგიკურადაც აზროვნებს დიდებულად, მაგრამ საოცარ კმაყოფილებას გამოხატავს იმისი სახე, თითქოს გახარებულია, მაშინ, როცა სხვები დამწუხრებულან...

ჰო, ძალზე ხშირად ჩაუგდია იმ ჰალარა, ნიადაგ გაღიმებულ პროფესორს ინსტიტუტის მესვეურნი მსგავს და გაცილებით უარეს დღეშიაც. გამოსავალი კი ყველას რომ აფიქრებდა და დარდადაც შემოსწოლოდა გულს, არ არსებობდა და არა, თუმცა, კაცშვილი არ ეძალებდა — ამა და ამ დღეს კრებაა და აუცილებლად დაესწარიო, სიტყვით გამოსვლას ხომ არ სთხოვდა და არა ვინმე, მაგრამ მაინც ესწრებოდა პროფესორი კრებებს და რაღას იზამდნენ, აკრძალვით ვერ აუკრძალავდნენ; გამოდიოდა სიტყვითაც და ვერც ამას დაუშლიდა ვინმე, მორალური უფლება არ ჰქონდათ, ცხადია, ამისა და თან იქაურ პროფესორ-მასწავლებლობათა უმეტესობა იმისი აღზრდილი იყო. ესეც რომ არა, აბა, როგორ ჰკადრებდნენ, კრებას ნუ დაესწრებიო... საზეიმო სხდომები კი სულ სხვა გახლდათ, იმ დროს საჭირო და აუცილებელიცაა ღიმილი, დროულ-სავალდებულო. მაგრამ, მოგეხსენებათ, საზეიმოდ არცთუ ისე ხშირად გვაქვს ხოლმე საქმე...

ბოლოს გათენდა ერთი დღეც და, რექტორატმა განიზრახა ლექციაზე დასწრებოდნენ ჰალარა, დღენიადაგ გაღიმებულ პროფესორს. ვიდრე ამას გადასწყვეტდნენ, ბევრი იფიქრეს და იდავიდარაბეს, რა მოვიმიზეზოთო, განაწყენება არ სურდათ იმ კაცისა, არადა, შემოწმებაც დროული და აუცილებელი იყო, რა იცი, ეგებ ძველებურად ველარ კითხულობს ლექციებსო და ბევრი ფიქრისა და მსჯელობის შემდგომ, ამგვარი რამ მოახსენეს. გამოცდილების გაზიარება გვსურს, მოწინავე ლექტორთა მეთოდები გვინდა დავნერგოთ და თუკი ნებას დაგვრთავთ და ხაწყენად არ მიიღებთ, დავესწრებით თქვენს ლექციასო. ის კი, რა თქმა უნდა, გაღიმებული ისმენდა და ღიმილითვე განაცხადა თანხმობა, დაეტყო, ესიამოვნა კიდეც: ნება თქვენია, მობრძანდით, რამდენსაც გენებოთ, დამესწარითო...

და, აი, ლექციაც დაიწყო, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი ინსტიტუტის მესვეურთ, წყალში ჩაეყარათ იმდენი გარჯა: პროფესორი, თუმც კი იღიმებოდა განუწყვეტლივ და ისე დადიოდა მერხებს შორის, ჰო, ღიმილს როგორ ჩამოიცილებდა... ლექციას კვლავაც ძველებურად კითხულობდა, დამსწრეთა უმეტესობა იმისი ყოფილი სტუდენტები იყვნენ და კარგად ახსოვდათ... შესაშური მკვირმეტყველება ჰქონდა მართლაც და იშვიათად რომ ღირსებია ვინმეს, იმდაგვარი ლოგიკური აზროვნება — სულგანაბული უსმენდნენ სტუდენტები, ის კი ლაპარაკობდა და

ჯუმბერ ბიკარაძე
სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაპარაკობდა შეუსვენებლივ, აუალიბებდა და ასაბუთებდა დიდებულად ახალ-ახალ დებულებებს, განმარტავდა მერე საოცრად მარტივად და მისაწვდომად, გსურდა თუ არა, მაინც ჩაგეჭედებოდა ტვინში იმისი ნათქვამი, დადუმდებოდა შემდგომ წამით, შეწყვეტდა ლაპარაკს, გადახედავდა სტუდენტებს და იტყოდა — გაუგებარი ხომ არ არის რამეო და თუკი რომელიმე მათგანი დაუსვამდა შეკითხვას, პასუხობდა; რექტორატის წარმომადგენელნიც იმ სტუდენტებს დადარებოდნენ, თითქოს კვლავაც მობრუნებულიყო განვლილი წლები, ისმენდნენ მოხიბლულნი: ერთმა ამბავმა დააეჭვათ მხოლოდ, მაგრამ რომ ჩაფიქრდნენ და აწონ-დაწონეს, უმალ უარყვეს ეჭვი: ძველ ბერძენ ფილოსოფოსებზე ლაპარაკობდა იმ დღეს ის ჭაღარა, ნიადაგ გაღიმებული პროფესორი, მატერიალიზმის წარმომადგენლებზე და ასეთი რამ თქვა — იმათ გულუბრყვილო მატერიალისტებს უწოდებენ, ასეთი აზრია საერთოდ გაბატონებული მეცნიერებაში, მე თუ მკითხავთ, არასწორად მიმაჩნია ამგვარი რამ, არაფრით არ შეიძლება დავწამოთ გულუბრყვილობა რაიმეს პირველადმომჩენთ და პირველდამწყებთ, თავს როდი გახვევთ ჩემს აზრს, გიმხელთ და თქვენ, როგორც გინდათ, ისე იწამეთო...

დრო კი ისე სწრაფად გავიდა, ზარი რომ დაირეკა, გაოცება დაეტყოთ რექტორატის წარმომადგენელთ, დამსწრეებს ჰკითხა მერე პროფესორმა, მათთან რომ დარჩა პირისპირ, შეკითხვა ხომ არ გექნებათ რამეო... არაფერი უკითხავთ, ისედაც ნათელი და ცხადი იყო ყოველივე: ღიმილი, დარდად რომ ჰქცეოდათ სხვებს, უფრო უშუალოს, ბუნებრივსა და ძალდაუტანებელს ხდიდა ლექციას ჭაღარა, მუდამ მოღიმარი პროფესორისას და რაღას იზამდნენ ინსტიტუტის მესვეურნი, ტუილუბრალოდ გახარჯულიყო იმათი მეცადინეობა, მართლაც სანიმუშოდ ჩაიარა ლექციამ... მაგრამ საგონებელს იყვნენ ჩავარდნილნი მაინც: პროფესორის კრებებზე დასწრება აფიქრებდათ და ადარდიანებდათ ისევ და გადაწყვიტეს, საფუძვლიანად და გულდასმით შეესწავლათ ეგ საკითხი, და ერთ მშვენიერ დღესაც იპოვეს, როგორც იქნა, ნანატრი გამოსავალი: ვინაიდან ადამიანს ვერ ავუკრძალავთ კრებებზე დასწრებას, მორალური უფლება არ გვაქვს საამისოდ, მოდით და ამგვარად მოვიქცეთ, ნუღარ გამოვაკრავთ განცხადებებს კრების მოწვევის თაობაზეო, პროფესორი კი ბაიბურსაც არ იქნებოდა და გამოუვალ მდგომარეობასაც სადარდებლად რომ ჰქცეოდათ, ადვილად დააღწევდნენ თავს და არც უსიამოვნების მსგავსი რამ შეხვდებოდათ. კაციც გამოჰყვეს ერთი საგანგებოდ, რომელსაც კრების წინ ხალხის გაფრთხილება ევალებოდა. მართლაც კმაყოფილნი ბრძანდებოდნენ, უხერხულობა თავისთავად ფაქრებოდა, არც მწვადი დაიწვებოდა და არც შამფური, მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა იმათი სიხარული, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო... მოიწვიეს კრება, მივიდნენ დიდის ხმით და არავინ რომ არ მოელოდა, ხედავენ, ჭაღარა, ნიადაგ გაღიმებული პროფესორი პირველი მობრძანებულა, ჯხოლო სხვანი, — მოგეხსენებათ ვგონებ, არის მსგავსი ყაიდის ხალხი, — რაკი მიზეზი მიეცათ, განცხადება არ ყოფილა გამოკრული, კრება თუ იყო მოწვეულიო, ადვილად შეძლებდნენ თავის გამართლებას, არ გამოცხადებულან, ის კაცი კი საგანგებოდ რომ გახლდათ გამოყოფილი ირწმუნებოდა — ღმერთი, რჯული, ყველანი გავაფრთხილეო...

ცოტა ხალხი დაესწრო იმ დღეს კრებას, არადა, საპრობლემო საკითხს ეხილავდნენ მართლაც: კაბინეტ-ლაბორატორიების ახალი ტექნიკით აღჭურვა მოეწადინებია ინსტიტუტს და სწორედ მაშინ უნდა გადაეწყვიტათ ეს საკითხი და რამდენჯერმე კვლავ განმეორდა ერთი და იგივე — მოიწვევდნენ კრებას, ვესტიბიულში კი განცხადებას არ აკრავდნენ, მოვიდოდა მერე ის დღე და პირველად ისევ ჭაღარა, ნიადაგ გაღიმებული პროფესორი გამოცხადდებოდა, ხოლო ისინი, ვინც მაინცდამაინც არ გახლდნენ კრებებსა თუ საზეიმო სხდომებზე დასწრების მოყვარულნი, ვითომც გონსაც ვერ მოგებულიყვნენ, აცდენდნენ და აცდენდნენ კრებებს...

კვლავ საგონებელს ჩავარდნილიყვნენ ინსტიტუტის მესვეურნი, ახლა უწინდელზე უარეს დღეს მისცემოდნენ, მაგრამ ამჯერად თავად გაღიმებულმა პროფესორმა იხსნა ისინი: რექტორს ეწვია ერთხელაც კაბინეტში, გაღიმებული შევიდა, რა თქმა უნდა, და რექტორსაც მეტი რა შეეძლო, გაღიმებულმა მიმართა, მობრძანდით, რაზე შეწუხებულხართო. ის კი იდგა ერთ ხანს ხმის ამოუღებლად, მერე კი წამოიწყო: „იცით რა? ცოტა არ იყოს, უხერხული კია, მე რომ გეუბნებით ამას, მაგრამ სხვა რამ გზა ვერ გამოვნახე, — ჩაფიქრებულა ნიადაგ გაღიმებული პროფესორი, თითქოს აღარც სურდა წამოწყებულის გაგრძელება, იორჭოფა, იორჭოფა, მერე კი, რაც არის, არის, ვიტყვიო, გადასწყვიტა გუნებაში: — ჰო, უხერხულია, მაგრამ ვხედავ, გასაჭირი დაგდგომიათ, და ვერ ვიქნები გულგრილი საერთო საქმის მიმართ, თანაც ვიცი, ბევრ რამეს ვხვდები მე, თქვენ რომ გგონიათ აზრზე არ არისო, ჩემი მიზეზით ჩავარდნილხართ ასეთ მდგომარეობას. — მერე ისევ დადუმდა, დაკვირვებით მოავლო მზერა რექტორს, ის კი იდგა უხერხულად და შესაცქეროდა, ხმაც ვერ დაეძრა, ხოლო პროფესორმა ამოიხორა ერთი ღრმად, ღიმილი არ ჩამოსცილებია, პირიქით, უფრო მიეძალა და იმ ამოოხვრამ მიახვედრა მსმენელი, ვერ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც გუნებაზე. — ჰო, ჩემი ბრალია ყველაფერი, აი, იმას მოგახსენებთ, კრებები ველარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს ძველებურად, — თითქოს უფრო გულიანად გაეღიმა და რექტორს სახე წამოენთო, აღარ იცოდა; როგორ მოქცეულიყო. — ერთი რჩევა მინდა მოგცეთ, ხომ ხედავთ, მაინც ვესწრები კრებებს და არ სჯობს ვითომ იმ კურთხეულ, ნაცად წესს დაუბრუნდეთ? ვესტიბიულში გამოაკარით კვლავაც განცხადებები და კრებებსაც ვერავინ გააცდენს...“ ეს რომ თქვა, მიტრიალდა და კმაყოფილი გავიდა კაბინეტიდან, სოლო რექტორს ოფლი ასხამდა სიმწრისა, ყოფილი სტუდენტი იყო იგი იმ ჭაღარა, გაღიმებული პროფესორისა და ახლა მარტო რომ დარჩა კაბინეტში, უხერხულობა უფრო მისძალებოდა, ვერ წარმოედგინა ადრე ვერაფრით, თუკი ამდენს ხვდებოდა პროფესორი და, რაღას იზამდნენ, ისევ ძველ წესს მიუბრუნდნენ, ყოველი კრების წინ აკრავდნენ ვესტიბიულში განცხადებებს... ერთი უცნაურობა დასჩემდა კიდევ ჭაღარა, გაღიმებულ პროფესორს და იმასაც გეტყვით ბარემ, მოგახსენეთ ადრევე, გაზეთებში გამოქვეყნებული სენსაციური მასალებისა რომ არაფერი სწამდა ამ კაცს და ეგ ამბავი სიბერისა და წლების ბრალი არა ყოფილა-მეთქი, ახალგაზრდობითვე, სტუდენტობის წლებიდანვე ფოსდგამდა ამგვარი ზნე და ძალზე ხშირადაც შეუმოწმებია, მართალი იყო თუ არა ის, რასაც გაზეთი იუწყებოდა. გაწბილებულიც არცთუ ისე ხშირად დარჩენილა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა და არა, და, აი, იმ დღის შემდგომ, გედეონის უნარი რომ შეამოწმა და იმედის გაცრუების მიუხედავად, ბრაზი არ მისძალებია, როგორცა სჩვეოდა ხოლმე, უკვალოდ გაუქრა მანამდე ძვალ-რბილში გამჯდარი უნდობლობა გაზეთებისა და ჟურნალისტებისადმი და აჰლა, მას მერე, მუდმივი ღიმილი აღებეჭდა თუ არა სახეზე, ყველაფერი პირიქით ხდებოდა: სიამოვნებითა და შესაშური გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებდა ხოლმე გაზეთებს, გულდასმით კითხულობდა ყოველ წერილსა თუ უბრალო ინფორმაციას, რაც მთავარია, სამუდამოდ ჩამოსცილებოდა ის დაავადება, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მოსდგამდა, — აღარ ეჭვობდა, მცდარი იქნება გაზეთში დაბეჭდილი ამბავიო და მერე აუცილებლად იტყოდა ვინმესთან საუბრისას, შემთხვევით წამოსცდებოდა თითქოს — ასეთი და ასეთი რამ ამოვიკითხე დღეს დილითო... დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა თურმე, კაცს, ამას კი უბრალო გუმანითაც ვერავინ ამჩნევდა, არც იყო ვინმე გასამტყუნარი, რაკი დღენიადაგ გაღიმებულ-გახალისებულსა ხედავდნენ, რკინის მკვნეტელი ეგონათ, გამწეფი ცხენის ღონისა და უტეხი ჯანმრთელობის მქონე... ერთ დღესაც მიბრუნებულა თურმე ლექციების შემდგომ შინ, და, როგორც ყოველთვის უკანასკნელ ხანს, გაღიმებული ყოფილა მაშინაც: დიდებულ გუნებაზე იყოო, მისმა ცოლმა თქვა მეორე დღეს, ულაპარაკნია თურმე ბევრი, ნამეტნავი მოსვლია, ველარ მიხვედრილა, როდის დადუმებულიყო, ჭაბუკობისა და ბავშვობისჟამინდელი ამბები გახსენებია, მშობლებიც მოგონებია და კიდევ ბევრი ისეთი ვინმე; ტოლ-სწორები, ნაცნობ-მეგობრები თუ მოყვრები და ნათესავები, რომელნიც აღარ იყვნენ ცოცხალთა შორის, ყოველ მათგანზე დაწვრილებით და ხალისით საუბრობდა თურმე, იხსენებდა წვრილმან ამბებს, არაფრით რომ არ იყო მნიშვნელოვანი, რაც ოდესმე გადახდენოდათ თავს იმ მიცვალებულებს და სულ იღიმებოდა და იღიმებოდაო...

დაწოლის წინ კი თავისი ნაშრომები გადმოუღია თურმე კარადიდან, წიგნებად გამოსულნი ცალკე დაულაგებია, დიდხანს უმზირაო, მერე დაუსტამბავებიც გადმოულაგებია და ორ ნაწილად გაუყვია; უხმო მეუღლეს თურმე, მიღიმოდა და მიღიმოდა, ვერ მაცილებდა თვალსო, ბოლოს კი უთქვამს: „ესენი თუ დროულად გამოქვეყნდება, — დაუსტამბავ ნაშრომთა ერთ ნაწილზე მიუთითებია. — კარგი იქნება ძალიან, მეცნიერებისათვის, თორემ მე რაღა დამრჩენია, სხვების გამოქვეყნება კი არ მიმაჩნია საშურად, სულ ერთია, როდის იხილავენ დღის სინათლეს, — შეავლო ერთხელ კიდევ მზერა ცოლს, ნაოჭები მოიმრავლა თვალთა უკეებზე, ამით მივხვდი, საფიქრალი გასჩენოდაო, — არ ვემდური ჩემს თავს და განვლილ წლებს, არცთუ ურიგოდ გამიტარებია წუთისოფელი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, უფრო ბევრი რამის მიღწევაც იყო შესაძლებელი, მაგრამ ერთი კაცის კვალობაზე რა უჭირს, შინაარსიანად ვიცხოვრე მაინც“.

მერე ტანთ განუძარცვავს და ლოგინში ჩაწოლილა, ერთხანს ყოფილა უბრად, თვალგახელილი წოლილა და ჭერს მისჩერებოდა, სახე უგიზგიზებდა თურმე იმ დროს და ვიდრე დაიძინებდა მიხმოო...

„დაიშახსოვრე ხომ კარგადა, რაც გითხარი წელან, ჩემს ნაშრომებზე გეუბნები, ხომ გახსოვს, რომელი უნდა გამოქვეყნდეს პირველად...“

„კი, — მიუგია იმას, თანაც ერთი სული ჰქონდა ქალს, როდის მილულავდა თვალს, — დავიმახსოვრე...“

მაგრამ ორჭოფული მზერა მიაპყრო პროფესორმა მეუღლეს, არ ენდო თურმე:

„მომიტანე აბა...“

ვერ მიმხვდარა ცოლი, რას თხოულობდა, ტვინი გამეყინა თითქოს, გუმანითაც ვერ ვისაზრე, რა სურდაო...

„ჩემს ნაშრომებზე გეუბნები, — ანერვიულებულა, ხმის კილოზე შეამჩნია თურმე ქალმა, თორემ სახის გამომეტყველებაზე რას შეატყობ-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და. — სასწრაფოდ რომელიც არის დასაბეჭდი, წელან რომ გიჩვენე, აი, ისინი მომიტანე...“

მიუტანია, თან ორჭოფობდა, კარგად თუ დავიმახსოვრე, არ ამერიოსო, არ მინდოდა გამეგულისებიაო, მაგრამ როცა უჩვენებია ის ნაშრომები, კმაყოფილი დარჩენილა...

— ფუმცა, ძნელი მისახვედრი იყო, კმაყოფილი დარჩა თუ არა, — თქვა მეორე დღეს ქალმა, — ბოლო ხანებში, ჩემი თქმა რაღად გინდათ, იცით კარგად, გამუდმებით იღიმებოდა, მაგრამ იმდენ წელიწადს ვიცხოვრეთ მე და მაგ უბედურმა ერთად, ვიგრძენი მაშინვე, ესიამოვნა როცა ის დასასტამბი ნაშრომები მივუტანე...“

ხან ღვარად სდიოდა ცრემლი ქალს მეორე დღეს, როცა ამ ამბებსა ჰყვებოდა, ხანაც შეაშრებოდა მოულოდნელად... იმ ღამით კი, აი, კიდევ რა უთქვამს: „ამაღამ მოვკვდები მე, გული მიგრძნობს, იცი შენ ჩემი წინათგრძნობის ამბავი, იშვიათად თუ მოვუტყუებივარ და ახლაც გამიმართლებს აუცილებლად, მიცვალებულები მაზსენდებოდა დღეს დილიდანვე, ახლაც არ მასვენებენ, ის ცხონებულნი, თვალწინ მიდგანან, მიხმობენ და დროც არის...“ მეორე დღეს: „ხუმრობა მეგონა, არ დავიჯერე არაფრით, — ამბობდა მეუღლე პროფესორისა, ყველა მომსვლელს ასე ეუბნებოდა, სულ ერთი იყო ახლობელი გახდლდათ თუ შორეული ნაცნობი. — როგორ უნდა მივხვედრილიყავი მართლა თუ მოკვდებოდა, ხუმრობს-მეთქი, აბა?... — თავს იმართლებდა თითქოს, — სულ იღიმებოდა, თქვენც კარგად იცით ბოლო ხანებში, ეგ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული, ეგ კი არა, ახლაც გაღიმებულია საცოდავი, გაგიჭირდება დაჯერება, მიცვალებული რომაა და წუხელ რას ვიფიქრებდი თუ მოკვდებოდა...“

მეორე დღეს, ეს რომ თქვა მეუღლემ პროფესორისამ, აღარ აცრემლებულა, რომ მოგესმინა, იფიქრებდი, არაფრით არ სურს დაიჯეროს და არცა სჯერა, ცოცხალთა შორის რომ აღარ არის მისი ცხოვრების თანამგზავრიო... ხოლო მომსვლელებმა შენიშნეს, როგორც კი ღიმილს ახსენებდა მეუღლისას ქალი, ცრემლი უშრებოდა მაშინათვე და სახეზეც ისეთი ადამიანის იერი დაჰკრავდა, თითქოს ჯავრი ეყარა ვინმესი. იქამდე კი, ვიდრე ღიმილზე მიდგებოდა სიტყვა, ღვარად სდიოდა კურცხალი თვალთაგან და წამდაუწუმ მეორდებოდა ერთიდაიგივე — ახსენებდა ღიმილს, შეუწყდებოდა უმალვე ცრემლი, არ ახსენებდა და სდიოდა და სდიოდა... წინა საღამოს კი დაძინების წინ რომ უთქვამს პროფესორს, ამაღამ მოვკვდებიო, მაშინათვე ჩასძინებია... გაჰღვიძნია დილით ქალს და რასა ხედავს: აღარ ყოფილა იმისი მეუღლე ცოცხალთა შორის. „უშფოთველად მოკვდა ეგ უბედური, მშვიდად და უდრტვინველად, — ეუბნებოდა მომსვლელებს ქალი და იცრემლებოდა და იმდუღრებოდა. — კიდევ კარგი, უწვალებლად რომ მოკვდა, ბედი ჰქონია მაინც, — დაკვირვებით შეათვალიერებდა მომსვლელთ, რომელნიც ნუგეშის ცემასა ცდილოდნენ და ისევ იცრემლებოდა. — ძილში გათავდა უბედური, დაიძინა და აღარ გამოღვიძებია...

დილით რომ გაუხელია თვალი ქალს, — რა იყო მაინც, მკვდარივირ მეძინა, უსიზმროდო — უხმაუროდ წამომდგარა ლოგინიდან, ხმაურზე არ გამოეღვიძოს ქმარსო, უფიქრია, ადრეც ასე სცოდნია, მიჩვეული ყოფილა ახალგაზრდობიდან, როგორც კი შეუღლებულან აი, იმ დღიდანვე ჩაი აუდუღებია თურმე და, როგორც ყოველთვის, ვიდრე დრომ არ მოატანა მეუღლის გაღვიძებისამ, ფეხაკრეფით დადიოდა მაშინაც, ბოლოს კი, როცა საშველი აღარ დასდგომია იმის გამოღვიძებას, მიახლოვებია, უფიქრია, ტკბილად სძინავსო, მერე, ნახევარიოდე საათი რომ გასულა, კვლავ უხმაუროდ მისდგომია მეუღლის საწოლს და უწივლია თურმე... „სულაც არ დავიძინებდი ეს ამბავი რომ მცოდნოდა, რა დამაძინებდა მე უბედურ დღეზე დაბადებულს, — ეუბნებოდა ქალი ნუგეშის საცემად მოსულთ და ცრემლი გაშრობოდა, წამის წინ კი აღვარღვარებდა და აღვარღვარებდა. მაგრამ ახლა აღარ იყო ცრემლი საჭირო, რადგან ცოტა ხნის შემდგომ ღიმილი უნდა ეხსენებია ისევ პროფესორისა და ცრემლიც შეუწყდებოდა თავისთავად, აბა რა იქნებოდა. — არ დავიძინებდი, მაგრამ რა ვიცოდი თუ მოკვდებოდა, სულ იღიმებოდა და იღიმებოდა, თქვენც კარგად იცით, ბოლო ხანებში, საცოდავი, ეგ კი არადა, მიდით ახლაც, გადაწედეთ ზეწარი და დახედეთ, თუ გნებავთ, გაღიმებულია, რა ეცინება უბედურს, დღეს დილით კი ფეხაკრეფით რომ დავდიოდი, იძინოს ცოტაც, არ გავაღვიძებ-მეთქი, ვფიქრობდი, რამდენჯერმე დაჯხედე და რას მივხვდებოდი, ამქვეყნად რომ აღარ იყო, იღიმებოდა და ახლაც გაღიმებულია...“

მერე კუბოში ესვენა ჭაღარა პროფესორი: იღიმებოდა და იღიმებოდა ისევ, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს მის თავს და მართლაც საოცარ-ამაზრზენი იყო ის ღიმილი, ვერაფრით ვერ იგრძნობდი მიცვალებული თუ ესვენა კუბოში, ისე უცნაურად მოქმედებდა მნახველზე ღიმილი პროფესორისა, გულით რომ მოგენდომებია, ცრემლი ვერ წამოგცდებოდა, დაუჯერებელზე დაუჯერებელი იყო, ახლა ამ ქვეყანას რომ აღარ ეკუთვნოდა იგი. ეგ კი არა, თითქოს განცხრომას მინებებოდა და სიამოვნებდა, სამარადისოდ რომ ჩამოშორებოდა საზრუნავი თუ საფიქრალი, გეგონებოდა, უზომოდ გახარებულია და სხვათათვის, ცოცხლად დარჩენილთათვის მიუწვდომელ ნეტარებას განიცდისო და ღიმილი პროფესორისა, მართლაც უხერხულ მდგომარეობას უქმნიდა ყველას: შინაურებსაც,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათესავებსაც, კოლეგებსაც, ახლო მეგობრებსაც და სხვებსაც, ვინც კი იმ დღეებში მიდიოდა მიცვალებულთან გამოსათხოვებლად... ბოლო იმის მეუღლესა და კიდევ სხვა დიაცებს, პროფესორის უახლოეს ნათესავებად რომ ითვლებოდნენ და რომელთაც, როგორც ტრადიცია თუ წესი და რიგი მოითხოვდა, მოთქმით ტირილი, გლოვა და გამოხატვა მართებდათ მწუხარებისა, მიცვალებულის გასაპატიოსნებლად, ცრემლიც შეშრობოდათ და კრიჭაც შეჰკვროდათ, უცრემლოდ მაინც რომ ეთქვათ ორიოდ როყიო სიტყვა, თუნდ მომსვლელთა გასაგონად. არც ის მომსვლელნი ყოფილან ჭირისუფლებზე უკეთეს დღეში: შემოუვლიდნენ კუბოს პანაშვიდის დროს ირგვლივ და როცა მიცვალებულს დახედავდნენ, თვალის არიდება არ ძალუძდათ არაფრით, მონუსხულებს დადარეოდნენ, დაიძაბებოდნენ საოცრად, თითქოს არაბუნებრივადაც, სახე კი ისეთნაირად დაემანჭებოდათ, თავადაც სურდათ თითქოს მიცვალებულისათვის მიებაძათ და იმგვარივე ჯოჯოხეთურ-შემაძრწუნებელი ღიმილი მოჰფენოდათ სახეზე. აშკარა იყო ყველასათვის უხერხულობა შექმნილი მდგომარეობისა. მწუხარების გამოხატვა კი არა, ერთი სული ჰქონდათ პანაშვიდზე მისულთ სამაგიეროს გადახდისა, ძლივს იკავებდნენ ღიმილს... ხოლო ინსტიტუტში, აღესრულა თუ არა, იმ წუთშივე გაკარდა ხმა, ჭაღარა, ნიადაგ გაღიმებული პროფესორი გარდაიცვალაო და იმ ამბავმაც აღარ დააყოვნა, მიაღწია მაშინვე — ისევ იმგვარადვე არის გაღიმებული, სიცოცხლეში რომ გახლდათ, ძნელი დასაჯერებელია, მიცვალებული რომაა... იმ დღესვე შეიქმნა დამკრძალავი კომისია და რაკი პროფესორ-მასწავლებელთა შორის ყველაზე მეტი წვლილი სწორედ იმას გაეღო ინსტიტუტის გახსნისას და პირველი რექტორიც ის იყო იმ უმაღლესი სასწავლებლისა, გადაწყვიტეს, ინსტიტუტის ეზოში დაეკრძალათ პროფესორი — ჭეშმარიტად სამართლიანი იყო ეს ამბავი...

დამკრძალავ კომისიას კი მართლაც რომ თავზე საყრელად გასჩენოდა საქმე: ჯერ იყო და, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში დაგზავნეს დეპეშები. პასუხებსაც არ დაუყოვნებია — მწუხარებას იზიარებდნენ, ხოლო საიდანაც დეპეშა არ მოსულა, მიხვდნენ, დაკრძალვაზე წარმომადგენლს გამოგზავნიდნენ ისინი... კომისიის წევრებს სხვა უამრავ სადავიდარაბოსასთან ერთად, ერთი რამ ფიქრი გასჩენოდათ, უფრო სწორად კი, მტკივნეულად აჭკვიატებოდათ და საშველს არ აძლევდათ: არ იცოდნენ, რა ეშველებოდა პროფესორის ღიმილს, ცხადია თავისთავად, იმათი საქმე მართლაც საგანგაშო იყო, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს გაღიმებული მიცვალებული ცოცხლებს დასცინოდა, არა მარტო ცოცხლებს, ყოველივეს ამქვეყნიურს, ყოველდღიურ წვრილმან თუ მსხვილმან საზრუნავ-სადარდებელს ადამიანებისას და უარესიც, თითქოს სიკვდილისაკენ მიუხმობდა ცოცხლებს, ჰო, ასე გახლდათ, დასცინოდა ყველას და ყველაფერს ამქვეყნიურს კუბოში მწოლი ჭაღარა, გაღიმებული პროფესორი...

ჩვენ კი, ცოცხლებზე ვამბობ, ჯანმრთელ-საღ-სალამათი ადამიანები, უამრავი საქმით და საზ, რუნავ-სადარდებლით რომ ვართ დატვირთულ-გადატვირთულნი, კარგად მოგეხსენებათ ყველას ჩვენი სიამაყისა და პატივმოყვარეობის ამბავი, ოლად როდი ვაპატიებთ რამეს მიცვალებულებს, როცა ვგრძნობთ და ვიცით, აშკარად შეურაცხვგყოფენ და დაგვცინიან ისინი. ერთმანეთს შესაძლოა დავუთმოთ ბევრი რამე და ასეც არის უფრო ხშირად, ზოგჯერ განგებ გამოვიშტერებთ კიდეც თავს და თვალსაც ვხუჭავთ, რადგან, რა იცი, ეშმაკს არ სძინავს, ყველას შეუძლია სამაგიეროს გადახდა, რაგინდ სუსტი და დაგლახაკავებულ-გაუბადრუკებული ვინმე იყოს. მიცვალებულებს კი, როგორ გეკადრებათ, არაფერს მივუტევებთ, თანაც ისიც გვშველის და გვიმაგრებს ზურგს, თავდაყირა რომ დავაყენენთ და მერე გამოვშიგნენთ პაპის-პაპის-პაპათა აზროვნება თუ რწმენა, და ბოლოს, როცა გვამიც აღარ ეთქმოდა, ღირსებაც ავუარეთ. ვიცით დიდებულად, არც სამოთხე არსებობს და არც ჯოჯოხეთი... ის კი, ჭაღარა პროფესორი კუბოში ესვენა და შემზარავად იღიმებოდა, თავის თავს როდი უღიმოდა მიცვალებული, ანდა სხვებს, აჰ, არა, ირგვლივ მყოფთ დასცინოდა და სწორედ ამიტომ იყო, ცრემლიც დაჰკარგოდათ და გაშრობოდათ და ზალისიც წართმეოდათ მწუხარების გამოხატვისა და რომ ატირებულიყო კიდეც ვინმე, თუნდაც მეუღლე გარდაცვლილისა, საოცრად არაბუნებრივი, ხელოვნური და ყალბზე უყალბესი იქნებოდა იმისი წუხილი. სხვას ყველაფერს რომ შევეშვათ, მიცვალებული დასცინებდა თავად, თუმცა დაცინვით ხომ ისედაც დასცინოდა და დასცინოდა ცოცხლად დარჩენილთ, რომელნიც აზრზე არ იყვნენ და ვერც მიხვდებოდნენ ვერასდროს. ძნელი გახლდათ და თითქმის შეუძლებელი იმ ჭეშმარიტებამდე მისვლა, თავად რომ შეეცნო, სიცოცხლე რომ გაესრულებია მერე: რამხელა ბედნიერება და სულიერი სიამოვნება-კმაყოფილება ყოფილა სიკვდილი, როცა წეშარ შენთვის არხეინად და უდარდელად, გულხელდაკრეფილი და არაფერი განაღვლებს.... მიცვალებულის სახე ღაღადებდა ამას და ამიტომაც იყო, საზრუნავი თუ სადავიდარაბო და თავში საცემი მიმატებოდათ კომისიის წევრებს... თავიდან. პირველ დღესვე, როცა პროფესორი აღესრულა, ამგვარი აზრი მოუვიდა კომისიის ერთ-ერთ

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წევრთაგანს, ეგება გრიმმა გვიხსნასო. სხვებმა კი შვებით ამოისუნთქეს ეს: რომ გაიგეს, გვეშველა და ეგ არიო, და, აღარც გადაუდვიათ, მაშინვე აფრინეს კაცი სპეციალისტთან, ჭირისუფალთ არ უმხელდნენ ჯერ, მერე ეტყოდნენ აზრს რომ მოისმენდნენ იმ კაცისას. იმან კი დახედა მიცვალებულს საგანგებო გულისყურით, უყურა, უყურა ღრმად ჩაფიქრებულმა, ეტყობოდა თანაც, რიგზე ვერ იყო საქმე, შემდგომ კი კომისიის თავმჯდომარე გაიბმო გარეთ: აჰ, არაფერი ეშველება მაგ ამბავს, ღიმილს გრიმი ვერ ჩამოაცილებს ვერაფრითო... მერე, კარგა ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდგომ, მიაგნეს გამოსავალს, თუმცა ჭირისუფლებს ვერ ეუბნებოდნენ ჯერ, ეუხერხულებოდათ და აშკარად გრძნობდნენ ვერა და ვერ გაამხელდნენ იმას, რაც გადაეწყვიტათ: ქირურგის ჩარევა სურდათ, ეგების როგორმე ჩამოსცილებოდა ის შემზარავი და დამცინავი, ცოცხლად დარჩენილთა შეურაცხმყოფელი ღიმილი სახეს გარდაცვლილისას, მაგრამ ეშველა ბოლოს და ბოლოს იმათ გასაჭირს, ქირურგამდე არ მისულა საქმე და შვება იგრძნეს კომისიის წევრებმაც და სხვებმაც, ვისაც სადარდებლად გახდომოდა ღიმილი მიცვალებულისა, რაღაი გამოსავალს მეუღლემ მიაგნო პროფესორისამ და სწორიც გახლდათ, რაც იმას გადაეწყვიტა... ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, იმისა არ იყოს, განცვიფრდნენ, როგორც კი გასაჭირს დააღწიეს თავი, ჩვენ რატომ ვერ მოვიფიქრეთ ამგვარი რამო...

იმ საღამოს, პირველი პანაშვიდის შემდგომ, როცა ჭირისუფლებთან მხოლოდ უახლოესი ნათესავები და ახლობლები დარჩენილიყვნენ, იხმო მიცვალებულის მეუღლემ თავმჯდომარე დამკრძალავი კომისიისა და ასეთი რამ უთხრა, რა თქმა უნდა, სხვა ვინმე კაციშვილთაგანი არ უსმენდა იმათ საუბარს... „კარგად ვგრძნობ მე თქვენს მდგომარეობას, — ჯიქურ შესცქეროდა მოსაუბრეს თვალებში ქალი. — ვიცი, რა დღეც გადგათ და მარტო თქვენ კი არა, მეც არ ვარ ნაკლებ დღეში, თუმც, კაცმა რომ თქვას, შორიდან თუკი შეხედავს ვინმე, პატრონი ვარ მიცვალებულისა, ჭირისუფალი და ახლა მსგავს რამეზე არ უნდა ვფიქრობდე თითქოს, მაგრამ ასეა მაინც, მდგომარეობა მაიძულებს და რას ვიზამ... მიმიხვდით ალბათ, ჩემი მეუღლის ღიმილზე მოგახსენებთ, თქვენ კი არა, მეც ამებნა თავგზა. მწუხარეებაც ვერ გამომიხატავს, უამრავი ხალხი მოდის პანაშვიდზე, დაკრძალვაზეც ხომ იქნებიან და იქნებიან, ეგ უბედური კი ისეა გაღიმებული, მეშინია, დაკრძალვის ცერემონიალი ზეიმად არ იქცეს. მიცვალებული დაგვცინისო, ასე მოეჩვენება ხალხს არათუ სხვებს, რაღა დაგიმალოთ და, მეც ეგრე მეჩვენება, დამცინის-მეთქი, ასე მგონია ყოველთვის, როგორც კი დავხედავ და იმგვარი განცდა მეუფლება, დანაშაული მქონდეს თითქოს ჩადენილი იმის მიმართ... იცის მაღალმა ღმერთმა, ცამდე მართალი ვარ, ჰოდა, სხვებს რაღა მოუვა... ვიფიქრე ბევრი და ამგვარი რამ გადავწყვიტე, — დადუმდა ერთხანს ჭირისუფალი, დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარეს შეავლო ცივი, გაყინული მზერა, ისე, თითქოს დამნაშავე იყო რაიმეში ის კაცი და დაინახა ქალმა, როგორ აუკიაფდა იმას თვალებში იმედის ნაპერწკალი. — რაღაც უნდა ეშველოს ჩემი მეუღლის ღიმილს, — ხმა აუცახცახდა უცებ ქალს: ქირურგიული ჩარევა არ ივარგებს, მოგეხსენებათ, სიკვდილის შვილები ვართ ჩვენ ყველანი, ცოდოა მიცვალებული, — ისევ შეავლო მზერა კაცს და დადუმდა, აშკარად შეატყო, როგორც კი ქირურგიული ჩარევა ახსენა, შეკრთა კომისიის თავმჯდომარე, ალღომაც უკარნახა და იმისმა უეცარმა შეკრთომამაც, ამ კაცს თავადაც რომ ეფიქრა ამგვარი რამ. — ადვილი შესაძლებელია, თქვენ უჩემოდაც მიადექით ასეთ დასკვნას, მაგრამ, დამეთანხმებით ალბათ, ცოდვაა მიცვალებული, ღიმილს კი უნდა ეშველოს რაღაც აუცილებელად, და, აი, რას გეტყვით, მოდით, თავსახური დავაფაროთ კუბოს და ნულარც მოქცდით, ეგრე მივაბაროთ მიწას ეგ უბედურ დღეზე გაჩენილი და საცოდავი ეგა...“

მეორე დღეს უამრავი ხალხი მიაწყდა პანაშვიდს, მიდიოდნენ და მიდიოდნენ, სადარბაზოს კიბესა და ეზოში ტევა აღარ იყო, მთლად უცხო და უცნობი ადამიანებიც მოვიდნენ მოჭარბებულად; გაიგეს მერე, რისი ბრალიც ყოფილა ხალხმრავლობა — ქალაქში ხმა გავარდნილიყო თურმე მიცვალებულზე, — გაღიმებული მკვდარი კი გვინახავს, მაგრამ ასეთის მომსწრე არა ვართო, — უთქვამთ. — ისეთი კარგი სანახავია, ვერაფრით ვერ წარმოიდგენ მიცვალებული თუაო... და ხალხსაც მეტი რაღა ენდომებოდა, აბა ცნობისმოყვარეთ რა გამოლევს ამქვეყნად: მოაწყდნენ და მოაწყდნენ მიცვალებულის სახლს, თანაც იგრძნობოდა აშკარად, განსართობად უფრო რომ მოდიოდნენ, ეზოში ყაყან-ღრიანცელი ისმოდა მომსვლელებისა, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილთ თუ სეირის მოყვარულთ, დარჩნენ პირში ჩალაგამოვლებულნი: შემოუვლიდნენ სასახლეს გარს, განგებ დადინჯებულნი და, რასა ხედავენ, კუბოს თავსახური აფარია, მიცვალებული თვალითაც არ უხილავთ. ხალხის ახალი და ახალი ტალღა კი კვლავ მოედინებოდა: პანაშვიდი თავის რიგსა და წესს დამორჩილებოდა, ხოლო ცნობისმოყვარე უცხო ადამიანები უმალ გაიკრიფნენ... თავისთავად მოსულიყო მწუხარება, ნათესავები, ახლობლები, კოლეგები თუ სხვა ნაცნობები, რაკი მიცვალებულს ვეღარა ჰხედავდნენ, უფრო კი ღიმილს იმისას, დადარდიანებულიყვნენ, მისძალებოდათ სევდა-ნაღველი, ჩვეულებრივი ამბავი რომ გახლავთ მსგავსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვითარებისას. უკრავდა სამგლოვიარო მუსიკა, დახევდიანებული ადამიანები კი კუბოს უვლიდნენ გარს, ანუგეშებდნენ ჭირისუფალთ. მდუღარე ცრემლსა ჰღვრიდა მეუღლე პროფესორისა, დროდადრო ხმამაღლაც მოსთქვამდა, ახლობლობა-ნათესაობაც როდი ჩამორჩებოდა იმას და სხვებიც არანაკლებ იყვნენ დამწუხრებულ-დამგლოვიარებულნი: ახლა ვეღარავინ გრძნობდა დამცინავ ღიმილს მიცვალებულისას, თუმცა მშვენივრად უწყოდნენ, კვლავაც ისე არხეინად იღიმებოდა იგი და დასცინოდა ცოცხლად დარჩენილთ თუ იმათ საყოველდღიურო საქმეებსა და საფიქრალს თავდახურული კუბოს წიაღიდან; თავს იტყუებდნენ ამჯერად ისინი, მთავარი კი მაინც ის იყო, ვეღარა ხედავდნენ დამცინავ ღიმილს ჭაღარა მიცვალებულისას და მიტევება-პატიებაც, ზვარაკივით რომ გაეღოთ ცოცხლებს, დაუნანებელი გახლდათ, დიდსულოვანი და იქ დაღვრილი ცრემლიც, სინანულიცა და დასადგურებული მწუხარებაც წრფელი იყო, ბუნებრივი და უშუალო... დამშვიდებულნი ბრძანდებოდნენ ამჯერად კომისიის წევრები, ყველაფერი წესის მიხედვით მიმდინარეობდა და სადარდებელიც აღარაფერი ჰქონდათ — უკანასკნელი პანაშვიდი გასრულდებოდა საცა იყო, მაგრამ სწორედ მაშინ მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი, რამაც მართლაც დიდი მითქმა-მოთქმა და აურზაური გამოიწვია, უფრო უარესიც, გაოგნებულნი და თავგზაარეულნი დარჩნენ ნიცვალებულის ნათესავ-ახლობლებიც, კომისიის წევრებიცა და ყველა, ვინც კი იქ იმყოფებოდა მაშინ, ანდა სულაც მერე, სხვისი ნალაპარაკევიდან გაიგო, რაც მომხდარიყო: პანაშვიდი დასასრულს უახლოვდებოდა ხმადაბლა უკრავდა სამგლოვიარო მუსიკა და მომსვლელნი დაკანტიკუნტებულიყვნენ უკვე. ის დრო მოდიოდა, როცა მიცვალებულის კუბოსთან მხოლოდ ჭირისუფალნი და ძალზე უახლოესი ადამიანები რჩებიან ხოლმე და აი, უცებ კაცი შევიდა ერთი ამ დროს ოთახში, თავიდან ყურადღება არავის მიუქცევია იმისთვის, გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და თავდახურულ კუბოსთან შეჩერდა. იდგა იქ წელში ოდნავ წახრილი და ღრმად სუნთქავდა, თუმცა სამგლოვიარო მუსიკა ისევ უკრავდა, მაგრამ ოთახში მაინც აშკარად გაისმოდა უცნობის ხმამაღალი სუნთქვა და სწორედ მაშინ მიაქციეს ჭირისუფლებმა თუ იქ მყოფებმა ყურადღება უცხო ადამიანს, რომელიც კუბოს დასცქეროდა პროფესორისას და ფიქრს მინებებოდა, თითქოს გონს ვერ მოსულიყო, სად იმყოფებოდა. მიაქციეს ყურადღება და დაფრთხნენ საშინლად, თვალს ვერ უჯერებდნენ, მოგვეჩვენაო, ასე ფიქრობდნენ მონუსხულნი და მოჯადოებულნი — ის უცხო კაცი საოცრად მიაგავდა მიცვალებულს, ჰგავდა კი არა, ალი-კვალი ჭაღარა პროფესორი იყო. გარეგნობითაც, სიმაღლითაც თუ სახის იერითაც, ოღონდაც ბოლოდროინდელი კი არა, როცა სამუდამოდ აღებეჭდა სახეზე ღიმილი, არა, იმ საბედისწერო დღემდე რომ ბრძანდებოდა... უცხო კაცი კი კუბოსთან იდგა ისევ — ჭაღარა, ღრმად ჩაფიქრებული, მწუხარებას დამორჩილებული, შესცქეროდნენ და გაოგნებულნი იყვნენ ყველანი, ნაღდად ის არისო, უტრიალებდათ გონებაში და გატრუნულიყვნენ, სუნთქვა შეჰკვროდათ თითქოს, ეცოტავებოდათ ჰაერი, ცოტაც და, გრძნობდნენ აშკარად, ვეღარ გაუძლებდნენ დაძაბულობას, რაღაც უბედურება მოხდებოდა აუცილებლად... მსგავსება ისეთი უცილო იყო, რომ პროფესორის მეუღლე, როცა დაინახა ის კაცი — გვიან შენიშნა, ყველაზე ბოლოს, მაშინ, სხვები ფერწასულ-სუნთქვაშეკრულნი რომ მისჩერებოდნენ — კინაღამ გულწასული დაეცა ძირს, ეაგრამ შეიკავა თავი როგორღაც, როგორ, თავადაც ვერ მოსულიყო გონს და სინამდვილე გაქრა უკვალოდ, ქალისთვის ახლა აღარაფერი არსებობდა ამქვეყნიური: აღარც კუბო, რომელშიც გაღიმებული მეუღლე ესვენა იმისი, აღარც პანაშვიდიდ მოსული ხალხი, გამქრალიყო ყველაფერი რეალური, შესცქეროდა ქალი იმ უცნობ მამაკაცს, ვერ სწყვეტდა თვალს და გრძნობდა ცხადად, წარსული მობრუნებულიყო ხელახლა, აღარც ვარამი იყო ახლა და რაკი მწუხარება არ არსებობდა, აწმყოც აღარ იქნებოდა. ამჟამად თავდახურულ კუბოსთან, რომელშიც გაღიმებული მიცვალებული ესვენა, მისი მეუღლე იდგა, ისეთი, როგორიც ახსოვდა საერთოდ, იმ საბედისწერო დღემდე, ვიდრე სამარადისო ღიმილი აღებეჭდებოდა სახეზე. ქალს ძალაუნებურად ცხელმა, წამლეკმა ურუანტელმა დაუარა სხეულში...

უცნობი მამაკაცი კი ისევ იქ იდგა და ღრმად სუნთქავდა, მერე გადადგა ორიოდ ნაბიჯი მკვდრულ სიჩუმეში, მუსიკაც აღარ უკრავდა, შედგა კუბოს თავთან, გაშტერებოდა თვალი, სხვები კი, იქ მყოფნი, მონუსხულნი შესცქეროდნენ, ხოლო თავად კაცისშვილისთვის არ შეუვლია მზერა, გადადგა მერე რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ უკან მიბრუნდა უმალვე, კიდევ დაბედა თავდახურულ კუბოს, ღრმა სინანული გამოეხატა სახეზე, მწუხარება ჩასდგომოდა თვალებში, ეეეჰო, ხმამაღლა ამოიოხრა და ჯიქურ, დაბღვერილმა, კუშტად შეხედა თვალებში მეუღლეს პროფესორისას და სწრაფი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან...

დიდხანს იყვნენ გაბრუებულნი იქ მყოფნი, ერთმანეთს თვალს არიდებდნენ და ნელინელ მოდიოდნენ გონს... ხოლო ცოლს ჭაღარა პროფესორისას, გარდასული შემოჰხვეოდა ისევ გარს, ტანს უურუანტელებდა და გონებას უბინდავდა, გვიან დაუბრუნდა უნარი საღი განსჯი-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სა და ირგვლივ მყოფებს მოატარა ჩაფიქრებული მზერა — ეხმა არ დასცდენია კაციშვილს ცოტა ხნის წინანდელ ამბავზე, ერთმანეთს ელოდნენ, რომელი იტყვის სათქმელსო და არც ერთმა იმათგანმა რომ არ დასძრა სიტყვა, მოგვეჩვენაო, შემოხვევით მივამსგავსეთ ის კაცი მიცვალებულსო, — გაიფიქრეს და პროფესორის მეუღლემაც ამგვარი რამ დაასკვნა...

დაკრძალვის დღესაც ხალხმრავლობა იყო, თითქმის ყველას ამოვარდნოდა წინა საღამოს ამბავი მეხსიერებიდან, შერცხვათ რაიმე რომ ეთქვათ, ერთმანეთისა მოერიდათ, მოგვეჩვენაო, ჰალუცინაცია ეგონათ, ღრმა მწუხარებით გამოწვეული და ესეც აკვირვებდათ, კაცმა რომ თქვას, დარდით მაინცდამაინც თავს არ ვიკლავდითო...

მეორე დღეს კი, კუბო სახლიდან რომ გამოასვენეს და სადარბაზოს კიბეზე ჩაიტანეს, ვიდრე კატაფალკზე დაასვენებდნენ, ყველა იქ მყოფმა დაინახა, ოღონდაც ეგ კი ვერ შეენიშნა ვერც ერთს, როდის გამოჩნდა პირველად... ის უცნობი მამაკაცი ასდევნებოდა კუბოს და ისე, როგორც წინა საღამოს, არა, ახლა უფრო გაცილებით მეტად ჩამოჰგავდა მიცვალებულს. მსგავსებას ვერ იტყოდი: ცხედარი ასდევნებოდა თავის კუბოს ღრმად ჩაფიქრებული და უზომოდ დამწუხრებული, თეთრი თმა მზეზე უბზინავდა და ჩაცმულობითაც ზუსტად ისე ეცვა, მარტო ეგ კი არა(ჩანთაც კი ეცნო ხალხს იმ კაცისა, ის იყო, წლების მანძილზე რომ დაატარებდა მიცვალებული... მერე კი, კუბო კატაფალკზე რომ დაასვენეს, უგზო-უკვლოდ გადიკარგა ის კაცი, გაქრა ისე, თითქოს არც არსებულიყოს არასდროს, თვალიც ვერ მოეკრათ როდის გაუჩინარებულიყო და, წინა საღამოსი არ იყოს, ეჭვი შეეპარათ ამჯერადაც, ხომ არ მოგვეჩვენაო... დამფრთხალნი და გაოცებულნი აცეცებდნენ თვალებს აქეთ-იქით, მაგრამ ის უცნობი არ ჩანდა და არა; ბოლოს მანქანებში ჩასხდნენ და ინსტიტუტისაკენ დაადგა გზას სამგლოვიარო პროცესია...

და, აი, თავდახურული კუბო ინსტიტუტის ეზოში ესვენა გაიჭრილ სამარესთან, ადამიანები უნდოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს, დაძაბულიყვნენ და შიშიცა სწვეოდათ, გაუცნობიერებელი, მტანჯველი, უძლურებას რომ აგრძნობინებდათ თავიანთი თავისას... წელან კი, კატაფალკიდან რომ უნდა ჩამოესვენებიათ კუბო, უამრავი ხალხი მიაწყდა, აინტერესებდათ, შემსუბუქებული ხომ არ არისო, მაგრამ არა, ისე დამძიმებულიყო, ძლივს უყვეს ძვრა, გაჭირვებით მიიტანეს გათხრილ სამარესთან... გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, სიტყვა ინსტიტუტის რექტორმა წარმოსთქვა, მოკლედ დაახასიათა ის გზა და მეცნიერული ღვაწლი, ამქვეყნად რომ დაეტოვებია მიცვალებულს. მერე რამდენიმე კაცმა კიდევ წარმოსთქვა სიტყვა. ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენელნიც იყვნენ, ბოლოს კი სამგლოვიარო დეპეშები წაიკითხეს...

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი სახელები

გია მუჯირი

●

დიდი ხნის წინათ, ჩემი ბავშვობა
მე გადავუგდე უხილავ მდევარს,
და დღეს მრავალი წელი მაშორებს
სახლთან, რომელშიც ვერასდროს შევალ.
შეუმჩნეველი სხვისი თვალისთვის,
ჩემი სიცოცხლეც თავდება ნელა,
მიხმობს, მეძახის სადღაც მარიხი,
სადღაც კოშკიდან სინათლე ელავს...
მაგრამ ნუგეში ისევ ირიბობს,
ისევ დამყვება შიში და ელდა,
ვერ მომიტანეს ზეთისხილის რტო
ჩემმა ერთგულმა მტრედებმა დღემდე.
მრავლდება ფიქრი დასამალავი
და მოშრიალე სიცოცხლის ხეზე,
ვზივარ და ჩუმად ვუკრავ სალამურს
და ყოველ ღამე წიქარას ვეძებ.

ვედრება

ვერ დაგენახვე, როგორც გინდოდი,
ვერ აგისრულე, დედა, სიზმარი,
შენ გეშინია უამინდობის,
მე კი სიმშვიდეს ვეღარ ვისწავლი,
ჩემი მერმისი ნისლმა შენიღბა,
და მე სხვა ვიყავ როცა მოხვედი,
დღეს სულ ამაოდ მესმის შენი ხმა,
მრცხვენია, დედა, უკან მოხედვის.
ღონემიხდილი ფეთქავს ხმელეთი,
როგორც ოდესღაც, წარღვნის წინადღეს,
იწვის სანთელი შენს თბილ ხელებში,
ის მხოლოდ იწვის, გზას ვერ მინათებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის, როდის გამომიშვებენ,
გაურკვეველთან ვდგავარ პირისპირ,
ეახლე, დედა, სადმე ღვთისმშობელს,
ილოცე, დედა, შენი შვილისთვის,
იქნებ გავუძლო, იქნებ გადავრჩე,
კვლავ დაგიბრუნო იქნებ ედემი,
და დავიკარგო შენს ვრცელ კალთაში,
როგორც მდინარის წყალში წვეთები
იკარგებიან.

შელამეგისას

ნადირობიდან დაბრუნებული
დევის ხმაურით შემოდის ღამე.
მზე გადამალეს უკვე ღრუბლებმა,
მზე გადამალეს, როგორც
ზღაპრებში,
მზეთუნახავი დევის ქალები
მალავენ ჭაბუკს, ჭაბუკს რომელმაც
უნდა დაიხსნას და სიბნელიდან
ამოიტანოს ზევით ევეყანა...

მალე დაღლილი დაწვება ღამე.
მოეხვევიან შავი ნისლები.
და როგორც დევის გრძნეული
ხმალი,
აელვარდება მთვარის ნათელი.
მერე აიღებს ჭაბუკი ხმალს და
გამოაღვიძებს მძინარე ღამეს.
და გაგრძელდება ძალიან დიდხანს
ბრძოლა სასტიკი და ულმობელი.

მაგრამ ძლიერი არის ჭაბუკი,
დაბადებული სიკეთის ნიშნით.
ის გაიმარჯვებს და გამოიყვანს
უკვე მოკლული ღამის მუცლიდან
ცასა და მიწას... და გათენდება.
ამღერდებიან ისევ ჩიტები.
და მზე ამოვა, ვით ქვესკნელიდან
გამარჯვებული გმირი ამოდის.

პოეტი

ღამდება ახლა. უშფოთველად, ჩუმად და წყნარად.
შემოდის ღამე, ოცნებათა ნაზი შეგირდი.
ღიაა კარი, სიხარულის ღიაა კარი...
მაგრამ ღიაა მხოლოდ სხვებისთვის.
მას კი მწუხარე საიდუმლო გაანდეს უცებ,
ბავშვობის ლურჯი სიზმრებიდან გამოაღვიძეს,
და ახლა სიტყვებს, მიმობნეულს ნიორის ფურცლებს,
ჩუმად მიჰყვება დევის სახლისკენ,
მიდიან წლები და ბოლომდე წრფელსა და წმინდას,
მოელის ბრძოლა უმძიმესი და უძნელესი,
მარტოა იგი, მარტომ უნდა იაროს დიდხანს
ამ სიცივეში და სიბნელეში.
ნუ მიატოვებ, უხილავი იმედით სავსეს,
უშველე, მზეო, გაუნათე უღიმღამო ცა,
რომ ლექსმა, როგორც თეთრმა ვერძმა, შეიცვას ფრთაზე
და ქვესკნელიდან შენთან ამოსვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარათი

ახლა უნაზეს ყვავილებში ელავს თბილისი
და როიალი ისევ კვნესის თქვენი სარკმლიდან,
მე კი შორსა ვარ, ის აფრები ქარმა დაფლითა,
სული მევსება შემოდგომის გადაღლილი მზით.

უცხო მხარისკენ გაემართა ჩემი ბილიკი.
და ვერასოდეს ველარ მოვალ თქვენთან — აპრილთან,
დიდი ხანია სიხარული გამინაპირდა
და მიმატოვა ღამეებთან მარტოდ, პირისპირ.

დიდიხანია მე მომბეზრდა ბედთან თამაში,
დაისადგურა სევდამ ჩემი თვალის უპეზე,
და მინდა თქვენთან, უთქვენობით ასე დამაშვრალს,

მითხარით რამე, დამამშვიდეთ და მანუგეშეთ.
გამითბეთ სული, უხილავი ცრემლით სოველი.
მე ახლა შველას მარტოოდენ თქვენგან მოველი.

ნათიასადმი

შენი სიცოცხლის მაღალ გუმბათზე
მზე იხატება ლამაზ ჩიტებად,
არ შეიძლება შენ არ უყვარდე
მზესა და ჩიტებს, არ შეიძლება.
ამ ქვეყანაზე მხოლოდ იმიტომ
მოუვლენია გამჩენს ისინი,
რომ შენი ზეცა არ დაიბინდოს,
კვლავ გაისმოდეს შენი სიცილი,
რომ ყველაფერი ისევ მღეროდეს,
მთელი სამყარო იდგეს ღიმილში...
და მეც, (ბოლომდე ჩემი გჯეროდეს)
და მეც ვარსებობ მხოლოდ იმისთვის,
რომ შენი სულის მაღალ გუმბათზე
ისევ ეხატოს მზე და ჩიტები
შენ ქვეყნად ყველას უნდა უყვარდე,
შენ სხვანაირი როგორ იქნები!

პატარა უფლისწული

ვუსმენ ვარსკვლავთა უდარდელ სიცილს
და დიდი სევდა მავსებს ისევე,
მე შენზე ვფიქრობ, როდესაც მიმძიმს,
როდესაც მიჭირს, მე შენ გიხსენებ.
არ ვიცი, სად ხარ, ყვავილებს სად კრეფ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომელი მზე და მთვარე გინათებს,
მე, უნუგეშო, ავიღებ სარკეს
გარდასულ დღეთა და მოგინატრებ.
შენ მოფრინდები, მოჰყვები ზეფირს,
ცა დაბინდული მაღლა აიწევს,
და ჩემს სიხარულს ვერასდროს სხვები
ვერ გაიგებენ, ან სხვამ რა იცის,
ან სხვამ რა იცის, რაც უკვე ვიცი,
რაც უკვე სულში მზედ ჩავიქოლე,
მე შენზე ვფიქრობ, როდესაც მიმძიმს,
როდესაც მიჭირს, მე შენ გიგონებ.

წადით ლექსებო!

წადით ლექსებო, წადით, იარეთ!
მე მშობელი ვარ და ჩემი ვალი
მხოლოდ შობაა, ქვეყნად ასეა:
შვილები მშობლებს სტოვებენ,
წავლენ.
მე საკუთარი ჩემი სიცოცხლე
დავანაწილე ტკივილით თქვენში,
ღმერთმა შეგინდოთ ჩემი წამება
და უნუგეშო ცრემლების თქეში,
მეც მეპატიოს, რომ მწუხარებას
ვერ აგარიდეთ, შმაგსა და უძღებს,
რომ სხვას მღეროდით სულში
სიმღერას,
მე — სხვა სიმღერად მოგფინეთ
ფურცლებს,
მაგრამ რა მექნა? ჩემმა უფალმა
და განმგებელმა ინება ასე,
მას ჩემი ჩუმი სუნთქვაც ესმოდა,
მას გვერდით ედგა გრძნეული თასი,
არ მაშორებდა მზერას წამითაც,
თავზე მადგა და მეძახდა: მალე!
...და თუ ბოლომდე ვერ აგამღერეთ,
მე არ მიმიძღვის ამაში ბრალი,
მე ხომ სიცოცხლეს თქვენით
ვზომავდი,
მე ხომ ამ ქვეყნად მოვედი
თქვენთვის.
და ყველაფერი უკვე მოგეცით
და შემოგწირეთ, მოწმეა ღმერთი,
...და წადით ახლა, წადით, იარეთ!
მე მშობელი ვარ, აქ უნდა დავრჩე,
თქვენ თქვენი ჰპოვეთ სადმე
ტაძარი,
მე ჩემსას მალე მივიღებ არჩევს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

50

ოთარ შალამბერიძე

50



ოთარ შალამბერიძე 50 წლისაა. კიდევ ერთი ქართველი პოეტი მიეპატა ორმოცდაათიანელთა რიცხვს.

ჟურნალი „ცისკარი" და მისი სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს პოეტს ამ საიუბილეო თარიღს.

მკითხველს ვთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

●

გჯერა ჩემი თუ არ გჯერა,
სანთელივით გაწვდი სიტყვას;
როგორც მიყვარს, იმგვარად ვწერ,
და როგორც ვწერ, ისე მიყვარს.
გჯერა ჩემი თუ არ გჯერა,.
წიგნს გიტოვებ სამახსოვროდ;
როგორც ვცხოვრობ, ისე მიყვარს.
და, ვით მიყვარს, ისე ვცხოვრობ.
გჯერა ჩემი თუ არ გჯერა,
ერთად შევსვათ ეს სასმისი;
მე არა მწამს ლექსის წერა,
აღმოხდომა მესმის მისი...
გჯერა ჩემი თუ არ გჯერა,
მომიგონე ბოლო გზაზე;
მე ხომ შენთვის და შენს გამო
მიყვარს,
ვწერ და
ვცხოვრობ ასე?!

შორს ჭიხვინებდნენ ლურჯა ცხენები

იგი პალატის სარკმელს მიჰკროდა,
შვებას თუ ჰგვრიდა გრილი
სარკმელი;
არავინ იცის; რაზე ფიქრობდა,
რა სნება სჭირდა გამოსარკვევი.

იგი პალატის სარკმელს მიჰკროდა,
მზერა მიჰქროდა სადღაც ორსაით...
და დიდხანს,
დიდხანს,
დიდხანს ფიქრობდა
კაცი დიდი ხნის გაუპარსავი.

თითქოს არწივი ზვერავს
ფიორდებს,—
გზა დაისახა ქროლვით სავალი:
ავადმყოფ მგოსანს რწმენა სტკიოდა
და მხოლოდ ქროლვა იყო წამალი!..

არა, ლოდინი აქ არ შეჰფერის,
მილმა მიელის მისი მირაჟი...
უკანასკნელი მატარებელი
სულში შეიჭრა, როგორც გვირაბში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გაწეწილი კვამლი დატოვა —
ატმის ყვავილის ნატისუსალი...
იქ კი, მთაწმინდის კალთებს
ნათოვარს
მოწყდა ჩვიდმეტი მარტის
კურცხალი...

უკვდავი წამი მშვენიერების
გაბრწყინდა ბედის ცისფერ
ტიხარზე...
შორს ჭიხვინებდნენ ლურჯა ცხენები,
და უმხედრობით სივრცეს
წიხლავდნენ!..

ფიქრები ახალშობილთან

„იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი..."
ნ. ბარათაშვილი

აი, მე ვდგავარ წინარე აკვნის,
დავცქერი ყრმას და ჩემთვის
ვთათბირობ:
„ბედნიერი ხარ ბედნიერთ შორის,
გაქვს გასავლელი გზა უნაპირო.
თაობა რომ ხარ, ნორჩი, ახალი,
და გისხმარტალებს მზისკენ ხელები;
ჯერ არ დაგიდგამს ფეხი მიწაზე
და უკვე გქვია მკვიდრი ხმელეთის.
გაევს წასაკითხი რუსთველი, საბა,
ვაჟა, ილია, აკაკი, ტატო...
სიყვარული რომ სიყვარულია,
ღირს ქვეყნად მოსვლა ამისთვის მარტო.
გაქვს დასანახი რა სანახები,
(აგერ, აკვანშიც იგრძელებ კისერს...)
დავიწყებ, თუნდაც, მწვანე ბალახით
და დავასრულებ ბალახით ისევ...
ჩვენ კი რა გვეთქმის, მაგრამ, სიმართლე
მაინც ვთქვათ — გულზე ხელის დადებით, —
ბოლოს და ბოლოს, ამ ქვეყანაზე
ხელახლა ხომ ვერ დავიბადებით? —
თითქოს ჩაევლოს ჩაილურის წყალს,
ისე ჩაინთქა წელი რამდენი...
და არცვინ უწყის, ვართ თუ არა ვართ,
როგორიც უნდა იყოს ქართველი?!..

დედის ბალადა

მშვიდი ძილი არ იქნა,
ახლა გულშიც როგორ წვიმს;
ხან ბიჭების დარდი გკლავს,
ხან — უიღბლო გოგოსი...

გაიცვითა ძალ-ღონე,
გახდი უფრო გულჩვილი;
ხან ხმაური გაღონებს,
ხან სიჩუმეს უჩივი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყანა შენი არჩივი
უკვე გამოითოხნა...
დღეს თვითონ ხარ ბავშვივით,
მოსავლელიც თვითონ ხარ...

მაინც გხედავ აკვანთან,
ურწევ
შვილი
  შვილის
    შვილს,
ისევ ამოკამკამდა
დილა ჩვილის ტირილში.

ისევ დედის ღალა და
ღამისთევა სულ და სუულ,
ისევ იავნანა და
ისევ:
  სუ და
    სუ და
      სუუ!..

ჭირვეულობ ხშირ-ხშირად,
ბედმა დაგიმორჩილა;
ხან ბადიში გიჭირავს,
ხან — ბადიშის თოჯინა...

ნისლი მოიზმორება.
თუ სიბერის თრთვილია?!.
მთელი შენი ცხოვრება
გარჯის გაკვეთილია.

ისევ გხედავ აკვანთან.
ურწევ
  შვილი
    შვილის
      შვილს.
ისევ ამოთავთავდა
ყანა ოქროს ღიმილში!..

განუყრელი ღალა და
ღამისთევა სულ და სუულ,
ისევ: იავნანა და
ისევ:
  სუ და
    სუ და
      სუუ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

60 საბჭოთა ოსეთი 60

ოსი ხალხი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ზეიმობს თავისი ავტონომიის მე-60 წლისთავს. ეს მართლაც დიდი ზეიმია — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეკონომიკისა და კულტურის აყვავების დღესასწაული!

ქართველი და ოსი ხალხის ძმობა ათასწლეულებს ითვლის. მატერიალურ თუ სულიერ კულტურას ერთად ვქმნით დღეს, ერთი სადროშოს ქვეშ გაერთიანებული ძმები ვართ და თუ ოსურ მხატვრულ ლიტერატურას ღირსეული ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის სხვა ლიტერატურათა შორის — ქართული მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის დამსახურებაცაა!

არ ახალია თუ ვიტყვით, ჩვენს ქვეყანაში მთარგმნელობითი საქმიანობა დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმედ არის მიჩნეული. დიდი ყურადღებაა ეთმობა ეროვნული კულტურის ურთიერთგამდიდრებას, კერძოდ, ლიტერატურული ნაწარმოებთა მხატვრულ თარგმანს ერთი ენიდან მეორეზე.

ასეთი თანამშრომლობის მკაფიო მაგალითია ქართული და ოსური ლიტერატურის, ქართველი და ოსი მწერლების მჭიდრო კავშირი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ოსურ ენაზე ითარგმნა თითქმის მთელი მდიდარი ქართული კლასიკა. ამის მაგალითს ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ. ჯერ კიდევ სამამულო ომის დროს ქართულ ენაზე ამეტყველდა ოსი ხალხის ეპოსი — „ნართები". რამდენჯერმე ითარგმნა და გამოიცა დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის ლექსები და პოემები. სეკა გადიევის, ტომაუ გადიევის, ელბაზდუყო ბრიტაევისა (ამჯერად ხელმეორედ გამოდის მათი რჩეული ნაწარმოებები) და ოსური ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა თხზულებები. ამ რამდენიმე წლის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ოსური პოეზიის ანთოლოგია, სადაც კლასიკოსების გარდა, შევიდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის თანამედროვე პოეტების საუკეთესო ლექსები და პოემები. გამომცემლობა „მერანმა" ცალკე სერიებად დასტამბა თხუთმეტიოდე ცხინვალელი პოეტის რჩეული ნაწარმოებები.

ცხადია, ეს ყველაფერი ჩვენი ურყევი ძმობის დასტურია!

ჟურნალი „ცისკარი" ყოველთვის უღებდა კარს ჩვენს გულისძმებს — ოს პოეტებსა და მწერლებს.

ცხადია, დღესაც არ ღალატობს ამ ტრადიციას და თავის გვერდებს უთმობს ოსი მწერლებისა და პოეტების ქმნილებებს.

ოსი ხალხი აღმავლობის გზაზეა დღეს, სიკეთისა და ძმობის ზეიმი აქვს. ხარობს — სიყვარულისა და ერთგულების, ხვავისა და ბარაქის მომწევი ერი.

ეს ქართველი ხალხის ზეიმიცაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდ ხარებათი

ფიქრები მთის ბილიკებზე

ბევრი დაადგა უცხო გზა-შარას
ლუკმა-პურისთვის... დრო იყო
რისხვის,
რამდენი დედის ძუძუ გამშრალა
და რამდენ ობოლს გაუშრა სისხლი.

ბევრი დაიჭრა მტერთან ჭიდილში—
მეხს ჯიქურ დახვდა
გულანთებულად.

თავისუფლების მზის მოლოდინში
რამდენი აღარ დაბრუნებულა.

ვერვინ დაითვლის ჩამქრალ
ვარსკვლავებს -
ვინც ოსეთისთვის დახუჭა თვალი;
და დღეს მომინდა იმათ საფლავებს
ჩავძახო: ჩვენ ვართ თავისუფალი!

თარგმნა ჯემალ ჰელიძემ

ჰაფეზი

ბალადა ჩემს ცხენზე

როგორც მათრახის ზურგზე
გადაწვნა.
დრო სასტიკია და ულმობელი.
წარსულს
ქარიშხლის ფრთებით გადაწვდა,
იმ ფრთით აღგავა ცხოვრება ძველი.

ჰა — ჩვენც დაგვიკრა მან ფრთებით
ტაში.
ჩვენ — მე და ჩემს ცხენს,
მარადდღე მკვირცხლად
მის სწრაფ ქროლას რომ ვედექით
მხარში.
ახლა კი ფეხქვეშ გვეცლება მიწა.

ცხენს უნაგირი მოხადა უკვე,
მეც ბებრად მთვლის და მიცქერის
ცერად.
ჩვენ კი კვლავაც მხნედ გავწევდით
უღელს.
გული და მუხლი გვერჩოდა ჯერაც.

მოგვწყინდა —
მხოლოდ ფქვილის ტომრები
აგვაქვს აულში — ამაზე ვცდებით.

ვერც ხმალს ვიშიშვლებ ბრძოლის
მორევში
და ვერც ცხენს დავღლი კვლავ
შორი გზებით.

თუმც თოხარიკით ამაყობს ისევ.
მაგრამ აწ რაში სჭირდება იგი.
მინდორში ცვდება საბელი მისი
და მოლსღა თელავს ამაოდ
ირგვლივ.

ვიცი. ძმობილო. რა დარდიც
გაწევს,
როგორ გიჭირს და გულს გიხრავს
სევდა.
რა დღეს დააყრის გალია არწივს...
შენ რაც-დღე გადგას. იმასაც
ვხედავ...

ირგვლივ ხრამები და ქვა-ღორღია
და თითქოს ფერად ხოჭოებს უმზერ,
მანქანებისას რომ სჭვრეტ
ღოღიალს
ქვევით, ასფალტის პრიალა
ზურგზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო კვლავაც მიჰერის, მიჰქრის
ქარივით
შენ კი იმ ასფალტს რად
აცქერდები,
ზედ ხომ ვერასდროს
ვერც თოხარიკით
და ველარც ჩორთით
ვერ გაჭენდები?..

თარგმნა **იმედი ჯაჯუამ**

ისიდორ ქოზათი

შეწყვეტილი გუთნური

ხარი გაქვავდა შიშითა —
რქაზე წაავლეს ხელი,
ფეხზე ამოსდეს თოკები,
იყო და არა იყო...
წამოაქციეს ბალახზე,
მიწა აკვნესდა წყენით,
და შეტორტმანდნენ ქედები
— მთებიც შეირხნენ თითქოს.

ის ადრეც წაუქცევიათ,
როცა ჭედავდნენ, მაშინ
მთიდან ბარამდე დასტოვა
კვალი — კეთილად ვლიდა,
დღეს ყოფნას ემშვიდობება,
ცრემლი უელავს თვალში,
შავტარა დანით დაკლავენ,
ბინდი ეშვება ციდან.

შორს მოწყენილა გუთანი,
ხოლო გუთანთან კიდევ
ფარცხი მდუმარებს მწუხარი,
გულში ირევა ნისლი,
ხარი წევს — მიწის სიმღერას
აყურადებს და მისდევს,
ისმის ჰამო და ჰარალი —
თითქოს გუთნური ისმის.

თვალს ახამხამებს ბეჩავი,
თვალში ლაჟვარდი ცისა,
ოითქოს გავლილი გზაც მოჩანს,
გზად ეკალიც და იაც...
ალმართ-დალმართი, ყინული
და ჭაპანწყვეტა ისევ,
ხნულის კვალს ხედავს ისევე,
ხედავს კალოზე ტრიალს.

ყელს დააბჯინეს შავტარა —
თითეოს წუხილი მიწის
ამოიმართა, წამოდგა...
აჰა, უთვლიან წამებს...
შეირხა ხარი, მზე ჩაქრა,
ცა ჩამოინგრა მისი,
გაწყდა გუთნური სიმღერა,
ბნელი ჩამოწვა ღამე.

თარგმნა **ჯარჯი ფხოველმა**

გუთნის დედა გაეზარდოს ოსეთს

შვილი მეყოლა,
ხალხი მილოცავს,
ჩემს ცხოვრებაში სულ სხვა შუქია,
არის მილოცვა, არის მიმოსვლა,
ცოლოურები აკვანს მჩუქნიან.
ზოგმა უჩქმიტა, ზოგმა აკოცა,
გაიზიარა ყველამ ხალისი...
ოღონდაც ყველამ ერთხმად
დალოცა,
ყველას უნდოდა ეთქვა თავისი.
ზოგმა უსურვა ასტრონავტობა,
ზოგმა უსურვა ხვედრი პოეტის...
ზოგიერთი კი სულ სხვას ნატრობდა
იყო მსჯელობა, მიეთ-მოეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინჯად წამოდგა ამ დროს ბაბუა,
თქვა:
„კარგად იყოს ჩემი ღაბუა,
რა გამოვაო ეს მე არ ვიცი,
ოღონდაც ყადრი ჰქონდეს ამ მიწის,
არ მოსულიყოს სტუმრად ამ მთაში
საკმარისია ახლა ყბედობა...
ხალხთან რომ იყოს ზაფხულ-
ზამთარში,
ვაჟკაცს ვუსურვოთ გუთნისდედობა“.

თარგმნა ნოდარ ნარსიამ

გიორგი ბესთაუთი

მარტო ვარ

რა ხანია სიხარული გაფრინდა,
სიმშვიდემ და სულის ლხენამ
დამტოვა...
სიმარტოვემ ხელი ხელში ჩამკიდა,
მაგრამ მაინც მარტო ვარ!..

ციმციმებენ, ლივლივებენ
ვარსკვლავნი,
თბილი მთვარე მიირწევა ღილინით...
სანუგეშო ხმა არ ისმის არსაით,
გულით არვინ მიღიმის!..

ყველაფერი შენი, შენი ბრალია,
გული ასე არასოდეს განატრობდა...
სიმარტოვე ჩემი მეგობარია,
მაგრამ მაინც მარტო ვარ!..

თარგმნა გივი ძნელაძემ

რევაზ ასაევი

წლები

სისხამ დილაა. აისის ალი
შემოცქრიალდა ღიმილით ბაღში.
დაზნექილ ტოტებს ეხლება ქარი
და სათითაოდ მოცვივა ვაშლი.

იდუმალია ფოთლების ჩქამი
და გრძნეულებაც არის სამყოფი
როცა ეცემა მწიფე ნაყოფი —
თანდათან, ნელა, ჟამიდან ჟამით.

დაღლილ ხეებთან ძმასავით მდგარი
ამ იდუმალი გუმანით ვხვდები:
სიცოცხლეს ჩემსას ეხლება ქარი
და სათითაოდ მოცვივა წლები.

თარგმნა ზადიგან ზამანაძემ

კოსტა მარღიევი

მშობლიური მხარე

არ შემიძლია შევიკავო ცრემლები ახლა. —
აწეწილ სულში რიალებენ ლურჯი ქარები.
რაა ეს გრძნობა, — გულში უცებ რამ ჩამისახლა, —
შვების მომგვრელი არის იგი, თუ მწუხარების.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოცი წელია არ მინახავს მშობელი მხარე,
გამისიზმარდა, გამიცაქრდა ცხადად ნანახი,
ოცი წელია ვერ ვანახე დამშეულ თვალებს
მისი კორდები, მთა-გორები, მწვანე ბალახი.
მშობელი მხარე...
ჩემი სუნთქვა და გულის ძგერა,
ჩემი სიცოცხლე, სიხარული და მწუხარება,
უფერულია შედარება ამ ქვეყნად ყველა, —
შეუდარებელს ვერაფერი შეედარება.
ოცი წლის მერე კვლავ ვიხილე მხარე მშობელი,
ვიცინი, ვტირი როგორც ბალღი, ცრემლებს ვერ ვმალავ,
ფრთები შემესხა, სიჭაბუკის ჩაუქრობელი
შუქით აღვივსე, დამიბრუნდა სიცოცხლის ძალა.
აი, იქ, ერთ დროს სახლი იდგა მამაპაპური
და ფეხშიშველას მირბენია ცვრიან ბალახზე,
მახსოვს, ზეცაში მიწა იყო გადასარკული,
მიბანცალებდა სავსე მთვარე სოფლის შარაზე.
აი, იმ ტყეში თხილს და კაკალს ვინაკვერებდი,
გახარებული ვბრუნდებოდი სახლში ნადავლით,
თანატოლებთან შაირობით გულს ვიჯერებდი
იმ ჭადრის ძირას, — კორდზე რომ დგას დიდი ჭადარი.
ათასფერ ყვავილს მოუჩითავს მინდორ-ველები,
თაკარა დღეა, მზემ მოიხსნა ღრუბლის პირბადე,
და აი, თითქოს პრიალებენ ჩვენი ცელები,
და აი, თითქოს კვლავ წელამდე ბალახს ვთიბავდე.
აი, მშობლიურ არმიაში მიმაცილებენ,
იქნება მერე ომშიც მოვხვდე, არავინ იცის,
გზას მილოცავენ მოყვრები და ბიძაშვილები,
ისმის ტირილი, სიმღერები და ჩემი ფიცი.

. . .

და აი, ისევ გამითენდა ეს დღე დიადი,
ოცი წლის მერე კვლავ ვიხილე მშობელი მხარე,
გავსხვაფერკაცდი, გავიზარდე, გავგანთიადდი,
ვუჯერი, მაგრამ არც ვუჯერი ყურსა და თვალებს.
უზენაესო, უწმინდესო და ერთადერთო!
რაიმე გითხარ ამ სიტყვებით, არა მგონია,
შენ ჩემს ძარღვებში და ჩემს გულში სისხლივით ენთე,
არცერთი წუთი მე უშენოდ არ მიცხოვრია.
თმა მითეთრდება, მშობლიურო, ვბერდები უკვე,
ჩემი სიბერეც, ჩემი გულიც შენ შემოგევლოს,
და მაპატიე, თუ სათქმელი ვერ გითხარ უკეთ, —
ჩემო ნათელო, ჩემო მწუხრო, სიცილო, ცრემლო.
არ შემიძლია შევიკავო ცრემლები ახლა. —
აწეწილ სულში რიალებენ ლურჯი ქარები.
რაა ეს გრძნობა, — გულში უცებ რამ ჩამისახლა,
შვების მომგვრელი არის იგი, თუ მწუხარების.

თარგმნა **ელდარ კერძევაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსეი ბუკულოვი

„მეოცნებე“

(იუმორისტული მოთხრობა)

„რა დრო დადგა, ნუღარ მკითხავთ, ბიჭებო... მხიარული, ვერაფერს იტყვი! როგორაა მოწყობილი ეს მოუწესრიგებელი სამყარო, ვერაფერს გაუგებ: რაც საჭიროდ და აუცილებლად მიგაჩნია, მისი განხორციელების საშუალებას არ მოგცემენ, ანდა წარმოუდგენელს გახდიან. თქვენ რა გგონიათ, ვინ გიშლით ხელს? ჯანაბაა, სხვამ რომ შეგიშალოს ხელი, გასაგებია! მაგრამ, როცა გაიგებ, რომ ის შენი ახლობელია? მაშინ ცხოვრება სასიამოვნოდ აღარ მოგეჩვენება!..

მე არ ვიცი, წარმოდგენაც კი არა მაქვს, ბიჭებო, თქვენ რა აზრისა ხართ ამის შესახებ, მაგრამ მე არ ძალმიძს! დიახ, დიახ! ჩემს შესახებ და, რა თქმა უნდა, ჩემს შესახებ ხმამაღლა მოგახსენებთ, ძვირფასებო, რომ თავდავიწყებით მიყვარს მარტო ჯდომა და ფიქრი. ეს უბრალო ფიქრი კი არ გეგონოთ, ბიჭებო, არა, მე ფილოსოფოსობა მიყვარს და, როგორც ამბობენ, ამის დიდი ბუნებრივი მონაცემები გამაჩნია. მაგრამ ერთია, მოზღვავებული მონაცემების ბოლომდე გამომჟღავნებისათვის, უფრო სწორედ, დაგვირგვინებისათვის არავითარი შანსი არ მესახება!

ერთი გაელვების ხანგრძლივობა რაა, იმ მომენტსაც კი ვიყენებ და წამსვე ვჯდები სადმე მყუდრო კუნჭულში, სადაც ჩამიჩუმიც კი არ ისმის და წავიდა... აზრი აზრს მოსდევს... უბრალოდ კი არ მოდის, თითქოს შალის ძაფს ახვევ, ნელ-ნელა, ისე დიდდება და ბოლოს რა, ინებეთ, მიირთვით დახვეწილი ფილოსოფია... პირდაპირ საოცრებაა, არა!..

ცოდვა გამჟღავნებული სჯობსო, ამის თქმისა არ იყოს, უნდა კიდევ ერთხელ მოგახსენოთ, ნამდვილად მიყვარს ფილოსოფია... აი, ჩემი სუსტი მხარე... ფილოსოფიის გარეშე ცხოვრება არ შეიძლება და საერთოდ მის გარეშე არაფერი არ შეიძლება. ამას ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში მივხვდი, როცა ოჯახში ჩემს შესახებ ამბობდნენ, „ყოველმხრივი ნიჭით დაჯილდოებულიაო“.

ეს იყო მაშინ, ახლა, როცა ჯიბეში საგულდაგულოდ მიდევს სიმწიფის ატესტატი (მისი აღების მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა) სურვილმა მომიარა, დავამტკიცო ჩემი ნიჭიერების ამბავი.

როგორ?

ძალიან მარტივად. თქვენ რომ ხელს არ მიშლიდეთ, გაქან-ვამოქანების საშუალებას მაძლევდეთ, დავჯდებოდი და შალის ძაფს დავახვევდი... ახვევ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახვევ... შემდეგ გორგალი... კიდევ გორგალი... ე. ი. გორგლებს მიიღებ. რა გამოვიდა? უბრალოდ რომ ვთქვათ, დასკვნებს აკეთებ! ხოლო როცა შენი საკუთარი თავის საკუთარი ნააზრევის ნაყოფი თავში არ დაგეტევა, ადექი, კეთილი ინებე და ფურცელზე გადაიტანე, წიგნად დაწერე! მერე ყველაფერი თავის გზით მიდის! წიგნი დაიბეჭდება!.. აი, ბედნიერების დასაწყისი! წინასწარ ეხედავ წარმოუდგენელ ბედნიერებას, როცა ფილოსოფიით თავგამოტენილი დგახარ წიგნებით გაძეძგილ ჯიხურთან და ამ დროს ანგელოზის ხმით შავთვალება მზეთუნახავი (თანამედროვედ ჩაცმულ-დახურული) გამყიდველს მიმართავს:

— გეთაყვა, მომეცით ჩვენი დროის უდიდესი ფილოსოფოსის „ფიქრები და მოლოდინი". აი, ნამდვილი ნათელი თავი! საოცარია, საიდან მოდის ასეთი აზრები?

...მერე და მერე... გაითქვამ და გაითქვამ სახელს. მეშვიდე ცამდე აგამაღლებენ. წარმოიდგინე, ღრუბლებზე მაღლა ხარ! აბა, ეს კი ცოტას ნიშნავს ჩემს ასაკში? სხვა რომ არაფერი, ყველა სასიძოს სჯობიხარ, ყველა თაყვანს გცემს, გარა გეხვევიან ნაცნონ-უცნობი მზეთუნახავები, ყველა შენი „ფიქრებითა და მოლოდინით" ცოცხლობს. ერთი კი უნდა გახსოვდეს, ყურის ძირზე ნუ დაიძინებ და ბუზებს თვლას ნუ დაუწყებ...

რას იზამ, როცა თავს ზევით ძალა არ არის, თორემ პირველივე შესაძლებლობისთანავე გამოვცემდი ჩემს „ფიქრებსა და მოლოდინს", მაგრამ შენც არ მომიკვდე, სად არის ეს შესაძლებლობა? ოქროს ლანგარით მომართმევენ აი? განა იმის საშუალებას მოგცემენ, რომ ნამდვილი აზრები გადმოალაგო?

ვის დააბრალებ? ახლობელს! სწორედ შენ გაგწირავს... დღე არ გავა ისე... შორს წასვლა რა საჭიროა. დღესაც იყო ამგვარი შემთხვევა. განა ერთი, რამდენიმე.

ნასაუზმევს ჩემს კაბინეტში შევდივარ. გავიფიქრე, მოდი, ერთი აზრებში ჩავიძირები-თქო. ძველებურად, სასარგებლო ფიქრებში... ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა ჩავუყარო საფუძველი ჩემს „მოლოდინს". ჩემს ასე ვთქვათ, ფილოსოფიას... ვინ მოგცა ამის საშუალება... ის იყო, ყურადღება მოვიკრიფე, უმაღლესი ფილოსოფიური აზრების ოქროს ფესვს ხელი წავატანე, რომ კარზე დამიკაკუნეს. რა უნდა მექნა? ავდექი და გავაღე. ასეც ვიცოდი — ზღურბლზე მამაჩემი დგას!

— ბიჭო, შენ მომავალზე საერთოდ არ ფიქრობ?

— ოჰო! ეს მე ვარ, რომ არ ვფიქრობ? თავად აზრზეც არაა, როგორ მიშლის ხელს... სწორედ ია და სხვა არავინ. თავისი მოულოდნელი შემოჭრით, სწორედ დღეს, როცა უკვე დავარღვიე უწყვეტი ნაკადი ფოლადისებური ლოგიკური აზროვნებისა, რომელიც აუცილებლად ქვაკუთხედი გახდებოდა ჩემი მომავალი ცნობილი წიგნისა... ერთი სიტყვით, ვერასოდეს ვერ მიხვდება მამა! არ ვიცი, რია თქმა უნდა. ახლაც საყვედურებით ამავსო... რატომ ინსტიტუტში არ ჩააბარეო! აი, რა აწუხებს მამას!.. მე რა შუაში ვარ? არ ვაბარებდი, თუ რა? ერთხელ და ორჯერ ჩავაბარე თუ? მაგრამ, რაც არ არის, არ არისო! თავად ჩემი მშობლები არიან დამნაშავენი: არაფრის გაგება არ უნდათ, მხოლოდ ერთს გაიძახიან, ჩააბარე და ჩააბარე... სამედიცინოზეო. მე კი რამდენი ხანია, განვაცხადე: მხოლოდ ფილოსოფიური! არავითარი სხვა არ გამაგონოთ-მეთქი!..

იცით, რა განმიცხადეს? კარგი, ბატონო, იყოს ფილოსოფიურიო, მაგრამ კეთილი ინებე და სამსახური დაიწყეო. არც დავფიქრებულვარ, ისე მოვუჭერი: სად უნდა ვიმუშაო? ანდა, რომ ვიმუშაო, მექნება კი ფიქრის დრო? ვინ იფიქრებს ჩემს მაგივრად ფილოსოფიურად? ესეც რომ არ იყოს, თქვენ ხომ ორივენი მუშაობთ? ნუთუ ერთად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი შვილის, ისიც გენიოსის, შენახვა არ შეგიძლიათ-მეთქი?!.

მაშინ, როგორც იქნა, დავაშოშმინე ისინი, დღეს, როგორც უკვე გითხარით, მამაჩემმა ისევ წამოიწყო, ჩემს კაბინეტში შემოვიდა თუ არა, მაგრამ საშუალება არ მივეცი, ეწყინა. მერე წავიდა კიდეც.

მისი წასვლის შემდეგ დრო ვიხელთე და უმალვე ფიქრებში ჩავიძირე, შევუდექი ჩემი „მოლოდინის", მჭერმეტყველების საფუძვლის ჩაყრას, მაგრამ ერთი ქვის ჩაგდებაც ვერ მოვასწარი ბალავერში, უმალ დედა გამომეცხადა.

დედას ტაქტი ყოველთვის აქვს, მაგრამ ამჯერად იმანაც შემაწყვეტინა ფიქრი თავისი ნაზი, წვრილი ხმით:

— რა გასაჭირში ჩაიგდე თავი, ჩემო ბიჭუნი, შენ ისევ უსაქმოდ ზიხარ? გაგაწამეს გამოცდებმა, მოსვენება დაგიკარგეა, ხომ!

როგორც ხედავთ, მას ესმის ჩემი, განიცდის ჩემთან ერთად, თუმცა ხელს მაინც მიშლის... რა მადლი აფენია! იგი ეეთილი და დამთმობია... დავითანხმე: აი, ვიმეცადინებ ცოტას კიდევ, მერე დავისვენებ-მეთქი და დამიჯერა. კმაყოფილი წავიდა.

მაგრამ რა უნდა ვიმეცადინო, როცა ფილოსოფიის გარდა არავითარი მეცნიერება არ მიზიდავს? გადავწყვიტე, დავისვენებ-მეთქი და ბებია გამომეცხადა. მრჩევლები მომიდიან, გესმით, მომბეზრდა!.. მოხუცმა ძველებურად ჩამომიჯიკჭიკა:

— შენი ჭირი შემეყაროს, ჩემო ბიჭუნი! შენი ტოლები კარგა ხანია გზას ადგანან, შვილებიც კი ჰყავთ... შენც უნდა იფიქრო რამე... ვიდრე ცოცხალი ვარ, რძალი უნდა მაჩვენო. აბა, ისე რა არის შენი ცხოვრება? მუშაობით არ მუშაობ, სადღაც დადიხარ და მთელი დღეები იკარგები. კარგია, რომ რესტორანში გპოულობენ საღამოობით. ხან შენით მოდიხარ, ხან კიდევ... ხშირად დებოშს სტეხ... რისთვის? რატომ, ჩემო ბიჭუნი? ვილაც სოფიოს გამო?! ჩვენ ვიცნობთ მის?! თუ მეგობრობ, ადექი და სახლში მოიყვანე, როგორც სხვა ადამიანები იქცევიან, კარგი ქორწილი გავაჩაღოთ... და ბედნიერებას გისურვებ! ჩვენც ვიბედნიერებთ, ღმერთმანი!

ესღა მაკლდა! ფილოსოფიაზე ველაპარაკები, ის კი ვილაც სოფიოს გაიძახის! რას იზამ, სოფლელია!. მთელი ცხოვრება სოფელში გაატარა. რა ნახა იქ? რა უნდა მოსთხოვო? კიდევ კარგი... კიდევ კარგი, დედამ ნება დართო მამას და ქალაქში ჩამოიყვანა მოხუცი. რა უნდა მოსთხოვო... ასეა თუ ისე, მან უკვე ას წელს გადააბიჯა... დადა რომ მსჯელობდა, ღმერთმა ნუ ქნას და რაიმე რომ მოხდეს, ხალხს თვალი როგორ უნდა გავუსწოროთ.. ჩამოვიყვანეთ და ახლა ჭკუასაც მასწავლის...

არა, მტკიცედ გადავწყვიტე, ასე არაფერი არ გამოვა. ამ სახლში ფილოსოფიის მწერვალების დამპყრობის საშუალებაა არ მომცემენ... რაღაც სხვა უნდა მოვიფიქრო... ადრეც მქონდა ნაფიქრი.. ასეა თუ ისე, დღევანდელი დღე დაკარგულია. მოდი, გავალ, გავისეირნებ, გულს გადავაყოლებ...

და გავიარე.. მაგრამ რა, არაფერი, გულზე მაინც ლოდი მაწევს... წყენამ არა და არ გამიარა... უცებ გონება გამინათდა, აი, რა ძალა აქვს შინაგან ფილოსოფიას — ასი გრამი და მორჩა, ყველაფერი კარგად იქნება...

ვაშა! ვიპოვე გამოსავალი, დაილოცა შენი გზა ცათამხილველო, გაუმარჯოს ფილოსოფიას! გაუმარჯოს რესტორანს! აი, რას ნიშნავს, როცა ადამიანს თანდაყოლილი აზროვნება აქვს! რა მომენტიც არ უნდა იყოს, ყოველთვის იპოვის გამოსავალს...

ასი გრამი გადავკარი. ჯერჯერობით ყველაფერი ისეა, როგორც რამდენიმე წუთის უკან იყო. მოვითხოვე კიდევ ასი. რა თქმა უნდა, მომიტანეს. ჩავაპირქვავე ჭიქა ხახაში... ცოტა დროც და.. გონება თანთადან გაიხსნა — ფიფილოსოფიური აზროვნება დამიბ-

---

ალექსეი გუკულოვი
„მეოცნებე"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნდა, ამუშავდა.. აქედან კი დასკვნა: როცა გასაჭირში ხარ, ასეთი ქუფრი აწევს ფილოსოფიურ აზროვნებას, პირდაპირ ორასი გრამი უნდა გადახუხო. რა თქმა უნდა, არ ვუღალატე ჩემს ფილოსოფიურ ალღოს დ პირდაპირ ორასი მოვითხოვე. მომიტანეს. ისიც გადავყლურწე და უმალვე ფილოსოფოსობამ შემიპყრო. ასეთი კითხვაც კი დამებადა: რა არის სიცოცხლე?

ააა... სიცოცხლე რა არის? ეს, ასე ვთქვათ, ამქვეყნიური სამოთხეა, კეთილი და საამოა, იმ შემთხვევაში, თუ შენს იდეალს განახორციელებ, შენი იდეალი კი ფილოსოფიაა. ფილოსოფიის გარეშე რა სიცოცხლეა, როგორც სიცოცხლის გარეშე წარმოუდგენელია ფილოსოფია...

ფილოსოფია, ეს ყველაფერია! ამიტომაც იგი უსასრულოდ უნდა განვითარდეს... კი, განვითარდეს და განვითარდეს... მისი შემაფერხებელი ჩემი ნომერ პირველ მტერია. გულახდილად უნდა გითხრათ, ჩემს სახლში ფილოსოფიის განვითარების არავითარი წინამძღვარი არ არსებობს... ამიტომაცაა, რომ ჩემს ფილოსოფიურ წინსვლას ეღობებიან. ეს ხომ პირდაპირ ბოროტებაა! კარგია, რომ მას ყოველთვის სიკეთე ებრძვის, მათი მუდმივი შედეგია, რომ ჭეშმარიტებას ვადგეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ბრძოლაში ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს. ეს ჩვენი ცხოვრების კანონია!

ამ გამარჯვებისა რომ არ დაილიოს, შეუძლებელია! ასი და ორასი გრამი რა მოსატანია! ერთბაშად ოთხასი მოვითხოვე. შემდეგ მთელი ერთი ლიტრი გაჩნდა მაგიდაზე... ფიქრება ისეთი გასაქანი მიეცათ, მეტი რომ არ შეიძლება! მუქთად ხომ არ გადავყრი ამდენ ფილოსოფიას, გამოყენება უნდა, ვიღაცას ხომ უნდა ესმოდეს, რა ხდება ქვეყანაზე, მსმენელი ხომ უნდა გყავდეს?!. ჰოდა, ჯერ ერთს ვუხმე, შემდეგ მეორეს... ასე და ამგვარად მთელი ჯგუფი შეიკრიბა ჩემს ირგვლივ! ვინ იყვნენ? ვერაფერს გეტყვით, არცერთს არ ვიცნობ.. ერთი კი ვიცი, რომ ძალიან მხიარული კამპანია იყო... და რაც მთავარია, ფილოსოფიური აზრები თავისთვად მოდიოდა ენაზე.. მოვყევი იმის მტკიცებას, რომ ჩვენი ცხოვრების მიზანი ფილოსოფიაა. იგი ყველაზე ბრძნული მეცნიერებაა ყველა მეცნიერებათა შორის, ხოლო მე კი ის პიროვნება ვარ, რომელსაც ხელეწაფების ადამიანთა გონების იდუმალ „საიდუმლოებათა“ სადავეებზე...

თურმე, რა ბრიყვებთან მქონია საქმე! თქვენ გგონიათ, აიღეს და დამიჯერეს? რას ამბობთ! მასხარადაც ამიგდეს, იქამდე მივიდა საქმე, სულმა ხუთვა დამიწყო. თანამეინახენმა უფრო დამაყარეს ხა-ხა-ხა და ხი-ხი-ხი!..

— რა, არ გჯერათ? — შევმართე მუშტი და მაგიდაზე დავუშვი. პირადად დაგიმტკიცებთ, ვინა ვარ მე! ბოლოსდაბოლოს ყველაზე კარგი ფილოსოფოსები, კარგი მოკრივენიც იყვნენ!

— აი, მეზღაპრე!

— კარგი ზღაპრები აცოდნია მის ბებიას!...

კვლავ მომაკვდინებელი ხარხარი. სისხლმა კეფაში ამასხა. ყველაზე კარგი საბუთი პრაქტიკაა, გავიფიქრე, ახლავე დაინახავთ და თვითონვე დარწმუნდებით, როგორი ფილოსოფიისა და სპორტის ოსტატიც გახლავართ!

კრივში შეჯიბრების დროს ბოლოდან მეორე ადგილი ყოველთვის მეჭირა... მაგრამ მაინც დავიწყე ჩემი ხელოვნებისა ჩვენება. პირველად ერთის დარტყმით ორი ყველაზე თავგამოდებული წამქეზებელი დავაგდე. მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშტი იმას მოხვდა, ვინც ზომაზე მეტად ხარხარებდა. ასე და ამგვარად, ერთიერთმანეთის მიყოლებით მივაწყვე ყველანი.. მართალია, მეც გვარიანად მომხვდა... ოი, ისე მაგრად, რომ სუნთქვა შემეკრა, თუმცა... თუმცა მაშინ იმდაგვარი არაფერი მიგრძვნია... არც ის მახსოვს, როდის ან რით დასრულდა ყოველივე.. მგონი დავწექი და მკვდარივით დამეძინა...

დილით... დილით... დილით გამომიცხადეს, რომ მე ვიმყოფები სამედიცინო გამოსაფხიზლებელში. გულუბრყვილობაში ნუ ჩამომართმევთ და გამოვტყდები, სულაც არ მწყენია ყოველივე ეს: ბოლოსდაბოლოს, პირველად ხომ არა ვარ აქ?! მერე იცით რა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, აქ სულ სხვაა, სახლს კი არა ჰგავს, აქ ნამდვილად გაქვთ საშუალება ფილოსოფოსობისა, აქ მართლა შეიძლება ჩაფიქრდეს კაცი სიცოცხლეზე... აქ...

თარგმნეს **ჯემალ ჭელიძემ** და
ვაჟა ჩოჩდელმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ბულკათი

გედის სიმღერა

ლიტერატურული პორტრეტი

სულდგმულთა შორის ყველაზე ლამაზად გედი ხვდება საკუთარ აღსასრულს. იგი სიმღერით მიდის ამქვეყნიდან... გიორგი ბესთაუთი სიცოცხლეს სიმღერით გაეყარა და, სიმბოლიკის ხაზს თუ გავყვებით, მისი ბოლო კრებული „ცეცხლის წვეთები" მწერლის გედის სიმღერაა. მაგრამ ამ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარგამყოფ ხაზად დამკვიდრებულ ფორმულას ოსეთში სხვა გაგებაც აქვს: გედი თავისი სიმღერით სიცოცხლეს კი არ ეთხოვება, არამედ შავი ღამეებივით უსასრულო რიგში დაყურსულ საუკუნეებს მოუხმობსო. თუ როგორ ისმინა დროის სივრცემ გიორგი ბესთაუთის ყივილი, ეს თავად დრომ განსაზღვროს, ჩვენ კი აქედანვე უყოყმანოდ შეგვიძლია დავასკვნათ: „ცეცხლის წვეთები" ის წიგნია, რომელსაც ოსური სატრფიალო ლირიკა თავისი არსებობის მანძილზე ელოდა.

ოსურ პოეზიაში ბევრი ლირიკული ლექსი შექმნილა სიყვარულის თემაზე, მაგრამ მათ ყველას ეტყობა ეროვნული ტრადიციითა და ეთიკით გათვალისწინებული მამაკაცის მოკრძალება ქალის მიმართ. ცხადია, ეს მოკრძალება შორსაა მონური ქედის მოდრეკისაგან, იგი შეიცავს იმ გარეგან თავდაჭერასა და შინაგან დამუხტვას, რომელსაც ოსური ხალხური ცეკვის „ხიმდის" შესრულებისას ვხედავთ ხოლმე. მე ვგულისხმობ ოსურ ტრადიციულ „ხიმდს", სადაც მამაკაცის ლტოლვა შინაგან ფეთქვად არის გადაქცეული. მიუხედავად თავისი დარბაისლური ფორმისა, ამ რაინდულ ეთიკას თანამედროვე კოსმიური რიტმების ფერხულში მაინც დაჰყვება არქაულობის ჩრდილი და გიორგი ბესთაუთის „მკრეხელობა" იმაშია, რომ მან თავის ლირიკაში სიყვარულის თემას მოხსნა ეს არქაულობის უღელი, მოხსნა, რადგან მისი სულიერი ტკივილი ვეღარ დაიტიეს ოსური ეთიკის დაუნჯებულმა ზღვრებმა. „ამ სახლში დრონი მიდიან, — რჩება სინათლე მჭრქალი, აქ ჭერზე მზერით ჰკიდია ცისფერთვალება ქალი. მუნჯმა კედლებმაც თითქოსდა ცდაში ჩაიგდეს ენა, — ქალს და ტელეფონს წინ ჰქონდათ მწარე ტკივილის თმენა. ითმენს წყვდიადში ყურმილი, ბნელი ტელეფონს სტკივა. ბალიშზე ქალის სურვილი მარგალიტებად ცვივა" („ამ სახლში დრონი მიდიან").

სიცოცხლის ბოლო პერიოდში „ვეფხისტყაოსნის" თარგმნის პროცესი იყო პოეტის სულიერი გამაწონასწორებელი, მაგრამ ამასთან ერთად გ. ბესთაუთი წერს ფილიგრანულად დახვეწილ ლირიკულ ლექსებს, წერს და ინახავს მათ საწერი მაგიდის უჯრაში იმ გულუბრყვილო ვარაუდით, რომ მხოლოდ მას ეხება ის სულიერი ტკივილი, რაც იმათშია გამჟღავნებული. მან კარგად იცოდა, რომ ინტიმის სფეროში ტრადიცია ოს მამაკაცს სატრფოს ფანჯრებს მიღმა დგომასა და გულში მბორგავი გრძნობის სიმღერით თქმას კი არ ავალებს, არამედ დარბაისლურ თმენასა და მის უხილავად ტარებას: „სიშავეს მივენდე ამ ღამის და ვეძებ შენს თვალებს, ლერწამ ტანს... შეგჭირხლა ლოდინმა, დრო-ჟამი ჭაღარით მიმოსავს მეც ამ თავს. სხვა მისდევს მტვერმომდგარ შარაგზას ილეკროდ ზეცისკენ აფრენილს და მე კი აქ შევრჩი მარადჟამს, — ოცნებებს — დაშვებულ აფრებით. დღეების გოდებას და ყმუილს ვისმენ და დამყვება ვალალი, რადგან ჩემს მომავალს და წყურვილს ჩამომღრჩვალთ ვხედავ მაგ დალალით". („სიშავეს მივენდე ამ ღამის").

1978 წელს ადრე დაზამთრდა. პირველ ნოემბერს ჯვრის უღელტეხილი თოვლმა გადაკეტა და ჩრდილო ოსეთიდან სტუმრად მოწვეული ცნობილი ოსი პოეტის გრის ფლითის სამტრედიაში ჩამოყვანა არმავირის შემოვლით მოგვიხდა. რატომღაც მოხდა ისე, რომ ცხინვალიდან ჩამოსული გიორგი ბესთაუთი მასპინძლებმა ავტომანქანიდან პირდაპირ სცენაზე შემოიყვანეს და მაშინვე სიტყვა მისცეს. შეჭირხლული თმის სისველეზე ეტყობოდა, რომ ახლახანს სადღაც ღია ცის ქვეშ ყოფილიყო. მან მიკროფონი გვერდზე დატოვა და სველი ხელების ფშვნეტით პირდაპირ რამპას მიადგა... მერე მახსოვს, რა გატაცებით ლაპარაკობდა გალაკტიონზე, თან ამტკიცებდა, რომ მისი ლექსის თარგმნა უფრო ძნელია, ვიდრე თვით მკითხველის „გადმოთარგმნა" ქართულ ენაზე... მე ამ ქვეყნად უბედნიერესი კაცი გახლავართ, რადგან ცხოვრებამ კარგა ხანია მოასწრო ჩემი პიროვნების გადმოთარგმნა გალაკტიონის ენაზეო... ამ სიტყვებმა იმდენად შემძრა და აღფრთოვანებული — გიორგი ბესთაუთი „მერის" ოსურ თარგმანს კითხულობდა. უკვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხზე ვიდექი. მერე „ვეფხისტყაოსნიდან" წაიკითხა „ლოცვა ავთანდილისა" და როცა „ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა"-ს წარმოთქმასთან ერთად დამუშტული ხელები ღმერთისკენ შეჰყარა, დარბაზი ტაშის გრიალმა შეაზანზარა.

გიორგი ბესთაუთის შემოქმედებას იმთავიდანვე ეტყობოდა კვალი მისეული ფერისა, რაც „ცეცხლის წვეთებში" უფრო აელვარდა, როგორც ჭაბის გულზე საგანგებოდ დადებული ალმასი. „შენ მე გამექეც და ჩემს წინ მწუხრში გზა ჩაიტანა უფსკრულმა ბნელმა. ცივმა ქარბუქმა იქვე ჩემს სულში თეთრი მერნები შეზოგელვა. ამ თეთრ სევდაში იმედს ვინ ელის, თუ მზერაც თეთრმა ნისლმა დაფარა! თეთრ თოვლზე წვეთავს სისხლი ცირცელის და ბულბულს ტოტზე ჰყინავს და ზარავს". („თეთრი სევდა") სიტყვა „თეთრს" ორიგინალში ისეთი გამოსხივება აქვს, რომ მისგან შექმნილი სითეთრე ადამიანში ბადებს უსაზ. ველობის განცდას. მაგრამ თარგმანში ვერ მოხერხდა მისი სრული ეკვივალენტის მოძებნა.

გიორგი ბესთაუთის შემოქმედებაზე თავიდანვე ცოტა იწერებოდა. თითქოს მის პოეტურ სამყაროში მივყვებოდით რაღაც ინერციის ძალას. ხმამაღლა არ ვამბობდით იმას, რასაც კულისებს მიღმა ვამტკიცებდით; რომ იგი შევიდა იმ ბედნიერ ერთეულთა რიცხვში, ვინც კოსტა ხეთაგაროვის შემდეგ პოეტური სიტყვის ფენომენი ასე ააღლვარა. ის ხშირ შემთხვევაში, სახეს ფრაზით კი არ ჭქმნის, არამედ კონკრეტული სიტყვის ელფერით... სიტყვის პირველად პოტენციას არ აკლებს მისხალსაც კი და აკისრებს ქვაკუთხედის როლს ისე, რომ ამავე დროს იყოს აზრობრივი ტვირთის მჯენი და არ ეტყობოდეს წარმავლობა და გახუნება. „უუდის ხეობავ, უუდის ხეობავ, ჩემო სულის ბჭევ, ვის რა უნდოდეს — შენი თავი და შენი მეობა უკუნისამდე შენ გეუუდნოდეს. შეხეთ, ბილიკი, მწვანე ბილიკი. როგორ მიხტუნავს და მიქილიკობს, რამდენ სიმწარეს, რამდენ სიხარულს ინახავ გულში. ჩემო ბილიკო". („უუდის ხეობა". თარგმნა ჯანსულ ჩარკვიანმა). აქ ორიგინალის ლექსიკისა და პოეტიკის ეკვივალენტობის გარდა მთლიანად აღდგენილია სიტყვა „უუდ"-ის ფუნქციაც. მაგრამ ამასთან ერთად მთარგმნელის პოეტურმა ინტუიციამ მოახდინა ერთგვარი „ჰიბრიდიზაცია" ორი ერის სულიერი ტკივილისა, რადგან სიტყვა „გე-უუდ-ნოდეს" მკითხველის ასოციაციაში აღძრავს სახებას ორი დიდი ჰირისუფლისა — ამ სიტყვის ერთადერთი მთქმელისა და უუდის ხეობაში დაბადებული ოსი კლასიკოსის სეკა გადიათისას.

მხატვრული სიტყვა იყო მისი ღმერთი. ეამოა სვლისაგან წარეცხილი ღმერთების სახეებს ეძებდა მაშინ, როცა „ვეფხისტყაოსნის" თარგმნისას ერთმანეთს ადარებდა „ქართლის ცხოვრების", „სახარებისა" და „ნართების" ეპოსის ლექსიკონებს. მან კარგად იცოდა, რომ რუსთაველის გენიალურ სიტყვის კონას თანამედროვე ცივილიზაციის ლექსის მარაგით ვერ დაწონიდა და „უამის წიგნში" ჩაძირულ სიტყვებს ეძიებდა.

ხშირად, როცა ქართული პოეზიის მთაგრეხილზე ისეთ თვალშეუდგამ მწვერვალებს გადაავლებდა თვალს, როგორიც არიან რუსთაველი, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი, გულმოფონებული იტყოდა ხოლმე: „აი, სად არისო სიტყვა ნაფერები და ნამზეები!" მერე დასძენდა: „როდემდე უნდა ვიაროთ კოსტას ჩოხის კალთებზე ხელებჩაჭიდებულებმა, როდემდე!" მაგრამ ეს ეროვნული გენიის წინააღმდეგ ამბოხი კი არ იყო, არამედ საკუთარი გზაკვალის ძებნის დაუოკებელი სურვილი პოეზიის სამყაროს ლაბირინთებში.

მოურჩენელი სენი საშიშია ხორცისათვის, მაგრამ იგი ათმაგად საშიშია სულისათვისაც, ვინაიდან ის ეგოიზმით აავადებს ადამიანს და მასში კაცურ სითბოს ისე გაანელებს, რომ პიროვნებას ცივსა და მიუკარებელს ხდის. გიორგი ბესთაუთის სულს არ შეხებია მსგავსი, ყოვლისმომსვრელი სენი, ბოლომდე ეღერდა მასში სიმი პოეზიისა. სიკვდილამდე ათიოდე დღით ადრე ვესტუმრეთ — ნაფი ჯუსოითი, ჭაჯი-მარატ ძუცათი, ალექსი ბუქულთი და მე. და როგორი იყო ჩვენი გაოცება, როცა მან ტანტალური ტკივილები მიივიწყა და სერვანტესის „დონ კიხოტის" ნიკო ავალიშვილისეულ თარგმანზე დაგვიწყო თავდავიწყებით საუბარი: ეს რა საოცრებაა. შიგ კაცების მაგივრად ღმერთები დააბიჯებენ და ძალიან შორს-გამხედვარი უნდა იყო, რომ მათი ყოველი ნაბიჯის მიზანს მიხვდეო. სადაც ასეთი ეფექტი აქვს თარგმანში, ორიგინალში რაღა იქნება და რა დასანანია, რომ ჩვენ არა გვყავს ესპანურიდან მისი გადმომღებიო.

უწარსულო და უმომავლო აწმყო ფეხებმოჭრილი ან თავწაკვეთილი და ამპუტირებული რეალობაა. პოეტი პოეტობას ვერ დაიჩემებს, თუ მან საკუთარი მოდგმის არსი სამი დროით არ გაზომა. რუსთაველის სიდიადეს თვალს ვერ შემოაწვდენ, თუ მას დროის სამი ფუნქცია არ მიუყენე. ჰოდა, რა უნდა ჭქნას კაცმა ასეთ სიტუაციაში, გარდა იმისა, რომ საკუთარი არსი თავისი სამშობლოს წარსულისა და აწმყოს შემკვრელი ჯაჭვის ერთ უულფად გადააქციოს და ნამყოში ფესვებგამჯდარმა ტოტებით მომავალს დაუწყოს ფერება. რა უნდა ჭქნას კაცმა

მიხეილ გულკათი

ბედის სიმღერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა იმისა, რომ ანტიკური ციმიტის[1] ნანგრევებისა და იავარქმნილი „ყოლას კოშკის“[2] ხილვით ატკივებული სული კოსმოსში აფრენილი რაკეტების ნახვით დაიამოს! ივლის როქის გადასასვლელის კორტოხებზე ყოველ წელიწადს, რადგან ამ სიმაღლიდან უკეთესად მოჩანს მოწმენდილი ცა, აქ უნდა გაიაროს „ძამ“-მა[3] და აქ ეგულება „ყოლას კოშკი“. ეს ის კოშკია, სადაც ოდესღაც ამიერკავკასიის მთიანეთის დასაპყრობად მოსული გენერალი რენეკამფის პოლკს ერთი მუჭა ვაუკაცების რაზმი ბეგა ქოცთის მეთაურობით ჩაუსაფრდა და გარსშემორტყმულ მტერს სიმღერით შეაწყდა: „ნაპერწკალივით თუ ჩავქრები — მეტს არც რას ველი, — მაინც წამყვება სამყაროის ტანჯვა სახმილად. თუ ნაადრევად დამიღამდა დღე დამქანცველი, მომეჩვენება მე სიკვდილი საღათას ძილად. სისხლით მოსვრილი ბედის ჩარხი მაინც იბრუნებს და მიმოსრისავს უმოწყალოდ კაცის ხსენებას. ცოდვილი მზე კი შუა დღისას გზას გაიმრუდებს და კვლავ პოეტის შავ თვალებში ჩაესვენება. ჩამოირღვევა გოდოლები ციხე-გალავნის, არ ეყოლებათ გამკითხავი წამებით მომკილთ; მავანის სატრფოს ლამაზ თითზე ურცხვად მავანი ბეჭდის მაგივრად წამოაცვამს ოქროს ხელბორკილს. ჭორი და ზრახვა შხამიანი გველის სისინით უკუნისამდე იხოხებენ ავკაცის ყინად, იყავი ღმერთი, გინდ წმინდანი, მაინც სიცილით ავი ენები მოგნათლავენ ქვესკნელის ჯინად. უახლოესი მეგობარი ბრუტუსი შენი მახვილს იშიშვლებს, ბასრი წვერით დაგასობს მკერდზე. სატრფო წმინდა სულს წაგიწილწავს და ურცხვი ლხენით ამირანივით მიგაჯაჭვებს საკორტნად მთებზე. იმედდაკარგულ დედამიწას მერკანტილიზმი ღოჯა კბილებით გაღრღნილ ძვლებში ჩაელურსმება, მხდალი სიმართლე შემცოდველის მზერა-თილისმით კვლავ ისტორიის კარის უკან გაილურსება. ნაპერწკალივით თუ ჩავქრები, — მეტს არც რას ველი, მაინც სამყაროს დავუტოვებ ტანჯვას სახმილად. თუ ნაადრევად დამიღამდა დღე დამქანცველი, მომეჩვენება მე სიკვდილი საღათას ძილად“. („კეისრის მონოლოგი“).

ლექსი და ნაპოვნი სიტყვა მისთვის მტანჯველი დემონებიც იყვნენ და მხსნელად მოვლინებული კეთილი ჯინებიც. საოცარი ის იყო, რომ მისი პოეტური აზროვნების სტრუქტურაში ხშირად ფრაზა კი არ იყო გონებაში ასოცირებული მხატრული სახის შემქმნელი, არამედ კონკრეტული სიტყვის ფენომენი. სიტყვამ თუ არ ილაღა, ისე პოეტური აზრიც ვერ [illegible] იტყოდა ხოლმე ხშირად. „მივალ უგზოდ. ღამის თქეში ცივ ცრემლებად მაწვიმს. დამიტირე ცაო, შევრჩი კუპრი ღამის თვალწინ. გუბეებში წვეთთა ცემა. ვარსკვლავთცვენას მოჰგავს“. („მივალ უგზოდ“, თარგმნა თედო ბეჭიშვილმა).

1976 წელს როცა „ვეფხისტყაოსანი“ ოსურ ენაზე ჯერ კიდევ სრულიად ახალი დასტამბული იყო, ჩრდილო-ოსეთის ტელევიზიამ მისი თარგმანის ირგვლივ მოაწყო სპეციალური ლიტერატურული გადაცემა. მანამდე ოსი მკითხველი „ვეფხისტყაოსანს“ ძირითადად მუხტარ საულოხთის თარგმანისა და რუსი მთარგმნელების მეშვეობით იცნობდა. მე არაფერს ვიტყვი იმის შესახებ, თუ როგორ ატყდა ტელეფონების იმავდროული რეკვა ტელევიზიაში, როგორ მიაწყდა მეორე დღეს წიგნის მაღაზიებს „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ თარგმანზე „მონადირეთა“ კოპორტები. მე მინდა გავიხსენო ერთი სიტყვისაგან გამოწვეული პარადოქსული შემთხვევა, რომელმაც კინაღამ სატელევიზიო გადაცემა ჩაგვიშალა. სწორედ იმ დროს, როცა წამყვანმა თავისი ტექსტის კითხვა დაიწყო, გიორგი ბესთაუთმა ოთხად დაკეცილი საბეჭდი ქაღალდის ფურცელი გადმომცა, რომელზეც რუსთაველის ნახევარსტროფი იყო ლამაზი ხელით გამოყვანილი: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მ ი წ ყ ი ვ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“. ტექსტი ქართულად იყო დაწერილი, ოღონდ სიტყვა „მიწყივ“ წითელი ფანქრით შემოეხაზა და ზედ ისარი დაესვა. გამიკვირდა, ეს რას ნიშნავს, ან რაღა ახლა გაახსენდა-მეთქი და ხელებით დავუწყე „ლაპარაკი“. ქანდარაზე მყოფმა რეჟისორმა რაღაც გაურკვევლად იქუხა, მერე ოპერატორმაც შემომიბღვირა და გამახსენდა, რომ ტელეობიექტივის წინ ვიყავი. ასე იყო თუ ისე, ანათემას გადავურჩით და გარეთ გამოსვლისას გ. ბესთაუთმა ამიხსნა აზრი სიტყვა „მიწყივ“-ზე დასმული წითელი ისრისა: ხედავ, რა კაცი გამოვაკელით რუსთაველს, მითხრა მან, რომელ კაცზე გაქვს-მეთქი ლაპარაკი, ვკითხე გაოცებულმა. ორიგინალში სიტყვა „მიწყივ“ ძველი ტაო-კლარჯეთის მიწის სურნელი უდის, ცალკე ის გაჯიქდა, ცალკე მე ვიმტვრიე თავი. მაგრამ ოსურ ტექსტში ამ სურნელის ექვივალენტი ვერ აღვადგინეო, შემომჩივლა მან. ექვივალენტი აღადგინა, მაგრამ ის ძველი ტაო-კლარჯეთის მიწის სურნელის ასოციაციას კი აღარ იწვევდა, არამედ ოსური ნართულ-მითოლოგიური სამყაროსას, მაგრამ დასანანად დამირჩა, მაშინ რომ ვერ მოვახერხე თქმა: ბესთაუ (ასე მივმართავდით შინაურულად), ეს შენი მთარგმნელობითი ოსტატობის უნიათობა კი არ არის, არამედ თვისება სიტყვისა, რომლის მნიშვნელობაც მხოლოდ საკუთარი ენის სტიქიაში ფუნქციონირებს და

---

1. ციმიტი — ნაქალაქარია ჩრდილო ოსეთში.

2. „ყოლას კოშკი“ — ციხე-სიმაგრე როქის გადასასვლელზე.

3. ძამ-ძაულ — ალაგერის მაგისტრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნისას იდიომური შესატყვისი თუ არ მოუნახე. უმალ კვდება.

არასდროს დამავიწყდება დღე, როცა გ. ბესთაუთმა ჟურნალ „ფიდიუაგის" რედაქციაში „ვეფხისტყაოსნის" პირველი ნაწყვეტის თარგმანი მოიტანა.

მკათათვის ბოლო პარასკევი იყო. ჟურნალის მთავარი რედაქტორის გიორგი ძუგათის კაბინეტში ვისხედით. გიორგი ბესთაუთი შემოვიდა, კარს ხატივით აეკრა, ხელში დაგრაგნილი ხელნაწერი ზეასწია და ისე წამოიწყო, შიგ არც კი ჩაუხედავს:

იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან
სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი
ყმიანი...

თუმცა რას ვამბობ, ის ხომ ამ ნაწყვეტს ოსურად კითხულობდა! მე ვუსმენდი რუსთაველის ლექსის სუნთქვას, მუსიკასა და რითმას, ეროვნულად სახეცვლილი მაღალი და დაბალი შაირების ეღერასა და მაჯისცემას, მისი გენიალური აფორიზმებისა და აზრების შეგონებებს და მიკვირდა: ღმერთო, ნუთუ შეიძლება ორი ენის მუსიკათა შორის ზღვარის წაშლა და ორ ენაზე გამოთქმული ერთი აზრის ორი ფორმის ასე ზუსტად დამგვანება! (სხვათა შორის, გ. ბესთაუთმა ისე დაამკვიდრა თავისი თარგმანით მაღალი და დაბალი შაირები, რომ ოსურმა პოეზიამ ეს მისთვის სრულიად უცხო ლექსის ფორმა ერთბაშად გაითავისა). ოსურ პოეზიაში შაირის დამკვიდრება თავისი კვალიფიკაციით უკვე ნოვატორობაა, მაგრამ მაინც ეს არ არის გ. ბესთაუთისეულ თარგმანში მთავარი. საოცარი აქ ის არის, რომ ხშირად ახერხებს იგი დედნის ლექსიკური შემადგენლობით რუსთაველის სტროფის ოსური ორეულის შექმნას და ალიტერაციის აღდგენას იმ ჯგუფის ბგერების გამოყენებით, რომელნიც ორიგინალში გვხვდებიან. „ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები, ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები". ამ სტროფის თარგმანში ზუსტადაა აღდგენილი მარტო ლექსიკური შემადგენლობა კი არა, არამედ სიტყვათა განლაგების თანმიმდევრობაც. „კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე". აქ თუ ალიტერაცია „ჩ"-თი არის შექმნილი, თარგმანშიც ალიტერაციას ჰქმნის იმავე შიშინა ასოთა ჯგუფის წარმომადგენელი.

ის იყო, დეკლამატორმა კითხვა დაამთავრა, დაგრაგნილი ხელნაწერი ჯიბეში შეინახა და წასვლა დააპირა, რომ სკამის საზურგეზე მილურსმული გ. ძუგათი წამოხტა: „ლაპუ,[1] არ წახვიდე, ერთხელ კიდევ წაიკითხე!.. მე თურმე ნამდვილი რუსთაველი აქამდე წაკითხული არა მქონია!" მან გაიმეორა „როსტევან არაბთა მეფის ამბავი" და ისევ შეინახა, მაგრამ გ. ძუგათმა ამჯერად ჯიბიდან ძალით ამოართვა ხელნაწერი: „ლაპუ, შენ კარგად იცი, რომ მაგ „ამბავს" ამ ოთახიდან არ გაგატან!" და არც გაატანა. პირველსავე ნომერში დაბეჭდა. თუმცა რამოდენიმე თვის შემდეგ ბესთაუთს შინ ვეხტუმრე და როგორი იყო ჩემი გაოცება, როცა იგივე „ამბავი" ხელახლა „გადახნულ-გადაფარცხული" დამხვდა. ეს რა გიქნია-მეთქი, ვკითხე, მან კი ასე მიპასუხა: „ჩემო ძმაო, რუსთაველის ლექსი არც ატმოსფეროს ფენების ცირკულაციით შექმნილი ციალია და არც ცის კამარაზე გადრეკილი შვიდფეროვანი ცისარტყელა, რომელნიც საჭვრეტი ადგილის შერჩევისდა მიხედვით ელავენ. რუსთაველი სფეროა და იგი თავად ჰქმნის ბუნების სასწაულებს. ამიტომაც ერთნაირად უნდა ჩანდეს ყველა ენის პოლიგონიდან".

...გიორგი ბესთაუთმა ბევრი რამ მოასწრო, ბევრი კიდევ განუხორციელებელი დარჩა. მისი სიკვდილის მეორე დღეს პოეტის მეუღლე სალმათი და ძმა მიხეილი გვიყვებოდნენ: ნახევარი საათით ადრე გვთხოვა, წამომაყენეთ და ფანჯრიდან გადამახედეთო. მკათათვის მიწურული იყო, ღია ფანჯრიდან ნაწვიმარი მიწის ოხშივარი შემოდიოდა. სადღაც ქლიავისა და ვაშლის ხეების მწვანეში მიმალული ბულბული სევდიანად მღეროდა. აქეთ ლიახვმაც მოუმატა შხუილს, თითქოს ბესთაუთს უხმობდა, მოდი, დამლიე, სახეზე შემისხი, მერე ზღვაზის ბეჭობს თვალი გადაავლე და გულზე მოეფონეთ. ეს სანახაობა თვალს მართლა ახარებდა, რადგან სადაც ნიავი ოხშივარს წარეკავდა, იქ თაკარა მზე ცისარტყელას მოდრეკდა ხოლმე... მერე ჩურჩულით დაიწყო: „რა თქვა მწვანეში მიმალულმა ბულბულმა?... რამ დაგაბრმავათ, თქვე კაი ადამიანის შვილებო, ნუ-ოუ ფარდულის სახურავზე ბათრაძის შვილდივით გადადრეკილ ცისარტყელას ვერა ხედავთ?... კარგი, კარგი, მეყოფა ამდენი სანახაობა!.. მიმიყვანეთ და დამაწვინეთ, თორემ ამდენი სიხარულით შეიძლება დავბრმავდე..." მივიყვანეთ და დავაწვინეთ. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ისევ ამოგვხედა მახვეწრის მზერით: „ჩირაღები ამინთეთ, გზას ვეღარ ვხედავო!" ეს სურვილიც შევუსრულეთ, საწოლის ქიმზე ორი ჩირაღი მივუმაგრეთ... ერთ ხანს ჩირაღების პარპალს უყურა გაშტერებული თვალებით, მერე სიმღერის მაგვარი რაღაც ამოიგმინა, ვგონებ რუსთაველის რომელიღაც პწკარი ჩაუწყდა ყელში და დადუმდა...

და ისე დაადგა იგი ჩირაღებით განათებულ გზას, რომ ვერც კი მოვასწარით გვეთქვა მისთვის: ბესთაუ, შენ ხარ დიდი სულის კაცი და ნაღდი პოეტი!

---

[1] ლაპუ — „ბიჭო", ასე მიმართავს ოსეთში მამაკაცი თავისზე უმცროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი ყიზლარის იალაღებიდან

ჟინვალის ხიდთან

ვუძღვნი აფშოელ მწყემსს **ვანო მჭედლურს**

სად ნისლს არაგვი იხვევს და
ფლითავს,
ბრაზობს და ტალღას ტალღაზე
ჩეხავს,
მოულოდნელად ჟინვალის ხიდთან
ვანო მჭედლური ცისკრის ჟამს
შემხვდა.
რომ დამინახა აენთო სახე,
„ხომ კიდევ შევხვდით“ — მომიგო
წყნარად.
მე ის შარშანწინ ყიზლარში ვნახე,
იქ აფშოელთა მწყემსავდა ფარას.
— როგორ, ყიზლარი დატოვე განა,
ვის ჩააბარე ბინა და ცხვარი?
მჭედლური პასუხს მეტყოდა სანამ
მთებს შემოავლო არწივის თვალი.
— რა ვქნა, დავწუხდი, ვეღარ
გავძელი.
ამ ჩემი აფშოს მომინდა ნახვა.
არაგვს ნელნელა ფეხით ავყვები
და მივადგები პაპეულ სახლსაც.
ვეღარ ამოვდე ლაგამი სურვილს,
ძილშიც ვხედავდი ამ მთებს და
სერებს,
ვაჟიკას წყალზე მოვიკლავ
წყურვილს
და ისევ წავალ ყიზლარში მერე.
ორ დღეში ისევ მივხედავ ცხვარსაც,
აღარ ექნება გულს დარდის ლოდიც.
გაზაფხულამდე მეყოფა საგზლად
აფშოს ნახვა და არაგვის შფოთი.
სად ნისლს არაგვი იხვევს და
ფლითავს.
ბრაზობს და ტალღას ტალღაზე
ჩეხავს,
მოულოდნელად ჟინვალის ხიდთან
ვანო მჭედლური ცისკრის ჟამს
შემხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან თიანეთამდე....

თიანეთელ მწყემსს **ვანო სუჯაშვილს**

წუთი არ არის, რაც შენთან მოველ
და მოსვენება არ მინდა დაღლილს.
ისე ახსენებ იორის წნორებს,
რომ მეც დავწუხდი იორის ნახვით.
მანძილს რამდენხანს ლექსით ედავე,
როგორ გასცილდი კლდეებს
გოლიათს.
მართლაც, აქედან თიანეთამდე
გზა მაგ ფანდურის ლარის ტოლია.
მართლაც, რა ხარ თუ გული
დაცხრება,
თუ სისხლი არ დუღს და აღარ
მიჰქრის.
იქ ვერ იმარჯვებს კაცის მარჯვენა,
სადაც თავდება მამულზე ფიქრი.
მინდა მოგიძღვნა, რაც კია ვარდი,
ვლოცო ეგ გული სიკეთის მდომი,
რომ არ გასვენებს მამულზე დარდი
და ამ დარდს ჰკურნავ ალალი
შრომით.
თიანეთურად თავს გადგა მთვარე,
ფარებს ავლია სხივთა მესერი.
მეც ავაყოლებ გულისთქმას ლარებს
და შენს ოცნებას დავემწყემსები.

მწყემსი პროპაგანდისტი

თუმც დასვენების და ძილის დროა,
სარკმელთან ზის და გაზეთებს
ფურცლავს.
ხან ქარს ყოჩების რქის ექო მოაქვს,
ხან შემოაფენს ფარების სუნთქვას.
დაღამებამდე ცხვრის ფარას ედგა,
მამაპაპათა უვლიდა წესით,
ახლა იმ სიტყვას საქმეზე ლესავს
ხვალ რომ მიიტანს გულამდე
მწყემსის.
რა ხდება მწყემსმა იცოდეს უნდა,
როგორ ძგერს ქვეყნის და სოფლის
მაჯა,
რომ ფასი ჰქონდეს ამაგს და
ზრუნვას,
რომ ეშხი ჰქონდეს შრომას და
გარჯას.
თუმც დასვენების და ძილის დროა,
სარკმელთან ზის და გაზეთებს
ფურცლავს.
ხან ქარს ყოჩების რქის ექო მოაქვს,
ხან შემოაფენს ფარების სუნთქვას.

შენი უარის გალავანს

შენი უარის გალავანს
დაღამებამდე ვანგრევდი,
ერთხელ არ შემისვენია
ისე დანაცრდა აბედი.
ერთი კოცნაც არ მომიგდე,
რომ მომრჩენოდა იარა.
მუშა უფასო მინახავს,
უსმელ-უჭმელი კი არა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძაღლი

კორდების იქით კასპიის ქარი
მიყუჩდა, ეყმო ამინდის სურვილს.
გაფენილია თეოზე ცხვარი,
ძაღლი კი ფარას გარშემო უვლის.
და არა მარტო წყლისპირას ჩირგვი,
ჭადრის ტოტები და წნორის ფესვი,
გარინდულია მიდამო ირგვლივ
და მკერდში იკრავს სიმღერას
მწყემსის.
ხან ჩაიმუხლებს, ხან ადგილს იცვლის
სივრცეებს ზომავს ფხიზელი თვალი.
ძაღლია, მაგრამ ძაღლმაც კი იცის
ახლა რას ნიშნავს სიმშვიდე ფარის.

მწყემსის სიყვარული

ეს გზა ამ ჩემს გულზე გადის,
ამ მზეს ერთვის ჩემი ფიქრიც.
არ გეგონოს მწყემსია და
ვერას ხედავს ფარის იქით.
დამბუგვია მაშინ გული
ქვეყნისათვის თუ არ იწვის,
მეც ვარ ერთი შემოქმედი
ჩემი ცის და ჩემი მიწის.

ვისაც გინდა სიტყვა ანდე
მაშინაც კი გეტყვი ფიცით:
ისე ვერვინ შეგიყვარებს,
როგორც მწყემსის გულმა იცის.
სიტყვა ჩემი გინდ აღმერთე,
გინდ უღმერთოდ ფეხქვეშ გეგოს,
მწამს ეს ჩემი სიყვარული
არ ჩაივლის უშედეგოდ.

თუ გესმოდა გულის ძგერა

თუ გესმოდა გულის ძგერა
და მის სიღრმეს მისწვდი, ქალო,
რად მიქციე მკერდი კევრად,
ეს მღელვარე სული კალოდ?
რომ უყურებ ამდენ იებს,
რად არ ატან ნიავს ნაღველს.
რაღა დარდი შეუსიე
ამ რძედაღვრილ იალაღებს.
ჩამოვიღებ მეც ამ ზეცას
თუ გაგრძელდა წამი მდურვის
და კლდეებზე გადავლეწავ
შენს უარს და ამდენ დუმილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

იგი რედაქციაში მოვიდა და მოიტანა ახალი ლექსი. მეორე დღეს გავიგეთ მისი მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი. შალვა ამისულაშვილი ახალგაზრდების დიდი მეგობარი იყო. ნაღომარ, ჭირ-ვარამ გამოვლილ პოეტს მუდამ ხალასი დამოკიდებულება ჰქონდა ცისკრელებთან.

ეს ერთი წელიც გავიდა. უკანასკნელი ლექსი, სიკვდილის წინა დღით რომ მოიტანა ჩვენთან, პოეტის ბოლო ამოსუნთქვაა, სიცოცხლესთან მიახლოების საბოლოო ცდაა. „ცისკრის" მკითხველები ალბათ ჩათვლიან, რომ ამ ლექსის პუბლიკაცია სიყვარულის და პატივისცემის გამოხატვაა ომგადახდილი პოეტის, მისი პოეზიის მიმართ.

სიკვდილის კოშკი

(გალადა)

ღმერთმა გიშველოს სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა.

ვაჟა-ფშაველა

სიკვდილმა თავი აიშვა,
ლამის შემუსრა ქვეყანა;
არვინ გამოჩნდა ისეთი,
სიკვდილზე ჯავრი ეყარა.
გაბრაზდა უძილაური —
უძმო, უძეო, უძილო,
მე ამგვარ უღვთო ამბავსა
არ შევსწრებივარ უწინო.
უხმო ძმადნაფიც ვაჟკაცებს:
ჯურხას,
ხირჩლას და
ღვთისავარს;
უხმო და უცბად სახეზე
ფერმა გადაჰკრა მგლისამა.
მოდითო, კოშკი ავაგოთ
უსათოფურო, უფანჯრო,
შიგ დავამწყვდიოთ სიკვდილი
ულუკმაპუროდ, უხარჯოდ...
პირობა
პირობა იყო,
ასრულდა ერთხელ ნათქვამი;
შიგ შეიტყუეს სიკვდილი
სიტყვის შარბათით დამთვრალი.
ათასი წლობით ნაომარს
ტანზე აჰყარეს ფარ-ხმალი.
თუმცა
ფარ-ხმალი
სად ჰქონდა,
ცელი ეჭირა ნამლევა;
სიცოცხლემ სული მოითევა,
ყივილი მორთეს მამლებმა...
მაგრამ ქვეყანას სულ მალე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რისხვა დაატყდა ახალი;
ომი დაიწყო, გაჩაღდა
ხმლის და
ფარ-შუბის
ჯახანი.
იშტაზე დადგა ისარიც,
ისართან ერთად ტყვიაცა;
ცა შესძრა წივილ-კივილით
ბალღმა, კაცმა და დიაცმა,
დამტვრეულ-დაჩეხილები
სიკვდილს ნატრობდნენ ტიალსა...
დღეებს
ვინ ამბობს,
თვე გადის
ერთი და ორი კი არა;
სიკვდილით არავინ კვდება,
იარა რჩება იარად,
ვით საკირეში ჩავარდნილთ,
ცეცხლი ედებათ ბრიალა.
ცეცხლი ედებათ,
თითქოს და
თვით ტკივილებიც კივიან;
სიკვდილს შიმშილი აგიჟებს,
სხვა რამ ფეხებზე ჰკიდია...
უკვე მეოთხე თვე არი,
ბეჭებში ლახვარგაჩრილი,
წევს კლდესთან უძილაური,
კაცი კი არა, აჩრდილი.
თვალით ანიშნებს
ხირჩლას და
თვალით ანიშნებს ღვთისავარს,
გააღონ კოშკის კარები,
ხსნას ელის სიკვდილისაგან.
ანიშნებს, მაგრამ ისინიც
ძმობილის ბედში არიან;
დღეა და ცაზე მზის ნაცვლად
გაფითრებული მთვარეა...
ღება
კოშკის კარები, —
მიხვდა მისახდომს ვიღაცა;
სიკვდილი გარეთ გამოდის,
თადარიგს იჭერს წინასწარ:
ვინ მოკლას, ვინ მოარჩინოს,
ვის ჩაუაროს გვერდულად;
ცელს მოაელვებს უცრემლოდ,
ლანდი მოჰყვება ებგურად.
ხმას უკლო
წივილ-კივილმა,
კვნესა და გმინვაც მინელდა;
მოსარჩენელი მორჩა და
სხვა კი უფალმა ინება...
ინება უძილაურიც,
ძილს მისცა სამუდამოსა;
პერანგდაფხრეწილ-დაგლეჯილს
მიწა ჩააცვა სამოსად...
მას ღვთისავარიც
თან გაჰყვა,
სიმწარისაგან ნაგვემი;
როდი კვნესოდა, მარტოდენ
უცახცახებდა ბაგენი...
ოთხთაგან მხოლოდ ჯურხა და
ხირჩლა გადარჩა განგებით;
ჰო, თვითონ
კოშკიც გადარჩა,
არ დანგრეულა დანგრევით,
არ შეჰხებია რატომღაც
სიკვდილის ხელი მსახვრალი,
ხომ არ თქვა, მოუხდებაო
უძილაურის ფარ-ხმალი?!.
არც ღვთისავარის
ფარ-ხმალი
დაამშვენებდა ნაკლებად;
სწორედ ხირჩლაც და ჯურხაცა
ამას ფიქრობდნენ სათქმელად.
თქვეს და იმავე წუთებში
აკი დაჰკიდეს კიდევაც;
შესძახა ამვლელ-ჩამვლელმა:
— დიდება თქვენდა, დიდება!..
ამბობენ,
დღესაც
ის კოშკი
დგას ისევ ისე უცვლელად;
მას, ყოვლის შემძლე სიკვდილი,
ეტყობა, სულ არ უწყრება.
ეგ არის, მარტო, ცელის წვერს
ხანდახან წაჰკრავს წყვილ
ფარ-ხმალს
და მათ ხმაგაბმულ ჟღრიალში
ინახავს ხოლმე დიდმარხვას...
იგონებს
უძილაურსა
და ღვთისავარსაც იგონებს;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგონებს, ალბათ პატივს სცემს
იმათ ყბაღია ჭრილობებს.
პატივს სცემს, რადგან სიცოცხლე
ყმად არ მიუგდეს სიკვდილსა;
სიმაგრითა და
სიმტკიცით
გადააჭარბეს ქვიტკირსაც...
ჰა, გაზაფხულიც მოვიდა,
გუნება გახსნა ბუნებამ;
თავთეთრი მთის მწვერვალებით
მაღლა ღმერთს ებუბუნება...
მტკვარში
არაგვი შევარდა
გახელებული ჯანითა;
თან ელვა შეჰყვა ხმალივით
გამოყოლილი ჯანღიდან...
დაიბიბინა ბალახმა,
ცამაც დაიწყო ბიბინი,
კავკასიონის გადაღმა
მზეს გამოუჩნდა გვირგვინი...
გაცოცხლდა
სიკვდილის კოშკიც,
შეირხა წყვილი ფარ-ხმალი;
მთებს ჟრუანტელად მოედო
უძილაურის ხარხარი...
მთებს ცისარტყელად დაადგა
ღიმილი ღვთისავარისა, —
და ამ დროს მოულოდნელად
დიდი ვაჟას ხმაც გაისმა.
გაისმა,
მერე ხმა იგი
ამ სტრიქონებთან შენივთდა:
— ღმერთმა გიშველოს სიკვდილო,
სიცოცხლე შვენობს შენითა!..

13/VII-80 წ.
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტები

ოტია პაჭკორია

მოყვასი ჩემი

(ლევ ს-დი)

გულატ ოკუჯავა იგონებდა (ქობულეთში გამართულ სიმპოზიუმზე): „ჯარიდან რომ დავბრუნდი, თბილისის უნივერსიტეტში გავაგრძელე სწავლა. ფრონტზე გამოვლილ-განცდილმა, ცოტა არ იყოს, გზა ამირია. არ ვიცოდი, რა საქმეს მივდგომოდი. მაშინ შევხვდი ორ ჭაბუკს — ალექსანდრე ციბულევსკისა და ლევ სოფიანიდის. ეს მათ დამდეს უდიდესი ამაგი, მათ მაზიარეს პოეზიას, შემომაბრუნეს ხელოვნებასთან“.

შემდეგ, სატელევიზიო გადაცემაში, იგივე გაიმეორა, ოღონდ მცირე რედაქციით, გამოტოვა ლევ სოფიანიდი, რადგან ლევ სოფიანიდი არ გახლდათ არც ცნობილი მწერალი, არც მეცნიერი, არც სპორტსმენი... არ ვიცი, ეგებ ოკუჯავა მართალიც იყო და ხალხს არაფერს ეტყოდა უცნობი კაცის სახელი. ერთია ოღონდ, მის ზეპირსიტყვიერებასა და ოფიციალურ ჯამოსვლას შორის გაწოლილი მიჯნის ბუნდოვანებაში უნდა დანთქმულიყო ლევ სოფიანიდის პიროვნება, იქნებ ამის გამოცაა დღეს რომ ამაოდ ვუტრიალებ იმ დახშულ კოშკს, რომლის იდუმალ სიღრმეში ჯერ კიდევ ფეთქავს ლევ სოფიანიდის გაუმხელელი გენია და მშფოთვარე სული...

. . .

ვინ იყო იგი? ათასი ათასთაგანი, მილიონი მილიონთა შორის. მაგრამ მეხსიერება ჯიუტია, უნდა გავიხსენო კაცი, რომელიც თითქოს არც არსებობდა, არც უცხოვრია ამქვეყნად. სადღაც, კულტურული ყოფიერების გარეუბნებში ბოგინობდა და მხოლოდ მათზე ახდენდა ზემოქმედებას, ვისაც პირადად იცნობდა.

თბილისისა და ბოლნისის „ფოლკსდოიჩთა“ ახალშენებში აღზრდილი, მამით ბერძენი, დედით გერმანელი (ალმენდინგეი), საქართველოს კულტურასა და ბუნების წიაღს იყო შერწყმული. თუმცა, არასოდეს იფარგლებოდა ერთი რომელიმე კულტურით, თუნდაც რომელიმე ერთი „ბუნებით“ (დიდხანს იცხოვრა უდაბნოში, ტრამალზე, უაიერ ტყეებში)... მისი სამშობლო გახლდათ ის მცირე წრე, რომლითაც საკუთარი არსებობა შემოგარსა და არ სურდა ამ წრის გალავნის მოშლა... თან დაყვებოდა წრე-მიწის ზურგზე გაუთავებელი ხეტიალისას, წრე-აღასფერი — უსახლკარო, მიუსაფარი... ამ მცირე არეში შეჰქონდა, რითაც დაინტერესდებოდა. იგი ფანტასტი იყო, ფიქრობდა დროისა და სივრცის ფილოსოფიურ განზომილებაზე, სატელევიზიო სტერეოგადაცემებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ამის თაობაზე წერილიც კი დაბეჭდა), ფოტოხელოვნებაზე. პოეზიაზე, ნარკოტიკებზე, რომლითაც კუჭის განუწყვეტელი ტკივილის გაყუჩებას ლამობდა.

ლევ სოფიანიდი სახლის რუხ კედელზე ნახშირით მიხატულ ფიგურას ჰგავდა. მას არ გააჩნდა მოცულობა, სისავსე, ფერ-ხორცი... თითქოს მხოლოდ კონტური... მაღალი, გამხდარი, მთვრალთვალება და თხელნაკვთიანი... მუდამ ჭუჭყიან კოსტუმში „გამოწყობილი" და მაინც, დახვეწილი და ფაქიზი; იმდენად ფაქიზი, რომ არ შეგეძლო მისი ხალათის გაზინთული საყელოს შემჩნევა, გულისპირზე ჩამოღვენთილი ლაქებია დანახვა. გამახსოვრდებოდა მხოლოდ ქცევა, მეტყველება, მანერები...

ლევ სოფიანიდი თან დაატარებდა საკუთარ განაჩენს — უნდა ყოფილიყო ხელმოცარული, წაგებული, უპოვარი და მარტოსული. მისი როლი ამქვეყნად მეფე ლირის ხუმარას როლს წააგავდა, მარად უნდა ეღაღადა ჭეშმარიტება, ოღონდ მისი ხმა მხოლოდ რეფრენი იყო, ფონი ან შორეული ექო... ჰამლეტი-ხუმარა, გაუგებარი და იდუმალი თანამედროვეთათვის... ოღონდ იგი მართლა ფლობდა გენიას — მშვიდ, გამოუღვიძებელ გენიას, რითაც საოცრად ზემოქმედებდა ახლობლებზე, რადგან ადამიანები ცხადად გრძნობდნენ, რომ ამ უღვთოდ მიგდებულ, გვერდებშემოლეწილ ნიჟარაში ჭეშმარიტი ნიჭიერება და ტანჯული სული იფარავდა თავს.

მისი მაგნეტიზმი მიმზიდველიც იყო და დამქანცველიც; აუხსნელი გაღიზიანება მიგყვებოდა მისგან, იქნებ იმის გამო, რომ ამ კაცის უპირატესობა მტკივნეულად შეგეხებოდა. ეს გახლდათ ნობილის უპირატესობა პლებეის წინაშე (თუნდაც გაღატაკებული ნობილისა წარმატებული პლებეის წინაშე).

ლევ სოფიანიდი გულუბრყვილო, ბავშვურ ავანტიურიზმსა და განუხორციელებელ პროექტებს მიელტვოდა; სევდასა და ირონიას მოჰფენდა იოგვლივ.

(ირონია — მე ხშირად ვახსენებ ამ იტყვას. შესაძლოა იმის გამო, რომ ჩემდა უნებურად იმათ მივმართავ, ვისი უპირველესი თვისებაც ირონია იყო, ვინც რაღაც, უფრო მეტი იცოდა ცხოვრებაზე, ვიდრე ადამიანთა უმეტესობამ და არ შეეძლო, ან ძალა არ შესწევდა გამოეხატა თავისი ცოდნა).

. . .

ადამიანს, ლევ სოფიანიდი რომ ენდო, ისეთი ნათელი თვალები ჰქონდა, ისეთი პატიოსანი ღიმილი, ისე ახალგაზრდა და ხალისიანი იყო, რომ მისი შეხედვა სიხარულს ჰგვრიდა.

ეს ამბავი (ეს სასაცილო ამბავი) მრავალი წლის წინ შორეულ ტრამალზე შეემთხვა.

გეოლოგიური დაზვერვის დიდი საამმართველოს სასადილოს გამგედ მუშაობდა.

მოლარე გოგონამ სალარო გაიტაცა.

ლევ სოფიანიდი პასუხისგებაში მისცეს... ეს მაშინ უთხრეს — რისთვის ენდეო ადამიანს!

ენდო კი არა და, პირდაპირ ენით უთქმელი ლხენით აღავსებდა მოლარე გოგონას გულღია სიცილი; დილით, სასადილოს კარს რომ შეაღებდა და ქალიშვილის თვალებს წააწყდებოდა, მის ფამილარულ — გამარჯობა, ლიოვკას! — მოისმენდა, სულაც ავიწყდებოდა, ზურგს უკან გადახრუკული ტრამალი რომ გაწოლილიყო და თავადაც ერთი საცოდავი სასადილოს გამგე ბრძანდებოდა.

„ლიოვკას ოაზისი", — დაარქვა კილაცამ სასადილოს, კარბიდის, რეზინის და ბრეზენტის სუნით გაჟღენთილ ბარაკს, მეავე კომბოსტოსა და დაობებული, გამხმარი თევზის სურნელს რომ ფიმოფენდა ირგვლივ...

ოაზისი მოიშალა... მთელი კვირის ნავაჭრი (ჩიტი ბრდღვნად არც ღირდა) მოხვეტა იმ ქათქათა გოგონამ და გაუჩინარდა.

ლევ სოფიანიდი დააპატიმრეს.

ოტია პაჭკორია
ნოყვასი ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა არ ამოუღია, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ერთხელ უკვე გამოვლო ეს გზა, ადრე სიჭაბუკისას. ოღონდ მაშინ იმდენად დაჩლუნგებოდა შეგრძნებები, რომ თითქმის არაფერს აღიქვამდა, ავტომატივით ასრულებდა — რასაც ეტყოდნენ, მიჰყვებოდა დინებას, არ შეყოვნებულა, არ ჩაკვირვებია თავს... მაშინ იგი ერთიანად მოიქცია ქვეშ და გასარისა უბედურებამ და არ ჰქონდა დრო წვრილმანთა გასარჩევად...

მთვარეულივით მიდიოდა ქარაფის კიდეზე და მხოლოდ ერთს ცდილობდა, როგორმე შეენარჩუნებინა წონასწორობა, უფრო სწორად, წონასწორობის ილუზია. ეს მაშინ... ახლა მშვიდმა და დამცინავმა შეაბიჯა საკანში. ისეთი დაუვიწყარი, ნაცნობი ჰაერი შემოეგება, რომ შედგა და ღრმად ჩაისუნთქა... ახლა ლევ სოფიანიდის ბედმა ერთხელაც ირგუნა მოკალეობა და ფიქრის დრო: მანაც განსაცვიფრებელი და პაწია ჭეშმარიტებები აღმოაჩინა.

მოირთხა ფეხი საკანის კუთხეში და ყური მიუგდო მივიწყებულ ჩქამს — ზედამხედველის ნაბიჯებია ხმას ტალანში, ჭერიდან გადმოცვენილი ნესტის ჭიების ტკაცანს კემენტის იატაკზე; ყურს უგდებდა დუმილსა და ჰაერის რხევას. ჰაერს ჰქონდა ხმა და ფერი... ჰაერი უამრავი ნაკადისგან შედგებოდა და ყოველი მათგანი ცალკე გახსენებას აღძრავდა.

იგი მიაფრად გრძნობდა ნაკადთა სიუხვეს და მათ კავშირს მისი არსებობის სხვადასხვა მონაკვეთთან. ისე ცხადლივ მიჰყვებოდა მოგონება ამ შეხუთულ არეში მჭროლავ ყოველ პაწია სიოს, რომ კვლავ დაიწყო თავისი უსაზღვრო და დაუსრულებელი ხეტიალი წარსულსა და აწმყოს შორის, და როგორც ყველა კარგამოკეტილი კაცისთვის, მისთვისაც აღარ არსებობდა დანაწევრებული სივრცე, მანძილი საგანთა შორის... იგი მიხვდა, საოცრად არამდგრადი ყოფილა ყოველივე, რასაც ცხოვრებას ეძახდა — ირონიულად პიროობითი, თურმე იოლად დაიკარგება გადაადგილების, მოძრაობის, თავისუფალი ყოფის უფლება, თურმე ფერი, ბგერა, მელოდია არსებობს იმდენად, რამდენადაც აქტიური იქნები მათ მიმართ და ამ აქტივობის დაკარგვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ესთეტიკური წამებაა.

სანაცვლოდ მთრთოლვარე სიმშვიდე დაეუფლა — კუთხეში შეყუჟვის, გაუნძრევლად ყოფნის ყოვლისმომცველი სურვილი... მას ასე უფრო კარგად ეამოდა იდუმალი ხმები, სულის სიღრმეში აღძრული რექვიემი... აბზინდის ბუჩქის ჩუმი შრიალი მისთვის ქარტეხილივით ძლიერი და ყოვლის შემძვრელი იყო... ახლა იგი, მოწყფული და გამოცდილი, თვალნათლივ ხედავდა, როგორ მცირდებოდა, პატარავდებოდა მისი კაცობა, როგორ ამბობდა უარს მოქმედებაზე, ღვაწლზე, რუდუნებაზე... ოღონდ აღარ ჰქონდა წინააღმდეგობის თავი.

ძის ცხოვრებაში ბევრი მომხდარა სასაცილო, ეს ისტორიაც საასაცილო იყო: კრიმინალი გატეხილი სალაროთი, მომხიბვლელი ღიმილით, ტრამალითა და გაქცევით... მიუხედავად დრამატიზმისა მაინც სასაცილო... ამის მიხვედრა ისევ აკნინებდა საკუთარ თვალში, როგორც ოდესღაც, ჯერ კიდევ ყმაწვილი დააკნინა უსამართლობამ და უსასოების განცდამ, როცა ვერასგზით დაამტკიცა თავისი სიმართლე, რადგან არავის ჭირდებოდა იმის კოდნა — მტყუანი იყო თუ მართალი. იგი დამნაშავე იყო, რადგან თავისი არსებობით ვიღაცას გაეხირა თვალთა წინაშე და იმ ვიღაცამ მისი გადაადგილება მოისურვა. იმ ვიღაცას ჰქონდა ადამიანთა გადანაცვლების ძალაუფლება და ლევ სოფიანიდის დანაშაული მაშინ მხოლოდ ის იყო, რომ ამ ძალაუფლების არეში მოექცა, ვიღაცის თავნებობის სფეროში უნებურად შეეჭრა... და დაისაჯა.

უცნაური ის იყო, იგი ამაში თავისებურ კანონზომიერებას ხედავდა. ის, რაც სიჭაბუკისას შეემთხვა, საერთო იყო ყველასთვის, ვინც ოდნავ მაინც დაარღვევდა ნებადართულის მიჯნას: დაარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვევდა, მაინცდამაინც, საქმით კი არა— თუნდაც გარეგნობით, ჩაცმულობით, ინდივიდუალობისკენ სწრაფვით. ასეთი იყო იმ დროის ლოგიკა.

ახლა კი, ახლა იგი მატერიალურად იყო პასუხისმგებელი და შეცდომაც თვითონ დაუშვა — თავისი შეცდომა — ენდო ადამიანს. თუმცა, ადამიანის ნდობა ისევე ბუნებრივად ცოცხლობდა მის გულში, როგორც სუნთქავდა, ცხოვრობდა, უყვარდა მოყვასი.

მერე, ისევ ქალიშვილი წარმოიდგინა — შემკრთალი და გაცბუნებული კიდან ჩამოვარდნილი „დოვლათით". წარმოიდგინა, თვალების ცეცებით იღებს უბიდან ჩაჭმუჭვნილ ფულს. ის გულღია, პატიოსანი ღიმილი კი შეუნარჩუნებია... იმის გამო შეუნარჩუნებია, რომ ამ პატიოსნებას არ ჰქონდა შინაარსი, ეთიკური ფესვი... უბრალოდ, ისევე ახლდა გოგონას გამომეტყველებას, როგორც თვალს ფერი... ლევ სოფიანიდის კი ეგონა, ის პატიოსანი ფერი შინაგან თვისებას გამოხატავდა. გულუბრყვილოდ ეგონა.

მწარედ გაეცინა — ზის საკანში ლევ სოფიანიდი — არისტოკრატი და სნობი, მწიგნობარი და პოეტი, კაცი აღსავსე სიკეთითა და ირონიით, და იმ ქალიშვილის ბაკხიური ღამეების საზღაურს იხდის. სხვათა შეცოდების მსხვერპლი იყო ყოველთვის, სხვათა დანაშაულისა და თავნებობის მზღველი. ნუთუ იმის ხასიათში არსებობდა რაღაც აუხსნელი, საბედისწერო, რითაც თავისი ცხოვრების „ლოგიკას" ქმნიდა.

სარკმლის მიღმა, ტრამალზე, ქარბორბალა დაძრწოდა და თხემით ცის თავანს ეხლებოდა.

ლევ სოფიანიდი კარგად იცნობდა ტრამალს, იცოდა მისი გლუვი ერთფეროვნების ფასი და ისიც იცოდა — ადამიანი ბუნდოვნად აღიქვამს ტრამალია კიდეგანს. იქნებ ამის გამოა, მჭიდროდ რომ შემოფარგლავს თავის სამყოფელს. იგი ტრამალის სივრცესთან ერთად კი არ ცხოვრობს, ვეება უსასრულობიდან გამოყოფს პაწაწინა წრე-სივრცეს, ასე იზოლირებული, ჰერმეტულად ჩაკეტილი, მასთან ერთად დაგორავს ტრამალის ზურგზე, კვალს არ ტოვებს. სადაც დაივანებს, იქვე უმოძრაოა და ჩამყუდროებული, თითქოს ფეხი არასოდეს მოენაცვლებინოს (ლევ სოფიანიდის ხშირად უნახავს დაბანაკებული მომთაბარენი. არის მათ ბანაკში ისეთი სიმყარე, მუდმივობა და სიმყუდროვე, რომ ძნელი წარმოსადგენია, დილით თუ აიყრებიან და დაადგებიან უდაბნოს უგზო გზებს. ქარი და სილა უცებ წაშლის მათი საცხოვრისის ნაკვალევს.

ისინი კი მიდიან — ზღაპრულ ლოკოკინასავით უზარმაზარნი და უსაზღვროდ მცირენი).

დაგორავს წრე-სივრცე ტრამალზე და თან ლევ სოფიანიდის რთულ წარმოსახვასა და ბავშვურ ოცნებებს დაატარებს.

. . .

„მე ვიცი, რა არის ღიმილი, — იტყვის ერთხელ სოფიანიდი, — დაღივით მატყვია და ხშირად ჩემს ქცევას, ადამიანებთან ურთიერთობას განაპირობებს. ხან კი, შეძრწუნებით ვამჩნევ, რომ იმ ღიმილით ვიღიმები, იმ ნაცნობი და დამთრგუნველი ღიმილით.

ეს მაშინ მოხდა, აუხსნელი მსხვერპლისა და უმიზნო ზვარაკის დროს... ჯერ კიდევ ყმაწვილს თავს მოძალადეთა გუნდი მადგა.

ვიდექი დაბნეული, სინამდვილიდან გამოთიშული, სრული პროსტრაცია, რაღაცნაირი განუცდელი სიცარიელე დამეუფლა და ვიღიმებოდი. მე ვხედავდი იმ ღიმილს; მლიქვნელის, შეწყალების მავედრებლის ქვეშევრდომულ ღიმილს — საცოდავსა და უსასოს... ვხედავდი მის ანარეკლს ცივსა და გამოსარკულ თვალების ფსკერზე. ვხედავდი, მაგრამ არ შემეძლო მისი ჩამორეცხვა, ჩამოფლეთა, გაქრობა...

ოტია პაჭკორია
მოყვასი ჩემი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...და დღეს, როცა ვგრძნობ, რომ დროდადრო ის ღიმილი მიბრუნდება, მბაგს ჩემი თავი.

მთელი ჩემი ცხოვრება და ზნეობრივი წონასწორობის ძიება იმ ღიმილთან გააფთრებული ომია; ჩემი საქციელი, ცხოვრების წესი, ჩემი დუმილი იმ გაღიმებისთვის გადახდილი საზღაურია. მე კარგად ვიცი იმ ღიმილის ფასი".

* * *

ლევ სოფიანიდი რწევა-რწევით დაიარება. ცალი ფეხი მოკლე აქვს და კოჭლობს. რაღაცნაირად, ხაზგასმით ვერტიკალურად არის ამართული მიწის პირიდან და ჰგავს გუმილიოვის ჟირაფს, „სადღაც იქ, ჩადის ტბასთან რომ ცხოვრობდა..." იგი ხშირად იმეორებს ამ ლექსს. თავისებურ კავშირს ამყარებს მის არანამდვილ, მირაჟულ სიმართლესთან, იზიდავს ლექსის მისთვის მახლობელი პლასტიკა.

. . .

კარგად არ ვიცი — რა იყო ლევ სოფიანიდისთვის პოეზია?! ადამიანზე ზემოქმედების მხოლოდ საშუალება თუ სარწმუნოება. იყო მის გატაცებაში პოეზიით „კულტურტრეგერული". იგი ლექსის პროპაგანდისტი იყო ყოველთვის და ყველგან: თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას, ტრამალზე, სპილენძის მაღაროებსა და ქვის კარიერებზე.

ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ერთად ვმუშაობდით ქვის დიდ კარიერზე. შტაბელების ჩრდილს შეფარებულმა პირველად მისგან გავიგონე აკმეისტთა თაობაზე. პირველად მოვისმინე გუმილიოვის ყალბი ენერგიით დამუხტული — „შემოფლეთილი ბრაბანტული მაქმანები ფლიბუსტიერის მაჯებზე..." მერე გიპიუსი, ახმატოვა... მისი მეშვეობით გავშორდი პუშკინისა და მაიაკოვსკისადმი სკოლის დროინდელ გულაცრუებას და უცებ გაიხსნა ჩემს წინაშე მათი ლირიკის ადრე დახშული კარიბჭე. დიახ, მაიაკოვსკის ლირიკის, რაც ჩემს ცნობიერებაში პირდაპირ საოცრებად აჟღერდა, რადგან სკოლის ერთი ნეტარხსენებული მასწავლებლის წყალობით არამც თუ მაიაკოვსკი, პუშკინის ლირიკაც კი გაუკუღმართებულად მესმოდა.

მან მასწავლა, რომ „ჰარმონია მოითხოვს დისონანსს, დაპირისპირებებს, პოეტურ ფუგებს..." რომ ტკბილხმოვანება ჯერ კიდევ როდია ჰარმონია; მეტიც, ყოველთვის უპირისპირებდა ერთმანეთს „მელოდიურ გამოხატულებასა" და ჰარმონიას.

(დღეს ვფიქრობ, ჩვენს საუკუნეში იქნებ მხოლოდ გალაკტიონმა მიაღწია „მელოდიური გამოხატულების" მთლიანი ჰარმონიის დონემდე ამაღლებას).

ლევ სოფიანიდის ჰქონდა ინტუიცია, გრძნობდა, რომ ლირიკა სახეს იცვლიდა, თითქოს კარგავდა ბუნებრივ თვისებას — სიტყვამრავლობას, სიტყვაკაზმულობას... იკუმშებოდა ლექსის, ფრაზის, ემოციის მოცულობა. იწრიტებოდა თვით ლირიკული აღსარების წყარო.

იგი ლექსს რაღაცნაირად, სკულპტურული მოცულობით აღიქვამდა. ეძებდა პლასტიკას, პირველყოფილი უშუალობით „ხედავდა" ლექსს. ცოტა არ იყოს, თვითნებურად პოულობდა გრაფიკულ ფორმებს, რომელთაც მის წარმოდგენაში ლექსი ან ცალკეული სტროფი წარმოქმნიდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, „გეომეტრიულად" აღიქვამდა აღნაგობას, რიტმს, მელოდიასაც კი... ყოველთვის შლიდა ლექსს ტროპებად, მუხლებად, სტრიქონებად; მერე გაღიზიანებით დასცინოდა კიდეც ცალკეულ ნაწილებს და უძნელდებოდა კვლავ ლექსად აგება. იყო ამაში რაღაც არაპოეტური, რაღაცნაირი ჭტრობა ლექსისა. ამგვარმა ჩხირკედელაობამ დაშრიტა მასში პოეტური იმპულსები. რა ერქვა ამას, მშვენიერების ანატომიური შესწავლა? არა მგონია. ეს არ იყო პრინციპი, უფრო პირად შემოქმედებით ძალმოსილებაში დაეჭვებული კაცის კაპრიზი გახლდათ. ეს ის გზაა, მწერლობაზე შეყვარებული პიროვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ლიტერატურულ კრიტიკამდე, ეანსწავლული ფსევდოთეორეტიკოსის გულგრილობამდე რომ მიჰყავს. თუმცა... ლევ სოფიანიდიმ წინააღმდეგობათა ძნელი გზა გამოვლო, **ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲖᲐ** და მაინც, პოეზიის მარად მოთაყვანედ დარჩა. იქნებ ცოტა ალოგიკურიც კი ვიყოთ, მაგრამ ლევ სოფიანიდი განსაცვიფრებლად უთანხმებდა ერთმანეთს ლექსის აუხსნელ, განუმარტავ მატერიალიზაციასა და იმავე დროს, რელიგიურ, შიშნეულ მოწიწებას პოეზიისადმი.

ლევ სოფიანიდი ბუნებით იმ მწვალებელს ჰგავდა, უზენაესის არსებობა რომ სწამს და იქვე დასცინის ყველაფერს რიტუალურს. თუმცა, იგი გატაცებით ასრულებდა რიტუალსაც, ირონიული სერიოზულობითა და შინაგანი უარყოფით. სადღაც აქ, ამ უენერგიობაში, ბევრის ცოდნის, თვითჩაღრმავებაა და წინააღმდეგობების ლაბირინთში დაინთქა და ჩაიკარგა სოფიანიდი-მწერალი. ჩაიკარგა იმის გამო, რომ იგი არ იყო მთლიანი პიროვნება; მისი წარმოსახვა და ფიქრი ერთ ძაფზე არ იყო აგებული; ისინი დამსხვრეული სინდიყია წვეთებივით მიმოფანტულიყვნენ.

„ჩვენი მოძავლის განჭვრეტა არ ძალმიძს, ამიტომ მივენდე განგებასა და ლევ სოფიანიდის" — წერდა ალექსანდრე ციბულევსკი

იგი მოვიდა შურა ციბულევსკის დაკრძალვაზე.

მოდიოდა ჩვეული რწევით. დაბალი, მოკლეკაბიანი ქალიშვილი ახლდა და ჰგავდა ლიოვკა კანჯოგამობმულ ხომალდს.

ზერე, იდგა ფიჭვის ჩრდილში. ხელით ქალის მხარს ჩამოყრდნობოდა. ოველთაძველი, ბინდდაფენილი თვალებით შეცქეროდა პროცესიას.

იგი არ ჰგავდა მწუხარეს. შესაძლოა, ძველ ელინელს სწამდა: ყოველ გაზაფხულზე დაუბრუნდება სიცოცხლე კეთილშობილ სულს. ასეა ბერძნულ მითებში; ასე იყო ალემანთა საგებში... მისი სისხლი ხომ ამ ორი ნაკადით აზრდოობდა.

კიდევ... გვეოდით ის პატარა ქალბატონი ედგა, ჯერ კიდევ ბავშვის იერი რომ ახლდა.

— ცოლი შევირთე! — მითხრა უბრალოდ, სხვათა შორის.

ნაოჭების სიფრიფანა პირბადე ჩამოჰფენოდა შუბლსა და ღაწვებზე ლევ სოფიანიდის და შეეკითხე:

— რამდენი წლისა ბრძანდები. მეგობარო?!

ზარმაცად გადმოიტანა თვალი, ლაკვირვებით შემომხედა.

— არც იმდენის... — ჩაიცინა ლა... ვინ იცის ამქვეყნად აღასფერის ასაკი.

აქედან დაიწყო ლევ სოფიანიდის ბოლო და მშვიდი მოგზაურობა.

წინწყაროს ეკლესია ერთი ეული და უთვისტომო ტაძარია.

— დიდებული რამ არის, — იტყვის ლევ სოფიანიდი, — ოცნებისგან და მზის სხივთა კრისტალებითაა ნაშენები.

„ვერავინ მაჩვენა წარწერა შენი საფლავის ქვაზე და აღვივსე სევდით", — წერდა გოეთე სტრასბურგის ტაძრის ხუროთმოძღვარზე.

წინწყაროს ეკლესიასაც აღარ ახსოვს ამშენებელის სახელი. მრევლი კი გაუჩნდა. იქვე, ბორცვის ძირას დაასახლდა ლევ სოფიანიდი ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად... თავის გოეთეასთან და რილკესთან ერთად... თავისი ჰომეროსითა და საფოთი...

— ჩვენ არ ვიცით, როდის ჩამოვსახლდით აქ, — ამბობს წინწყაროს აკოლის ყოფილი დირექტორი, ხანდაზმული

ᲝᲗᲘᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ
ᲛᲝᲣᲪᲐᲡᲘ ᲩᲔᲛᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბერძენი, ლევ სოფიანიდის ქელეხზე (ამ სკოლაში ასწავლიდა ლევ სოფიანიდი გერმანულსა და ინგლისურს), — მაგრამ ცხოვრობდა ჩვენ შორის მოყვასი ჩვენი, ბედმრუდე, უცნაური კაცი და იგი იყო ჩვენთვის შორეული სამშობლოს დესპანი.

თითქოს აღარაფერი მახსოვს. მეხსიერებაში ჩამრჩა მხოლოდ კუბოს თავზე ჭიკარტებით დაბნეული ცისფერი ატლასის ჯვარი, ბექობზე გაჭიმული პროცესია, ქვაღორღიანი მიწაყრილი საფლავის პირას და ქვემო ქართლის ხრიოკ გორაკებზე განფენილი საზეიმო დუმილი.

კიდევ, ვიღაცის ძუნწი მონათხრობი:

ალიონზე წავიდა თევზზე სანადიროდ... სიკვდილის წინ თანმხლები ბიჭის სასოწარკვეთილი კივილი ჩაესმა და თვალთა წინაშე მედინი უკანასკნელი მდინარის გამჭვირვალე ზვირთები დაინახა.

. . .

ერთი ეული და უთვისტომო ტაძარი იდგა იქ, წინწყაროს მცირე ეკლესია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილიპე მახარაძე

ლეგენდად ქცეული ადამიანი

კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლთა ისტორიის დიდებული წიგნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელი ეკუთვნის გიორგი დიმიტროვს, რომლის დაბადების 100 წელი სრულდება 18 ივნისს.

ასობით ვარსკვლავი ამობრწყინდა და ჩაიფერფლა ორატორული ხელოვნების დიდებულ ცაზე.

დიმიტროვი თავისებური ვარსკვლავია და კვლავ ჩაუქრობელ ჩირაღდნად ანთია და ენთება.

ეს ლეგენდარული კაცი ცხოვრობს.

და ამ ცხოვრების გზა დიდებულია.

ადამიანს, რომელსაც მისი ერთი გამოსვლა მაინც მოუსმენია, ნათელი წარმოდგენა აქვს ამ ორატორის უბადლო ოსტატობაზე. ვისაც არ მოუსმენია, მაგრამ მისი ერთი სიტყვა მაინც წაუკითხავს, ნათელი წარმოდგენა აქვს მასზე.

ვის არ გაუგონია მისი სიტყვის შესახებ 1933 წელს ლაიფციგის პროცესზე. თავისი სიტყვა მან ასე დაამთავრა: „XVII საუკუნეში გალილეო გალილეი წარსდგა ინკვიზიციის მკაცრი სასამართლოს წინაშე. რომელსაც მისთვის, როგორც მწვალებლისათვის, სიკვდილი უნდა მიესაჯა. მან ღრმა რწმენით, მტკიცედ განაცხადა:

„და მაინც ის (დედამიწა) ბრუნავს".

და ეს შეცხიერული დებულება შემდეგში მთელი კაცობრიობის კუთვნილება გახდა.

ჩვენ, კომუნისტებს, დღეს შეგვიძლია ისევე მტკიცედ, როგორც მოხუცმა გალილეიმ თქვა, განვაცხადოთ:

და, ის მაინც ბრუნავს! ისტორიის ჩარხი წაღმა — საბჭოთა ევროპისაკენ, საბჭოთა რესპუბლიკების მსოფლიო კავშირისაკენ ბრუნავს.

და ამ ჩარხს, რომელსაც აბრუნებს პროლეტარიატი კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, ვერ შეაჩერებთ ვერც გამანადგურებელი ღონისძიებებით, ვერც კატორღის მისჯით, ვერც სიკვდილით დასჯით.

ის ბრუნავს და იბრუნებს კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე".

გიორგი დიმიტროვს არც ერთი სიტყვა რომ არ ეთქვა, მხოლოდ ამ სიტყვით მოიპოვებდა მშრომელთა გულში უკვდავებას.

ჰიტლერულმა მტარვალებმა ვერ გაბედეს გასწორებოდნენ ამ უშიშარ ადამიანს. მის დასაცავად ადგა მსოფლიო პროლეტარიატი. დიმიტროვმა თავი დააღწია ფაშისტურ დილეგს და 1934 წლის 27 თებერვალს საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა.

მოსკოვმა სიხარულით მკერდზე მიიკრა გმირი. მოსკოვში დიმიტროვის ჩამოსვლას სიხარულით შეხვდა მაქსიმ გორკი. იგი წერდა: „სულით და გულით ვესალმები სამაგალითო რევოლუციონერ-ბოლშევიკს. ძალიან გამახარა მისმა და მისი ამხანაგების ჩამოსვლამ. მაგრად ვართმევ ხელს".

გიორგი დიმიტროვის მდივანი ნედელჩო განჩოვსკი იგონებს: ..... პროცესამდე იგი მართლაც იყო კომინტერნის პასუხისმგებელი მუშაკი. მაგრამ არა უველაზე გამოჩენილი!

მართალია, რომ მას ებარა ბრძოლის ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი უველაზე მძიმე უბანი — დასავლეთ ევროპის ბიურო, მაგრამ თუ რა ძალას წარმოადგენს იგი, მხოლოდ პროცესზე გაჩაღებული ბრძოლის დროს გამოჩნდა.

ამასვე მოწმობს ი. ბ. სტალინის სიტყვები: ერთხელ როგორღაც პროცესის მსვლელობის დროს მან თქვა: — „სად იმალებოდა აქამდე ეს ლომი!"

მოსკოვში გიორგი დიმიტროვი გამოდის საზეიმო კრებებზე, რადიოში, იღებს მუშათა და გლეხთა მრავალრიცხოვან დელეგაციებს, ინტერვიუს აძლევს საზღვარგარეთის და საბჭოთა პრესის წარმომადგენლებს... ექიმებმა გადაწყვიტეს დროებით შეესვენებინათ იგი დაძაბული შრომისაგან, შეექმნათ მშვიდი პირობები დასვენებისა და მკურნალობისათვის. დასასვენებლად შეურჩიეს ბორჯომი.

9 ივლისს, დილით ყირიმიდან ბათუმში თბომავალით „ყირიმი" ჩამოვიდნენ გიორგი დიმიტროვი, მისი დედა პარაშკევა, და მაგდალინა და ცნობილი ბულგარელი რევოლუციონერის დიმიტრი ბლაგოევის ქალიშვილი სტელა ბლაგოევა.

დიმიტროვის ჩამოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. ნავსადგურში მიისწრაფოდა ათასობით ადამიანი. ლურჯ ცაზე მზე კაშკაშებდა, მისი სხივები ისევე თბილი იყო, როგორც ძვირფას სტუმართა დამხვდურ ადამიანთა ღიმილი. ქუჩებში გამწკრივებული ხალხი სტუმრის გამოჩენას მხურვალე ტაშით ხვდებოდა. სტუმრები გაეცვნენ ქალაქს — ნავთობ გადამამუშავებელ ქარხანას, სილამაზით განთქმულ ბოტანიკურ ბაღს, წარმტაც მწვანე კონცხს. მათ მოინახულეს ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა. ფაბრიკის მუშები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს. ფაბრიკის დათვალიერება და მუშებთან საუბარი სამ საათს გაგრძელდა.

მეორე დღეს დიმიტროვი სიტყვით გამოვიდა მიტინგზე ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში. საღამოს კი მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართა დიმიტროვის შეხვედრა ქალაქის პარტიულ აქტივთან. უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა გულღია ადამიანთა ნაკადი. თითოეულს სურდა ენახა ჭეშმარიტი გმირი — დიმიტროვი. მოესმინა მისთვის, ელაპარაკა მასთან და თუ საშუალება მიეცემოდა, ხელი ჩამოერთმია. თითოეული ფიქრობდა და სწამდა, რომ ეს არა მარტო ვალი, აუცილებელიცაა.

ლაიფციგის გმირი პრეზიდიუმში რომ გამოჩნდა, იქუხა და დიდხანს არ შეწყდა ტაში. ტრიბუნმა ლაპარაკი დაიწყო. ხელში ქაღალდი არ სჭერია. ლაპარაკობდა მხურვალედ, თითქმის მშფოთვარედაც. უსმენდნენ ხარბად. სულგანაბულნი. თავის მგზნებარე სიტყვაში ის ამბობდა: „ფაშისტ ჯალათთა მიერ დამცირებული მე ვგრძნობდი მსოფლიოს პროლეტართა მხარდაჭერას... ჩვენ ვიცოდით რომ არსებობს მოსკოვი და დიდი საბჭოთა ქვეყანა...

ლაიფციგის პროცესი კომუნიზმისა და ფაშიზმის პაექრობა იყო, რომელშიც მე ვმონაწილეობდი. ერთ ხელში მეპყრა ფაშისტური გერმანიის კანონმდებლობა, მეორეში — კომპარტიის და კომინტერნის პროგრამა..." აღფრთოვანებული დარბაზი გმინავდა. დიდი ორატორი მარტივად და გასაგებად ლაპარაკობდა. და როგორც ყოველთვის ლაპარაკობდა ტემპერამენტით. მას არ ახასიათებდა რიტორიკა და პოზიორობა.

იმავე დღეს დიმიტროვმა დაწერა აჭარის მშრომელებისადმი მისასალმებელი წერილი, რომელიც ჯერ ადგილობრივ გაზეთში, შემდეგ კი გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა. დაკმაყოფილდა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მუშათა კოლექტივების შუამდგომლობა მუშათა ცენტრალური კლუბისათვის მიენიჭებინათ ამხანაგ დიმიტროვის სახელი.

ხშირად ვიგონებთ ამ აქტივზე მის მიერ წარმოთქმულ წინასწარმეტყველურ სიტყვებს: „...შავი ზღვა აშორებს თქვენს მხარეს ბულგარეთისაგან, მაგრამ მალე დადგება ის დღე, როცა შავი ზღვა გახდება ხიდად, რომელიც შეაერთებს ჩვენს ქვეყნებს და იქნება თავისუფალი ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის. შავი ზღვა გახდება ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის ზღვად".

ეს შესანიშნავი სიტყვები დიმიტროვის ნაანდერძალი ძმობისა და მეგობრობის სიმღერად იქცა დღეს. ყოველწლიურად მტკიცდება ურყევი მეგობრობა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგაევგრადის ოლქსა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის.

მწვანე კონცხზე, ყოველდღე, მზის ჩასვლისას დიმიტროვი გამოდიოდა დასასვენებელი სახლის მახლობლად ნაპირზე და გასცქეროდა შორეთს, მშობელი მხარის მიმართულებით. როგორც იგონებენ, ერთხელ დიმიტროვმა ნაღვლიანად თქვა: „მეორე მხარეს ჩემი მშობლიური ბულგარეთია". რამდენიმე ხნის შემდეგ დაუმატა: ჩემთვის იგი ყველაფერია. სიცოცხლეც. სიყვარულიც — ყველაფერი. ჩვენ ვიხილავთ სამშობლოს განთიადს. მომავალი შორს არ არის! ჩვენი თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი — ცისარტყელაა ბულგარეთის ცაზე...

შემდეგ ჩიბუხი გატენა თუთუნით, აუჩქარებლად მოუკიდა, ქვაზე ჩამოჯდა და ჩუმად წამოიწყო ბულგარული ხალხური სიმღერა „დევნილი", რომელშიც ლაპარაკია სამშობლოდან განდევნილ სახალხო აჯანყების მონაწილე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზე. მერე გაუუვა ბილიკს ევკალიპტის უზარმაზარ ხეებს შორის, იხილა და მოიხიბლა მანდარინის ტყით.

11 ივლისს სტუმრები გააცილეს. რკინიგზის სადგურზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ღრუბლიანი ამინდი იდგა. ზაფხულის წვიმა მოდიოდა. სველი ლიანდაგი ბზინავდა. გამცილებლებს იმდენი უვავილი მოეტანათ, რომ თავისუფლად დაფარავდნენ ორთქლმავალს და ვაგონებს. მზეზე მეტად კაშკაშებდნენ უვავილები. აპლოდისმენტების გრიგალმა გადაუარა ბაქანს. გამცილებლებს მუშტები აღუმართავთ და ხმაშეწყობილი გაიძახიან: „როტფრონტ!". „დიდება ლენინურ პარტიას!".

ძვირფასი სტუმრები ბორჯომს გაემგზავრნენ. სტუმართა პატივსაცემად ბორჯომის სერგო ორჯონიკიძის სახელობის პარკში გაიმართა დიდი მიტინგი. დიმიტროვი მოაწყვეს სანატორიუმ „ლიკანში". ყოველ დილით დიმიტროვი ფეხით დასეირნობდა ამ თვალწარმტაც კუთხეში.

ბორჯომში სტუმარს არ შეუწყვეტია აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა. დაძაბულად მუშაობდა. სამუშაო დღეს იწყებდა გაზეთ „პრავდის" კითხვით. ბევრს კითხულობდა. პოლიტიკურ მოღვაწეებს და ორგანიზაციებს მისწერა წერილები, დაწერა წინასიტყვაობა წიგნისათვის „გადავარჩინოთ ამხ. ტელმანი!".

აქ დაწერა მან მისალმება საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობისადმი — „დიდი საქმის მომღერლებს". ის წერდა: „მხურვალე სალამს ვუთვლი მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს, სოციალიზმის დიადი მშენებლობის მომღერლებსა და შთამაგონებლებს..." ბოლოს მხატვრული სიტყვის ოსტატებს მოუწოდებდა: „დაე, საბჭოთა მწერლებმა მსოფლიოს პროლეტარებს მისცენ არა მარტო ახალი, ნათელი, ძლიერი, დიდი ბრძოლისა და დიდი გამარჯვების მართალი მხატვრული ასახვა, არამედ ასახონ უცხოეთის პროლეტარების ბრძოლაც. ისინი ბევრ შესანიშნავ მაგალითს იპოვიან, რომელზეც აღზრდიან მილიონობით მებრძოლს, განამტკიცებენ პროლეტარების ინტერნაციონალურ სოლიდარობას."

აქ იგი შეხვდა და ფოტოსურათები გადაიღო ქართველ პარტიულ მუშაკებთან, სანატორიუმის დამსვენებლებთან, პიონერებს. სტუმრად რომ ეწვიენ, მოუთხრო თავის ბავშვობაზე, კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა მძიმე, გაუბარელ ცხოვრებაზე. იგონებენ, ბავშვები რომ გაემგზავრნენ, დიმიტროვი დიდხანს უყნევდა მათ ხელს აივნიდან. შემდეგ გაიღიმა და თქვა: „სწორედ ისინი გვკურნავენ ყველა ავადმყოფობისაგან. მათთან, ჩვენი ცხოვრების უვავილებთან შეხვედრა საუკეთესო წამალია ჩემთვის".

ბავშვებთან ის ისვენებდა. დიმიტროვის ასობით ფოტო არსებობს. და ყველაზე დამამახსოვრებელი სურათები ბავშვებთანაა გადაღებული. რამდენი აღფრთოვანებული სტრიქონი მიუძღვნა მან ბავშვებს.

დიმიტროვი ჩამოვიდა ბაკურიანში, ბაშურში, სურამში, აბასთუმანში. ყველგან გულღიად და დიდი სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ. იგონებენ: იგი თავის ადამიანურობით იპყრობდა გულებს. ყველას აოცებდა მისი უბრალოება. ყოველთვის სადა, ყველასათვის მისაწვდომი სასიამოვნო მოსაუბრე გახლდათ.

გლეხები, ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუმჩნეველი, გულკეთილი, მოკრძალებული ადამიანები, შრომაში გმირებად რომ იქცეოდნენ ხოლმე, ძვირფასი სტუმრის მოგონებისას საკმაოდ პოეტურად ამბობდნენ: მასთან ყოფნა ისევე სასიამოვნოა, როგორც მზის პირველი სხივი და ჩიტის პირველი გალობა. თითქოს, მუდამ მის ცხელ სუნთქვას გრძნობ. მასში ყველაფერი ისევე ბუნებრივია, როგორც სუნთქვა. ასეთი ადამიანები ჩვენი თვალის ჩინია!

საიდან არ ჩამოდიოდნენ მასთან: ზოგი — ლაიფციგის პროცესზე რომ ეკითხა, ზოგი — უბრალოდ რომ შეეხედა და დღეგრძელობა ესურვებინა. ჩვენთან ყველა უმნიშვნელო ფაქტსაც კი იგონებენ. რატომ? იმიტომ რომ ამ ფაქტებში ჩანს დიმიტროვი და ეს ფაქტები ისტორიის თავისებური ძეგლებია.

ვისაც მისი ხელები უნახავს, ბორკილის ნაკვალევს შეამჩნევდა. აღმაშფოთებელი იყო ეს. ნაიარევზე რომ მიუთითებდნენ, ის ამბობდა: „ჩვენ ვსწავლობდით, ვსწავლობთ და ვისწავლით სახელოვანი რუსი ბოლშევიკებისაგან. პირადად მე ციხეში ბორკილდადებული ყველაზე მძიმე წუთებში ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ ცხოვრობდა პროლეტარიატი მეფის რუსეთში. ვიგონებდი, რა ენერგიით და უშიშრად იბრძოდნენ ძველი ბოლშევიკები მათ გზაზე წარმოქმნილი სიძნელეების წინააღმდეგ, რა გმირობას ავლენდნენ რუსი ბოლშევიკები სამოქალაქო ომის დროს და შემდეგ სოციალისტურ მშენებლობაში! და თუ ისინი ვაუკაცურად იტანდნენ განსაცდელს, მეც ბულგარელმა კომუნისტმა საერთაშორისო ტრიბუნაზე მაგალითი უნდა ვუჩვენო გერმანელ პროლეტარებს, ბულგარელ ძმებს, საერთაშორისო პროლეტარიატს, როგორ უნდა ებრძოლოს ბურჟუაზიას, ფაშიზმს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებაში დარწმუნებული ბოლშევიკი".

გიორგი დიმიტროვი უამრავ წერილს იღებდა მუშებისა და გლეხებისაგან. 1934 წლის ივნისში ამიერკავკასიის კოლმეურნეებმა გაზეთ „ზარია

ფილიპე მახარაძე
ლეგენდად ქცეული ადამიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოსტოკას" საშუალებით მიმართეს მას. წერილში წერდნენ თავიანთ წარმატებებზე, ამოცანებზე და ვალდებულებებზე. 15 ივლისს იმავე გაზეთში დიმიტროვის პასუხი გამოქვეყნდა. წერილში ასეთი სტრიქონები იყო: „...აღმოსავლეთის მიჯნაზე ამიერკავკასიის კოლმეურნეობები უჩვენებენ აღმოსავლეთის და ბალკანეთის ქვეყნების მშრომელებს, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის დროს შეიძლება სხვადასხვა ერთა ძმური თანამშრომლობა და მატერიალური და ეროვნული კულტურის ამაღლება..."

წერილი განიხილეს აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს კოლმეურნეობებში. მან გააძლიერა სოცშეჯიბრი, გამოიწვია ენთუზიაზმის ახალი ტალღა.

დიმიტროვი მოხიბლა ბორჯომის ხეობის განუმეორებელმა სილამაზემ, წიწვოვანი ტყეებით დაფარულმა მთებმა, მინერალურმა წყლებმა, ვლადიმერ ცბოვრებაშვილი, პარტიის ბორჯომის რაიკომის მაშინდელი პირველი მდივანი სტუმარს რომ თან ახლდა, იგონებს: „ამ ზღაპრული სილამაზით მოხიბლულმა დიმიტროვმა დედას უთხრა: შეხედე, განა ეს მთები ჩვენს რიდოპებს არ მოგაგონებს?! დარწმუნებული ვარ, მალე დადგება ის დღე, როდესაც ბულგარეთის მიწაზეც ასე თავისუფლად ვიმოგზაურებთ!" ძვირფასი სტუმარი აღფრთოვანებას არ ფარავს „რა მდიდრები ხართ, რა ლამაზია თქვენი ბუნება".

საქართველოში გიორგი დიმიტროვი ხშირად იგონებდა სამშობლოს, რაშიც ხელს უწყობდა აქაური ადგილები და ხალხი. ერთხელ, ქართველ ამხანაგებთან ერთად მოგზაურობისას მან მოწყენილმა თქვა: „თავის სიხადავით და გზნებით ქართველები ჩემს ქვეყანას, მრავალტანჯულ ბულგარეთს მაგონებენ. კარგია საქართველო, მაგრამ ბულგარეთიც ლამაზია..."

1934 წლის 29 აგვისტოს მკურნალობის დამთავრებამდე გიორგი დიმიტროვი თბილისში ჩამოვიდა, რათა აქედან მოსკოვს გამგზავრებულიყო. მზადდებოდა კომინტერნის აღმასკომის სხდომა, რომელზეც უნდა განხილულიყო კომინტერნის VII კონგრესის მოსამზადებელი მუშაობა. გიორგი დიმიტროვი მეგობრულად ეთხოვებოდა გამცილებლებს, მადლობას უხდიდა ყურადღებისა და ზრუნვისათვის.

საქართველოდან წასული იგი ხშირად იგონებდა გულითად სტუმართმოყვარეობას. მოსკოვიდან დეპეშა გამოუგზავნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს: „მშვიდობით ჩამოვედით, გულითადად გმადლობთ მასპინძლობისათვის." ასევე თბილი წერილი გაუგზავნა პარტიის ბორჯომის რაიონულ კომიტეტს. ამ პერიოდში ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა თბილისის აეროკლუბისთვის შეიძინეს თვითმფრინავი „უ-2". 30 აგვისტოს საზეიმო მიტინგზე თვითმფრინავის გადაცემის დროს გამოტანილი იქნა „გადაწყვეტილება თვითმფრინავისათვის გიორგი დიმიტროვის სახელი მიენიჭებინათ.

მეორედ ჩამოსვლისას, 1940 წლის ოქტომბერში გიორგი დიმიტროვი გაგრაში იყო. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში, რიწის ტბაზე იყო, მოინახულა სოფლები, სადაც გულღიად ესაუბრა გლეხებს. ხალხი ფეხდაფეხ დაჰყვებოდა. ყველა თხოვდა ლაიფციგის პროცესზე მოეთხრო. ყველგან სანაქებო სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ. ტემპერამენტული ადამიანების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

სამშობლოს მოწყვეტილ დიმიტროვს სევდა აწვებოდა, მაგრამ სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაბრუნდება იქ. ეს დღეც მოვიდა. 1945 წლის ნოემბერში იგი დაბრუნდა ბულგარეთში და როგორც შემდეგ შესანიშნავად სწერდა ტოდორ ივკოვი „მტკიცე ხელით წაიყვანა სამშობლო სოციალიზმისაკენ".

1946 წლის 29 აპრილს გიორგი დიმიტროვი ქალაქ სამოკოვში ჩავიდა. ცნობილი ბულგარელი პუბლიცისტი გიორგი დიმიტროვის უოფილი მდივანი წერდა: „დიმიტროვი ქუდ მოხდილი მიუახლოვდა დედის საფლავს და დიდხანს იდგა ასე, ჩვენ სამხედრო სალამი მივეცით. არ მახსოვს რამდენი ხანი ვიდექით საფლავთან. ხელი დამიბუჟდა. ის კი ქუდით ხელში იდგა და იდგა. თვალში ცრემლი უკრთოდა. თითქოს დედა ცოცხალი უოფილიუო და ესაუბრებოდა მას. პირველად ვნახე ასეთ უჩვეულო მდგომარეობაში. ვიცნობდი როგორც მტკიცე ადამიანს, იქ კი ძალიან აუჩუყდა გული".

დღეს ბულგარეთს სოციალიზმის მზე დანათის. დღითი დღე ლამაზდება ბულგარეთი, ბედნიერდება მისი ხალხი. მაგრამ ამ ბედნიერებისათვის ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდათ. მძიმე იყო გამარჯვების გზა. რამდენი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა ქვეყანამ, ბულგარეთის საუკეთესო შვილები შეეწირნენ ამ საქმეს. ერთ-ერთი პირველი მათ შორის არის გიორგი დიმიტროვი.

გიორგი დიმიტროვის მკერდში პატრიოტის მგზნებარე გული ძგერდა. საბჭოთა ხალხის მეგობრის და ძმის გული. ის ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი იყო. ისტორიამ შემოინახა მისი მგზნებარე სიტყვები: „ბულგარელი ხალხისთვის საბჭოთა კავშირთან მეგობრობა ისევე აუცილებელია, როგორც მზე და ჰაერი ყველა სულდგმულისათვის. დაე საუკუნეებმა შემოინახონ ეს დიდი მეგობრობა!"

დღესაც დიდებულად ეღერს გიორგი დიმიტროვის სიტყვები, რომლითაც იგი ახალგაზრდობას მიმართავდა: „იცით თქვენ, რომ მე ყოველდღე მიხდება სწავლა? ხანდახან ძალიან მიჭირს. ბევრი სერიოზული პრობლემა აღმოცენდება ხოლმე. როგორ გადავჭრა უკეთ და სწორად? ასეთ დროს ლენინს მივმართავ. მასთან ვეძებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სწორ კასუხს და ყფიქრობ როგორ მოიქცეოდა ის ჩემ ადგილას? მთელი გულით გირჩევთ: ისწავლეთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინისაგან!"

საქართველომ დიდი ლენინის ბევრი თანამებრძოლი იხილა: კალინინი, კიროვი, ძერჟინსკი, შაუმიანი, ლუნაჩარსკი, აზიზბეკოვი, ვოროშილოვი, ბუდიონი, პოდვოისკი... მათ თან მიჰქონდათ მისი ხსოვნა და ხალხის გულშიც სტოვებდნენ სიყვარულს: ხსოვნას.

მათ შორისაა გიორგი დიმიტროვიც. მისი ახლო მეგობრები იყვნენ სერგო ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ახელ ენუქიძე, ნესტორ ლაკობა და სხვები.

48 წელი გავიდა გიორგი დიმიტროვის საქართველოში ყოფნის შემდეგ, ხსოვნა და სიყვარული კი დარჩა.

ხალხმა უკვდავყო დიმიტროვის ნათელი ხსოვნა. მისი სახელი მიკუთვნებული აქვს ბევრ ქალაქს, რაიონს, მოედანს, ქუჩას, საწარმოს, საბჭოთა მეურნეობას და კოლმეურნეობას, სკოლას. მრავალ ადგილას დადგმულია ძეგლები.

ბევრი რამ ქრება თაობათა მეხსიერებაში. დავიწყებას ეძლევა ადამიანთა სახელები, მაგრამ გიორგი დიმიტროვის სახელი საუკუნეებში იცოცხლებს.

მისი ლეგენდარული ცხოვრება გრძელდება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს, ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ევგენი მიქელაძის ხელმძღვანელობით. ყოველ ზაფხულს ორკესტრის წევრები მიემგზავრებოდნენ ბორჯომში, წყალტუბოსა თუ გაგრაში, სადაც ღია მოედნებზე მართავდნენ კონცერტებს გამოჩენილ სოლისტ-შემსრულებელთა და დირიჟორთა მონაწილეობით. აქ ნახავდით ლ. ობორინს, მ. პოლიაკინს, დ. ოისტრახს, მ. ნაკაშიძეს, დ. გამრეკელს, შტიდერს, სენტკარს, იუდინას, ო.დიმიტრიადის და სხვებს.

1934 წლის ზაფხულზე ბორჯომ-პარკში ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ჩვენთან მოვიდა გრუზათმიანი, დიდთვალება ხელჯოხიანი მამაკაცი. მისმა ვინაობამ უველანი დაგვაინტერესა, ალბათ უფრო იმიტომ, რომ იქ მყოფთა შორის საგრძნობლად გამოირჩეოდა. შემდეგ გავიგეთ, რომ ეს იყო ცნობილი ბულგარელი პოლიტიკური მოღვაწე გიორგი დიმიტროვი.

დიმიტროვი ყოველდღიურად ესწრებოდა პარკში ჩვენს რეპეტიციებს და, რა თქმა უნდა, საღამოობით კონცერტებზეც მოდიოდა. იმდენად დაუახლოვდა ჩვენს კოლექტივს, რომ ჩვენთან ერთად სურათის გადაღებაც კი მოიწადინა.

ეს სურათი სახსოვარია ჩვენი ნაცნობობისა ბულგარელი ხალხის ბელადთან — გიორგი დიმიტროვთან.

კ. კინწურაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგობრობა გზად და ხიდად

ამირან კალაძე

ანტონ ჰანსენ-ტამსაარე და საქართველო

ამ ცოტა ხნის წინ იუნესკოს დადგენილებით მთელმა მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ დიდი ზეიმით აღნიშნა ესტონური ლიტერატურის კლასიკოსის ანტონ ჰანსენ-ტამსაარეს დაბადებიდან 100 წლისთავი.

ესტონური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწის ა. ჰ.-ტამსაარეს ნაწარმოებები პოპულარულია არა მარტო მის სამშობლოში, არამედ თარგმნილი და აღიარებულია მსოფლიოს ხალხების მრავალ ენაზე.

იმის გამო რომ ესტონური კულტურა თავიდანვე ითვისებდა როგორც ცენტრალური და დასავლეთ ევროპის, ასევე რუსული კულტურის ელემენტებს, ა. ჰ.-ტამსაარეს შემოქმედებაშიც მკვეთრად შეიმჩნევა მე-19, მე-20 საუკუნის რუს და ევროპელ რომანისტთა გავლენა. მწერლის მსოფლმხედველობის ფორმირებაში ღრმა კვალი დატოვა აგრეთვე იმ კრიზისულმა მდგომარეობამ, რომელშიაც აღმოჩნდა ევროპის საზოგადოება და კულტურა პირველი სამამულო ომის შემდეგ. ბურჟუაზიული ცივილიზაციის ყველაზე საშიშ სენად ა. ჰ.-ტამსაარე ჰუმანიზმისა და დემოკრატიის პრინციპების უგულებელყოფას მიიჩნევდა, რაც ერთი მხრივ ამძაფრებდა მწერლის სკეპტიციზმს, ხოლო მეორე მხრივ ევროპაში ახლად ფეხადგმული ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აღანთებდა. დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპების დაცვას მან თავისი სამწერლო მოღვაწეობის 40 წელი შესწირა. ა. ჰ.-ტამსაარეს მწერლური შემოქმედება მეტად მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო. მის კალამს ეკუთვნის პოეტური მინიატურები, მოთხრობები, ეპიკური რომანები, მახვილგონივრული ესსეები და ღრმად სიმბოლური დრამები. მათ შორის აღსანიშნავია ფსიქოლოგიური დრამა „ივდითი" და „მეფეს სცივა". პირველი მათგანი ბიბლიურ თემაზე დაწერილი ანტიმილიტარისტული ნაწარმოებია, ხოლო მეორე შეიცავს ფაშიზმის დიქტატორული რეჟიმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის უმკაცრეს კრიტიკას.

ეყრდნობოდა რა ფსიქოლოგიური რომანის ტრადიციებს ა. ჰ.-ტამსაარემ ამ ჟანრში შექმნა უაღრესად მაღალმხატვრული რომანები, რომლებმაც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში შესამჩნევი გავლენა მოახდინეს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ლიტერატურაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნაწარმოებები ესტონელი ხალხის ცხოვრების ფონზე ვითარდებიან, ყოველ მათგანს თან ახლავს ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ეღერადობა.

ანტონ ჰანსენ-ტამსაარეს ნაწარმოებთაგან ძალზე პოპულარულია მონუმენტური ხუთტომიანი ეპოპეა „სიმართლე და სამართლიანობა", რომელშიც ასახულია ესტონელი ხალხის ცხოვრება 1870-1930 წლებში. ეს ღრმად ფილოსოფიური ეპოპეა, რომელშიც ა. ჰ.-ტამსაარე მისთვის ჩვეული ოსტატობით ესტონელი გლეხობის ცხოვრებას ასახავს. შრომის პოეზიის სადიდებელი ჰიმნია.

ასევე აღსანიშნავია რომანი „კირბოიას კარმიდამოს მეპატრონე", რომელშიც ტრაგიკული სიყვარულის ფონზე პოეტურადაა განზოგადებული ესტონელი გლეხობის პირველი მსოფლიო ომის შემდეგდროინდელი ცხოვრება.

მესამე და გამორჩეულ ნაწარმოებში „ახალი უწმინდური პეკლადან" მწერალი მძაფრად, კრიტიკული პოზიციებიდან აფასებს 30-იანი წლების ესტონური სოფლის სოციალურ სინამდვილეს. ამ ნაწარმოებისათვის ნიშანდობლივია უდიდესი მხატვრული დამაჯერებლობა, ალეგორია, გროტესკი.

მწერლის მრავალ ქმნილებათა შორის ასევე აღსანიშნავია „ცხოვრება და სიყვარული", „მე მიყვარს გერმანელი ქალი", „მოხუცები და ახალგაზრდები", „ჩრდილები", ნოველები, მოთხრობები, მინიატურები და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონ ჰანსენ-ტამსაარე დაიბადა ჩრდილოეთ ესტონეთში, ტუეებითა და ჭაობებით გარემოცულ ხუტორ იარვამაში, გლეხის ოჯახში. კერძო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1898-1903 წწ.) რამდენიმე წელი მუშაობდა ჟურნალისტად ტალინში, ხოლო 1907-1911 წლებში ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. სწორედ აქ, გამოსაშვები გამოცდების დროს იგი ტუბერკულიოზით დაავადდა და ექიმების რჩევით კავკასიაში ჩამოვიდა (1912-1913 წწ.). მწერლის ცხოვრებაში ეს იყო ერთადერთი მოგზაურობა ესტონეთის ფარგლებს გარეთ.

მოსკოვის, პეტერბურგის, ხარკოვისა და ნოვოჩერკასკის გავლით 1912 წლის 20 მარტს ა. ჰ.-ტამსაარე სოჭში ჩავიდა, სადაც ორ თვეზე მეტი დაჰყო, იმდროინდელ სამოგზაურო წერილებში „შავი ზღვის სანაპიროზე" იგი დიდი სიყვარულით იგონებს სოჭში გატარებულ დღეებს:

„...შებინდებისას მუშები კოცონს აანთებდნენ ხოლმე. კოცონს ექვსი-შვიდი კაცი მიუჯდებოდა და დიდხანს მღეროდნენ. საკმარისი იყო ვინმეს სიმღერა წამოეწყო, რომ მაშინვე სხვები აჰყვებოდნენ. როგორც კი სიმღერა შეწყდებოდა ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვებოდა..."

სოჭიდან ადლერამდე მოგზაურობას ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ავადმყოფ მწერალზე. ჩრდილოეთ ესტონეთის უკიდეგანო და ჭაობიან ვაკეზე თვალმიჩვეული, ზღვისა და მთების სილამაზით მოხიბლული, სამგზავრო წერილებში წერს:

„...ზღვა თითქოს სულ იმის ცდაშია, თავისი ქაფმორეული ტალღების თაიგული მიაჭარგოს სანაპიროს, მაგრამ ვერა და ვერ ახერხებს. ზღვის ეს ამაო სურვილი სიყვარულსა და სიმღერას გაგონებს. სიმღერასაც ხომ საუკუნეების მანძილზე მღეროდნენ, მღერიან დღესაც... და არასოდეს ექნება დასასრული სიმღერას სიყვარულზე".

კავკასიურმა კლიმატმა და ექიმების ზრუნვამ თანდათანობით გამოაჯანსაღა მწერალი. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მრავალი მინიატურა. მათ შორის: „ბიჭი და პეპელა", „კანელზე დამკვრელი", „მომღერალი" და სხვა, რომელთათვის დამახასიათებელია ფილოსოფიური სიღრმე და შთამბეჭდავი ლირიკა.

ადლერიდან მწერალი ჯერ გაგრაში, შემდეგ ახალ ათონში, იქიდან კი სოხუმში ჩავიდა, მთელი ზამთარი დაჰყო იქ. ა. ჰ.-ტამსაარე მოუხიბლავს იქაური ბუნების სილამაზეს და ძალზე გაოცებულა იქ მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის ესტონელთა მოზრდილი დასახლებაც რომ უნახავს.

სოხუმის ბოტანიკური ბაღის მშვენიერებამ აღტაცებული მწერალი წერს:

„ამ მარადმწვანე მცენარეულობათა შორის, ახლაც კი, ოქტომბრის მიწურულში თვალში გეცემა ახალგაშლილი ვარდის კოკორი, რომელიც მზიან დღეში გაზაფხულის ღიმილსა ჰგავს. ბოტანიკოსი რომ ვიყო, იქნებ რამე საინტერესო მომეთხრო ამ სამხრეთულ მცენარეებზე, მაგრამ მარტოდენ ბოტანიკური აღწერაც რა ბედენაა, მთელი ეს სილამაზე საკუთარი თვალით თუ არ იხილე; აქ უნდა ნახო ჩვენებური ნაძვის მონათესავე ხე, ნემსისმაგვარი წიწვები ვერცხლისფრად რომ უბზინავს.. ჩვენებური ფიჭვის დობილი, რბილი, თითო ფუტი სიგრძის დახრილი წიწვებით. ახლა ცამდე აზიდულ კვიპაროსებს არ იკითხავ?! ტოტები ისე მიუკრიათ ტანზე, თითქოს სიცივისაგან იფარავენო თავს... აქვეა ნაირნაირი პალმები, მაგნოლიები... მხოლოდ არუის ხე არ არის აქ. არადა როგორ მოგენატრება განსაკუთრებით მაშინ, როცა მის სითეთრესა და ტანკენარობას წარმოიდგენ..."

1913 წლის თებერვალში ა. ჰ.-ტამსაარე თავის მეგობარს წერს: „რამდენიმე დღის წინ ექიმთან ვიყავი და იცი რა მითხრა: ბატონო ჩემო, როგორც ხედავთ გამოჯანმრთელებულს გიშვებთ. აკეთეთ რაც გენებოთ, მხოლოდ გაცივების უფლება არა გაქვთ. მაშინვე «Rückschlang»*-ს ელოდეთო. როგორც ხედავ, კარგი იმედებია".

სოჭსა და სოხუმში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა შთააგონეს მწერალს დაეწერა ვრცელი ნოველა „ჩრდილები", ნოველისათვის დამახასიათებელია იმპრესიონისტული განწყობილებანი. მოქმედება მიმდინარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ერთ-ერთ პანსიონატში.

1913 წელს ა. ჰ.-ტამსაარე ბათუმში ჩადის. ამ პერიოდის წერილებში იგი აღტაცებით იგონებს მდინარე ჭოროხზე ნავით სეირნობას. ბათუმში გატარებულ დღეებს.

1913 წლის მარტი და აპრილი თბილისში გაატარა. თავის წერილებში იგი იგონებს, თუ რა დიდი ინტერესით აკვირდებოდა თბილისელთა ყოფას, ადათ-წესებს, ცხოვრებას.

თბილისიდან მწერალი კისლოვოდსკში მიემგზავრება. 1913 წლის 18 მაისს მთავრდება მისი მოგზაურობა კავკასიაში.

გამოჯანმრთელებული მწერალი ახალი ენერგიითა და შთაბეჭდილებებით ბრუნდება სამშობლოში და აქტიურ სამწერლო მოღვაწეობას ეწევა.

ანტონ ჰანსენ-ტამსაარე სიცოცხლის ბოლომდე აღტაცებითა და სიყვარულით იგონებდა საქართველოში გატარებულ დღეებს.

---

* «Rückschlang» — დაახლოებით — ავადმყოფობის განახლება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზია შენგელია

უცნაური პოემა

ფერილი მეორე

— ვერ გაგიგია, ამირან, არ გამაოჯვების ნიშანი;
მესამედ იქვე მოვედი, გუშინ რომ დაეკარ ისარი.

ბალბური

მოჯადოებული ფრე

...იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაჲ, რომელი
მიიყვანებს ცხოვრებასა და მცირედნი არიან,
რომელნი ჰპოვებენ მას.

მათე (7, 14)

კონსტანტინე გამსახურდიას მრავალ გამონათქვამთა შორის ერთი ასეთი ლამაზი მოსაზრება გვხვდება: „ტალანტურ ქმნილებაში ტენდენცია ისე შეფარვული უნდა იყოს, როგორც ძვლების სისტემა ლამაზ ქალის სხეულში" („გასაუბრება ღამეულ სტუმართან"). სილამაზე ამ „სხეულისა" არც „ძვლების სისტემის" სიმტკიცეში ბადებს ეჭვს და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იგი, რამეთუ ვაჟა-ფშაველას სწორედ „...ისეთი ნაწარმოებები იზიდავს და ხიბლავს, რომელშიაც ტენდენცია ჩამარხულია, არ არის მოწოდებული შიშველი რეკლამის სახით" (გრ. კიკნაძე — ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957 წ. გვ. 21). ასეთივე ნაწარმოებია პოემა „გველის-მჭამელი".

ცხადია, მკვლევართა ყურადღება იმთავითვე ღრმად „ჩამარხული" ტენდენციისაკენ იქნა მიმართული, რადგან მშვენიერება თვით „სხეულისა" ამჯერადაც ეჭვს გარეშე იდგა. სამწუხაროდ, ანალიზის პროცესში „ძვლების სისტემის" მეტნაკლებად მნიშვნელოვანი კვანძები ნაწილობრივ ან მთლიანად იქნა ატროფირებული და მისი, როგორც სისტემის, წარმოდგენა შეუძლებელი გახდა. შედეგად ამისა, უკეთეს შემთხვევაში, ავტორებმა ვერ შესძლეს, დამაჯერებლად დაესაბუთებინათ საკუთარი აზრის სისწორე პოემის მხატვრული ღირებულების შესახებ. უარეს შემთხვევაში, ანალიზის შედეგი პოემის მხატვრული სტრუქტურის პათოლოგიად იქნა მიჩნეული.

როგორც გრ. კიკნაძე აღნიშნავს, ავტორთა უმრავლესობას მიაჩნდა, რომ „გველის-მჭამელის" ძირითადი პრობლემაა პრობლემა სიბრძნისა, ადამიანის ყოვლისმცოდნეობისა, ყოვლისმცოდნეობის შესაძლებლობისა და რომ ყოვლისმცოდნეობის განსახიერებას მინდია წარმოადგენს". მკვლევარი სრულიად საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ მინდიას ცოდნა არ არის ჭეშმარიტი ცოდნა, რომ გმირის „ყოვლისმცოდნეობა" მხოლოდ მის შესაძლებლობაში გამოიხატება: „შეუძლია" განა იმას ნიშნავს, რომ მან „იცის"? — არა! მინდიამ საზოგადოდ კი არ იცის, თუ რა რის წამალია, არამედ მას ესმის, როდესაც ყვავილები საკუთარ თავს სთავაზობენ. ფაქტია, რომ ვითარების წინაშე უოფნისას გამოიწვევა მისი „ცოდნა", ვითარება უკარნახებს მინდიას ცოდნას და არა ცოდნის მიხედვით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცვლის, მოქმედებს, თუ გავლენას ახდენს იგი ვითარებაზე". უდაოა, მინდიას ცოდნა ინსტინქტის ფარგლებს არ სცილდება და არც ყოვლისმცოდნეა იგი. ყოვლისმცოდნეობის ილუზიას მისი შესაძლებლობა ქმნის; — მინდია „ღმერთთან ლაპარაკის" უნარითაა დაჯილდოებული, ამდენად, მას შეუძლია, იცოდეს ყველაფერი, რასაც მოისურვებს, მაგრამ სურვილების „სიჭარბე" არ იგრძნობა პოემაში. მაშინაც კი, როცა „ვითარების" ფაქტორი მოქმედებს, მინდია არ ამჟღავნებს სურვილს, გაიგოს, რა რატომ ხდება — იგი ინსტინქტურად მიყვება ინსტინქტური ცოდნის ნაკარნახევს. არც პოემაში თქმულა სადმე, რომ მინდია ბრძენია ან ყოვლისმცოდნე. გველის ხორცის — „სიბრძნის" მიღება („სიბრძნე აჩვენეს გველადა"), თავისი შინაარსით არ ნიშნავს მინდიას სიბრძნეს, მას მხოლოდ გზა გაეხსნა ამ მიმართულებით.

ამრიგად, „სიბრძნის" გასაღები მინდიას ხელთაა და, თუ როგორ გამოიყენებს, მხოლოდ მის პიროვნებაზეა დამოკიდებული. პოემის მიხედვით „მინდიას პიროვნება, რომელიც თავიდან ბოლომდე საკუთარი შინაარსით იკვებება", ინსტინქტურობის ზღვარს ვერ გასცდა და საკმარისი იყო თუ არა იგი (ინსტინქტი) მინდიასათვის, თხრობის მსვლელობა გვიჩვენებს.

პოემის ჩვენამდე მოღწეულ ორივე ავტოგრაფს წინ უძღვის პროლოგი და ჩვენც აქედან დავიწყებთ: „გაჭირდა ფრიად ცხოვრება, სულთქვამს და ოხრავს სოფელი... ისე ვჩნდებით და ვილევით, არა გვაქვს გაგებულება. ბუნების ძალთა სიბრძნისა ვერ ვცანით დიდი თხზულება" (ვაჟა-ფშაველა ტ. IV, გვ. 338). ბუნებაში არის რაღაც დიდი სიბრძნე, რომლის არცოდნის გამო „სულთქვამს და ოხრავს სოფელი" და, ცხადია, რადგან შესავალში საკითხი ასე დაისვა, ვაჟა-ფშაველამ ან თვით ეს სიბრძნე უნდა გაგვიმხილოს, ან მისი შეცნობის გზა. შევეცადოთ, გავერკვეთ პირველში, რადგან მეორე ავტორმა მითოსის სფეროში წარმოგვიდგინა.

მივმართოთ ნაწარმოებს, გავიხსენოთ მინდიას ექსკურსი ბუნების წიაღში: „როცა კი გაზაფხულდება, გამოიღვიძებს ქვეყანა: ...მინდია გაფაციცებით სულ მიმოივლის მთა-ველსა. ყველა მცენარეს და მღილსა ის ეგებება სალმითა, ბუნებაც „ვაშას" უძახის მდიდრად მორთულის ალმითა, ყვავილნი ყელ-გადაგდებით, დახატულები ყალმითა, „მინდიას გაუმარჯოსო". ერთხმად ასტეხენ ყიჟინსა... „მე ვარო ამის წამალი"; სხვა გაიძახის — „იმისა"; მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს, ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა". მშვენიერი სურათია, ვაჟასეული. შეუძლებელია უკეთ გადმოსცე ის უშუალო კონტაქტი, რომელიც მინდიამ თავისი უჩვეულო ბედის წყალობით დაამყარა ბუნებასთან. მაგრამ, ცხადია, ამ ეპიზოდის მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. არ ამოიწურება იგი იმ შემთხვევაშიც, თუ ვიტყვით, რომ ვაჟამ აქ გვიჩვენა, რა საშუალებებით ხდება მინდია უებრო მკურნალი. მთავარი ამ ეპიზოდში ისაა, რომ ყვავილი სიცოცხლეს სწირავს სხვის (ადამიანის) საკეთილდღეოდ. თავისუფლებით გალაღებული ხევსური ვერ ჩაწვდა საქმის ვითარებას, უნდა ჩაწვდომოდა კი, რადგან ვაჟა-ფშაველამ სწორედ აქ გაგვიმხილა „ბუნების ძალთა" ის „დიდი სიბრძნე", რასაც ადრე შეგვპირდა და რომლის არცოდნაც სოფლის „სულთქმისა და ოხვრის" მიზეზია. „ხედვაგამახვილებული" მინდია ვერ ჩაწვდა ამ სიბრძნეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მკითხველისათვისაც მიუწვდომელი დარჩა: „თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა: ოღონდ ეწამლონ სნეულთა, სიცოცხლით გაფუფუნებულს არად აგდებენ სხეულთა: სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ, ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა".

თურმე ყვავილთა „ზნე", მათი არსებობის აუცილებლობაა „გაფუფუნებული" სიცოცხლის გაწირვა ადამიანთა საკეთილდღეოდ. მოახმარო შენი სიცოცხლე ადამიანთა კეთილდღეობას — ესაა „ბუნების ძალთა" სიბრძნე, რომელიც ვაჟა-ფშაველამ ბუნებაში ყვავილის მაგალითზე მოგვცა და დედამიწაზე გონების არსებობის გამართლების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი სწორედ ამ სიბრძნის ჭეშმარიტებაში მდგომარეობს, რადგან გონების გარეთ დარჩენილ ბუნებაში ძირეულად საწინააღმდეგო კანონი მოქმედებს — არსებობისათვის ბრძოლის კანონი.

ვაჟა-ფშაველა არ ენდობა თავის გმირს (ამის მაგალითს პოემაში არაერთგზის წავაწყდებით), არ ენდობა და ამიტომაც, თუმცა მინდიას ხელთ მისცა სიბრძნის უშრეტი წყარო და გასაღები მისი, მარტივზე უმარტივესი, რომელსაც მდგომარეობის გარემოება ჰქვია, არ სჯერდება ამ საშუალებას. არ სჯერდება, რადგან მინდიამ ბუნებისაგან რომ მოისმინოს ეს სიბრძნე, აუცილებელია, იგრძნოს მისი საჭიროება და, ვაი, თუ ვერ იგრძნო. სწორედ ამ შემთხვევისაგან „დაიზღვევა" ვაჟამ თავი, — მინდია ყველაფრის წვდომის უნარით დააჯილდოვა, შემდეგ კი ფაქტის წინაშე დააყენა — მინდია დაინახავს, რომ ყვავილნი სიცოცხლეს სწირავენ „ძვალ-ხორც ჩამორღვეულ" ადამიანთა საკეთილდღეოდ და შესაბამის დასკვნას გამოიტანს. მაგრამ „გამეცნიერებული გლეხი" ვერ აკეთებს ანალიზს, იგი ბუნებისაგან მხოლოდ მზამზარეულ რჩევას იღებს და ამიტომაც ბოლომდე იმ „ბრძენად" რჩება, რომელსაც სიბრძნე არ გააჩნია.

სწორედ ეს არის მინდიას ტრაგედიის ძირი, მისი დამარცხების მიზეზთა მიზეზი, — არა სიბრძნის დაკარგვა (რას დაკარგავდა, რაც არ გააჩნდა), არამედ, საერთოდ არქონა მისი — იმ

მზია შენგელია

უცნაური პოემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრძნისაც კი, რომლის ცოდნაც ვაჟას თავისი გმირისათვის რატომღაც აუცილებლად მიაჩნია და რომ გავიგოთ, თუ რატომაა მისი ცოდნა მინდიასათვის ასე აუცილებელი, უნდა გავარკვიოთ, ვინ არის თვით მინდია?

„მინდია ქვესკნელშია, რაკი ქაჯების ტყვეა", მაგრამ ქვესკნელში მყოფ მინდიას არ ენატრება არც დღის შუქი და არც მზის სინათლე, არც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და არც მთვარიანი ღამე. სამშობლო უნდა მხოლოდ თავისი, ხალხი-თავისი, მთები-თავისი, ხევები-თავისი და „თავისი ქოხი მწირული" — ყველაფერი, რაც ერთიანობაში მინდიას მშობლიურ ქვეყანას წარმოადგენს. მწირული ქოხი უდგას მინდიას ამ ქვეყანაში. მაგრამ მისი სიმდიდრე ქვეყნისა და ხალხის სიყვარულია და ვერ შეელევა იგი ასეთ სიმდიდრეს. სამშობლოზე ფიქრითაა დაკავებული მისი ტყვეობის ყოველი წამი, თავის ხალხთან დაბრუნების იმედით და, როცა ეს იმედი გადაუწყდება, თავს იკლავს, სწორედ რომ იკლავს, რადგან მინდიას მხრივ მისი მოქმედება დასრულებულ აქტად მიგვაჩნია, ტყვეს მოწყალეს თვალით გადმოხედა ზეცამ, თორემ...

ამრიგად, მინდიამ სიკვდილი არჩია სამშობლოს გარეთ ყოფნას და თავის მხრივ აღასრულა კიდევაც ჩანაფიქრი, მაგრამ სწორედ „ამ დროს მოწყალეს თვალით ტყვეს გადმოხედა ზეცამა". ამ დროს და არა ადრე, თუმცა ადრეც „ეშველათ, ბევრჯერ ხატ-ღმერთსა მხურვალედ შაჰვედრებია". — და რადგან კითხვა ფაქტიურად უკვე დასმულია, ჩამოვაყალიბოთ იგი: რატომ შეუნარჩუნა ვაჟა-ფშაველამ მინდიას სიცოცხლე და მეტიც, აღუსრულა სანუკვარი ოცნება სამშობლოში დაბრუნებისა სწორედ მაშინ, როცა ამას თვით მინდიაც არ მოელოდა?

რატომღაც არც ერთ მკვლევარს არ მიუქცევია ყურადღება პოემის შესავლისათვის, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ორივე ხელნაწერში თითქმის უცვლელადაა მოცემული. იგი გვაცნობს პოემაში აღწერილი დროის წინა პერიოდს, იმ კუთხით, რომელიც ავტორს აინტერესებს. აი ეს კუთხე: „გაჭირდა ფრიად ცხოვრება, სულთქვამს და ოხრავს სოფელი, დედის ბედს შვილი დასტირის, შვილისას ტირის მშობელი... არც ცოდნა არის, არც ფიქრი; არც ვინ ექიმი ჭირისა".

ასეთი გაჭირვების დროს გამოჩნდა ადამიანი, რომელიც თავისი ქვეყნის სიშორემ, მისმა სიყვარულმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. იგი უნდა მოკვდეს ტყვეობაში, უსახელოდ და უსარგებლოდ, მაშინ, როცა ასეთი ადამიანები სამშობლოს ყოველთვის და განსაკუთრებით ახლა სჭირდება. ესაა ღვთის გუნების ცვლის მიზეზი. შედეგი: მინდია უბრუნდება თავის ქვეყანას უნივერსალური უნარით დაჯილდოებული — „ექიმი ქვეყნის ჭირისა".

თუ თხრობის თანმიმდევრობას არ მივიღებთ მხედველობაში, ვაჟამ პირველად ბოლოს ამ ადგილას უღავნა უნდობლობა თავისი გმირის მიმართ. მართლაც, პოემის პირველ თავში ხევსურთა ლხინის აღწერის ეპიზოდი მთავრდება სიტყვებით: „თქვენ იცით, ამას იქითა კაცად ვინც გამასდგებითა!" და იქვე „კრებაში ერთი ვინმე სჩანს", — ეს „ვინმე" მინდიაა, პოემის მთავარი გმირი, რომელსაც მკითხველი არ იცნობს და სწორედ მისი გაცნობის წინ გაისმა ეს დაეჭვებული (სადღაც მაინც იმედიანი) შეძახილი — „კაცად ვინც გამასდგებითა". როგორც შემდეგში ირკვევა, ეს მიმართვა უშუალოდ მინდიას ეხება.

თუ ამ ეპიზოდს არ მივიღებთ მხედველობაში, რადგან ლხინი ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ მოხდა, უნდობლობა გმირის მიმართ ტყვეობაში გამომჟღავნდა პირველად. სამშობლოს სიყვარულია ამ უნდობლობის მიზეზი, იმდროინდელი საქართველოს სიბეჩავე, რაც არა ერთხელ ათქმევინებს პოეტს — „სამშობლოს მცველნო, სადა ხართ"... საყვედური, საყვედური, საყვედური თანამედროვეთა მიმართ... და ბობოქარი შემოქმედი წარღვნით იმუქრება ალბათ.

ხსნის იმედი გაჩნდა უცებ და ზოგჯერ თურმე ღმერთებიც წაეპოტინებიან ხავსს...

იტანჯება მინდია ქაჯებთან ტყვეობაში, მაგრამ არც მის ქვეყანას აკლია ტანჯვა (პროლოგი). „მის ფერა უკეთურები", საკუთარი ჭირ-ვარამით დაბორკილები, იქაც ბევრი ჰყრია და ურუა ზეცა მისი ვედრებისადმი. თვითმკვლელობის აქტმა მიიპყრო უზენაესის ყურადღება და დაუბრუნდა ქვეყანას მოარული სიკეთე. მოარული იმიტომაც, რომ არის კიდევ სხვა სიკეთე — ყვავილები. ჩვენ ხაზს ვუსვამთ ყვავილებს, რადგან „გველის-მჭამელის" კრიტიკაში ადამიანთა საკეთილდღეოდ თავგანწირვა ბუნების საერთო ნიშნადაა მიჩნეული, თუმცა პოემა არ გვაძლევს ამის უფლებას. ყვავილი განსაკუთრებითაა გამოყოფილი ბუნების სხვა საგნებისაგან: „ყვავილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს თურმე მოუვათ ტირილი; ...ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო, უიარაღო რომა ვარ. მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!"

განსხვავება ყვავილისა და ხის მოქმედებაში აშკარაა, — ხე არათუ თავს გაწირავს ადამიანის საკეთილდღეოდ, არამედ, იარაღი რომ ჰქონდეს, თავს დაიცავდა კიდევაც მისგან. როგორც პოემის შინაარსიდან ირკვევა, იგივე თვალსაზრისს იზიარებს ბალახი და ცხოველი და რადგან ნაწარმოებში არ არის გამახვილებული ყურადღება ბუნების სხვა რომელიმე კონკრეტულ საგანზე (ყანის მკაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, რადგან ვფიქრობთ, ეს ორი ეპიზოდი შემთხვევით არ განაცალკევა ვაჟამ), სავსებით სამართლიანად შეგვიძლია დავასკვნათ: ყვავილი ბუნების ერთადერთი საგანია პოემაში, რომელიც ადამიანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკეთილდღეოდ უანგაროდ სწირავს სიცოცხლეს.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ თვით მინდიას პიროვნებაც, თავისი ცხოვრების შინაარსით, გამოყოფილია საზოგადოებისაგან. ეს მსგავსება ყვავილსა და მინდიას შორის, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და გვაფიქრებინებს, გავავლოთ პარალელი მათ შორის: ყვავილი ბუნების რჩეულია — მინდია ღმერთის, ყვავილი ბუნების გვირგვინია ყველა მნიშვნელობით — მინდია ადამიანთა საზოგადოებისა — „ბრძენია". ყვავილი სიცოცხლეს სწირავს ადამიანთა საკეთილდღეოდ — მინდია?.. სწორედ აქ დაუგო ვაჟა-ფშაველამ თავის გმირს მახე.

სიკეთე ყოველთვის მსხვერპლს მოითხოვს ჩამდენი პირისაგან (ამ აზრის პირობითობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). შეუძლებელია, აიღო ერთი საზომი რომელიმე მათგანის გასაზომად. ყველაზე უმცირესად შეიძლება (მხოლოდ შეიძლება) ჩაითვალოს დრო, რომელსაც ანდომებ მას, შემდეგ შეიძლება იყოს სხვადასხვა გრძნობები, რომლებიც გბოჭავენ, უფრო დიდია სიცოცხლე, მაგრამ ის, რაც ვაჟამ თავის გმირს მოსთხოვა, შეუდარებელია...

მართლაც, რა უნდა შესწიროს მინდიამ ერის კეთილდღეობას? ცხადია, მინდიას მიერ გაღებული მსხვერპლი არ შეიძლება იყოს მისი სიცოცხლე, რადგან ეს იქნებოდა დასაწყისშივე დასასრული იმ სიკეთისა, რომელიც მან თავის ხალხს უნდა მოუტანოს. სწორედ ამას გვიდასტურებს პოემაში გამოთქმული აზრი: „მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ, ძალნი ვახსენოთ ციერნი". მკითხველი დაგვეთანხმება, რომ მინდია პოემის ერთადერთი მთავარი მოქმედი გმირია და ყველაფერი, რაც პოემაში ითქვა, უშუალოდ მას ეხება და რომ არც ვაჟაა იმ რანგის პოეტი, ზედმეტი წინადადება ჩაურთოს ნაწარმოებში, აქ კი ვაჟა-ფშაველამ თქვა, რომ მკვდარ კაცს შენდობას თუ ეტყვიო მხოლოდ, მაგრამ თვით ფაქტის აღნიშვნის აუცილებლობა სხვა გარემოებითაა ნაკარნახევი. ნაწყვეტი, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, ამოღებულია სწორედ ყანის მკის ეპიზოდიდან, უფრო სწორად დასკვნიდან, რომელიც ამ ეპიზოდს მოჰყვება: „ყანასა სეტყვა აშინებს, — კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა, თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა სით შაუძლიან წახდენა?!.. კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ თავთავნი ოქროს ფერანი, — ...ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად, რომ მითი გაძღნენ მშიერნი, — მკვდარ კაცთა შანდობა ვუთხრათ..."

პოემა „გველის-მჭამელში" ხორბალს მხოლოდ ადამიანის მოსახმარი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული" (ა. გაჩეჩილაძე — „გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე" და პოემა „გველის-მჭამელი" 1959 წ. გვ. 57), „რომ მითი გაძღნენ მშიერნი". ე. ი. პური აქ უპირველესად მშიერი ადამიანის საზრდოა, რათა მან სიცოცხლე შეინარჩუნოს. მაგრამ ვინ არის ის მშიერი ადამიანი, რომლის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება?

დავუბრუნდეთ კვლავ პოემის მეორე თავს: „ყვავილთ ეს ზნე სჯირთ და ხეებს თურმე მოუვათ ტირილი; მარტოკა მინდიას ესმის მათი კვნესა და ჩივილი. ამისგან მისი ცხოვრება ძალიან დაცარულია"...

მინდიას „ცხოვრება ძალიან დაცარულია", — „დაცარვა" ფშაურ დიალექტზე დაკნინებას, უშინაარსოდ გახდომას ნიშნავს, მაგრამ, როგორიც უნდა იყოს მისი ზუსტი მნიშვნელობა, აშკარაა, მინდიას ცხოვრებას რაღაც მოაკლდა და ეს „რაღაც" ძალიან დიდია. მინდიას ხე ვერ მოუჭრია და სწორედ ესაა მისი ცხოვრების „დაცარვის" ერთ-ერთი მიზეზი. რამდენად აუცილებელია მინდიასათვის ხის მოჭრა, ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ მინდია ეძებს გამოსავალს და თითქოს პოულობს კიდეც მას, მაგრამ, რამდენად უხეირო იქნება მინდიას სახლის კერია ხმელი ჯოყრებისა და წივის ამარა, განმარტებას არ საჭიროებს. არის კიდევ სხვა მიზეზი, რომლისგან გამოსავალს მინდია ვერ იპოვიდა. ვაჟა-ფშაველა რომ არა; — მინდიას არ შეუძლია ნადირი ხოცოს, ბალახი მოთიბოს, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საქონლის ყოლას, ე. ი. მინდიას არ გააჩნია არავითარი საარსებო საშუალება. ცხადია, მკითხველის წინაშე დაისმის კითხვა — როგორღა იცხოვროს მინდიამ? — მისი ფიზიკური არსებობა გარდუვალი საფრთხის წინაშე დგას. რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას მხედველობიდან არ გამორჩენია ეს ფაქტი და ვფიქრობთ, სწორედ ამიტომ ჩაურთო პოემაში „ყანის მკის ეპიზოდი — მინდია ის მშიერი ადამიანია, რომლისთვისაც პურის თავთავებს „ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად".

შეიძლება თუ არა პურის თავთავთა „თავდადება" შევაფასოთ ისე, როგორც ყვავილთა მაგალითი. ვფიქრობთ რომ არა. ყვავილი „გაფუფუნებულ" სიცოცხლეს სწირავს ადამიანს, „ყანის მოსამკელად კი მაშინ მიდიან, როცა იგი მწიფეა — სიცოცხლე დამთავრებულია უკვე. ხორბლის მარცვლის მომავალი ბედი გარდუვალია, ყვავი დაჭკენკავს თუ ადამიანი მოიხმარს, ნაწილი მაინც მიწას დაუბრუნდება ახალი სიცოცხლის შესაქმნელად, „თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა სით შაუძლიან წახდენა?!" — პური მინდიას ერთადერთი საზრდოა, რითაც აიხსნება მისი ასეთი გაფაციცება ყანის მკის დროს, მაგრამ თვით აქტი კვეცნობიერად ხდება, ღვთის ნებართვით თუ ბრძანებით, რაიც თავთავთა ხურვილშია გამოხატული.

ამრიგად, მინდიას საარსებო პირობები მაჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმალურადაა შეზღუდული და სწორედ ამ უკანასკნელში უნდა ვეძებოთ მინდიას მსხვერპლის რაობა.

აქ იბადება ახალი კითხვა — მინდიას სიცოცხლის უზრუნველყოფა ნიშნავს თუ არა ამასვე მისი ოჯახის მიმართ. რა თქმა უნდა, არა და ვფიქრობთ, თუ ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, საკმარისი იქნება კიდევ ერთი ნაწყვეტის მოტანა პოემიდან: „სიცივე ბალღებს მილევსო... და მეც დღეს ხვალეობითა, ცოტ-ცოტად, ნელაობითა დავიწყე თავის რწმენასთან მოქცევა მელაობითა: დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი, თუმც მემუდარა ბევრია: ...ხვალ ორი მოვჭერ, და ასე გული ჩავიდევ ქვისაო, რომ სულ აღარა მეგრძნო რა, ძალაც ვითხოვე ღვთისაო".

შეუძლებელია, უფრო მკვეთრ ფერებში გადმოსცე ადამიანის ბრძოლა საკუთარ რწმენასთან და ეს ბრძოლა არ შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ოჯახს ფუფუნება აკლია იგი მხოლოდ ცხოვრების აუცილებლობით აიხსნება. მინდიას რწმენა არ არის ბრმა რწმენა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შედარებით ადვილად შეიძლება გვერდი აუარო. იგი ცოცხალი კავშირია ბუნებასთან — ნაჯახის ყოველ შემოკვრაზე მინდიას ესმის ხის თხოვნა: „ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ, ნუ დამიბნელებ მზესაო", — ასეთ პირობებში ნებისმიერი ადამიანი შედრკებოდა. მინდიაც უდიდეს ტანჯვას განიცდის, მაგრამ ქვის გულს ჩაიდებს, ღმერთს ძალას ეხვეწება — რისთვის? — მზიას „კაპრიზების" დასაკმაყოფილებლად? — ცხადია, არა, მინდიაში შინაგანი ბრძოლა დიდხანს წარმოებს და მხოლოდ ცხოვრების აუცილებლობა აიძულებს, ასე მოიქცეს.

ამ შემთხვევას მკვლევართა ნაწილი გმირის უნებისყოფობით ხსნის. გასარკვევია მხოლოდ, რა იგულისხმება მასში: გააკეთო, ის რაც გსურს, თუ ის, რისი გაკეთებაც არ გინდა. მინდიას ხის მოკვრა არ სურს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მინდია ნადირის მოკვლისას ისეთსავე ტანჯვას განიცდის, როგორც ხის მოკვრისას. ყოველივე ეს ნებისყოფის უდიდეს დაძაბვას მოითხოვს და კვლავ მხოლოდ ცხოვრების აუცილებლობით აიხსნება.

ამრიგად, მინდიას ფიზიკური არსებობის ერთადერთი წყარო — ყანა ვერ უზრუნველყოფს ოჯახის ყოველდღიურ მოთხოვნილებას და იგი იძულებულია, სხვა გზას მიმართოს. ეს გზა კი ერთადერთია — მინდიამ ხე უნდა მოჭრას. ამ გზის ერთადერთობა მკითხველს აფიქრებინებს, რომ მინდიას ტრაგედია ბედისწერა ყოფილა. რატომ გაწირა ვაჟამ თავისი გმირი?

გავიხსენოთ ხატობის ეპიზოდი. ამ ეპიზოდში პოეტმა სამი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, პირველი — საზოგადოებამ ირწმუნა მინდიას ცოდნის ჭეშმარიტება. ეს აუცილებელი იყო, რადგან სხვა შემთხვევაში მინდიას შეიძლება ხალხის ნდობა დაეკარგა, თორემ მკითხველისათვის გველისმჭამელის ცოდნის ჭეშმარიტება იმთავითვე ნათელია. ამით პოეტმა საზოგადოების თვალში გაამართლა მინდიას ქცევა.

მეორე — „მინდიასა და საზოგადოებას შორის არ არსებობდა ისეთი შეურიგებელი წინააღმდეგობა, რომ მინდიას დაღუპვის მიზეზი გამხდარიყო". მიუხედავად იმისა, რომ მინდიასა და საზოგადოების ცხოვრებისეული თვალსაზრისი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ორივე მხარე მტკიცედ დგას თავის შეხედულებაზე, მათ შორის ბრძოლა რომელიმე აზრის გაბატონებისათვის არ წარმოებს.

მესამე — არანაკლებ მნიშვნელოვანი და მეტად საყურადღებო, კვლავ მხოლოდ ვაჟასეული გადაწყვეტა საკითხისა; — ვაჟა არ ღალატობს თავის ჩვეულებას და ამ შემთხვევაშიც ბუნების მაგალითზე აფრთხილებს მინდიას და შეახსენებს მკითხველს, თუ რაოდენ დიდი გრძნობის გამომწვევია ოჯახი — შვილების სიყვარული. ბერდიას კითხვაზე — „ნეტავ რისათვის სტირია?" — მინდია უპასუხებს: „— აგერ იმ ჩიტებს ყურს ვუგდებ,—თითით უჩვენა ჩიტებზე,... ერთი მეორეს უამბობს სიკვდილის ამბავს შვილებზე... ჩიტთაგან ერთი იმ დროსა თითქოს მოსვლოდეს რულია, სიპიდან დაბლა დაეცა და განუტევა სულია".

ვფიქრობთ, ვაჟამ ამ ეპიზოდში ნათლად გვიჩვენა, თუ რამდენად დიდია მშობლის გრძნობა. ცხოველებში ეს გრძნობა ინსტინქტია შთამომავლობის შენარჩუნებისა (ბიოლოგიური სიყვარული), ხოლო ადამიანში გონებით გათვალისწინებული და მაინც დაუმორჩილებელი უძლიერესი გრძნობა.

ვაჟამ ყველაფერი გააკეთა მინდიას „გადასარჩენად". მოარული სიკეთე იმ გზაზე დააყენა, რომელსაც გადასახვევი არც ჰქონდა თითქოს. შეზღუდა იგი ყოველმხრივ (უნდობლობა). „ახალად სული ჩაედგა, ახალი ხორცი აისხა". ყვავილთა მაგალითზე უჩვენა, რომ სიკეთე უდიდესი ღირებულებაა. ჩიტების მაგალითზე შეახსენა, თუ რამდენად ძლიერია მშობლის გრძნობა, ამით იგი უკანასკნელად აფრთხილებს გველისმჭამელს, მაგრამ... „დედას იდეალად ესახებოდა ოჯახის ფეხზე წამომყენებელ ძეთა აღზრდა, ხოლო ამგვარ იდეალს ნაკლებად შეესატყვისებოდა პოეზიის საკურთხეველზე თავშეწირული შვილის ხილვა. თუ ივარგებს, არა მგონიაო, — წერდა სვეგამწარებული ქალი და მართალიც იყო: უმცროსმა ვაჟმა ვერ გაამართლა ოჯახის იმედები, „ვერ ივარგა" (რ. თვარაძე — „გალაკტიონი". 1972 წ.).

ამავე თვალსაზრისს, ერთგვარად ქვეშეცხეულად, გამოთქვამს ვაჟა-ფშაველა თავისი გმირის— მინდიას მისამართით, — მინდია კაცად ვერ „გამასდგა". მაგრამ ეს ერთი შეხედვით მსგავსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი საფუძველშივეა რადიკალურად განსხვავებული, რადგან იგი ორი სხვადასხვა პოლუსიდანაა წარმოთქმული.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მინდიამ მსხვერპლი უნდა გაიღოს. შევნიშნეთ იქვე გამოთქმის პირობითობაც („სიკეთე ყოველთვის მსხვერპლს მოითხოვს"), რადგან ეს მოსაზრება სწორია მხოლოდ შემფასებლისათვის და არც ერთ შემთხვევაში თვით სიკეთის ჩამდენი პირისათვის. სიკეთე ისეთი ღირებულებაა, რომ მის გვერდით მსხვერპლზე ლაპარაკიც კი გაუმართლებელია იმდენად, რამდენადაც იგი მთლიანად ერთ პიროვნებას ეკუთვნის და შემფასებელმა შეიძლება საერთოდ (ან სრულად) ვერ აღიქვას. ვერ აღიქვას, რადგან „მათთვის (ვაჟასათვის, გალაკტიონისათვის — მ. შ.) ის უფრო დიდი, აუწერელი უბედურება იქნებოდა, იძულებული რომ შექმნილიყვნენ თავიანთ იდეალებზე, შემოქმედებაზე, ეთქვათ უარი და ჩვენეული გაგებით სვებედნიერი არსებობა დაემკვიდრებინათ. მინდიას ტრაგედიის ძირიც ხომ ის არის, რომ ოჯახის კეთილდღეობისათვის თავის მოწოდებას, თავის იდეალებს უგანა. „ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდი" — მწარედ უსაყვედურა ცოლს, როცა ჩასწვდა საქმის არსებას. ბრიყვები მისი ზეკაცური იდეალების ფონზე ჩანდა ის ხალხი, თორემ შეშის მოუბრელად და ნადირის მოუკლავად მთიელ კაცს რომ არ გაეძლება, ეს მინდიამაც კარგად იცოდა, რაღა თქმა უნდა, და თავად ვაჟა-ფშაველამაც" (რ. თვარაძე).

ამრიგად, მინდიამ ოჯახის კეთილდღეობისათვის „თავის იდეალებს უგანა". გასარკვევია, რა არის მინდიას იდეალი. მივმართოთ კვლავ ტექსტს: „რითი-ღა ვარგო ქვეყანას, დავცარიელდი ცოდნითა: ყვავილნი არას მეტყვიან,... აღარა მესმის ფრინველთი, აღარა მესმის ყანისა, აღარ მსმენია მას შემდეგ ტკბილი სალამი მწვანისა. ე ს ა რ ა ფ ე რ ი, სხვაფრივაც აღარ ვარგივარ არადა"...

ბუნებამ გაწყვიტა კავშირი მინდიასთან, იგი მისთვისაც დამუნჯდა, მაგრამ მინდიას ეს ფაქტი, როგორც ასეთი, არაფრად მიაჩნია. — „ეს არაფერი, სხვაფრივაც" და სწორედ ეს „სხვაფრივაც" არის გმირის უმთავრესი საწუხარი, რადგან: „ველარას ვარგებ ქვეყანას მტრის მამგერებელს ჯარშია, მიტომ, რომ წინანდებული ცნება აღარ მაქვს თავშია... დღესნამდე მტრები შინაით ვერა ძვრებოდნენ კარშია შიშით, და ეს რომ გაიგონ, მოვლენ, მიწა-მტვრად გვაქცევენ, ჩვენ სახლებს, ციხე-კოშკებსა ნაოხრად გადაქცევენ".

ბუნებასთან კავშირის გაწყვეტას მინდია განიცდის იმდენად, რამდენადაც ეს არის ცოდნის წყარო, ამ უკანასკნელის დაშრეტა კი კითხვის ქვეშაც არ აყენებს მინდიას შესაძლებლობას ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლის უნარის შენარჩუნებაში.

ამრიგად, მინდიას იდეალი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ყოფილა თურმე და ამ „თურმეს" იმიტომ ვამბობთ, რომ თვით მინდიასათვისაც შეუცნობელი იყო იგი მანამ, სანამ დამარცხდებოდა. ხოლო თუ ეს ასეა, ეს კი სწორედ რომ ასეა, მაშინ მინდია პირველ რიგში და მხოლოდ ბელადია და ყველა დანარჩენი ნიშანი ამ სახის შექმნასა და მის სრულყოფას ემსახურება. ეს არის ის „ახალი" სული და ხორცი, რომელიც პოეტმა მთლიანად ერის ძლიერების მსხვერპლად დასახა და ამაოა მასში რელიგიური ახალსაწყისისა თუ ძველი დოგმების ძიების მცდელობა.

მას შემდეგ, რაც ითქვა, თუ ვინ არის მინდია, მოკლედ განვიხილოთ პოემის სიუჟეტი: 1. მინდიამ ვერ შეძლო სამშობლოს გარეშე ცხოვრება და თავის მოკვლა გადაწყვიტა; 2. მინდიამ სიკვდილს გადააბიჯა. ვაჟამ მას სიცოცხლე შეუნარჩუნა, რათა იგი მთლიანად ერის კეთილდღეობას მოხმარდეს; 3. ყვავილთა მაგალითზე მიანიშნა მინდიას თავისი მოვალეობის სიდიდე — მინდია ძვალხორც ჩამორღვეული" ქვეყნის წამალია; 4. მაქსიმალურად ზღუდავს მინდიას საარსებო საშუალებებს, რათა მან ოჯახის შექმნაზე არ იფიქროს, არ გაუჩნდეს პირადი ინტერესები; 5. ჩიტების მაგალითზე აფრთხილებს გველისმჭამელს, თუ რა დიდი გრძნობის გამომწვევია ოჯახი; 6. მინდია ვერ ჩასწვდება თავისი მოვალეობის არსს, მისი მოწოდება არ აღმოჩნდა საკმარისი იმ დიდი როლისათვის, რომელიც მას ვაჟა-ფშაველამ მიაკუთვნა — მინდიამ შექმნა ოჯახი; 7. ოჯახის ინტერესები რადიკალურად ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს, მინდიას ტრაგედია უკვე ბედისწერაა. 8. მინდიამ ოჯახის ინტერესები დააყენა წინა პლანზე, სხვანაირად მოქცევა მას არ შეეძლო; 9. დაიღუპა და ქვეყანაც დაღუპა.

შევჩერდეთ მეშვიდე საფეხურზე და გავუკეთოთ მას უფრო დაწვრილებითი ანალიზი. ამჯერად კითხვა, რომელზედაც პასუხი უნდა გავცეთ, ასეთი იქნება: რატომ გამორიცხავენ ქვეყნის ინტერესები პოემაში ოჯახის ინტერესებს? ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ — ოჯახის ძლიერება ხომ ქვეყნის ძლიერების საწინდარია.

გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ივანე კოტორაშვილის ამბავი". პოემის მთავარი მოქმედი გმირი ივანე სწორედ ისეთი პიროვნება იყო, როგორიც მინდია უნდა ყოფილიყო. ამ რიგითი მეომრის ერთადერთ საზრუნავს სამშობლოს მტრების განადგურება და მათ წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს მხოლოდ, თუმცა მისი

ოჯახიც მეტად ხელმოკლედ ცხოვრობს. ქალების ანაბარაა მიტოვებული სახლი და როცა დედა მეფესთან შვილზე საჩივლელად მიდის, პოეტი „რატომღაც“ არ თანაუგრძნობს მას: „განა ისე რამ უჭირდა, მაგრამ ფლიდობდა ბებერიო“, ამბობს ვაჟა და აშკარაა მწერლის პოზიცია. საოცრად უხეში სიტყვაა „ბებერი“. ალბათ ისეთმა კავშირმა, როგორიცაა — ბებერი ჯუდიანი, ბებერი ჯადოქარი, ბოროტი ბებერი — გააუხეშა იგი. მხოლოდ მწერლის ინტუიცია მოუძებნის მას შესაფერის ადგილს — „ისმოდა ბებრის ეზოში“, „ბებერი მეზურნეები“. პირველ შემთხვევაში მდგომარეობის უსუსურობა (დაუსჯელი მტაცებელი) ანეიტრალებს სიტყვის სიმკაცრეს, მეორეში პროფესიის კეთილშობილებაა — შეუცვლელადაც კი მიგვაჩნია იგი, რადგან ‘ვთქვათ „მოხუცი მეზურნეები“ ზეალმატებით ფორმაში წარმოგვიდგენენ იმ გმირებს, რომელთა ხასიათის გახსნა ავტორმა თხრობის დროს უნდა მოგვცეს. აქ კი „ფლიდობდა ბებერი“-ო და პოეტი თითქოს თვითონვე ვარდება წინააღმდეგობაში, რადგან ადრე თქვა: „ღარიბი იყო ივანე... ან სად ეცალა სახლისთვის, სულ ტუე-ტუის პირად ძვრებოდა“.

განა რა გასაკვირია ან გასაკიცხი მოხუცი დედის ჩივილი, როცა ოჯახის ერთადერთი „მარჩენალი“ გარე-გარე დარბის, მაგრამ სწორედ მწერლის პოზიციიდან ჩანს მისი უბადრუკობა. ეს პოზიცია კი ქვეყნის სამსახურია — ჭეშმარიტი, უანგარო სამსახური: „შენც სამსახურსა თხოულობ, ქვეყანა უფრო მეტადა“. და არც ყაჩაღია ივანე, საშოვარზე გასული, აფშინასავით: „ხმლით დაერია ლეკებსა... ტუვეებს დაუხსნა ხელები, მისცა ლეკების აბჯარი, თავისთვის არ გაუწირავს დანაც-კი, გან თუ ხანჯარი. აბა რა გაამდიდრებდა, გუნება ჰქონდა ამგვარი!“ თუმცა ივანეს მორალური უფლებაც აქვს ნადავლზე, მის მიზანსწრაფვას სრულიად გამოურიცხავს პირადი ინტერესები. ვაჟა ამბობს „გუნება ჰქონდაო ასეთი“. სწორედ ამ გუნების არქონაა მინდიას დანაშაული თუ უბედურება, რადგან, ვინმეს თუ სჭირდება იგი, პირველ რიგში მინდიას — რა შედარებაა რიგით მეომარსა და ერის ბელადს შორის.

ორივე ნაწარმოებში კონკრეტული პიროვნებაა საზოგადოებისაგან გამოყოფილი და მათი თვისება საერთო ნიშნად არ არის მიღებული. პირველს არ გააჩნია პირადი ინტერესები, მეორეს აიძულებენ, არ ჰქონდეს იგი. ამიტომაც წარმოგვიდგება ტუვეობიდან დაბრუნებული მინდია აბსოლუტურად თავისუფალი პიროვნების სახით, თუმცა მას ჰყავს „დედა, მამა და ძმები“, ისინი მოქმედების სარბიელზე არ ჩანან. მხოლოდ ივანესა და მინდიას ოჯახებია წინააღმდეგობაში ქვეყნის ინტერესებთან, მხოლოდ მათთვის არის „აკრძალული“ ის, რაც სხვებისთვის არ ...სურველია, არამედ აუცილებელიცაა თვით ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, თუმცა უკეთესია, მოვუსმინოთ, რას ამბობს თავად ვაჟა ამ საკითხზე, ამჯერად აშკარად ყოველგვარი ლიტერატურული ხერხის გარეშე: „რატომ არ გვჯერა: თუ რომ ზოგებმა არ დავსთმეთ ქვეყნის ბედნიერება, მაშინ სოფელსა ბნელი დაჰფარავს და არსებობა გაუჭირდება. კარგებს ჰხვედრია მუდამ ბედადა დაიკლონ შვება, სმა-ჭამა, ძილი რომ უმთავრესთა ბრიყვთ და უზრუნველთ ისტორიაში ჩაიდვან წილი“ („მესტვირის ანდერძი“). კომენტარი, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

ივანე კოტორაშვილი იმ ერთეულ „კარგ“ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებზედაც აქ არის საუბარი და როგორადაც დასახა „ზეცამ“ ქვესკნელში ნაწრთობი გველისმჭამელი. შევნიშნოთ აქვე უსაფუძვლობა იმ აზრისა, რომ მინდიასეული ცხოვრების კანონები მავნეა საზოგადოებისათვის. ეს კანონები მხოლოდ ერთეულთათვისაა, პოემაში — მინდიასათვის, ძალაში.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოემა „გველის-მჭამელის“ თემად აღებულია ცხოვრება და ტრაგედია პიროვნებისა (ეს პიროვნება, უთუოდ, დადებითია), რომელიც შემთხვევით გახდა ერის ბელადი.

ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის თავშეწირულ ადამიანთა პრობლემა — ესაა პოემაში დასმული პრობლემა.

უმკაცრესი გამოცდის შემდეგ მინდია „ზეცამ“ დანიშნა ბელადად, აღჭურვა წინამძღოლისათვის აუცილებელი „ცოდნით“, მაგრამ თვით მინდიას მოწოდება არ აღმოჩნდა იმ დონეზე, რომლისთვისაც იგი დასახეს. მოწოდებაა უმთავრესი ნიშანი ქვეყნის წინამძღოლისა. ერის ბელადად მხოლოდ ის პიროვნება შეიძლება იყოს, რომლის ამქვეყნიური ცხოვრების არსს ქვეყნის კეთილდღეობა წარმოადგენს — ეს არის პოემის იდეა.

დაუმარცხებელი ბელადი გვყავს მხედველობაში, თორემ დამარცხებულ მინდიას ივანე კოტორაშვილსაც არ შევადარებთ. უბრალო მეომარია იგი და იმდენი სიკეთის მოტანა სად შეუძლია ქვეყნისათვის, რაც ცოდნით აღჭურვილ მინდიას შეეძლო, სამაგიეროდ: „მოძებნა სიპი თხელია, იმით გამოჭრა კომბალი, კარგა მოზრდილი, სქელია. და ამ ჯოხითა ორმოცს ლეკს დღე დააყენა ცხელია“. მიზანდასახულობა იმდენად მტკიცეა, რომ ერეკლე მეფისაგან იარაღაყრილი ივანე კვლავ განაგრძობს ქვეყნის მტრებთან ბრძოლას.

მინდიას სახის შექმნა ლოგიკური დასასრულია იმ მაგისტრალური ხაზისა, რომელიც ვაჟა-ფშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველას მთელ შემოქმედებას გასდევს — ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულ ადამიანთა პრობლემა („მოხუცის ნათქვამი", „ბახტრიონი", „ივანე კოტორაშვილის ამბავი", „კაი ყმა" და სხვ.).

დავუბრუნდეთ კვლავ ნაწარმოებს, კერძოდ იმ პუნქტს, სადაც ვთქვით: მინდიამ ოჯახის ინტერესები დააყენა წინა პლანზე, სხვანაირად მოქცევა მას არ შეეძლო და გავაანალიზოთ იგი. მინდიას ქცევა აქ ერთი შემთხვევით შეიძლება გავამართლოთ მხოლოდ, მან არ იცის, თუ რა მოჰყვება მის მოქმედებას (დილემა, რომლის წინაშეც დააყენა ცხოვრებამ მინდია, კონკრეტულ-კატეგორიულად ასე დგას: ან ოჯახი, ან ბუნება), მაგრამ, კიდევაც რომ სცოდნოდა, ამით იგი ვერაფერს შეცვლიდა, რადგან მინდიას ფიქრთა მსვლელობა ამ შემთხვევაში დაახლოებით ასეთი იქნებოდა: ქვეყანა ძლიერია უკვე, მტრები შიშით კარში ვერ ძვრებიან, მინდიას ოჯახს კი უცილობელი დაღუპვის საფრთხე ემუქრება, თანაც მინდიამ ბევრი გააკეთა ქვეყნისათვის და ახლა დროა, მიხედოს საკუთარ ოჯახს. ბუნებასთან მინდიას კავშირის გაწყვეტის შედეგის (იგულისხმება, რომ მინდია ქვეყანას არ გამოადგება) ცოდნა-არცოდნა უკვე ვერაფერს შეცვლის, მინდიას იგი ოჯახის შექმნამდე უნდა შეეგნო და არა მაშინ, როცა ფაქტის წინაშე დადგა, როცა უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა.

შევნიშნოთ, ყვავილი „ძვალხორცჩამორღვეულ" ადამიანთა საკეთილდღეოდ სწირავს სიცოცხლეს, მაგრამ არასდროს ამბობს, არის თუ არა ასეთი ადამიანი დღეს და თუ არ არის, ხვალამდე ვიცოცხლებო. წამალი ყოველთვის უნდა იყოს მზად, რადგან არავინ უწყის, როდის დასჭირდება იგი „ძვალხორცჩამორღვეულ" ადამიანს თუ ქვეყანას შენსას.

არჩევანი მაშინ მოხდა, როცა მინდიამ შექმნა ოჯახი. ეს არის ერთადერთი გზაგასაყარი გველისმჭამელის ხანმოკლე ბედნიერების გზაზე და აქედან დაწყებული ცხოვრებისეულ სიტუაციათა მკაცრად ლოგიკური მონაცვლეობა მთელი სისწრაფით მიაქანებს მინდიას იმ ადგილისაკენ, სადაც ერთადერთ ჭირისუფლად მთვარეღა ელოდება.

მინდიას მსხვერპლი მისი პირადი ცხოვრებაა და გველისმჭამელმა ვერ შეძლო ამ მსხვერპლის გაღება. ადამიანი, რომელიც ვერ ძლებს სამშობლოს გარეშე, ვერ ახერხებს, მთლიანად ეკუთვნოდეს მას. ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს სიცოცხლეზე ძვირფასი და უფრო ძნელად დასათმობი, მინდია ხომ ყოველწუთს მზადაა, გაიღოს იგი.

გავიხსენოთ ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი". განდეგილმა დათმო ამქვეყნიური ცხოვრება, ღმერთს შესწირა თავი. თუმცა ეს მსხვერპლი არაა უანგარო. განდეგილი ფიქრობს, ამით დაიმკვიდროს მარადიული სასუფეველი. ე. ი. ეს მოქმედება, უპირველესად, მისი პირადი ინტერესებითაა გამოწვეული, თორემ „ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა". მაგრამ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრებაც ხომ პირად ინტერესთა ერთობლიობაა და ამრიგად, განდეგილში პირადი ინტერესი დაუპირისპირდა პირად ინტერესს. ამ უკანასკნელთა სიდიდემ განსაზღვრა განდეგილის არჩევანი — მარადიულობა ირჩია და დათმო, თავისი გაგებით, უფრო მცირე—ამქვეყნიური ცხოვრება.

ამრიგად, განდეგილი პირადმა ინტერესებმა დაამარცხა. მინდიას დაცემაც ამან გამოიწვია, თუმცა პირველმა ვერ შესძლო ბოლომდე უარეყო ცხოვრება, მეორემ კი ვერ მოახერხა, მთლიანად საზოგადოების კუთვნილება ყოფილიყო — სწორედ შუალედია მათი გზა. მათთვის საზოგადოებაც აუცილებელია და არც მარადიულობა უნდა დაკარგოს ერთმა, მეორეს კი „ქვეყნის ბედნიერება" ვერ დაუთმია და კვლავაც იმ დონეზე რჩებიან „უმთავრესთა ბრიყვთა და უზრუნველთა" ხვედრად რომ მიაჩნია ვაჟას.

განდეგილი დამარცხდა, რადგან ვერ შეძლო ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა, თუმცა ეს უარყოფა მისსავე სურვილს წარმოადგენდა. ამდენად, ძნელია პირადი ცხოვრების დათმობა და მინდიასაც ასე ხელაღებით ვერ დავადანაშაულებთ.

დანაშაული თუ უბედურება? როგორ შევაფასოთ მინდიას ნაკლი. ერთი მხრივ, არ შეიძლება ადამიანს მოსთხოვო ის, რაც არ გააჩნია. მეორეს მხრივ, სახეზეა საშინელი ფაქტი ერის განადგურებისა, რომლის მიზეზი მინდიადან მომდინარეობს. დიდმა მგოსანმა არ მისცა თავს უფლება განესაჯა გველისმჭამელი. ამის დამადასტურებელია ის გაორებული ბუნება, მინდიას თვითმკვლელობის მოწმე რომაა: „მთვარეზაც გადმოაშუქა საჯიხვეების სერითა და დააშტერდა თავის-მკვლელს მოზარე ჭალისფერითა... ნიავიც მიდ-მოდიოდა უდარდოდ, ნელის შღერითა..."

მთვარე დასტირის მინდიას, ნიავს კი არაფრად მიაჩნია მისი სიკვდილი. მინდიას შებრალების საკითხი ღიად რჩება... მაგრამ მხოლოდ ადამიანთა პოზიციიდან, ის, რისი განსჯაც ვაჟა-ფშაველამ, როგორც ადამიანმა თავზე არ აიღო, ღმერთს განასჯევინა და განაჩენი სისრულეში მოაყვანინა კიდეც. გავიხსენოთ მზიას სიზმარი: „გვიშველეთ, ვიღუპებითო", ათასგნით ხალხი ჰკიოდა. მართლაც ვუყურებ, რომ მოაქვს წყალს ხალხი, ფარი, ხმალია, ათასგან ციხე ირღვევა, ქავ-ციხეებთან სახლია; ამოდენს საბრალოობას მარტო მოზარე აკლია, ჩვენ ვითომ არა გვიჭირდა, ვითომ უვნებლად ვიყვენით"...

მზია შენგელია
უცნაური პოემა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საშინელი სურათია, პოეტს წარღვნა აღუწერია სწორედ, მოზარეც კი არ დარჩენილა, მინდიას ოჯახი კი უვნებელია. გავიხსენოთ ისიც, რომ მინდიაც გამოიყვანეს თანამებრძოლებმა ბრძოლის ველიდან ხელფეხშეკრული, თითქოს მისი გადარჩენის მიზნით, თვითონ კი უკან გაბრუნდნენ. — ქვეყანა იღუპებოდა და ვის ჰქონდა იმისი თავი, მინდიას სიცოცხლეზე ეზრუნა, ან მინდია რას აკეთებდა სხვათაგან განსხვავებულს? — ეს სწორედ ღვთის სამსჯავრო იყო, მინდია და მისი ოჯახი ბოლომდე უმზერდა იმ საშინელებას, რომლის მიზეზიც თავად გახლდნენ და: „ბოლოსა ვნახეთ სახლკარით რომ ჩვენაც გავრიყენით... კაცების სახე წინ დამხვდა შავები, როგორც ფისია. ხელი მკრეს, წყალშივ ჩამაგდეს, თან გადმომძახეს ისია: „სად მოხვალ? წადი, წყალს გაჰყევ, „ბ ძ ა ნ ე ბ ა ა რ ი ს ღ ვ თ ი ს ი ა ს“ საბოლოოდ, როგორც ვხედავთ, თვითონაც იღუპებიან. მინდიას თუ დავადანაშაულებთ, კიდევ ჰო, მაგრამ ოჯახს თავისი არსებობის გარდა ხომ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის, ბავშვებს მაინც. ვაჟა ამბობს — ღვთის ბრძანება იყოო ასეთი, ღ ვ თ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა კ ი გ ა ნ უ ს ჯ ე ლ ი ა.

კრიტიკაში არაერთგზის აღნიშნულა და ვფიქრობთ, მკითხველიც ადვილად დაგვეთანხმება იმ განსაკუთრებულ ყურადღებასა თუ თანაგრძნობაში, რომელსაც ავტორი იჩენს თავისი გმირის მიმართ და მაინც, არც ერთ თავის გმირს ისე სასტიკად არ მოქცევია ვაჟა, როგორც გვე-- ლისმჭამელს; ხევსურთა ბედუკუღმართი მხედართმთავრის ერთადერთი და უკანასკნელი, სიკვდილისწინა სურვილიც შეუწყნარებელი დარჩა: „ტ უ ვ ე კბილებს აღრჭენს და ცდილობს, უნდა გაიხსნას ხელები, დიდხანსა წვალობს, გორაობს, ვარმისგან განაცხელები. ძ მ ე ბ თ ა ნ ს წ ა დ ი ა ნ ს ი კ ვ დ ი ლ ი... ღამეც გახშირდა კარგადა, ტ უ ვ ე მ აისრულა წადილი... და ამ დროს ნახა სოფლებში ცეცხლები, — ცუდი ნიშანი. გაიგო, რაც მომხდარიყო, აღარ უნდოდა მისანი. გაშრა, გაფითრდა, ცრემლი კი არ მოსდგომოდა თვალებში; სულ გულში ჩაგუბებულ> და გაბნეულა მკლავებში... ქუდს იხდის... სიტუვა ველარ სთქვა, ხმლის ტარს შაეხო ცერითა, ამოიწვადა ქარქაშით, გულს მიიბჯინა წვერითა“. და თუ არა კვლავ ეს მშვენიერება „სხეულისა“, სიტუაცია იმდენად ახლოგანცდილი და ნაცნობია, შეუძლებელია, არ მიიპყროს მკითხველის ყურადღება; მინდია ისევ იქ დგას „გუშინ რომ დავკარით ისარი“, დიახ, გ ვ ე ლ ი ს მ ჭ ა მ ე ლ ი კ ვ ლ ა ვ ტ უ ვ ე ა — ამჯერად საკუთარი უძლურების, იგი კვლავ დაშორებულია თავის ხალხსა და ქვეყანას — ამჯერად უფრო დიდი „მანძილით“, „დაბრუნების“ იმედი ამჯერადაც გადაწურულია და იარაღი მის ხელში, მრავალნაცადი და უტყუარი, ამჯერად აქტის შესაძლებლობაში ეჭვს არ ბადებს, რადგან ოვით სიტუაციის „გამეორება“ „ღვთის ბრძანებით“ მოხდა.

წრე შეიკრა.

ამ წრიდან გამოსასვლელი „ბჭე იწრო არს“, ხოლო „გზაი საჭირველ“ ფრიად“..

და რადგან ეს ასეა, მხოლოდ ასე და არა სხვანაირად, პოემის მომდევნო თავი, ეპილოგი, წრის უმარტივესი „თვისების“ გამო (იგი იქ „მთავრდება“, სადაც „იწყება“), სრული წარმატებით შეიძლებოდა ყოფილიყო მისივე პროლოგი: „გაჭირდა ფრიად ცხოვრება, სულთქვამს და ოხრავს სოფელი“...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოვარდ ტუსაშვილი

„იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმენინ საქართველო!..“

(„ისტორია არის მასწავლებელი ცხოვრებისა“)

წარსული აქტიურად მოქმედი ობიექტური რეალობაა, აწმყოს მკვებავი წყარო, ხშირად მომავლის განმსაზღვრელიც კი. ტრადიციის მარადი ცხოველმყოფელობა აპირობებს ეთნოსის ფსიქოლოგიას, დიდ ზეგავლენას ახდენს თანამედროვეობაზე. ეროვნული ისტორიის შინაარსი ორის მხრით ჭრის ორლესულივით: ასაზრდოებს ე. წ. „ახალგაზრდა ერების“ კოსმოპოლიტიკურ ინდეფერენტიზმს (შეფარული ფორმა იმპერიალისტური ნაციონალიზმისა) და ამაღორძინებელ ბიძგს აძლევს რომელიღაც „სიცალიერიდან“ გამომხტარი ნომადი ტომების პერმანენტულ შურისძიებას („კულტურისათვის შურისძიებას“) ცივილიზებული ხალხებისადმი. არც მდიდარი ნამყოა ადვილად საზიდავი ტვირთი. არაერთი მაგალითი გვაქვს, თუ როგორი სიმძიმით აწვა მხრებზე ადრინდელი დიდება მომდევნო თაობებს, — თავი რომ ვეღარ დაალწიეს დიდი წინაპრებისადმი ეპიგონურ „ცვედნობას“.

სწორედ ამ მოვლენამ წარმოშვა დრეპერის რეაქციული კონცეფცია „გახარჯული და გაუხარჯავი ენერგიის“ შესახებ, რაც უისტორიო, ახლად გამომცხვარი დამპყრობლების პერსპექტივის „მეცნიერული“ დასაბუთების (ე. ი. თვით დაპყრობა-შთანთქმის სამართლიანობის აღიარების) უბადრუკ ცდას წარმოადგენს.

სამი მთავარი ნიშანსვეტი გააჩნია ეროვნულ ისტორიას:

1. პროცესის დადგენა (ფაქტობრივ-ემპირიული კვლევა, განმტკიცებული ზუსტი განზოგადებით),

2. უკვე მოძიებულ-ინტერპრირებული პროცესის სწორი პოზიციიდან შეფასება,

3. ყოველივე მოპოებულის, ინტერპრირებულისა და დადგენილის მიტანა ფართო მკითხველამდე.

პირველი წმინდა მეცნიერების სფეროა, მეორე — მეთოდოლოგიისა, მაგრამ რა აწეხრიგებს მესამეს? აი, სწორედ აქ გამოჩნდა პარადოქსალური უცნაურობა: ერთად აღებული სამივე პრობლემა (დადგენა, შეფასება, მიტანა) ისტორიის საგანია და, მაშასადამე, ისტორია შეიცავს წმინდა მეცნიერულ ასპექტებს (დადგენა, შეფასება) და რაღაც კიდევ ისეთს, რაც ალბათ უფრო ხელოვნების ჭრილშია განსახილველი.

აღსანიშნავია, რომ ჰუმანიტარიკის სხვა დარგებს ასეთი „პარადოქსები“ არ გააჩნიათ. მაგალითად, სავსებით ადვილად, „არაპარადოქსალურად“, ემიჯნება ერთმანეთს ლიტერატურაში მხატვრული ლიტერატურა თავისი ჟანრებით, ლიტერატურის თეორია, გრამატიკა და ა. შ.

ძველ ელადაში, ბერძნულ უზენაეს სააზროვნო სამყაროში, ეპიკურ პოეზიასა (რაც ჰომეროსის ეპოქაში უდრიდა მთელ ლიტერატურას) და ისტორიას ერთი საერთო მუზა ჰყავდათ — კლიო. ბერძნული პარნასის პრინციპებზეა აგებული, აგრეთვე, ქართული საისტორიო ქრონიკების კრებული — „ქართლის ცხოვრება“.

აქვე დავძენთ, რომ დღესაც დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე ისტორია მეცნიერებასა და ლიტერატურას შორისაა მოქცეული, როგორც ორივესაგან გამოყოფილი ორიგინალური დარგი.

„ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებანი გამოირჩევიან მეცნიერულ-ისტორიული და მხატვრული ჟანრის საოცარი შეზავებით. ჩვენ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს ჩართული პასაჟები (ფრთიანი გამოთქმები, ლეგენდები, ლექსები და მისთ.). ეს საერთოდ წინაბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დამახასიათებელია. ასეთია ლეონტი მროველისა და განსაკუთრებით ჯუანშერის შრომები. ჩვენ აქ ყურადღებას მივაქცევთ ნაწარმოებებს, რომელთა დონე, პოზიცია და, რაც უმთავრესია, მიზანდასახულება სრულიად განსხვავებულია (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსები, ჟამთააღმწერელი). ესაა წარსულის ასახვა არა უარყოფის, არამედ მისი შემეცნების გზით. აქ ნამყო წარმოდგენილია აწმყოს თვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებით, უკეთესი მომავლის შესაქმნელად. აქ უკვე, — აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით რომ ვთქვათ — ისტორია პარტიულია, ნათლად გამოკვეთილი მიზნით პროპაგანდის ფორმად გამოყენებული, ჭკუის სასწავლებლად აღქმული. ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე სასულიერო-ქრისტიანულ ლიტერატურას ჰქონდა ინდივიდის ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის ფუნქცია, საერო ლიტერატურა უფრო მსოფლიო მოქალაქის — რაინდის სრულყოფას ცდილობდა, ისტორია კი აერთებდა ორივე ნაკადს.

ეს სამკუთხედი — ქრისტიანიზმი (სახარება, მარტიროლოგიების სულის სიმტკიცის ჩვენებით), „ვეფხისტყაოსანი" (ადამიანური სრულყოფისაკენ სწრაფვით) და „ქართლის ცხოვრება" (წარსულის კრიტიკული ილუსტრირებით) — წარმოადგენდა იდეოლოგიურ საფუძველს, მიმართულს „წმინდა სამებისაკენ"- საქართველო (ერთიანი ქვეყანა), ქართველები (ერთიანი ეთნოსი) და ქართველობა (ეროვნულ-თვისობრიობა, ანუ ფსიქიკური წყობა).

წარმოდგენილი იდეოლოგიური სისტემა ჯერ XVII საუკუნეში შეირყა, საერთო ლიტერატურა საკაცობრიო ინტერესებიდან ნელ-ნელა ეროვნულზე გადავიდა. სასულიერო მწერლობამ XIX საუკუნიდან კი მთლიანად დაკარგა თავისი ადრინდელი ფუნქცია.

ანალოგიურად განვითარდა „ქართლის ცხოვრების" ბედიც. ადიოდა რა ისტორიული მეცნიერება უდავოდ მაღალ საფეხურზე, იგი „ვიწროვდებოდა" ეანრობრივად, აკადემიურობა ჰბადებდა მშრალ ლოგიკას, ჩლუნგდებოდა მისი ემოციური უნარი, ისტორიული მასალის გადაცემა ფართო აუდიტორიისათვის ხდებოდა დამძიმებული აპარატის მქონე მეცნიერული გაშოკვლევის სახით. ისტორია თითქოს მხოლოდ სპეციალისტთა შეზღუდული წრისათვის იწერებოდა და არა ფართო მასებისათვის. ძველი ქრონიკებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ცოცხალი სახეები მასობრივი მკითხველისათვის სავსებით დაკარგული აღმოჩნდა.

აღნიშნული ტენდენციის პარალელურად და მისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა ისტორიული რომანი, სადაც ავტორისეული მოჭარბებული ფანტაზია „ჩაგრავდა" ისტორიულ სინამდვილეს. დავიწყებას ეძლეოდა კეთილი ტრადიცია ისტორიულ და მხატვრულ კონცეფციათა თანაფარდობისა და მიმზიდველი ერთიანობისა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში შექმნილი სიტუაცია დღის წესრიგში აყენებდა ისტორიის ასახვის ახალი ფორმების გამონახვას, რათა შესაძლებელი გამხდარიყო წარსულის მარტივად და მთლიანად გადმოცემა. ეს შემთხვევითი არ იყო. იმ პერიოდში გაღიზიანებული ეროვნული თავმოყვარეობა წარსულში ეძებდა სულიერ საკვებს. ნაციონალურ ისტორიას უკეთილშობილესი ფუნქცია დაეკისრა. მას უნდა აემაღლებინა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტიზმი და დაეხსნა იგი უსახური კოსმოპოლიტიკური განწყობილებისაგან. ეს ერთობ საჩქარო საქმე იყო, რადგან სწორედ ამ დროს უხეში ფორმით გამოვლინდა ნიჰილისტური რეციდივები, რის საპასუხოდ პარალელურად განვითარდა წარსულისადმი „ადვოკატური" გამოსარჩლების ტენდენციები. თანაც ორივე მხარე სამშობლო ქვეყნის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ნიშნით ამართლებდა თავის შეხედულებას.

ხალხის ისტორიის შესწავლაში ორივე ტენდენციას (განდიდებისა თუ დაკნინებისა) დიდი ზიანის მოტანა შეეძლო. დიდმა ილია ჭავჭავაძემ და იმჟამად ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილმა იმთავითვე გაითვალისწინეს ასეთ მიმართულებათაგან მოსალოდნელი მძიმე შედეგები და პირველ პლანზე ისტორიული წარსულის ობიექტური, პირუთვნელი შემეცნების ამოცანა დააყენეს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავდა უარის თქმას იმაზე, რომ მასებისათვის მხატვრულ ფორმებში მიეწოდებინათ მოთხრობები ქართველი ხალხის გმირული წარსულიდან, გაეცნოთ მისთვის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ბრწყინვალე სურათები.

იმ რთულ ვითარებაში დაიბადა „ისტორიული მოთხრობა", როგორც ეანრი. სახელოვანმა მამულიშვილმა იაკობ გოგებაშვილმა ამოკრიბა „ქართლის ცხოვრების" ყველაზე ეფექტური, ეროვნული და დიდაქტიკური იდეების შემცველი ეპიზოდები და შექმნა ისტორიული მოთხრობების სერია. ეს პატარა მოთხრობები, გამიზნული მცირე ასაკის ბავშვებისათვის, ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის პირობებში, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების ერთ-ერთი საჭირო ფორმა აღმოჩნდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ ისტორიკოსთა თხზულებებში უდავოდ შეინიშნება მიდრეკილება წერის მხატვრული სტილის დამკვიდრებისაკენ, მაგრამ მის შემდგომ გავრცელებას ბევრი რამ აბრკოლებდა იმპერიალიზმისა და რევოლუციების ეპოქაში.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ მთელი სამყარო შეარყია. დაემხო „ხალხთა საპყრობილე" — რომანოვების სახელმწიფო. საბჭოთა ხელისუფლებამ ეროვნული პრობლემა გადაწყვიტა — იმპერიის ჩაგრულ ერებს თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიანიჭა. ჩვენში ახალი, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია დამკვიდრდა; იგი წარმატებით ეუფლებოდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებს, პირველ რიგში — ისტორიოგრაფიას. დაიწყო კულტურული რევოლუციის ეპოქა. საბჭოური საზოგადოება უკ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვე ახლებურად გამართულ ისტორიას მოითხოვდა.

აღნიშნულ პროცესში მეცნიერულ ისტორიოგრაფიას ახალი მწერლობისათვის ახლებური საზრდო უნდა მიეწოდებინა. ქართული საისტორიო მოთხრობა ამის გარეშე ფრთებს ვერ შეისხამდა.

დიდი გარდაქმნების ეპოქაში, ქართული საისტორიო მეცნიერების დარგში, ჭარკვეული ტეხილი იყო ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (1943 წ.), მეორე ეტაპი — კვლავაც ახალი სახელმძღვანელოს შექმნა (1958 წ.), მესამე ეტაპი — „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის გამოქვეყნება, რაც 1970 წლიდან დაიწყო. ეს დიდი მოვლენები ქართულ ხინამდვილეში მშობლიური წარსულის ცოდნის არაჩვეულებრივ გავრცელებას მოასწავებდა, რაც თავის მხრივ სულ უფრო და უფრო ზრდიდა მოთხოვნილებას ისტორიულ-ეპიკური ხასიათის ნაწარმოებებსა და ისტორიულ რომანებზე.

ისტორიოგრაფიულ აკადემიზმს, რასაც განსაკუთრებით აძლიერებდა სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკის ეხოდენ აუცილებელი წინწამოწევა, მეცნიერულ სიფრთხილეს, დაემთხვა სრულიად ახალ საფუძველზე აღმოცენებული „ისტორიზმის ბუმი". ეროვნული ფესვების მოძებნა, წარსულის აქტიური შემოტანა თანამედროვეობაში გლობალური მოვლენა გახდა. დაიწყო ერთგვარი „ისტორიული . შიმშილი". ქართველ საზოგადოებაში იგრძნობოდა ერთგვარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავდა ისტორიოგრაფიის კრიზისს. პირიქით, — პოლიტიკური მომენტების ინტერპრეტაცია სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების დინამიკით უპირველეს ყოვლისა მაჩვენებელია ისტორიული აზროვნების სიმწიფისა, ნაციონალური სუბიექტივიზმის მოხსნა კი თავისთავად მიუთითებს მეთოდოლოგიური ანალიზის დახვეწა-სრულყოფაზე.

ხოლო დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, „ისტორიულ შიმშილს", იწვევდა უკვე დამუშავებული პრობლემატიკის მასებამდე მიტანის ფორმის უხერხულობა და მოუქნელობა, ე. ი. წინააღმდეგობა ISTORIA-MECNIERebasa da ISTORIA-xelovnebas shoris. ამ მოვლენას თავისი ახსნა აქვს და არა მხოლოდ ჩვენთვის დამახასიათებელი. ინგლისელთა უდიდესმა უმრავლესობამ ძველი ალბიონის ისტორია იცის ჩ. დიკენსის ისტორიული მოთხრობების საშუალებით.

საქართველოში ძირითადად ორი ფორმა განვითარდა: ისტორიული რომანი (ვ. ბარნოვი, ს. ქვარიანი, ან. ფურცელაძე, კ. გამსახურდია, დ. კასრაძე. ლ. გოთუა, ლ. სანიკიძე, რ. ჯაფარიძე და ა. შ.) და ისტორიულ-პოპულარული ნარკვევი (გ. ქიქოძე, ვ. გაბაშვილი, თ. ნატროშვილი, ვ. გუჩუა, შ. მესხია, გ. მელქიშვილი და სხვ.). პირველს მწერლური ფანტაზია ირრეალურ სამყაროს ბურუსში სძირავდა ხშირად, მეორეს კი პროკრუსტეს სარეცელივით სჭიმავდა ან ამოკლებდა შეზღუდული მიზანდასახულობა. საჭირო იყო შენივთებულიყო ანტიკური კლიოს ორი სამყარო — ისტორია როგორც რეალობა და მხატვრული ლიტერატურა როგორც ასახვის ფორმა. ერთი სიტყვით, საჭირო გახდა მწერლისა და ისტორიკოსის სინთეზი. ასეთი სინთეზური ხედვის მაგალითია მწერალ ვ. ჭელიძის „ქართლის ცხოვრების" ქრონიკები", უაღრესად საინტერესო და საყურადღებო ნაწარმოები, აგრეთვე ჯ. ღვინჯილიას ნაშრომი, მაგრამ არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ უფრო ზუსტად ფართო საზოგადოების „ისტორიზმის წყურვილის" დარწყულების საშუალებას მიაგნო მწერალმა და ისტორიკოსმა, პროფესორმა ლევან სანიკიძემ, რომელმაც მკითხველს მიაწოდა ერთობ დიდმნიშვნელოვანი ტეტრალოგია — „უქარქაშო ხმლები".

ლევან სანიკიძემ ახალ საფუძველზე და ახალი ფორმით აღადგინა „ქართლის ცხოვრების" ეანრობრივი ორიგინალობა, რომელსაც შეიძლება „უნივერსალური" ეწოდოს. ავტორმა შეგნებულად აუარა გვერდი სოციალ-ეკონომიკურ და ნაწილობრივ კულტურულ პრობლემატიკას. მან მიზნად დაისახა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების ასახვა და ცალკე ანუ მთავარ ასპექტად სამხედრო-პოლიტიკური ისტორია წარმოადგინა. თვითონ ლევან სანიკიძე თავის ნაშრომს ანოტაციაში „მხატვრულად დაწერილ ისტორიას" უწოდებს, მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ მოხდენილად შერჩეული სათაური — „უქარქაშო ხმლები" — უფრო ზუსტად ასახავს მის შინაარსს.

ზევით უკვე ხაზგასმით გვაქვს მითითებული ეროვნული ისტორიის სამი მთავარი ნიშანსვეტის ასახვის შესახებ, და როგორ ახერხებს ლ. სანიკიძე მათ დაძლევას? რასაკვირველია, ესოდენ ფართო ისტორიის მომცველ განმაზოგადებელ ნაწარმოების ავტორს არ შეიძლება ჰქონდეს ყველა პრობლემის ახლებური გადაჭრის პრეტენზია. ამ საკითხში იგი მთლიანად მიჰყვება ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევებს, მაგრამ არა პასიურად, „უქარქაშო ხმლების" ეანრობრივი ფორმა თავიდანვე გამორიცხავს ოთხტომეულის რთული მეცნიერული აპარატით დამძიმებას. მაგრამ მისი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბა-

---

ლოვარდ ტუხაშვილი
„იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმენინ საქართველო!.."

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზის სიფართოვე არავითარ ეჭვს არ აწვევს. ავტორი შესანიშნავად იცნობს ძველი და ახალი საისტორიო მწერლობის მიღწევებს, ადგილობრივ ქართულ და უცხოენოვან პირველწყაროებს, ბერძნულ-რომაულ, ბიზანტიურ, ევროპელ თუ აღმოსავლელ ავტორთა ნაღვაწს, ახალი დროის ქართული ისტორიოგრაფიის მეცნიერულ მონაპოვარს. პირველწყაროთა სიუხვე განსაკუთრებით იგრძნობა ტეტრალოგიის პირველ წიგნში. ეს გასაგებიცაა. რამდენადაც ავტორი სწორედ ძველი ისტორიის სპეციალისტია, სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ აქ ბევრი რამ მისი ძიების შედეგია.

„უკარჭაშო ხმლებში" მოხერხებულად არის წარმოდგენილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შეფარული სქოლიო"; იგი ისე მოხდენილად ზის თხრობაში, რომ მოვლენათა ურთიერთ საპირისპირო მონაცემების წარმოდგენისას ნათლად მოჩანს მათი თანაფარდობა. ამავე დროს, ანალიზში გამოკვეთილად ვხედავთ და ვგრძნობთ ავტორისეულ პოზიციასაც. ამ საკითხს უფრო ვრცლად ქვევითაც დავუბრუნდებით, აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ავტორისეული პოზიცია უაღრესად აქტიურია. ავტორი ძველ მწიგნობარ-ქრონიკოსთა დარად, წარსულს ასახავს თანამედროვეთათვის, აგრესიულია მოღალატეთა მიმართ, მიმტევებელი შემცდართა მიმართ და მეხოტბე გმირთა მიმართ.

აღსანიშნავია, რომ — თუ მოვლენათა მეცნიერული შეფასების ლ. სანიკიძისეული ანალიზის „ [illegible]ისმომცველობა" შუა საუკუნეთა ეპოქ[illegible] გადასვლისას ოდნავ ფერმკრთალდება, სამაგიეროდ მძაფრად აქტიურდება მწერალ-ისტორიკოსის პოზიცია იმავე მოვლენების შეფასებისას ეროვნულ-პატრიოტული კუთხით.

ერთი სიტყვით, ავტორი ყოველთვის არ არის თითოეული პერიოდის „ყოველ კუთხით გამჩხრეკი" (და არც შეიძლება ათასეულობით წლების ისტორიის მქონე ერის განვლილი ცხოვრების ყველა დეტალის სპეციალისტი იყო, თუნდაც ღვთაებრივი ძალის მქონე ერთეული პიროვნება), მაგრამ იგი მაინც ყოველთვის პატრიოტ დამკვირვებლად რჩება. თუმცა ესეც არის, — იმ საუკუნეთა შესახებ მსჯელობისას, რომლებიც ლევან სანიკიძისაგან და მისი თანამედროვეობის ინტერესთა სფეროდან შორს დგანან, მაინც მწერალი-ავტორი ისტორიკოს-ავტორთან არ ქმნის შეუსაბამობას და არც რამე მკვეთრ დისონანსს ნაწარმოების საერთო კომპოზიციაში.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ: ისტორიული პროცესების დადგენაში ტეტრალოგიის ოთხივე წიგნი მუარ მეცნიერულ ნიადაგზე დგას. ავტორი ან თვითონ არის მკვლევარ-ინტერპრეტატორი, ან სხვა ავტორთა მოძიებულ-დამუშავებულის ღრმად მცოდნე და ობიექტურად შემფასებელი.

ახლა, როგორ ახერხებს ლევან სანიკიძე ეროვნული ისტორიის მეორე განმსაზღვრელი ნიშანსვეტის დაუფლებას — ისტორიული პროცესის სწორი პოზიციიდან შეფასებას? შეიძლება მარტივად ვუპასუხოთ: წმინდა პარტიული, მარქსისტული მსოფლმხედველობის პოზიციებიდან! მას სწორად ესმის მწარმოებელი მასების როლი, ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავთ „დაბალი წრეებიდან" გამოსულ გმირებს, გლეხებს, მოქალაქეებს.

„უკარჭაშო ხმლებში" გათვალისწინებულია ჩვენი ერის ისტორიული თავისებურება — ნებითი თუ უნებლიე ეთნიური სიმბიოზები, ეროვნულ-რელიგიური ტოლერანტობა, რაიც საუკუნეების მანძილზე ქართველთა უნიკალურ ინტერნაციონალურ ხასიათად ჩამოყალიბდა. თუ ეს პრინციპში ზოგადსაკაცობრიო თვისება გულუბრყვილო შეცდომების წყაროდაც იქცეოდა ხოლმე, აღსანიშნავია, რომ „უკარჭაშო ხმლების" ფურცლებზე თითქმის მთლიანად დაძლეულია დეტერმინიზმი. აბსოლუტურად ზუსტი კლასობრივი მიდგომის პარალელურად, ბევრი მოვლენა ახსნილია წმინდა ფსიქოლოგიზმის საფუძვლებიდანაც.

განმარტებულია, რომ ბევრი მოვლენა ყოველთვის არ ექვემდებარება ისტორიის ზუსტ ლოგიკას. ნომადურ ტომთა პერმანენტული გარემოცვა, ვიწროშუბლიანი აღმოსავლეთის არამყარი პოლიტიკური კონიუნქტურა, აპიროებდა „ძლიერთა ამა ქვეყნისათას" ეინიანობას, მერყეობას, რენეგატობას, რაც თავის მხრით წარმოქმნიდა გაუგონარ ქარტეხილებს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თურქ-სელჩუკთა, ხვარაზმელთა, მონგოლთა და სხვა ველურთა თარეშების აღწერა და დეგრადირებული მმართველი ზედაფენის სიგიჟემდე მისული ანარქია (სამაგალითოდ — XVII საუკუნის დასავლეთი საქართველო), საიდანღაც აღმოცენებული სწრაფვა „უცხოთა მსახურებისადმი". ნაშრომში კარგადაა დანახული არისტოკრატული წრეების ჭეშმარიტი ბუნება. ნაჩვენებია, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში თავად-აზნაურობა მხოლოდ ექსპლოატატორთა კლასი როდი იყო; არისტოკრატია წარმოადგენდა პოლიტიკურ ფუნქციონერთა აუცილებელ წრეს, რომელიც თავის თავში აერთებდა ეროვნული „მეობის" თვითშენახვის, დაცვის, კულტურული სახის შენარჩუნების საერთო-სახალხო პასუხისმგებლობასაც. პოლიტიკური სიტუაცია — ხანგრძლივი დაქვემდებარება ძლიერ მეზობელზე თუ გადამთიელზე, უარაუორუმის, სტამბოლის, ისპაანის რისხვიანი გზები განაპიროებდა საქართველოს მმართველი ფენების თავისებურ გაორებას, ტაქტიკურ-მანევრულ მორჩილებას და სტრატეგიულ ზინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან შეუთავსებლობას არსებული მდგომარეობისადმი. ეს გარემოება იწვევდა პერმანენტული ღალატის რეციდივებსაც. ეს კუთხე განსაკუთრებით ძლიერადაა წარმოდგენილი „უქარქაშო ხმლებში". ე. წ. დროებითი ლოიალობის დროსაც კი (მაგალითად, როსტომ მეფის ხანა) არ შეიძლებოდა ქარქაშებში ხმლების ჩაგება; სამამულო ბრძოლათა ტაქტიკური მეთოდი იყო ყოველი კომპრომისიც, როცა მოღლილი ქართველობა სულს მოითქვამდა და ისევ მიხწვდებოდა უქარქაშო ხმალს. სხვათა შორის ფეოდალური ეპოქის გმირთა ე. წ. „ღალატის ფსიქოლოგია" ძალზე საინტერესოდაა დანახული ჯ. ღვინჯილიას ახალ წიგნშიც „გიორგი საააკაძის პიროვნება".

„უქარქაშო ხმლების" ოთხივე ტომში ზუსტადაა მიგნებული ორიენტაციის პრობლემა, ქართული სამყაროს მარადიული ფენომენი, მთელი ისტორიის მანძილზე, ორი-სამი ბედნიერი საუკუნის გამოკლებით, ეგზომი სიმკვეთრით რომ იდგა ჩვენი ხალხის წინაშე. ლევან სანიკიძის თკალსაზრისი შეიძლება ნათლად გამოიხატოს VI ს. მოღვაწის აიეტის სიტყვებით: „მე ვინატრიდი, რომ ჩვენი კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველთაძველი, სახელოვანი ძლიერება და უძლეველობა, რომ არასოდეს დახჭირვებოდეს დახმარება უცხოთაგან და გარეშეთაგან, რომ ყოველ დროს და ყოველ საქმეში, ომის დროსაც და მშვიდობის დროსაც, მხოლოდ საკუთარ თავს დაყრდნობოდეს, მხოლოდ საკუთარ თავს ეკუთვნოდეს! გარნა, რაკი ჟამთა ბრუნვითა და ბედისწერის უკულმართობით, ანდა ორივე უბედურების წყალობით, ისეთნაირ უძლურებაში ჩავვარდნილვართ, რომ სხვათა ქვეშევრდომობა აღარ აგვცდება. უმჯობესია იმასთან ვიყოთ, ვინც ჩვენს მიმართ უფრორე კეთილსასურველად მოგვეგლინება". თოთხმეტი საუკუნე ეძებდნენ სასურველ მოკავშირეს ქართველები, ჰქონდათ დიდების მწველვალებიც, სხვასაც მფარველობდნენ, დიდი სიმაღლეებიც დაიპყრეს, დაცემის ჭირიც იგემეს, მარცხის სიმწარეც, ბოლოს რას ვაივაგლახით, ჭეშმარიტი მოყვარეც მოიძიეს და... „სამარადჟამოდ ჩაესვენენ ათასწლობით ქარქაშდავიწყებული ქართული ხმლები", რადგან „ქართულ ყოფას (თუ ყოფნას), ქართულ არსებობას მაღალგანვითარებული ევროპულ-რუსული საჭურველი მოუვლიდა და უპატრონებდა". სწორი პარტიული მიდგომით, პატრიოტული თვალთახედვით ახსნა ლევან სანიკიძემ რუსული ორიენტაციაც და 1801 წლის აქტიც. ეს იყო არა ბარბაროსი ასიმილატორების „ჩემია საქართველო", არამედ ევროპული ქვეყნის მოწოდება — „ჩემთან ერთად იყოს საქართველო". მერე ის ერთმორწმუნე ხალხი დაამხობს საკუთარ, „მშობლიურ" დესპოტიას და უშველის ლუხუმს „ლაშარის გორზე შადგომას"...

კიდევ ერთი დასკვნა გავაკეთოთ: „უქარქაშო ხმლებში" ბრწყინვალედ არის დაპყრობილი მეორე ნიშანსვეტიც — მშობლიური ისტორია ათვლილია მეთოდოლოგიურად ზუსტი, პატრიოტულად გამართული რაკურსით.

ახლა შევხედოთ, როგორ მიიტანა ეს უზარმაზარი მასალა ავტორმა ფართო მკითხველ საზოგადოებამდე? ეს ხომ იმ ხალხის წარსულია, რომლის თავგადასავალსაც ავტორი იწყებს გოეთეს სიტყვებით: „მე დასაწყისი ჩემი არ მახსოვს და არც არასდროს აღვესრულები"... აქვე უნდა გავიხსენო საინტერესო ეპიზოდი: საქართველოს კომუნისტური პარტიის სიღნაღის რაიკომის ინიციატივით შეხვედრა მოუწყვეს „უქარქაშო ხმლების" ავტორს. გათვალისწინებული იყო მკაცრი, „აკადემიური" განხილვა წიგნებისა, და გამოვიდა ნამდვილი „აკადემიური სახალხო აღფრთოვანება". მკითხველებმა იერიშით აიღეს დარბაზი. ზევით „ისტორიზმის წყურვილი" ვახსენეთ. სწორედ ეს „შემოსევა" იყო ნამდვილი „საისტორიო წყურვილის" გამომხატველი სახალხო სიხარული. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ პედაგოგები, ინჟინრები, მევენახეები, მუშები, ხელოსნები, ექიმები. ლაპარაკობდნენ საქმიანად, პრეტენზიებით და ყველა იყო ერთი აზრისა — „უქარქაშო ხმლები" ქართულ მეცნიერებასა და მხატვრულ სიტყვიერებაში უდიდესი მოვლენა არისო და, სხვ. მისთ. ერთმა ჭარმაგმა კაცმა ხალხიდან იყვირა, — მე „უქარქაშო ხმლებს" ჩემი ქალიშვილის სამზითვოდ ვინახავო.

მაინც რა არის მწერალ-ისტორიკოსის ეგზომ დიდი წარმატების მიზეზი ფართო მკითხველ საზოგადოებაში? პასუხი მარტივია: ლევან სანიკიძემ უდავოდ მიაგნო იმ დიდ უნარს, რასაც ისტორიული სინამდვილის მასებამდე მიტანის ხელოვნება ჰქვია. უაღრესად მოსაწონი და მომხიბვლელია ავტორის თხრობის მანერა, ოდნავ აწეული, ამაღლებული ტონი, მაუორულ და ლირიულ სტრიქონთა მონაცვლეობით, ზოგჯერ თეთრ ლექსად ამღერებული, ხან საზეიმო, ხან გლოვის ზარივით მწუხარე და დამარისხებელი. შეიძლება ეკამათო ავტორს (ამ შემთხვევაში, — როგორც მწერალს), იქნებ გადაჭარბებულ უხვსიტყვაობად ჩაუთვალოს ვინმემ, ან ძველი ლექსიკის შემოტანაც დაუწუნოს, ლამაზ ცნებებად და სამკაულად რომ ეფინება თანამედროვე ლექსიკურ ფორმებს. დავა შეიძლება ყოველ სტილზე — კარგზედაც და ცუდზედაც, მაგრამ ფაქტი ერთია — ლევან სანიკიძისეული სტილი უაღრესად ამშვენებს მის-

---

ლევარდ ტუხაშვილი

„იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმენინ საქართველო!.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვე გააზრებულ რომანტიკულ ისტორიას. ლევან სანიკიძემ თითქმის გააცოცხლა დავითისა და თამარის სულმნათ ისტორიკოსთა სული, ასე ძალუმად რომ ათბობს მკითხველის გულს.

ლევან სანიკიძე უხვია გმირთა ქებაშიც და მოღალატეთა კიცხვაშიც. იგი მოურიდებლად ამეღავნებს ჭეშმარიტი მამულიშვილობით აღქმულ აღფრთოვანებას და ღალატისა და რენეგატობისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებასაც. ვფიქრობთ, ზოგ შემთხვევაში ემოციური ზომიერების დაცვა უფრო მომგებიანი იქნებოდა, ისე კი — გასაგებია ავტორის „ლირიკული გადახვევები". იგი სავსებით ჩასახლებულია გმირთა სამყაროში. ეს, რა თქმა უნდა, ახდენს მკითხველზე მძლავრ ზემოქმედებას. „ვღელავ და ვძრწი მათ მაგივრად, მათ მაგივრად ვფიქრობ და ვდარდობ და ღმეები მიქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები", — ამბობს კონსტანტინე გამსახურდია და ეს გამონათქვამი მთლიანად შეესაბამება ისტორიულ რომანს, მაგრამ „უქარქაშო ხმლებს", მაინც აკადემიურ ნაშრომს, გნებავთ დოკუმენტურ პროზას, რომელიც „ისტორიული სინამდვილის მხატვრულად გადმოცემას გულისხმობს", — უფრო უხდება მტკიცედ გამოხატული ნეიტრალური სქემები. აკი თვითონვე წერს ლევან სანიკიძე, რომ მისი წიგნები თავიდან ბოლომდე „რეალურ საისტორიო სამსახურში დგანანო". ჩვენ ამას დავუმატებდით, რომ ასეთი ხასიათის ნაწარმოებებში მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ჰიპოტეზური კონცეფცია და ინტერპრეტაცია. ვუმატებთ იმიტომ, რომ იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც მწერალი ლევან სანიკიძე ერთგვარად ძლევს ხოლმე მეცნიერ ლევან სანიკიძეს და ვღებულობთ გადაჭარბებულ აქტიურობას — უზადო ობიექტურობის გვერდით გაჟონილ, პატრიოტიზმით მოჭარბებულ სუბიექტურ განწყობილებას. მაგალითად, ჩვენი აზრით, მეტად მკაცრად ექცევა ავტორი მხარგრძელებს. ამ საგვარეულო სახლისადმი ხელაღებით ნეგატიური დამოკიდებულება მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. წარმოშობისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, მხარგრძელთა ოთხგანშტოებიანი ფეოდალური სახლი ქართული არისტოკრატიის ტიპიური ნიმუში იყო სენიორიებისათვის დამახასიათებელი კლასობრივი შინაარსით, რომელიც ერთსა და იმავე დროს წარმოშობდა წამებულ რაინდებსაც და რენეგატებსაც. ამ ნიშნის მიხედვით, მხარგრძელები აბსოლუტურად არაფრით განსხვავდებიან ამერეთ-იმერეთის დიდებულებისაგან. განა, ბაგრატიონთა გვარმა არ მოგვცა ტიტანი დავით აღმაშენებელი, ბრძენი ანგელოსი თამარი და მათთან — რენეგატი დაუდ-ხანიც? განა კახ ბაგრატიონთა ოჯახში არ წოვეს ძუძუ მამისმკვლელებმა — ავგიორგიმ და კონსტანტინემ? განა, ლეგენდარული ცოტნე დადიანის შთამომავლობაში არ ერია გამცემ-გამყიდველი? არისტოკრატიის პოლიტიკური პოზიცია და მისი მოქმედება განისაზღვრება მრავალი მომენტით, რომელთა შორის მეათეხარისხოვან როლსაც კი ასრულებს ეთნიურ-რელიგიური ფესვები. მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია: როგორც ჩანს, ლევან სანიკიძის შეხედულებას იზიარებდა დიდი გიორგი ბრწყინვალე, საარაკო სისასტიკით რომ მოსრა მხარგრძელთა გასაგისი ცივის მთის საზაფხულო რეზიდენციაში.

ლევან სანიკიძის წიგნების კიდევ ერთ დიდ ღირსებად უნდა მივიჩნიოთ მშობლიური ქვეყნის გარეთ გაფანტულ თუ დამპყრობთაგან გატაცებულ ქართველთა ცხოვრება-მოღვაწეობის შემოტანა მშობლიურ ისტორიაში. უფრო მეტიც — პირველად ისტორიოგრაფიაში (მხედველობაში მაქვს საქართველოს ისტორიის გაბმული, უწყვეტი თხრობა) თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა პონტოს („წიგნი ჰონტოელ ქართველთა"), ნაწილობრივ კაპადოკიას, ტრაპიზონის საკეისროს... ავტორმა მოგვცა ცდა დაკარგულ ქართველთა ბედი თუ ავბედობა საქართველოს პოლიტიკურ-ისტორიული განვითარების მთავარ პროცესს დაუკავშირდეს. ქართველები ხმალს იქნევდნენ, ან დიდ კულტურულ ღირებულებას ქმნიდნენ არა მარტო შავი კასპიის ზღვათა შორის მდებარე მიწაზე, არამედ ირანში, თურქეთში, ავღანეთში, ერაყში, ეგვიპტეში, სირია-პალესტინაში, საბერძნეთში, ბიზანტიაში, ინდოეთში, რუსეთში... ავტორი კარგად იცნობს ამ საგანზე არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას, თავის მხრივ ახალი ფაქტობრივი მასალების გამომზეურებით ამდიდრებს მას და ასე „აფართოებს" საქართველოს ისტორიის ფარგლებს. მას კარგად ესმის, რომ საქართველოს ისტორია იგივე ქართველთა ისტორიაა და მის სამანებს იქით უსამშობლოობით დატანჯული ერისშვილების უმრავლესობა მაინც ქართველთა სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა და ეწირებოდა. ლევან სანიკიძემ სწორედ ასეთი სამშობლო-დაკარგული ქართველები ამოიყვანა დავიწყების ბურუსიდან. მანვე ცრემლნარევი წუხილით დასვა ავბედითი კითხვა — „რისთვის კვდებიან ქართველები?" რას ეწირებოდნენ ბიზანტიონის კარიბჭეებთან, აზია-აფრიკის ცხელ ქვიშრობებში, ან ჩრდილოეთის ყინვიან ცის ქვეშ... სიცოცხლეში რომ ლიმონივით გამოწურავდნენ, სიკვდილის შემდგომ რომ მათ სახელებს წამჭროლავ ქარს გაატანდნენ... „ამნაირია ბედი სამშობლოდაკარგული და გაუცხოებული ადამიანისა, ღვიძლი დედა ველარ იხსენებს და დედინაცვალი აღარ ახსენებს".

კიდევ რით იპყრობს „უქარქაშო ხმლები" მკითხველის სულსა და გულს? ეს ოთხტომეული ეროვნულ მოღვაწეთა ხელთუქმნელი ძეგლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადაც საოცარი გულთბილობით გაჟღენთილ სტრიქონებში დიდებულად იკვეთებიან სახეები სამშობლოსთვის თავდადებულ მამულიშვილთა. შეიძლება, აქაც ჭარბობდეს ემოცია, იქნებ ჭარბად იმზირებოდეს ავტორის ემოცია, მაგრამ მისი მიზახდასახულობა მაინც ამართლებს პატრიოტულ პანეგირიკს, — მით უმეტეს, რომ იგი ეხება ერის სიყვარულის უზენაეს ბომონზე შეწირულ ტიტანებს — ფარნავაზს, მითრიდატეს, ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ შვიდმნათობიერს, ერეკლე მეორეს და ა. შ. ლევან სანიკიძეს ეხერხება ისტორიულ პირთა პორტრეტების შექმნა, სანიმუშოა დავით აღმაშენებლის სახე, დიდი სახელმწიფო რეფორმატორი-ხელმწიფისათვის, „გალობანი სინანულისანის" ავტორისათვის დამახასიათებელი ძალითა და ნიუანსებით. ასევე მაგნიტური მიმზიდველობით აღიქვამს მკითხველი ლევან სანიკიძის მიერ ჩინებულად გამოძერწილი პეტრე იბერიელის, გრიგოლ ხანძთელის, თამარ მეფის, გიორგი ლაშას („როგორც კაცის და როგორც მეფის"), დემეტრე თავდადებულის, ქეთევან წამებულის, დაბნეული და მოტყუებული ვახტანგ მეექვსის, სხვის კარზე ამაოდ მოაჯე სულხან-საბა ორბელიანის, მრისხანე გიორგი მეთერთმეტის და სხვა მრავალ პიროვნებათა პორტრეტს.

დიდია „უქარქაშო ხმლების" შემეცნებითი მნიშვნელობა. ამ ტეტრალოგიამ უკვე იტვირთა ფუნქცია — ქართველი ახალგაზრდობის ზნეობრივ-მორალური, ეროვნულ-პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის მისია. თანამედროვე რთულ სიტუაციაში, — როდესაც საერთაშორისო იდეოლოგიურმა დივერსიამ ისტორიზმის მეთოდის გამოყენებაც დაიწყო, როცა ერთნაირად მიუღებელია ნაციონალისტური რეციდივებიც, შოვინისტური ექსცესებიც და ნიჰილისტური ტენდენციებიც — სწორი მეთოდოლოგიური საფუძვლის, ოპტიმისტური ეღერადობის, პატრიოტული სულისკვეთების, ქართველთა პოეტურად გადმოცემული ისტორიულ-ეპიკური თავგადასავალი აქტიურად ჩადგა ჩვენი მჩქეფარე ეპოქის კეთილშობილურ სამსახურში.

დაე, მუდამ ისმოდეს ზენაარი გალობის ხმით ნაჩურჩულევი: „იქმენინ ნათელი, იქმენინ ქართველი, იქმენინ საქართველო!!!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ქურდიანი

საუკუნის დასაწყისი

კალენდარული XX საუკუნე საქართველოსთვის, ჩვეულებრივ, ერთი საათით ადრე დადგა რუსეთთან შედარებით. ქართული ხელოვნების XX საუკუნე იგვიანებდა.

კალენდარული XX საუკუნე 1901 წლის პირველ იანვარს დაიწყო. ეს ფაქტია, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებ. სამაგიეროდ, გასარკვევია, როდის დაიწყო XX საუკუნე ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამ კითხვის დასმის პირველობას ვერ დავიჩემებ. ის მუდამ იყო სადისკუსიო.

ალექსანდრ ბლოკი თავის წერილში **«Владимир Соловьев и наши дни»** წერდა:

«Я позволю себе... в качестве свидетеля, не вовсе лишенного слуха и зрения... указать на то, что уже январь 1901 года стоял под знаком совершенно иным, чем декабрь 1900 года, что самое начало столетия было исполнено существенно новых знамений и предчувствий». ასევე მძაფრად განიცადა ანდრეი ბელიმ საუკუნის დასაწყისი თავის პირველ სიმფონიაში, თვრამეტი წლით ადრე ბლოკამდე:

«Это были ни с чем не сравнимые дни... весна над Москвою стояла особенная» («Северная симфония», 1902 г.).

ორივე გენიოსი რომ კალენდარული და ლიტერატურული საუკუნეების დამთხვევაზე ლაპარაკობს და არა მხოლოდ კალენდარული საუკუნის დასაწყისზე, იხ. **Андрей Белый «начало века»**, სადაც ის განსხვავებას პოულობს 1900 წლის დეკემბერსა და 1901 წლის იანვარს დაწერილ ბლოკის ლექსებს შორის.

ეს ადამიანები, რომელთა მისნური ნათელხედვა და აბსოლუტური სმენა უეჭველია, ამ შემთხვევაში სადავო თეზისს აყენებენ.

ასეა თუ ისე, ჩვენ უკვე ვიცით რუსი სიმბოლისტების პასუხი ამ კითხვაზე.

აკმეისტების პასუხი განსხვავებულია:

თავისი უმნიშვნელოვანესი პოემის **«Поэма без героя» (1940—1962)** პირველივე ნაწილის, რომელსაც **«Девятсот тринадцатый год»** დაარქვა, მესამე თავში ანნა ახმატოვა წერს:

Приближался не календарный,
Настоящий Двадцатый Век.

(ლ. ა. ოზეროვმა ყურადღება მიაქცია, რომ ეს თარიღი არაერთხელ ფიგურირებს ახმატოვას შემოქმედებაში. მაგ. ლექსები **«Петербург в 1913 году»**, **«Маяковский в 1913 году»** და დაასკვნა, რომ **«Именно канун первой мировой войны был — по Ахматовой — предвестием нового века»**).[1]

სერგეი გოროდეცკიმაც ახალი საუკუნის დაწყება პირველ მსოფლიო ომს დაუკავშირა:

Начало века запоздало:
Пришло в четырнадцатый год.
(**«Четырнадцатый год»**)

1915 წლის იანვრის პირველ რიცხვებში (1-დან 7-მდე) სერგეი გოროდეცკიმ ლექსების წიგნიც კი გამოსცა ამ ლექსის ანალოგიური სათაურით: **«Четырнадцатый год»**.

და საერთოდ, აკმეისტებს სწამდათ, რომ:

«Первая мировая война — это исторический рубеж, с которого начинается крушение старого мира»[2].

ჩემი აზრით — XX საუკუნე რუსეთში დაიწყო 1910 წლის მარტში ალმანახ „Садок судей"-ს პირველი წიგნის გამოცემით.

ბუნებრივი კითხვაა: რატომ?

ვეცდები დავამტკიცო ეს ჰიპოთეზა.

ხაჯარო ლექციების ციკლში „Смысл современной поэзии») (1921). ვალერი ბრიუსოვი ამბობდა:

«XIX век, на заре своей, видел борьбу одряхлевшего Класицизма (или Лжекласицизма) с победоносным Романтизмом, который тогда смело крушил устарелые предрасудки и открывал новые перспективы».[3]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რა სოციალურ-ისტორიული და პოლიტიკური მიზეზებით იყო გამოწვეული რომანტიზმის შექმნა და რომელი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა ის, საქვეყნოდ ცნობილია და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ფუტურიზმის შექმნაც დროით იყო ნაკარნახევი და აი, «Около 1910 г. отчетливо сказывается упадок символизма и начинает складываться школа футуризма».[4]

მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში დაიწყო ახალი ხელოვნების ბრძოლა ძველთან. ისეთივე სასტიკი და უელმობელი, როგორც XIX საუკუნის გარიჟრაჟზე. ახალი საუკუნე თავის პირველ ლიტერატურულ განაცხადს აკეთებდა — და ეს განაცხადი იყო: ფუტურიზმი.

თავის ვრცელ მიმოხილვაში «Вчера, сегодня и завтра русской поэзии» (1922) რუსული სიმბოლიზმის ბელადი და ფუძემდებელი, ისევ უბრუნდება ამ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნავს:

«В годы перед Европейской войной в русской поэзии было, собственно говоря, только два течения, по крайне мере, два живых течения: символисты и футуристы».[5]

მოპირდაპირეთა ვინაობა გარკვეულია, ახლა გასარკვევი რჩება ამ ბრძოლის მიზეზები. მიზეზებზე მსჯელობა კი შეუძლებელი იქნება, თუ არ გავიხსენეთ ამ ორი მოწინააღმდეგე სკოლის (უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით მეთოდის) ისტორია და ძირითადი პრინციპები. აქვე ვიტყვი, რომ მე მხოლოდ გაკვრით შევეხები ამ მიმდინარეობების არარუსულ ვარიანტებს (ფრანგულს, ანგლო-ამერიკულს, იტალიურს, გერმანულს და სხვ.), რათა თავიდან ავიცილო ხანგრძლივი ექსკურსები ძირითადი თემიდან.

1. სიმბოლიზმის რუსული ვარიანტი

დიმიტრი ობლომიევსკი ასე წარმოგვიდგენს ფრანგული სიმბოლიზმის გენეალოგიას: ფრანგული რომანტიზმი—„პარნასელი" პოეტები—სიმბოლიზმი, მონოგრაფიაში «Французский символизм» М. 1973 г. და თუმცა ჟან მორეასის „სიმბოლიზმის მანიფესტი" 1886 წლის 18 სექტემბერს გამოქვეყნდა „ფიგარო"-ში, ობლომიევსკი ფრანგული სიმბოლიზმის ისტორიას სამართლიანად იწყებს 1857 წლიდან. ამ წელს გამოვიდა ბოდლერის წიგნი „ბოროტების ყვავილები".[6]

შეიძლება ამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ვინმესთვის სადავო იყოს, მაგრამ ეს ცალკე ექსკურსის საგანია.

რუსეთში სიმბოლიზმი დაიწყო დიმიტრი მერეჟკოვსკის წიგნით «О причинах упадка и о новых течениях современной русской литературы», СПБ. изд. М. О. Вольф, 1893 და ვალერი ბრიუსოვის კრებულებით «Русские символисты». Вып. I. П. М. изд. В. А. Маслова, 1894, вып. III. 1895.

მერეჟკოვსკის წიგნში იყო ძველ ფასეულობათა გადაფასების, ხოლო ბრიუსოვის კრებულებში ახალი ფასეულობის შექმნის ცდა.

ამ კრებულების ისტორია საქვეყნოდ ცნობილია, ამიტომ მის განმეორებას აღარ შევუდგებით, ყურადღებას მხოლოდ ორ საკითხზე გავამახვილებთ: ა). **რუსი** სიმბოლისტების გენეალოგია და ბ) **მათი** „მანიფესტები" (სიტყვა „მანიფესტი" ზის ბრჭყალებში, რადგან რუს სიმბოლისტებს ასეთი სათაური არც ერთი თავიანთი ბეჭდური გამოსვლისთვის არ მიუციათ).

ა. რუსი სიმბოლისტების გენეალოგია

1895 წელს „Русские символисты"-ს III კრებული გახსნა ვალერი ბრიუსოვის ხელმოუწერელმა სტატიამ: «Зоилам и Аристархам», რომელშიც ის წერდა.

«Впрочем русский символизм имел и своих предшественников — Фета, Фофанова».

მათ ამ სახელებს მალე მიუმატეს ტიუტჩევის, გრიგორიევის, ვლადიმერ სალავიოვის, სლუჩევსკის სახელები. ლამის ნეკრასოვშიც კი აღმოაჩინეს რაღაც „ბოდლერისებური" და საერთოდ ეძებდნენ წინაპრებს ლიტერატურაში, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ „მშობელ მიწაში ედგათ ფესვები".

და თუმცა გარკვეულ პერიოდში, მათი სახელებით აშინებდნენ საბჭოთა სტუდენტებს, უნდა ითქვას, რომ მათი შემოქმედება ამის საფუძველს არ იძლეოდა — სიმბოლისტების ბელადი ბრიუსოვი თავგადაკლული პუშკინისტი იყო — მისი გამოკვლევები პუშკინიანის საუკეთესო ფურცლებია, მან როგორც პოეტმა ბრწყინვალე, პუშკინისეული ლექსით გაასრულა პუშკინის დაუმთავრებელი პოემა „ეგვიპტური ღამეები". მაშინაც კი, როდესაც ის თავის კრებულებს «Русские символисты»-ს სცემდა, პუშკინის სკოლის ფრიადოსანი მოწაფედ რჩებოდა — სერგეი გინდინი ამ კრებულებში შესულ ბრიუსოვის (როგორც ცნობილია «Русские символисты» ავტორთა უმრავლესობა მისტიფიკაციაა. ეს ბრიუსოვი ბეჭდავდა თავის ლექსებს უამრავი ფსევდონიმით) ლექსებზე ამბობს:

«Да и новизна брюсовских стихов зачастую относительна, среди них много явных подражаний даже не французам

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ე. ი. სიმბოლისტების მ. ქ.), а Фету и Гейне».[7]

ეი ერთი მაგალითი, ვალერი ბრიუსოვის წერილი მიროპოლსკისადმი («Русские символисты"-ს თანარედაქტორი, ბრიუსოვის ახალგაზრდობის მეგობარი და თანამებრძოლი) მიწერილი 1894 წლის 19 ივნისს: „Самый гибельный их (ახალგაზრდა პეტერბურგელი სიმბოლისტების ალექსანდრე დობროლუბოვისა და ვლ. გიპიუსის, რომელთა თანამშრომლობა იყო განზრახული ბრიუსოვისა და მიროპოლსკის კრებულში, რისთვისაც ჩამოვიდნენ მოსკოვში) довод был следующий. Вы нарочно печатаете свой (т. е. мой и твой) недекадентские стихи, а у других декадентские. Таким образом критика, к декадентам вообще нерасположенная, начнет вас хвалить. Но это нехорошо и нечестно действовать по таким побуждениям в серъезном деле. Мерзавец (ლაპარაკია ალექსანდრე დობროლუბოვზე — რომლის გონებითა და გემოვნებით ბრიუსოვი აღფრთოვანებული იყო იმ პერიოდში; სამწუხაროდ, ამ მაღალნიჭიერმა პოეტმა, რელიგიურ სექტანტობას შესწირა სიცოცხლე. მ. ქ.) был прав, хотя, конечно, я преотчаяно защищал нас, доказывая, что символизм вовсе не новая школа, что в символическом сборнике нужны и несимволические, что, наконец, наши тоже — чорт возми — символические произведения»[8].

ახლა რუსი სიმბოლისტების «მანიფესტებსაც" მივხედოთ.

ბ. «РУССКИЕ СИМВОЛИСТЫ» ОТ ИЗДАТЕЛЯ

Нисколько не желая отдавать особого предпочтения символизму и не считая его, как это делают увлекающиеся последователи, «поэзией будущего», я просто считаю, что и символистическая поэзия имеет свой raison d'etre*. Замечательно, что поэты, нисколько не считавшие себя последователями символизма, невольно приближались к нему, когда желали выразить тонкие, едва уловимые настроение.

Кроме того, я считаю нужным напомнить, что язык декадентов, странные, необыкновенные тропы и фигуры, вовсе не составляет необходимого элемента в символизме. Правда, символизм и декадентство часто сливаются, но этого может и не быть. Цель символизма — рядом сопоставленных образов как бы загипнотизировать читателя, вызвать в нем известное настроение.

Следующие выпуски этого издания будут выходить по мере накопления материала. Гг. авторов, желающих поместить свои произведения, просят обращаться с обозначением условий на имя Владимира Александровича Маслова. Москва, почтамт, *post restante***.

Издатель
1893

ეს პირველთქმა (თუ წინასიტყვაობა) გამოქვეყნებული იყო კრებულ „Русские символисты"-ს პირველ გამოცემაში (1894 წ.) და ეკუთვნის ვალერი ბრიუსოვს (ჩვენ ის უცვლელად მოგვაქვს ვალერი ბრიუსოვის შვიდტომეულის მეექვსე ტომის მიხედვით, გვ. 27).

ძალაუნებურად გახსენდება სერგეი გინდინის სიტყვები:

«Для нас, знающих позднейшие дебюты Маяковского, Есенина, литературных групп 20-х годов, дерзость этих книжек кажется очень умеренной—в них никого не обзывают «академиками», никого не сбрасывают «с парохода современности», утверждается только, что символизм имеет такое же право на существование, как и прочие направления»[9].

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

2. ფუტურიზმის რუსული ვარიანტი

თუ სიმბოლიზმის დაბადების თარიღი 1852 (ვ. გაფრინდაშვილი) — 1886 წლებს შორის მერყეობს, ფუტურიზმის დაბადების დღედ ერთხმად არის მიჩნეული 1909 წლის 2 თებერვალი, როდესაც ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში" მარინეტიმ, რომელიც თავის მანიფესტებს ერთდროულად ფრანგულად და იტალიურად წერდა, გამოაქვეყნა „ფუტურისტული მანიფესტი» (გავიხსენოთ, რომ სწორედ „ფიგაროში" გამოაქვეყნა მორეასმა „სიმბოლიზმის მანიფესტი" 1886 წელს).

მარინეტის მანიფესტების შინაარსი და შედეგები ყველასთვის ცნობილია ჩვენში, ვისაც კი ოდესმე ისეთი წიგნი აუღია, სადაც სიტყვა ფუტურიზმი ფიგურირებს, მან კარგად იცის, რომ „ომი მსოფლიოს ჰიგიენაა, რომ „სიტყვა „იტალია" უნდა სჯარბობდეს სიტყვა „თავისუფლებას", რომ უნდა „მოვკლათ მთვარის შუქი" და ა. შ. თუმცა ძალიან სამწუხაროა, რომ მათი წარმოდგენები ნ კაპიკიანი ბროშურის ინფორმაციის დონეს არ სცილდება. მაგრამ, რას ვიზამთ, 1914 წელს მოსკოვში პატარა ტირაჟით გამოცემული კრებული «Манифесты итальянского футуризма» ადარ გამეორებულა, ხოლო ძველ ჟურნალ-გაზეთებში მიმოფანტული უფრო გვიანდელი მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიფესტების მოძებნისა და წაკითხვისათვის თავს აღარავინ იწუხებს, სიმართლე რომ ვთქვათ, არც ღირს თავის შეწუხებად.

ტიციან ტაბიძე წერდა: „ყველაზე უფრო უშედეგოთ პოეზიისათვის გაიარეს მარინეტის მანიფესტებმა. მარინეტი შეიქნა გ. დანუნციოს ეპიგონი, მისი დეკლარაციები მაშინაზე და მილიტარისტულ ლექსებზე დარჩენ მხოლოდ ნიმუშებათ ყალბი რიტორიკის და უნაყოფონი".[10]

აქ ზედმეტადაა ფერები გამუქებული, პირიქით მარინეტიმ მოახდინა გავლენა გაბრიელ დანუნციოზე („სიმღერა დარდანელზე"), პიკასოზე (1912-13 წლების ნამუშევრები); აკი თვითონაც წაიტრაბახა, ევროპულ ფუტურიზმზე ლაპარაკისას:

«Художественная революция, начатая футуристическим движением, вызвала к жизни или повляла на многочисленные передовые течения — кубизм, орфизм, дадаизм, симультанизм, зенитизм, лучизм, вортицизм, конструктивизм, имажинизм, ультраизм и т. д.». მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მარინეტისა და მისი მეგობრების პაოლო ბუცის, ლუჩიანო ფოლგორას, კორადო გოვონის, ალდო პალაცესკის, ლიბერო ალტომარეს, ლუიჯი რუსოლოს და სხვების დამსახურება მსოფლიო კულტურის წინაშე, კაცობრიობა ვერასოდეს აპატიებს მას „პიაცა მერკანტის", სადაც 1919 წლის 15 აპრილს ის და მისი მეგობარი ფერუჩიო ვეკი ხელმძღვანელობდნენ ბრძოლას და რომელიც მარინეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სოციალ-კომუნიზმზე ფაშიზმის პირველი გამარჯვება იყო". ამ დღეს იტალიური ფუტურიზმის მილიტარიზმმა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან ბრძოლის ველზე გადმოაბიჯა.

ახლა ის, რაზედაც ასე ოცნებობდა მარინეტი — ფაშისტი და ფუტურისტი. ინკვიზიტორ ტორკვატო ტასოს შემდეგ ლიტერატურას ასეთი შეურაცხყოფა არ ახსოვდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ რუსულ ფუტურიზმს.

მეოცე საუკუნე ქალაქის საუკუნეა. მოვიტანთ ორიოდე ფაქტს: 1850 წლიდან 1920 წლამდე პარიზის მოსახლეობა 1053 ათასიდან 2806 ათასამდე გაიზარდა, ნიუ-იორკის მოსახლეობა 696 ათასიდან 5600 ათასამდე, ჩიკაგო — 30 ათასიდან 2702 ათასამდე. ბერლინის მოსახლეობა 1891-1910 წლებში 931,1 ათასიდან 3735 ათასამდე გაიზარდა.[11]

ცხადია, ქალაქის მოსახლეობას ვეღარ დააკმაყოფილებდა ძველი ხელოვნება, რომელიც უმთავრესად პასტორალურ-ბუკოლიკური იყო.

ამას სხვებზე ადრე იმპრესიონისტები და სიმბოლისტები მიხვდნენ, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში და აი, ჯერ ვან გოგი თავის თვალისმომჭრელ ტილოებში, შემდეგ კი ემილ ვერჰარნი თავის პოემებში — აცოცხლებენ ჩვენი საუკუნის წინა დღის კაპიტალისტური ქალაქის კოშმარებს. დიდი პარიზით შთაგონებულმა ამ ორმა ნიდერლანდელმა საოცარი მხატვრული ძალით დაგვიხატა ადამიანის დამბეჩავებელი მექანიზმი, მანქანა. მათი წიგნების ფურცლებიდან თუ ნახატებიდან გადმოდიან და გვესაუბრებიან გამოფიტული, დაჩიავებული და დაბეჩავებული, თუჯისგონებიანი არსებანი: მაღაროელები, ფეიქრები, ცეცხლფარეშები, ზეინკლები, კახპები — ყველანი, ვინც ოდესღაც ადამიანად იწყებდა ცხოვრებას, ახლა კი ფსიქიატრიის სახელმძღვანელოში დახატული იმბეცილის თვალებით შემოგვყურებენ და ამაოდ ცდილობენ გაიგონ რამე: მათი ტვინი აუტანელი ცხოვრების ხელითაა დასაჭუჭყისებული. ვხედავთ მათ მაზუთიან, გაზინთულ ტანსაცმელს, კრამიტ და ფანჯრებჩალეწილ ბარაკებს, გვესმის შახტში მომხდარი კატასტროფის მაუწყებელი სირენები. დავდივართ მატარებლის ლიანდაგებით დასერილ და მაზუთის გუბეებით დალაქავებულ ჭარხნის ეზოში თუ „ათაშანგით პირდაპმულ ქუჩებში", უჩვეულო, შემზარავი ფანტასმაგორით გაოგნებულნი.

და მაინც მათ მიერ დახატული ქალაქი ვიზიონერის დახატული ქალაქია. ეს არის ქალაქის გარეგნული სახე. ქალაქის შინაგანი ბუნება, მისი ცხოვრების ტემპი კი ამ ხატვრებს არ შეეძლოთ გადმოეცათ მათი სკოლის შეზღუდულობის გამო (ი. ზდანევიჩი).

და აი ქალაქმა თვითონ შექმნა თავისი ხელოვნება.

თუმცა სიტყვა გაგვიგრძელდა, რუსული ფუტურიზმი უნდა დაგვეხასიათებინა.

ის, რომ რუსულ ფუტურიზმს არ შეიძლებოდა ისევე ჰყოლოდა წინაპრები, როგორც რუსულ სიმბოლიზმს, ცხადია, ამიტომ ჩვენ ორ საკითხზე გვაქვს გასამახვილებელი ყურადღება: ა). რუსული და იტალიური ფუტურიზმის ურთიერთობა და ბ). რუსული ფუტურიზმის მანიფესტები.

ა). რუსული და იტალიური ფუტურიზმის ურთიერთობა

მოვუსმინოთ რუსული ფუტურიზმის მკვლევარებს:

ნ. პლისკო წერს:

«Футуризм русский в отличие от итальянского, носившего агрессивно-буржуазный характер, явился в основном выражением опозиционно настроенной мелкобуржуазной интеллигенции эпохи империализма. Отсюда наличие в нем некоторых бунтарских, революционных настроений, которые имели край-

не индивидуалистический и анархический характер»[12].

სბატეი გინცის აზრით:

«Футуризм был мелкобуржуазным формалистическим направлением в искусстве, распространившимся почти одновременно во многих странах Европы, однако проникнутым самыми разными политическими тенденциями.

Появился футуризм в Италии (в 1909 году), где и получил свое название. Русский футуризм, шедший своими путями, первоначально назывался, по слову Хлебникова, «будетлянством» (от слова «будет»). Вскоре он тоже принял название футуризма.

У русских футуристов, у группы «Гилея» (ჯგუფი, რომელშიაც გაერთიანებული იყვნენ ბურლიუკები, ხლებნიკოვი, მაიაკოვსკი, კამენსკი, კრუჩიონიხი და ა. შ.), или гилейцев, или кубофутуристов, как назвали их позже за близость их позиции к позиции кубистов в живописи, в противоположность итальянским футуризмом были сильны демократические, антиимпериалистические тенденции».[13]

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს რუსული ფუტურიზმის პოლიტიკურ ორიენტაციაზე, რომელიც იტალიელი ფუტურისტების პოზიციის პოლარული იყო.

ვნახოთ, რას ამბობენ თვით რუსი ფუტურისტები:

ვლადიმერ მაიაკოვსკი:

«Между русским и итальянским футуризмом и существует общее и нет. Русский футуризм ставит своими задачами: 1. формальную разработку материала. 2. Применение этого формально обработанного материала для практических нужд. В области формальных методов сходство между итальянским и русским футуризмом есть: заводы Тульский, например, и заграничные Крезо выделывают оба оружие, цель применения которого, однако, различна. Различие существует и в целях.

Мы держимся за название футуризм потому, что это слово является для многих флагом, к которому они могут собраться. (Для многих это слово может быть, конечно, и пугалом). Когда наше осознание будет осознанием массы, то мы откажемся от этого термина.

Нужно обратить внимание и на то, что футуризм является для нас названием родовым. Частное наше название — комфуты (комунисты-футуристы). Идеологически мы с итальянским футуризмом ничего общего не имеем. Общее есть лишь в формальной обработке материала»[14].

მახალის ფორმალურ დამუშავებაში რუს და იტალიელ ფუტურისტებს საერთო მართლაც ჰქონდათ: ეს შეეხება, ერთი მხრივ, ლექსის მხოლოდ არსებითი სახელებით აგებას. მაგ. მარინეტის „Битва при Триполи“ (რუსულად ითარგმნა 1915 წელს) ან «Zang–tumb–tumb» ეს უკანასკნელი ბალკანეთის ომის ეპოქას ეხება. მასში მარინეტი ზმნას მათემატიკური ნიშნებით ცვლის:

«Горизонт = ярчайшему свету солнца +5 треугольных теней +3 ромба розового цвета +5 фрагментов холмов +50 колонн +23 вспышки огня». მარინეტი თავისი მხატვრული ნაწარმოებების სტილს თავის თეორიულ წერილებში ხსნიდა:

«За существительным должно следовать без соединительного речения существительное же, связанное с первым аналогией: примеры: Мужчина Миноносец, женщина залив, толпа прибой». და ა. შ.

მარინეტის გარდა, ასეთ ლექსებს წერდა ლიუჩიანო ფოლგორა. ანალოგიური ცდები რუსეთში ჰქონდათ ველემირ ხლებნიკოვს და „41°“-ს წევრებს (უზმნოდაა დაწერილი აგრეთვე, აკმეისტების ბელადის ნიკალაი გუმილიოვის «Мадригал полковой даме»). „ზაუმზე“ ალბათ, ცალკე მოგვიწევს ლაპარაკი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რუსული ფუტურიზმის ზაუმმა, მაგ. ხლებნიკოვი:

Лельга, оньга, эхамчи!
Ричи чичи чичичи!
Лени нули эли али!
Бочикако никако
Никакоко кукаке!
Кукарики Кикику!
Пипа пупи пигиги!
Мород, мород, миучали
Капа, капа, кап!
Эмч, амч, умч!
Думчи, дальчи, дольчи!

ან ვასილი კამენსკი:

Арымар-хары-мар,
Перегары-бар-быр,
Шрарь-да, жги-да,
Жарь-да, жри-да!
И-эхыча да эхыча,
Приехал ча да ча,
Запевай!

(ამჟამად ეს ვიკმაროთ; კრუჩიონიხის, ზდანევიჩისა და ტერენტიევის ამგვარ ლექსებს ქვემოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიყვანთ) და თეორიებმა (კრუჩიონიხი და სხვ.) გავლენა მოახდინეს იტალიური ფუტურიზმის მანიფესტებზე, მაგ. „Искусство шумов" (1913), ლუიჯი რუსოლოხი და პრაქტიკაზე მაგ. ალდო პალაცესკის ლექსები:

«La fontana malata», «Oro, Doro, Dedoro», «Ara, Mara, Amara». და ა. შ.

აქვე უნდა ითქვას, რომ სიმბოლისტებისაგან განსხვავებით, რომლებსაც თავიანთ უცხოელ კოლეგებთან მეტად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ, რუსი და იტალიელი ფუტურისტების პირადი დამოკიდებულება ყოველთვის დაძაბული და არა კეთილმეგობრული იყო. ამის ბრწყინვალე გამოვლინებაა მარინეტის ვიზიტი რუსეთში:

1914 წლის 13 თებერვალს, როდესაც მარინეტი „თავისუფალი ესთეტიკის საზოგადოებაში" კითხულობდა თავის ლექციას, დავით ბურლიუკმა და მაიაკოვსკიმ ობსტრუქცია მოუწყვეს მას.

ამ დღეს თითქმის ათი წლის შემდეგაც, 1923 წელს ხიამაუით იგონებს მაიაკოვსკი:

«Российские футуристы окончательно разодрали с поэтическим империализмом Маринетти, уже раньше просвистев его в дни посещения им Москвы (1913 год). (მაიაკოვსკის თარიღი ეშლება, როგორც ვთქვით ეს მოხდა 1914 წლის 13 თებერვალს).[15] რუსული ფუტურიზმის ლოზუნგად იქცა გენიალური ფრაზა: „Воистину Россия Футуричнее Маринетти", რომელიც რუსმა ფუტურისტებმა უთხრეს მარინეტის მოსკოვში. ვფიქრობ, რუსულ-იტალიური ფუტურიზმის ურთიერთობის შესახებ — რაღაც, გარკვეული წარმოდგენა უკვე შეიქმნა. რა თქმა უნდა, ფაქტებისა და თარიღების ერთისამად გაზრდა შეიძლებოდა, მაგრამ ისინი ბევრს არაფერს შეცვლიდნენ, მხოლოდ შეავსებდნენ ამ თავის მახალას.

ბ. რუსი ფუტურისტების მანიფესტები

ფუტურისტები საერთოდ თაყვანს სცემდნენ მანიფესტებს, იტალიელ ფუტურისტებზე ხუმრობდნენ, რომ მათ ლექსებზე მეტი მანიფესტები დაწერეს. მანიფესტებს რუსი ფუტურისტებიც ხშირად წერდნენ:

«Пощечина общественному вкусу» (1912). «Садок судей II»; «Пощечина общественному вкусу» (1913), «Идите к черту!» (1914); «Декрет № 1 о демократизации искусств (заборная литература и площадная живопись)» (1918)... თუმცა უკვე სათაურები ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებენ, თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ რუსი ფუტურისტების პირველი მანიფესტი თავიდან ბოლომდე უცვლელი სახით, თუ რატომ, ამაზე ქვემოთ:

«ПОЩЕЧИНА ОБЩЕСТВЕННОМУ ВКУСУ»

Читающим наше Новое Первое Неожиданное.

Только мы — лицо нашего Времени. Рог времени трубит нами в словесном искусстве.

Прошлое тесно. Академия и Пушкин непонятнее иероглифов.

Бросить Пушкина, Достоевского, Толстого и проч. и проч. с парохода современности.

Кто не забудет своей первой любви, не узнает последней.

Кто же, доверчивый, обратит последнюю любовь к парфюмерному блуду Бальмонта? В нем ли отражение Мужественной души сегодняшнего дня?

Кто же, трусливый, устрашится сташить бумажные латы с черного фрака война Брюсова? Или на них зори неведомых красот?

Вымойте ваши руки, прикрасавшиеся к грязной слизи книг, написанных этими бесчисленными Леонидами Андреевыми.

Всем этим Максимам Горьким, Куприным, Блокам, Сологубам, Ремизовым, Аверченкам, Черным, Кузьминым, Буниным и проч. и проч. нужна лишь дача на реке. Такую награду дает судьба портным.

С высоты небоскребов мы взираем на их ничтожество...

Мы приказываем чтить права поэтов:

1. На увеличение словаря в его объеме произвольными производеными словами (Слово-новшество).

2. На непреодолимую ненависть к существовавшему до них языку.

3. С ужасом отстранять от гордого чела своего из банных веников сделанный вами Венок грошовой славы.

4. Стоять на глыбе слова «Мы» среди моря свиста и негодования.

И если пока еще и в наших строках осталось грязные клеима ваших «здравого смысла» и «хорошего вкуса», то все же на них уже трепещут впервые Зарницы Новой Грядущей Красоты Самоценного (самовитого) Слова.

Д. Бурлюк, Александр Крученых,
В. Маяковский, Виктор Хлебников.

Москва. 1912. декабрь»[16].

მიხეილ ჟურდიანი
საუკუნის დასაწყისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწყვეტი კიდევ ერთი ფუტურისტის პირადი მანიფესტიდან.

«1. Я футурист, и не отрекусь отъ истины, ибо футуризм есть основа и первое дитя XX века»[17].

ვფიქრობ, საკმარისია.

თავს უფლებას მივცემ, ჩავთვალო, რომ პასუხი კითხვაზე: რატომ დაიწყო მეოცე საუკუნე რუსეთში მაინცდამაინც 1910 წელს? გაცემულია.

ახლა მოგვიწევს პასუხის გაცემა კითხვაზე: როდის დაიწყო XX საუკუნე საქართველოში?

გალაკტიონმა ამ კითხვას უპასუხა ლექსით — „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია".

წიწამურში რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა გათავდა დიდი,
ძველი სიმღერა და იდილია,
ფანტასტიური გამოჩნდა ხიდი.
მოჰქონდათ წინათ პასტორალები,
ბაღთა მნათობით გადამთოვრება,
როგორ ოხრავდნენ მათზე ქალები,
რა მშვიდი იყო მათი ცხოვრება.
დრო იყო: ომის აუსახველი.
დღეებს იმედი ესაკიდება,
რა მძლავრად ქუხდა მათი სახელი,
რა დიდი იყო მათი დიდება.
დადგა ცხრაას რვა, ახალი ლანდი
ჩემთვის სიზმრებში უცნობია ჯერ.
ახალი წვიმა, ქარი, „დალანდი"
და მთელი ხანა წიგნის: «Grâne aux fleurs»
1920 წ.

თამაზ ჩხენკელიც ამ მომენტზე ამახვილებს ყურადღებას: „ქართველი ხალხის შეგნებაში XIX საუკუნეს მიჯნა დაუდო დიდმა ეროვნულმა კატასტროფამ — ილიას მკვლელობამ... და თუმცა ჯერ კიდევ კარგა ხანს ეღერდა ვაჟა-სა და აკაკის ჩანგი, 1907 წლის შემდგომი პერიოდი „თვისობრივად ახალი პოეზიის" (გ. ახათიანი) ჩასახვისა და მომზადების ნიშნით იყო აღბეჭდილი...

1915 წელს მიიცვალნენ ვაჟაცა და აკაკიც, XIX საუკუნის ქართული პოეზიის უკანასკნელი მოჰიკანები და საცნაურია, რომ სწორედ იმავე წელს დაიბეჭდა გამოჩენილი ახალგაზრდა პოეტების პირველი შედეგრები, ხოლო მომდევნო წელს დაარსდა ჟურნალი „ცისფერი ყანწები", რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი ქართული პოეზიის შექმნასა და დადგინებაში"[18].

გალაკტიონი XIX საუკუნეს ამთავრებს 1907 წლით, მომდევნო წლით კი იწყებს XX საუკუნეს.

თამაზ ჩხენკელიც 1907 წლით ამთავრებს XIX საუკუნეს, 1915 წლით კი XX-ს იწყებს.

რევაზ თვარაძეც წერს: „მისი (გალაკტიონის, მ. ქ.) ჭეშმარიტი შემოქმედება 1915 წლიდან იწყება. ამ წლიდანვე იწყება მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ნამდვილი ისტორია".[19]

რევაზ თვარაძეც იზიარებს აზრს, რომ 1908-1914 წლები მოსამზადებელი პერიოდი იყო XX საუკუნისა.

თავს უფლებას მივცემ ჩემი მოსაზრება წამოვაყენო: ლიტერატურული XIX საუკუნე საქართველოში გაგრძელდა 1913 წლის 19 მაისამდე, ხოლო 1916 წლის 28 თებერვალს დაიწყო XX საუკუნე.

ახლა არა მარტო ბუნებრივი კითხვა: რატომ?

არამედ დამატებით კიდევ: საიდან ასეთი ზუსტი თარიღები?

ვეცდებით დავამტკიცოთ ეს ჰიპოთეზაც.

„პირველი ლიტერატურული ორგანო, რომლის ირგვლივ გაერთიანდნენ ქართული ლიტერატურის ახალი პერიოდის დამწყებნი, იყო ჟურნალი „ოქროს ვერძი", რომლის პირველი ნომერი 1913 წლის 19 მაისს გამოვიდა, ხოლო უკანასკნელი მეხუთე — 30 ივნისს. ჟურნალში თანამშრომლობდნენ გ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, ალ. აბაშელი, ს. კლდიაშვილი, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი და სხვ. ეს ჯერ კიდევ არ იყო სიმბოლისტური მიმდინარეობის ორგანო, მაგრამ ეს იყო ლიტერატურის ახალი გეზისათვის მებრძოლი ორგანო".[20]

თვით სახელწოდება პაოლო იაშვილის ამ ჟურნალისა — „ოქროს ვერძი" არაორაზროვნად იწვევს ასოციაციას რუსი სიმბოლისტების ჟურნალთან «Золотое Руно» (1906—1909).

ჟურნალში ფიგურირებენ: რ. ვაგნერის, ა. ბელლის, ოსკარ უაილდის, კ. ბალმონტის, ვ. დელილ-ადანის, ი.ბალტრუშაიტისის ი. სევერიანინის და სხვათა სახელები. მათი, ვისი შემოქმედების პროპაგანდა შემდგომ გახდა ერთ-ერთი მიზანი ქართველი სიმბოლისტებისა (ი. კენჭოშვილი).

ამ ჟურნალის გამორჩეულობას მშვენივრად გრძნობდა ქართული მოდერნიზმის ბელადი, რომლის მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობა სოლიდურს ხდიდა ამ ჟურნალს. მესამე ნომერში დაბეჭდილ „წერილში რედაქციისადმი", მან განაცხადა: „საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო, — წარმოვთქვი ერთხელ: და ამ სიტყვების სიმართლეს დღითი-დღე უფრო ვგრძნობ, მაგრამ რენესანსი იგი ჯერ კიდევ ქაოსისა და ფორმის ბრძოლაში აშკარავდება და კიდევ ბევრი დროა საჭირო, რომ ფორმამ სავსებით ხძლიოს ქაოსს..."[21]

ჩვენს მიერ ზემოთჩამოთვლილი ქართველი, თუ უცხოელი მწერლების სახელები აშკარად მოწმობენ, რომ XIX საუკუნე დამთავრდა საქართველოსთვის. 1916 წლის 28 თებერვალს ქუთაისში გამოვიდა ჟურნალ „ცისფერი ყანწები"-ს პირველი ნომერი. ასე დაიწყო XX საუკუნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თქმა უნდა, ეს სამი წელი ამ ორი ჟურნალის გამოცემათა შორის არ ყოფილა ცარიელი. ჩვენ ამაზე ვიტყვით თავის დროზე.

ვიდრე თვით ამ ჟურნალზე და მის ავტორებზე ვიტყოდეთ რამეს, მოვისმინოთ რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი აზრი მასზე.

ხოხო ასლანიშვილი: „მათი გამოსვლა იყო ახალი მოვლენა არა მარტო ქუთაისისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, ვინაიდან მათი სიტყვა იყო ახალი სიტყვა, სიტყვა მძლავრი და შეუდრეკელი. ეს იყო ახალი სიო, ახალი მიმართულება ჩვენს მწერლობაში, სახელდობრ— ქართული მოდერნიზმი“.22

პროფ. სერგი ჭილაია: „ცისფერყანწელები“ — ეს ტიპიური რეაქციულ-სიმბოლისტური სკოლა იყო. „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ჯერ კიდევ 1916 წელს გაფორმდა და მაშინვე შეუდგა დასავლეთ ევროპისა და რუსული ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის, სიმბოლისტურ-რეაქციული სკოლის იდეების პროპაგანდას“.23

რევაზ თვარაძე: „... ის ჟურნალი („ცისფერი ყანწები“ მ. ქ.) საიმდროოდ გამომავალ ყველა ბეჭდვითს ორგანოზე საინტერესო გახლდათ, საიმდროოდ მოქმედ პოეტთა ყველაზე ნიჭიერ ჯგუფს აერთიანებდა...“.24

ყარიბი: „1916 წლის ერთ კვიმატიან დღეს ქუთაისის ბულვარზე გაჩნდა მწერალთა დასახელებული ჯგუფი. მან გამოსცა, რაღაც უფერული რვეული „ცისფერი ყანწების“ სახელით, რომელშიც გარდა „პირველი თქმისა“ რაც იგივე „მანიფესტია“, შიგ იყო რამდენიმე პორნოგრაფიული ლექსი და ქართულ ლიტერატურისა და ლიტერატორების დაუსრულებელი ლანძღვა-გინება.

ამ ახალგაზრდების ჯგუფი რომ სადმე სხვაგან, აი თუ გნებავთ თბილისში, გაჩენილიყო, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მის მობრძანებას ვერც კი შეამჩნევდა ვინმე. აბა საქართველოს დედა-ქალაქში, რევოლუციის კერა ტფილისში, ვის ეცალა ასეთ რასმესთვის?

მაგრამ მეწვრილმანეებისა და მეგმწვანილეების ქალაქში ასეთი რამეც ღვთის წყალობათ უნდა მიეღოთ. ამ დროს, ალბათ, ქუთაისს აკლდა საპორიკანო მასალა. ბულვარზე მოხეტიალე უსაქმო „ბაზოგადოება“ აბა როგორ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას და „ყანწელებიც“ ნამდვილ გმირებად გადაიქცნენ“.25

აქ ალბათ ბოდიშის მოხდა მომიწევს უკანასკნელი ციტატის ავტორის ნაცვლად, იმდენად აუტანელია მისი სტილი. ცხადია, ასეთ მოქართულეს არც აკაკი მოეწონებოდა და არც პაოლო იაშვილი ან ნიკო ლორთქიფანიძე ეგნატე ნინოშვილთან შედარებით. თუმცა ის უნდა გვეთქვა, რომ ეს ოთხი აზრი, ახასიათებს მთლიანად ორივე ბანაკს. ამიტომ ქებისა თუ საგინებელი სტატიების შემდგომი ციტირებისაგან თავს შევიკავებთ.

რა არის, რა მოხდა ასეთი არაჩვეულებრივი, მნიშვნელოვანი? იკითხავს ვინმე. — ბევრი არაფერი. ახალი საუკუნე დაიწყო მხოლოდ. დაიწყო ქუთაისში.

„1915 წლის დასაწყისში ქუთაისზე ელვის სისწრაფით გაისმა ვით შორიდან მოსულ ფრინველთა სიმღერა ახალ მხატვრულ სიტყვის ქადაგება. ქუთაისი აფორიაქდა. უჩვეულო ქალაქია: — ეს — უცილობლად მეტაფიზიკურ „ობივატელობის“ გენიალური გამოხატულებაა, — და მასთანვე განსაკუთრებულათ თავისებური... ჭეშმარიტად და ტრაღიკულია ქუთაისი თავის „ობივატელობაში“... და ქუთაისის „აფორიაქება“ საპასუხოთ ამ ახალ სიტყვის ქადაგებაზე ბუნებრივი მოვლენა იყო.

ის ახალგაზრდები, რომლებმაც თავის ახალი სიმღერით დაარღვიეს ქუთაისის ქუჩების უდარდელი სიმშვიდე, იყვნენ ახლად გამოსული მგოსნები: პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე. ცხოვრების განცდათა მოდერნისტული სტილი სამხატვრო სიტყვის მწყობრ განსახიერებაში — აი რა იყო იმათი აღთქმის ახალი ხაზი და ქუთაისის დუქნები უცბათ გადაიქცა პარიზის სალიტერატურო კაფეებათ, სადაც არღნის ხმასთან და აუცილებელ „მრავალ ჟამიერ“-თან ერთად გაისმა საუვარელი სახელებიც: ედგარ პოე და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ხოზე-მარია ერედია და ემილ ვერხარნი, კონსტანტინ ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელლი და ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანნენსკი და ალექსანდრ ბლოკი და სხვ.“26 (წერილი: **«Грузинский модернизм»**).

როდესაც რუსეთში დაიწყო XX საუკუნე, მისი ლიტერატურა მყარად იდგა მსოფლიო ლიტერატურის გიგანტებს შორის. სიმბოლიზმი, რომელიც მიჯნავს ორ საუკუნეს XIX და XX-ს, თანამედროვე რუსეთის ლიტერატურული სახე იყო. სიმბოლისტებმა გამოიყვანეს რუსეთი ევროპის სცენაზე და თუ ადრე რუსეთის ცხოვრებაში დიდი მწერლები იშვიათად გამოჩნდებოდნენ ხოლმე, სიმბოლიზმმა უცბად მისცა მას მსოფლიო მნიშვნელობის მწერლები. რაც შეეხება მათ ფართო ერუდიციასა და მაღალ ინტელექტს, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ: ბრიუსოვის, ბალმონტის, ანდრეი ბელლის, ვიაჩესლავ ივანოვის, ალექსანდრ ბლოკის კულტურა და განათლება ზოგიერთი ქვეყნის მთელ აკადემიას ეყოფოდა. აქ არ არის გადაჭარბება: აი, რას წერს ამაზე ტიციან ტაბიძე: „(ვალერი ბრიუსოვის მ. ქ.) უნივერსალობა და დიდი ერუდიცია, რომელიც უჩვეუ-

---

მიხეილ ქურდიანი

საუკუნის დასაწყისი

ლოა რუსეთის მწერლისათვისაც კი (თუმცა ამ შემთხვევაში რუსეთს საქვეყნო რეკორდი აქვს აღებული, რასაც ამოწმებს ე. ვერჰარნი)...“27. ცხადია რომ ფუტურისტების მოსვლისათვის რუსეთში უკვე საკმაოდ განვითარებული და კულტურული აუდიტორია იყო. ეხეც სიმბოლისტების ორი თაობის დამსახურებაა.

თუ როგორი უკულტურობის პირობებში მოუხდათ (აქ ფართო მასების უკულტურობა იგულისხმება და არა რჩეულთა) გამოსვლა რუს სიმბოლისტებს, რა მძიმე ბრძოლების გადატანამ მოუწია მათ მეშჩანურ-ობივატელურ საზოგადოებასთან, მკერმეტყველებს ასეთი ფაქტი:

«Когда вышел первый номер журнала «Весы», один критик язвительно насмехался над их фронтисписом, называя его «Мистико-астрономически-символическим произведением», и «соображал» что имеет дело с «эмблемой декадентского творчества», а в заключение предлагал премию тому, кто разгадает смысл рисунка. На беду, фронтиспис «Весов» был воспроизведением миниатюры XIV века из молитвенника (Livre d'Heures) графа де Берри, о чем сообщалось в оглавлении каждого номера журнала. Мораль в любой вещи каждый видит то, что увидеть хочет»[28].

ეს ადგილი ბრიუსოვის მოგონებიდან არა ერთხელ გაგვახსენდება, როდესაც გადავხედავთ ქართული კულტურის მდგომარეობას წინა მოდერნისტულ პერიოდში და მის რეაქციას მოდერნიზმზე.

რევაზ თვარაძემ თავის წიგნში „გალაკტიონი“ ცხრაასიანი წლების დამდეგის „ბესტსელერების“ სია მოგვცა, სია თუმცა არასრულია, მაგრამ სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართველი ობივატელის (იგულისხმება ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილი) სულიერ საზრდოზე.

ვნახოთ თვით ის დოკუმენტები, რომლებიც ასეთ აზრთა სხვადასხვაობას და ვნებათაღელვას იწვევდნენ საქართველოში.

დავიწყოთ „ცისფერი ყანწების“ პირველ თქმით (მანიფესტით), მივყვეთ მის მთავარ დებულებებს და ვნახოთ, რა იმალება ამ გარეგნულად ეფექტური ფრაზების უკან.

1. „ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიყებულ დირიჟორისა“.

ცოტა ქვემოთ:

„ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენ სიმღერებში თქვენ დაინახავთ მრავალფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიყებს თქვენ მიძინებულ თვალთა ცქერას, ყოველი სიტყვა ჩვენი ლექსისა ამაყობს თავის სიცოცხლით...“29

ზემოთ ჩვენ მოვიტანეთ რუსი ფუტურისტების პირველი მანიფესტი. მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ რაიმეს დამატება ზედმეტი იქნება, თუმცა რატომ გავაძლიეროთ მსგავსება სხვა მანიფესტიდან ამოღებული პუნქტებით (**«Садок судей II», 1913**).

«2. Мы стали придавать содержание словам по их начертательной и фонической характеристике...

4. Во имя свободы личного случая мы отрицаем правописание...

7. Гласные мы понимаем как время и пространство (характер устремления), согласные — краска, звук, запах.

10. Богатство словаря поэта — его оправдание.

11. Мы считаем слово творцом мифа, слово, умирая, рождает миф, и наоборот.

12. Мы во власти новых тем: ненужность, бессмысленность тайна властной ничтожности воспеты нами»[30].

„ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შეცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“.*

ვფიქრობ, ამის შესატყვისი ადგილის მოტანა, რუსული თუ იტალიური ფუტურისტული მანიფესტებიდან საჭირო არ არის. ფუტურიზმი და ურბანიზმი განუყოფელი ცნებებია.

3. „ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას. ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰგავს ავადმყოფს...“

ეს სიტყვები უდავოდ ფერმკრთალი ანარეკლია მარინეტის „ფუტურისტების პოლიტიკური პროგრამისა“ (1913): „ხალხი, იმითი მოამაყე, რომ ის იტალიელი ხალხია“. უფრო მკვეთრ ადგილებს არ მოვიტანთ. ნაციონალიზმი აბსოლუტურად უცხო იყო ქართველი მოდერნისტებისათვის(ისევე, როგორც რუსი სიმბოლისტებისა თუ ფუტურისტებისათვის). ამას ჩვენ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ.

4. „ჩვენი აღსარების მოსასმენათ მოსულიყვნენ საცოდავი მომღერლები ავადმყოფ ჩანგებით, ყვითელი მასწავლებლები ღმერთის ქადაგების და პატიოსნებისა, და მრავალი სხვა მახინჯი და დაბრმავებული, როგორც ქურდები და მათხოვრები, ისე შემალულიყვნენ შორეულ ბუჩქებში და სწყევლიდნენ ჩვენ დღეასწაულს. იმ დროს ერთმა ჩვენგანმა, მთელის თავის სიძლიერით დაიძახა: „არული, არული თქვენ, საცოდავო საჭურისებო, და ხეა დაკარგულო მომღერალნო. დაჰშორდით ჩვენს გზას და გადაიკარგეთ უთვალო უფსკრულში“.

ქართველი მოდერნისტების პირველთქმა — მანიფესტის ეს ადგილიც რუსული ფუტურიზმის მანიფესტების კვალს მისდევს. შედარებისათვის იხ. ზემოთმოტანილი რუსული ფუტურიზმის პირველი მანიფესტი. ჩვენ კი დამატებით მოვიტანთ ანალოგიური სულისკვეთების ნაწყვეტს სხვა მანიფესტიდან. «Идите к Черту» (1914).

«..Появление Новых поэзий подействовало на еще ползающих старичков русской литературочки, как беломраморный Пушкин, танцующий танго.

Комерческие старики тупо угодали раньше одурачиваемой ими публики ценность нового и «по привычке» посмотрели на нас карманов.

К. Чуковский (тоже не дурак!) развозил по всем ярмарочным городам ходкий товар: имена Кручених, Бурлюков, Хлебников...

Ф. Сологуб схватил шапку И. Северянина, чтобы прикрыт свой облисевший талантик.

Василий Брюсов привычно жевал страницами «Русской мысли» поэзию Маяковского и Лившица.

Брось, Вася, это тебе не пробка!..

Не затем ли старички гладили нас по головке, чтобы, из искр нашей вызывающей поэзии наскоро сшить себе электропояс для общения с музами?..»[31].

მთელ ამ ფუტურისტულ მანიფესტში ერთადერთი სიმბოლისტური დისონანსია, მოწოდება:

„საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანარის პარიზი. ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“.

როდესაც ვინმე იხსენებს ვერლენს და ბოდლერს, მტერი თუ მოყვარე, ყოველთვის მათ ალკოჰოლიკობაზე ამახვილებს ყურადღებას, რადგან აქსიომად თვლის მათ შემოქმედებით სიმაღლეს და გენიალობას.

გავატაროთ პატარა პარალელი: თუ კი ვინმეს, ცისფერყანწელებიდან დღემდე, ერთი სტრიქონი მაინც დაუწერია ფიროსმანზე, ეს სტრიქონი ფიროსმანის ლოთობაზე იმეტყველებდა. ეს პარალელი იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეთქვა: ბოდლერი და ვერლენი ისევე დამახასიათებელია პარიზისათვის, როგორც ეიფელის კოშკი. ეს პარიზის ეგზოტიკაა, განუმეორებლობაა.

ხომ შეიძლებოდა უტრილოს ეთქვა (რომ სცოდნოდა ფიროსმანის არსებობა) — ადიდეთ ხალხო თბილისი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდა ჩვენი ლოთი ძმა, ჩვენი ნიკალა.

ჯამბაზობას აქ ტრაგიკომიკური გაგება უფრო აქვს, ვიდრე კლოუნადის.

ეს მოწოდება ასე იშიფრება: ადიდე ხალხო, მრისხანე ქალაქი, რომელმაც ოთხი დიდი გენიოსი შეიწირა.

სხვა ყველაფერი ტექსტში გასაგებია.

როგორც ვხედავთ, ამასაც თავისი ახსნა აქვს.

ერთს ვიტყვით: სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის სინთეზის შედეგი იყო „ქართული ფოდერნიზმი“, რომლის პირელი ბეჭდური ორგანოს: „ცისფერი ყანწების“ გამოცემის თარიღი 28 თებერვალი მწერლობაში XX საუკუნის დასაწყისად იქცა.

შენიშვნები

[1] «История русской советской литературы» в четырех томах. Москва, 1971. т. IV, стр. 384.

[2] В. М. Жирмунский — «Творчество Анны Ахматовой», Ленинград, 1973, стр. 145.

[3] Валерий Брюсов — Собрание сочинении в семи томах. VI, М., 1975, стр. 145.

[4] იქვე

[5] Валерий Брюсов — Т. VI, стр. 195.

[6] Д. Обломиевский — «Французский символизм». М., 1973, стр. 11.

[7] С. И. Гиндин — Поэзия В. Я. Брюсова. — М., 1973, стр. 5.

[8] გონიერი საფუძველი (ფრანგ.).

[9] მოკითხვამდე (ფრანგ.).

[8] М. К. Гудзий — «Из истории раннего русского символизма» — ж. «Искусство», книга IV, 1927, стр. 198.

[9] С. И. Гандин — «Поэзия В. Я. Брюсова», — М., 1973, стр. 5.

[10] ტიციან ტაბიძე — ირონია და ცინიზმი — მეოცნებე ნიამორები, № 9, 1923, გვ. 10.

[11] Всеобщая история искусств, в шести томах, т. VI, кн. I. Москва, 1965, стр. 21.

[12] БСЭ — 1935-59, стр. 12.

[13] Савватий Гинц. Василий Каменский — 1974. Пермь, стр. 95—96.

[14] В. Маяковский — Полное соб-

მიხეილ ჭურდიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

рание сочинении — М., 1959, т. 12, стр. 261.

[15] Владимир Маяковский, Т. 12, стр. 41, 1959.

[16] Владимир Маяковский, т. 13, 1961, стр. 244—245.

[17] Феодоръ Платовъ, «Блаженны нищіе духомъ» (семьдесятъ стиховъ) М., 1915, стр. 3.

[18] თამაზ ჩხენკელი — წერილები. თბ., 1972 წ. გვ. 33.

[19] რევაზ თვარაძე — გალაკტიონი — თბ. 1972 წ. გვ. 99.

[20] ირაკლი კენჭოშვილი — გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა, თბ., 1974 წ. გვ. 7.

[12] ჟურნალი „ოქროს ვერძი", 1913. № 3. გვ. 10.

[22] ჟურნალი „ხელოვნება", 1921 წ. იანვარი. № 3. გვ. 15.

[23] ს. ჭილაია. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა. თბ., 1954. გვ. 11.

[24] რევაზ თვარაძე — გალაკტიონი. თბ., 1972. გვ. 147.

[25] ჟურნალი „მნათობი". 1926. № 5-6, გვ. 167.

[26] ჟურნალი «Ars» № 1, 1918. გვ. 46.

[27] ტიციან ტაბიძე — თხზულებანი სამ ტომად. ტ. 2. 1966, გვ. 212.

[28] Валерий Брюсов — т. VI, 1975, стр. 393.

[29] ჟურნალი „ცისფერი ყანწები", № 1. 1916 გაზაფხული — პაგინაცია არ აქვს.

[30] ციტირებულია Владимир Маяковский — т. 13. 1961, стр. 246.

* ყველა ეს ფრაგმენტი ამოღებულია „ცისფერი ყანწები" № 1-ს პირველთქმიდან და სხვაგან აღარ ვუთითებთ.

[31] ციტირებულია Владимир Маяковский, т. 13. 1961. стр. 247—248.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჩხარტიშვილი

რაც დავიწყებით არ იბინდება

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების ქართულ მხატვრულ ლიტერატურას უამრავი ახალი სახელი შეემატა. ახალგაზრდა შემოქმედთა პროფესიული დაოსტატება უმეტესწილად მათთვის განკუთვნილ ჟურნალ „ჩვენ თაობაში" ხდებოდა. ერთ-ერთ ასეთ სახელოვან ახალგაზრდა ავტორთა შორის უთუოდ უნდა მოვიხსენიოთ ადრე წასული პროზაიკოსის ია ჩხაიძის სახელი.

ია ჩხაიძე 1907 წელს დაიბადა მახარაძის რაიონის სოფელ მშვიდობაურში. ეკონომიკური განათლების მიღების შემდეგ მხატვრული ლიტერატურის სიყვარულით გატაცებული ახალგაზრდა კაცი ხელმეორედ გამხდარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი და წარჩინებითაც დაუმთავრებია 1939 წელს. ამ დროისათვის იგი უკვე რამდენიმე გამოქვეყნებული მოთხრობის ავტორია და, ნიკა აგიაშვილის ცნობით, საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობდა „ჩვენ თაობელ" ავტორთა შორის. მაგრამ ახალგაზრდა მწერალი რუსთაველის პროსპექტზე სეირნობას ამჯობინებს მშობლიურ გურიას დაუბრუნდეს და მისი პროზაული ნაწარმოებები ცხოვრების სიღრმიდან მოხმობილი ცოცხალი მასალით ასაზრდოოს. მან სულ ორიოდე წელი იმუშავა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ჩოხატაურისა და მახარაძის რაიონების საშუალო სკოლებში. 1941 წლის ომის გრიგალმა ია ჩხაიძე ფრონტის წინა ხაზზე მოახვედრა ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო მერე ქერჩში, სადაც 1942 წლის მაისის სისხლიანი ტრაგედია მისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდა.

ია ჩხაიძის მოთხრობების პირველი კრებული „გოლიათი" 1963 წელს დასტამბა გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ", ხოლო მეორე, შედარებით სრული კრებული 1972 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ".

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ია ჩხაიძის პირველი შემოქმედებითი ნათლობა ჟურნალ „ჩვენ თაობაში" მოხდა. აქ მან 1936-1939 წლებში ხუთი მოთხრობა გამოაქვეყნა. ხუთივე მოთხრობა („ვერდია", „პირველი ცხენოსანი", „გლახუნა", „ცხრა შვილის მამა", „ცაცანას ქორწინება") თანამედროვე ცხოვრებას ეხებოდა. შესაძლოა ამ მოთხრობებს აკლია ცხოვრების სიღრმეში წვდომის უნარი, შესაძლოა, დავიწუნოთ პერსონაჟთა ფსიქოლოგიური სამყაროს წარმოსახვის მოტივაცია, ოდნავ დუნე გვეჩვენოს განვითარების დინამიკა კონფლიქტის სისუსტის გამო, მაგრამ ია ჩხაიძის ბელეტრისტულ ნაწარმოებებს არსებითი ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო „ჩვენი თაობის" თემატიკურ-ჟანრობრივი მრავალფეროვნების წარმოჩენისათვის, არამედ საერთოდ 30-იანი წლების ქართულ პროზაში სოციალისტური რეალიზმის განვითარებისათვის. ახლა, რასაკვირველია, საკმაოდ შენელებულად გვეჩვენება მისი როლი და, შესაძლოა, ისიც სამართლიანად მივიჩნიოთ, თანამედროვე ლიტერატურის ისტორია რომ დუმილით უვლის გვერდს, მაგრამ როცა 30-იანი წლების მხატვრულ ლიტერატურას გადავავლებთ თვალს არა მარტო ლიტერატურათმცოდნის, არამედ თუნდაც ლიტერატურაში ოდნავ ჩახედული მკითხველის პოზიციებიდან, რამდენადმე უსამართლოდ მოგვეჩვენება ლიტერატურის ისტორიის გაუმართლებელი უყურადღებობა ია ჩხაიძის პროზის მიმართ.

პირველი მოთხრობა, რომელიც ჟურნალ „ჩვენ თაობაში" გამოაქვეყნა ავტორმა, იყო „ვერდია" (1936 წ. № 1). ოცდაათიანი წლების ქართული სოფელი ფართოდ იყო ჩაბმული საკოლმეურნეო ცხოვრებაში. მისი სიკეთის ზეგავლენა ძველი ყოფა-ცხოვრებით დაჩაგრული ადამიანების მომავალზე მრავალმხრივი ასპექტით არის წარმოსახული მხატვრულ ლიტერატურაში. ეს თემა უპირველესი იყო იმ პერიოდის მწერლობაში. ქართულმა პროზამ არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა მას, სადაც მთელი სისავსით აისახა 30-იანი წლების ქართული სოფლის რეალური სურათები, მისი კოლორიტი. ია ჩხაიძის „ვერდიას" მთავარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმირი ვერდია სულიერი ნათესავია მექი ვაშაკიძისა (კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ციხკარი"). შეიძლება ისიც თამამად ითქვას, ვერდია მექი ვაშაკიძის გავლენითაა შექმნილი. მართალია, მექი ვაშაკიძეს დღეს ჩვენ „კოლხეთის ციხკრის" მიხედვით ვიცნობთ. როცა მწერალმა მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ საბოლოოდ დასრულებული სახე მოგვცა თავისი გმირისა, ხოლო იმ დროს, როცა ია ჩხაიძე აქვეყნებს თავის მოთხრობას, კ. ლორთქიფანიძის რომანს „ძირს სიმინდის რესპუბლიკა" ერქვა და, ცხადია, არც რომანი იყო დასრულებული და არც მისი გმირები გამოკვეთილი. მაგრამ ის ნიშნეული პორტრეტული შტრიხები მექი ვაშაკიძისა თავიდანვე წარმოგვიჩენდა ნაწარმოების გმირს, როგორც ბოგანოს, მოჯამაგირეს, ღარიბსა და არას მქონეს, დამცირებულსა და შელახულს, უპატრონოსა და უსახლკაროს, რითაც ემგვანება მას ია ჩხაიძის ვერდია. რაც შეეხება პერსონაჟის მხატვრულ სრულყოფილებას, ცხადია, რომანში მეტი და მეტი საშუალება ჰქონდა ავტორს გმირი სხვადასხვა ასპექტით წარმოედგინა, მით უფრო ნაწარმოებზე მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ. ვიდრე მცირე ფორმის ნაწარმოების ავტორს.

აქვე ერთ გარემოებასაც უნდა გავუსვათ ხაზი: ხშირად, როცა ამა თუ იმ ნაწარმოების ან პერსონაჟის მსგავსება-გავლენაზეა ლაპარაკი, ამ დროს ეპოქის ნიშნებიც უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილმა კოლექტივიზაციამ, სოფლის ცხოვრების საკოლმეურნეო რელსებზე გადაყვანამ ეპოქის შესაბამისი ცხოვრებისეული ტენდენციები დაამკვიდრა სოფლად. კოლმეურნეობაში ღარიბი ფენების გაერთიანებამ მათ ცხოვრების ნათელი სხივი დაანახა, ჩამორჩენილ შეგნებას, გატეხილ მორალს, დაკარგულ რწმენას ზეაღსვლის მძლავრი ბიძგი მისცა და ადამიანი სულიერად გააკაჟა, მხნეობა შეჰმატა. გამხნევებული კაცის ძალა ათმაგად მაინც ჰარბობს სულიერად გატეხილი და რწმენადაკარგული კაცისას. მექი ვაშაკიძეცა და ვერდიაც სულიერად გატეხილი, დაბეჩავებული და დამცირებული ბიჭები იყვნენ. სხვის კარზე ლუკმაპურისათვის მუდამ-დღე ხეტიალმა და ათასი უღირსი საქციელის ჩადენამ მორალურად დაჯაბნა ისინი და იმედის არავითარი ნასახი არ ჩანდა მათ მომავალ ცხოვრებაში. უიმედობას შეგუებულნი სოფლის დაცინვა-დამცირებასაც შეგუებოდნენ. ასეთ ვითარებაში მათ მიმართ გამოვლენილი ადამიანური სიკეთე მათთვის უცხო იყო და მოულოდნელი. მაგრამ თუ ამ სიკეთეს მათივე მსგავსი ადამიანებისაგან იგრძნობდნენ, მაშინ ადვილი იყო იმ რწმენის ჩანერგვა, რასაც ნდობის გაღვივება ჰქვია. ასეთი ნდობისა და რწმენის გაღვივებამ გამოიყვანა ცხოვრების დიდ შარაგზაზე მექი ვაშაკიძე და მის სულიერ მეტამორფოზას კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ერთი ფსიქოლოგიურად მოტივირებული ცოცხალი პასუხი დაუდო საფუძვლად, რამაც ცხოვლად გვაგრძნობინა პერსონაჟის სულში დატრიალებული ქარიშხალი.

ანალოგიური ოსტატობა ცხადად აკლია ვერდიას სახის გამოძერწვას. მაგრამ მწერლის მიერ ასახული ის მოვლენები, რამაც მისი მოთხრობის გმირი საკოლმეურნეო ცხოვრების შუაგულში მოაქცია, არ არის რეალურ სინამდვილეს მოკლებული. როცა მხატვრულ ნაწარმოებში მწერლის მიერ ასახული სინამდვილე ამ მინიმალურ ფუნქციას ასრულებს, ჩვენი აზრით, შეიძლება მის მხატვრულ ღირსებაზე ლაპარაკი.

ამ თვალსაზრისით უთუოდ იმსახურებს ყურადღებას „ვერდია". მოთხრობაში ასახული დრო საკოლმეურნეო ცხოვრების იმ პერიპეტიებს მოიცავს, როცა კოლექტივიზაციის განიერი ფრთები თავის ქვეშ უშურველად იზიდავდა საშუალო შეძლების გლეხებთან ერთად ულარიბეს, არაფრის მქონე გლეხებსაც. ეს, ერთი მხრივ, უცილობლად განაპირობებდა კოლმეურნეობის გაძლიერებას საწარმოო მუშახელის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, აშკარად იწვევდა შეძლებულ გლეხთა სახიფათო უკმაყოფილებას. ეკონომიკური უთანაბრობა გამწვავებულ ურთიერთ დაპირისპირებებს იწვევდა კოლექტივში, რაც საკოლმეურნეო წესდების ნორმალურ განხორციელებას ჩაშლით ემუქრებოდა. ასეთი მწვავე ურთიერთობა განაპირობებს ასლან მარგველაძის, გიორგი ჯიშკარიანის („კოლხეთის ციხკარი") და გოჩა სალანდიას („გვადი ბიგვა") მერყეე პოზიციას საკოლმეურნეო წყობილების მიმართ. პირველნი უკოწომიურად საკმაოდ უზრუნველყოფილნი იყვნენ და კოლექტიური შრომის პერსპექტივები ნაკლებ აინტერესებდათ, პირიქით, ეს პერსპექტივები მათ კერძომესაკუთრულ ინტერესებს განადგურებით ემუქრებოდა. გვადი ბიგვასა და მექი ვაშაკიძეს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, ისღა დარჩენოთ. საკოლმეურნეო შრომას შეაფარონ თავი. ასეთ შემთხვევაში ცხოვრების ახალი წესი მათ აშკარად უუმჯობესებს ადამიანური ცხოვრების პირობებს, თუმცა მათი შეგნება ჯერ კიდევ ვერ იცნობიერებს იმ ნათელ პერსპექტივებს, რასაც შრომის კოლექტიური გზა იძლევა.

ბოგანო კაცს პირველად იმ დღეს გაუთენდა, როცა ცხოვრების წესი ძირფესვინად შეიცვალა. მაგრამ ვერდიასათვის ყველაფერი ეს დიდხანს იყო გაუგებარი — იმედგადაწყვეტილი მოწყალების თვალს არავისგან და არსაიდან არ ელოდა. ამ სახიკეთო ცვლილებებს, რომელთაც ახალი დრო ამკვიდრებდა, ვერდია ვერ ამჩნევდა, თვალებზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და სასოწარკვეთილი თავის ბედს იწყევლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. სოფელში კი ახალი ცხოვრება მძლავრად შლიდა თავის უკიდეგანო ფრთებს.

ვერდია, რომლის ფიზიკური ძალა შესაშური იყო ბევრისთვის, ძალღონის დაუზოგავად ჩაება კოლექტიური შრომის ფერხულში და შრომადღეების გამომუშავებაში ყველას გაუსწრო. ეს იყო ლოგიკური გზა ვერდიას ცხოვრებაში. ამ გზით მიემართება მისი ხასიათის განვითარებაც. უსახლკარობითა და უპატრონობით ადრე დაბეჩავებული ვერდია საკუთარ სახლკარს იჩენს. შინაგანი სიამაყე ფიზიკურ ცვლილებებსაც იწვევს. ახალი ჩაიცვა, გაიპარსა, დაიბანა. დასუფთავდა. სოფელმა რიდით დაუწყო ცქერა და მისი ბუშობაც დაივიწყა. რაც მთავარია, შეუცნობელი გრძნობით გამთბარი თვალები დაადგა ციცინომ, თადაოზის ლამაზმა ქალიშვილმა.

თადაოზ ნაკაიძე, ყოფილი აზნაური, თუმცა კოლექტივის წევრია, მაგრამ საკუთარ მეურნეობას უფრო მისდევს, პირობითად უნდა მივიჩნიოთ ვერდიას ანტიპოდად. პირობითად იმიტომ, რომ ვერდიას ანტიპოდი სხვა აღარავინაა მოთხრობაში. ნაწარმოების სიუჟეტის კოლიზიისა და გმირის ხასიათის მკვეთრად წარმოჩენისათვის ანტიპოდი, რაც არსებითად ნაწარმოების კონფლიქტს ქმნის, აუცილებლობით არის გაპირობებული. ამ ფუნქციას კი თადაოზი ვერ ასრულებს. მისი მხატვრული სახე როგორღაც ფრაგმენტულად გამოიყურება, არადა, მოთხრობის დასაწყისი უთუოდ იძლეოდა იმის კარგ გარანტიას, რომ თადაოზის ხასიათი საინტერესოდ, სოციალური ასპექტით განვითარებულიყო. ნაწარმოებში მწვავე კოლიზია შეექმნა. იგი საკოლმეურნეო ცხოვრებისაგან განდგომილი კაცია. რომელიც კერძო მეურნეობით უპირისპირდება სოფლის კოლექტიურ შრომას.

ამგვარად, თადაოზის ხასიათი ფრიად საინტერესო განვითარებას გვპირდებოდა, მაგრამ ავტორმა რატომღაც ამ რთულ, მაგრამ ნაწარმოების მხატვრული ღირსებისათვის აუცილებელ კომპონენტს თავი აარიდა და მთელი აქცენტი ვერდიას ხასიათის წარმოჩენაზე გადაიტანა. თადაოზის პირადი განწყობილება, ერთი მხრივ, საკოლმეურნეო ცხოვრებისადმი და, მეორე მხრივ, „ნაბუშარი" ვერდიასადმი, კიდევ მეტ სიმძაფრეს იძენს მას შემდეგ, რაც მან აშკარად შენიშნა მისი ქალიშვილის მგრძნობიერი დამოკიდებულება ვერდიასადმი. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, თუ ვერდიასა და ციცინოს ხასიათების განვითარების გარკვეულ მიმართულებას იძლევა, მეორე მხრივ, საუცხოო ფსიქოლოგიურ მოტივაციას ქმნიდა თადაოზის ხასიათის გამძაფრებისათვის, მისი საბოლოო გულაღრენისა და სიძულვილისათვის. როგორც ვერდიასადმი, ისე საკოლმეურნეო, აქედან, საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ყოველივე ეს მძაფრ კოლიზიას შექმნიდა ნაწარმოებში, ხასიათებს მკვეთრად წარმოაჩენდა და საბოლოოდ მივიღებდით სოციალური ეღერადობის მხატვრულად დასრულებულ ნაწარმოებს.

თადაოზის ხასიათი კი, ჩაფიქრებულის საპირისპიროდ, ერთობ „ტკბილად" განვითარდა. მოთხრობის ფინალში, როცა ვერდიასა და საკოლმეურნეო წყობილების მოძულე თადაოზმა უეცრად შეიტყო ციცინოსა და ვერდიას დაქორწინება, სრულიად მოულოდნელად მალე მოტყდა და „ნაბუშარი" სიძის ოჯახში თოფით მისულმა ლაზათიანად მოილხინა.

ამ ფსიქოლოგიურ სცენას, ცხადია, სიღრმე აკლია. ხასიათი ხელოვნურად არის გამოკვეთილი, მაგრამ მწერლის მიერ შექმნილი მხატვრული სიმართლე, კერძოდ, ახალი ადამიანის გარდაქმნა და ჩამოყალიბება სოციალისტური ცხოვრების საფუძველზე რეალური სინამდვილიდან აღებული ფაქტი იყო და თავისი დროისათვის შემეცნებითი ღირებულება ჰქონდა, რაც ფრიად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა 30-იანი წლების ქართულ მწერლობაში.

„გლახუნა" თავისი შინაარსით, იდეურ-მხატვრული გააზრებით „ვერდიას" სიბრტყეზე დგას. მაგრამ არა იმიტომ, რომ მოთხრობის მთავარი გმირი გლახუნა ვერდიას შორეული ნათესავია თავისი განაწამები ცხოვრებისეული წარსულით, არამედ მხატვრული ჩანაფიქრის ლიტერატურული ხერხების რეალიზებით. ორივე მოთხრობის გმირი ცხოვრების დიდ გზაზე სოციალისტური ცხოვრების ახალ წესს გამოჰყავს, წარსულის სიმძიმით წელგატეხილი და საზოგადოების გულგრილობით დამცირებული ადამიანები ცხოვრების ახალ პირობებში სოფლის მოწინავე ადამიანებად იქცევიან და თუ წინათ მათ ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს ეჭვის თვალით და, უმეტესწილად, დაცინვით უყურებდნენ, დღეს ისინი არნახულ სახელს იხვეჭენ თავიანთი თავდაუზოგავი და ენერგიული შრომით, რისთვისაც მათ დიდ და საპატიო საქმესაც ანდობენ კოლმეურნეობაში.

ბუნებით თანდაყოლილმა ფიზიკურმა სიმახინჯემ გლახუნა (სახელიც ამიტომ შეურჩიეს ასეთი, მის ფიზიკურ სიძაბუნეს გამოხატავს იგი) სოფლის დაცინვის საგანი გახადა. თავიდანვე ათვალწუნებულ ბიჭს სოფლის ყველა სიავეს დაურიდებლად მიაწერდნენ. ქურდის სახელი სამუდამოდ ამოუჩემეს. ამასაც უსიტყვოდ იტანდა გლახუნა. მაგრამ ერთხელ, ამ უსამართლობით აღშფოთებულმა, თავისი ბამბუკის ყავარჯენი ერობის თავმჯდომარეს ბონდო დონდუას დაუზოგავად სტყორცნა, მაგრამ ყავარჯენი მენშევიკების ლაქიას ასცდა და კანტორის ფანჯრები ჩალეწა. გლახუნა ათი დღით დააპა-

---

რევაზ ჩხარტიშვილი

რაც დავიწყებით არ იბინდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიმრეს. რომ გამოვიდა, თავის ჩამოხრჩობა განიზრახა. მაგრამ თოკზე ჩამოკიდებულს დედამ მოუსწრო. გლახუნა უსიტყვოდ შეეგება ქურდის სახელს. ქურდი კი სხვა იყო. ერთხელ ღამით თვითონ დაინახა ნამდვილი ქურდები — ათანასე მღვდელმა და ბონდო დონდუამ ეკლესია გაძარცვეს. ქურდობა კი ისევ გლახუნას გადააბრალეს და ციხეში გაისტუმრეს. „ქურდი" არავის შებრალებია.

ათი წლის შემდეგ, როცა სოფლად ძირფესვიანად შეიცვალა ცხოვრების პირობები, გლახუნა სოფელში დაბრუნდა. „გვიმრალა ადგილები, სადაც იგი მარწყვებს ეძებდა და ხვლიკებს დასდევდა, ჩაის პლანტაციებით გადამწვანებულა. აგერ ჩაის ფაბრიკაც მაღალი სამსართულიანი შენობებით. აგერ ელსადგური. იქ, სადაც ეკლესია იდგა, რომლის გატეხა მენშევიკებმა გლახუნას დააბრალეს, სკოლა აუგიათ, მეზობლებიც გამოცვლილი ეჩვენა, ყველა მხიარულობდა, შრომობდა..."

გლახუნამ გულმშვიდად ინახულა ათანასე მღვდელი, რომლის მიზეზით სოფელს მოაშორეს ისედაც დაბეჩავებული კაცი. მაგრამ გლახუნამ იმ ათი წლის განმვლობაში კეთილი ადამიანების წყალობით ცხოვრების დიდი გამოცდილება შეიძინა და ახლა სურს თავისი მარჯვენა ხელი მშობლიურ სოფელს მოახმაროს. დაჩაჩანაკებული ათანასე მღვდლისადმი შურისგების გრძნობა გულში ჩაიხშო. ბონდო დონდუა კი მენშევიკების კვალს გაჰყოლოდა უცხოობაში.

გლახუნას შურისგების გრძნობა, გამოწვეული ათანასე მღვდლის უკაცური საქციელით, არსებითად მოთხრობის იმ მწვავე კოლიზიას წარმოადგენს, რისი მხატვრული განსხეულება შესატყვის ემოციას გამოიწვევდა მკითხველში, ნაწარმოებს კი მეტ სიცხოველეს მიანიჭებდა. მაგრამ ავტორი, თავისი მხატვრული ჩანაფიქრის შესაბამისად, შეგნებულად მოერიდა სიუჟეტის მძაფრად განვითარებას და ნაწარმოების შემდეგი პერიპეტიები კომიკურ ფერებში წარმოგვისახა. ათანასე მღვდელი უკვე აღარ წარმოადგენდა კლასობრივად საშიშ მტერს. უეკლესიოდ დარჩენილი მოხუცი მღვდელი კბილის ამოღების „ტექნოლოგიას" დაუფლებოდა. ზოგჯერ კი „ძველ ხელობას" — ქურდობას არ იშლიდა და კოლმეურნეობის ყანაში სიმინდის ტაროებს გაჰკრავდა კბილს. ეს იცოდა გლახუნამ და გადაწყვიტა სამაგიერო გადაეხადა მისთვის — მისი ავკაცობა საქვეყნოდ გამოემზეურებინა.

ავტორი ამ მოთხრობის პასაჟს საოცარი იუმორით აგვიწერს. შთამბეჭდავია სცენა, როცა ღამით კოლმეურნეობის ყანაში სიმინდის მოსაპარავად შეპარული ათანასე ნამღვდელარი საკუთარი ძაღლის ლანდით შეშინებული გულგახეთქილი შემოირბენს მთელ ყანას და ისიც კი ვერ მოუხერხებია, სიმინდის ტაროებით სავსე გოდორი ზურგიდან მოიხსნას. შიში კი ამაო გამოდგა. ძაღლი პატრონს გამოჰყოლოდა ყანაში. და როცა თავი სამშვიდობოს ეგონა ხელმრუდე ათანასეს, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კოლმეურნეობის მეველე გლახუნა დათვებით იყო დაშინებული და ღამით ყანაში შემოსვლას ვერ გაბედავდა (ათანასემ განზრახ დააშინა გლახუნა. ღამით ყანაში დათვები დაიარებიანო), სწორედ მაშინ წაადგა თავს „გლახა" მეველე და ირონიული ღიმილით გამოეხმაურა: „დილა მშვიდობისა, მამაო... ეკლესიაში ხომ არა ხარ, ასე რომ ლოცულობ?!" გლახუნას „ცალ ხელში წალდი ეჭირა, ცალით ყავარჯენს ეყრდნობოდა და... იცინოდა". ასე გადაუხადა სამაგიერო გლახუნამ მის დამღუპველს. მაგრამ ამ მოთხრობის იდეური შინაარსი სულაც არ წარმოადგენს შურისგებას. მისი ძირითადი მიზანდასახულებაა ახალი ადამიანის ზნეობრივ-ეთიკური ნორმების ჩამოყალიბების პროცესის ჩვენება, რაც ავტორმა შესატყვისი მხატვრული ფორმით მოგვცა. მისი ემოციური ზემოქმედების ძალა გარკვეულ მიზანს აღწევდა „ჩვენი თაობის" მკითხველებში.

ცხოვრებისეული ფაქტების ცოცხალი მაგალითის იშვიათი ძალით გამოირჩევა ია ჩხაიძის კიდევ ერთი მოთხრობა „ცხრა შვილის მამა", რომელიც ჟურნალ „ჩვენი თაობის" 1939 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა... ერთი შეხედვით, მოთხრობაში ასახული ამბავი თავისი რეზონანსით მკითხველის ფართო წრის ყურადღებას ვერ მიიპყრობს, მაგრამ, როცა ნაწარმოების მხატვრულ ღირსებაზე ვმსჯელობთ, ხშირად მას ისტორიკოსის თვალით უნდა შევხედოთ. თუ ამ თვალთახედვით წავიკითხავთ „ცხრა შვილის მამას", მაშინ მისი შემეცნებითი ღირებულებაც უფრო თვალნათლივ წარმოჩნდება. მაგრამ ნაწარმოებს მარტო ამ თვალსაზრისით არ კითხულობენ. ჭეშმარიტი ხელოვნების დრო და სივრცე უსასრულოა. ნაწარმოებს ისტორიკოსის თვალითაც კითხულობენ და დღევანდელი პოზიციებიდანაც. ამ ორი ფენომენის ჰარმონიული შეთანწყობა ანიჭებს ხელოვნებას ესთეტიკურ-შემეცნებით ძალმოსილებას. „ცხრა შვილის მამა" კი დროის გარკვეულ ლოკალში თავსდება, მისი ემოციური ძალა სადღეისოდ გაფერმკრთალებულია. გაფერმკრთალებულია არა იმიტომ, რომ დღეისათვის აღარავის უკვირს სამი შვილის ერთად გაჩენა (ადამიანთა საზოგადოებისათვის ეს ფაქტი უნიკალური არ ყოფილა), რაც ფაბულად უდევს ია ჩხაიძის ნაწარმოებს, არამედ იმიტომ, რომ მისი მხატვრული წარმოსახვის ძალა საგრძნობლად მოისუსტებს. ხოლო რაც შეეხება მოთხრობის მეორე პლანს — მხატვრულად გვიჩვენოს ახალი ცხოვრების პირობებში ჩვენი მთავრობის გულისხმიერი ყურადღება მრავალშვილიანი ოჯახებისადმი, ჩვენი აზრით, ვერ დაძლია ეს რთუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ამოცანა და მხატვრული პასაჟი პუბლიცისტური უანრით შეიცვალა. რამაც, ცხადია, ერთგვარად შეამცირა ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ღირებულება.

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა დაუნდობლად ამსხვრევს და აცამტვერებს დრომოჭმულსა და გარდასულს. ეს ფართო მასშტაბის მომცველი პრობლემა მრავალწახნაგოვანია. ია ჩხაიძისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნიშნეული იყო ცხოვრებისეულ პრობლემებზე დაფიქრება. თანამედროვე ცხოვრების რეალური სინამდვილე მრავალ ასეთ პრობლემას მოიცავდა. ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა ახალი ცხოვრების დღის წესრიგში იდგა. ამ ასპექტით ხასიათდება ია ჩხაიძის საინტერესო მოთხრობა „ცაცანას ქორწინება". მოთხრობის მთავარი გმირისათვის ცაცანასათვის, მოწინავე კოლმეურნე ქალიშვილისათვის, უცხო და წარმოუდგენელია ძალდატანებითი ქორწინება, დედისა და მაჭანკლის დაუინებული მოთხოვნით ისეთ კაცთან ქორწინება, რომელიც ადრე თვალითაც არ უნახავს და, ცხადია, სიყვარულის გრძნობაც არ გააჩნია მომავალი საქმროს მიმართ. ასეთი ქორწინება ახალი ეპოქის ქალიშვილს წარმოუდგენლად მიაჩნია. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ჯერ კიდევ ვერ გათავისუფლებულა იმ შემბოჭველი არტახებისაგან, რომელიც ქალიშვილს შეუცნობლად ავალდებულებდა დედის მორჩილი გამხდარიყო. მისი ნებასურვილის აღმსრულებელი ყოფილიყო. ცაცანას მხატვრული სახის ასეთ რთულ ასპექტში წარმოსახვა კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის მის ხასიათს. ავტორი ღრმად იჭრება გმირის შინაგან სამყაროში და ქალიშვილის სულის ფორიაქს ხელშესახებად წარმოსახავს. ცაცანა ერთი სოფლელი გოგონაა. მართალია, იგი აქტიურად ჩაბმულა ახალი შრომის ფერხულში. მაგრამ ძველი ადათ-წესებისადმი მორჩილება მის სულს ისევ დაღად აჩნია. ამიტომ მისი მოჩვენებითი მკაცრი პროტესტი დედისა და მაჭანკალი მამიდის წინააღმდეგ მიზანს ვერ აღწევს და მისი სურვილის წინააღმდეგ უცხო მამაკაცის მიერ მოტანილ ნიშნობის ოქროს საათს უკან ვერ უბრუნებს. ქალიშვილის არსებაში დატრიალებული სულიერი ფორიაქი, რასაკვირველია, იმის მაუწყებელი ნიშანია, რომ იგი, ბოლოს და ბოლოს, დაძლევს თავის უნებისყოფობას, დედისა და მამიდის ნებასაც გასტეხავს და ახალი დროის ქალიშვილი ძველ გზას არ დაადგება. მაგრამ ავტორი შეგნებულად არ გაჰყვა სიუჟეტის განვითარების ამ ლოგიკურ მდინარებას. მოძალადე სასიძოს უარყოფა თავისთავად ნიშნავს ცაცანას მიერ დრომოჭმული ადათ-წესის უარყოფას. ავტორმა ცხოვრებისეული პრობლემების მეტი გაღრმავების მიზნით მოძალადე სასიძო სრულიად ახალი კუთხით წარმოგვიდგინა. ყოველ შემთხვევაში, ია ჩხაიძის ნაწარმოებში მსგავსი გმირი პირველად შეგვხვდა. იგი ყალთაბანდი, ბნელი წარსულის პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივი დოვლათი ხელგაშლილად ფლანგოს და რამდენიმე წუეება ცოლშვილი გამოიცვალოს. რა თქმა უნდა, მწერალი არ მისდევს გმირის ცხოვრების გზას, არ ცდილობს გვიჩვენოს მისი ბნელი საქმიანობანი. ეს არც სჭირდებოდა მწერალს. მან ჩვენ ნათლად დაგვიხატა ნამდვილი სიყვარულის გამარჯვება და წარსულის დრომოჭმული ჩვეულების სრული განადგურება.

ია ჩხაიძე სოფელში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ეს მას უტყუარ გარანტიას აძლევდა უფრო ახლოს გასცნობოდა თანამედროვე სოფელს, მის მრავალფეროვან ცხოვრებას, ახალი სოფლის ადამიანებს, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ღრმად დაკვირვებოდა ადამიანის სულს, მის თვისებებს, სულიერ მისწრაფებებს, ფიქრებსა და შეხედულებებს გარესამყაროზე. ამიტომ მის მოთხრობებში კარგად ჩანს თანამედროვე მწერლის ინტელექტუალური დონე, მხატვრული ოსტატობის ამაღლების დაუინებული სწრაფვა, გამოსახვის ახალი საშუალებების ძიება, ენისა და სტილის მისეული ფორმის შემუშავების ცდა, სიუჟეტის გამძაფრების სურვილი.

ამგვარი დასკვნის საფუძველს დაბეჯითებით იძლევა ია ჩხაიძის არა მარტო აქ გაანალიზებული მოთხრობები, არამედ 1972 წელს გამოცემული მისი ნაწარმოებების კრებულიც. ამ წიგნში პირველად არის დაბეჭდილი 1940-41 წლებში დაწერილი ვრცელი მოთხრობა „ნატუსალა". ამ წიგნშია აგრეთვე მოთავსებული 1940 წელს დაწერილი საინტერესო მოთხრობა „გოლიათი". ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ხუთი მოთხრობა და კიდევ ორიოდე სხვა, რომლებიც ჟურნალ „მნათობში" გამოაქვეყნა ავტორმა („აბრეშუმის საკაბე", „შეხვედრა"), შეიძლება ითქვას, მწერლის პირველ ნაბიჯებს წარმოადგენდა ლიტერატურაში. ვინც დაკვირვებით გაადევნებს თვალს მწერლის შემოქმედებით ქრონოლოგიურ ნაბიჯებს, ცხადად დაინახავს ია ჩხაიძის მხატვრული ოსტატობის ზრდის უტყუარ ნიშნებს.

სამწუხაროა, რომ ყოველივე ეს არ დასცალდა უდავო მწერლური ნიჭით დაჯილდოებულ ია ჩხაიძეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ცქიტიშვილი

სახელოვანი ცხოვრების გზა

საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული ქვეყნები, ირანი, თურქეთი) მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, არც თუ მაინცადამაინც დიდი ხანია, რაც ჩვენში ჯეროვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობის საკითხების შესწავლას საკუთრივ აღმოსავლურ წყაროთა (არაბული, სპარსული, თურქული) გამომზეურებით.

როგორც ცნობილია, არსებითად პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც მთელი ყურადღება დაუთმო და საქართველოს წარსულის მეცნიერულად გაშუქებისათვის ფართოდ მოიშველია აღმოსავლური წყاროები, იყო ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი აკად. ივ. ჯავახიშვილი. იგი სამართლიანად თვლიდა, რომ აღნიშნული წყاروების გამოყენების გარეშე სრული ვერ იქნებოდა და არც შეიძლებოდა სრული ყოფილიყო ქართველი ხალხის ისტორიის კვლევა-ძიება იმ გეგმით, რომელიც მას ჰქონდა დასახული და ახორციელებდა კიდეც.

აღმოსავლური წყاروების შესწავლა-გაანალიზებამ და პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ წყاروების მზის სინათლეზე გამოტანამ და ქართულ და სხვა არაქართულ წყاروებთან შეჯერებამ ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცა უფრო ღრმად და ფართოდ გაეშუქებინა, ახლებურად დაეყენებინა და გადაეწყვიტა საქართველოს ისტორიის მრავალი საკვანძო პრობლემა.

ეს იყო ივ. ჯავახიშვილის, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთრივ სამეცნიერო მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი. ამავე დროს თავისი დაუშრეტელი ენერგია ივ. ჯავახიშვილმა იმთავითვე მოახმარა ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში აღმოსავლური ენების შესწავლისა და აღმოსავლეთმცოდნეთა კადრების მომზადების საქმეს. დაისახა ღონისძიებანი აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა მომზადების მიზნით. სიმონ ჯანაშიას დაევალა მუშაობა უპირატესად ირანის ისტორიასა და ქართულ-სპარსული ურთიერთობის საკითხებზე. მან თავის ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სასანიანთა ირანისა და საქართველოს ისტორიის შესწავლას. მასვე ეკუთვნის ფრიად მნიშვნელოვანი და თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული ნაშრომი — „არაბობა საქართველოში", რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს ძირითადად თავისი სამეცნიერო და შემეცნებითი მნიშვნელობა. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე სამუშაოდ ემზადებოდა აგრეთვე, როგორც ჩანს, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, იგი სწავლობდა სპარსულსა და სომხურ ენებს. ცოტა გვიან მას არაბული ენის შესწავლაც დაუწყია. გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი სასანიანთა ირანსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობათა შესწავლაში თამარ ლომოურს. 20-იანი წლების მეორე ნახევარში, ლენინგრადში, ცოდნის გაღრმავების მიზნით მიავლინეს ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა ჯგუფი. მათ შორის იყვნენ მომავალი აკადემიკოსები, აღმოსავლეთმცოდნენი, სემიტოლოგი გიორგი წერეთელი და თურქოლოგი სერგი ჯიქია.

ამრიგად, თუმცა მიღებულია მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში არსებული სერიოზული ხარვეზის დასაძლევად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლას, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საქართველოსთან ურთიერთობის ისტორიისას, კარგა ხნის მანძილზე მაინც არ ჰქონია სისტემური ხასიათი. გარკვეული ცვლილებები შეინიშნება 30-იანი წლებიდან, როდესაც იწყება სპარსული დოკუმენტების გამოვლენა-შესწავლა (იური მარი, ვლადიმერ ფუთურიძე, მაკარ ხუბუა) და თბილისს უბრუნდებიან ლენინგრადში სწავლისათვის მივლენილი სპეციალისტები. იმავე ხანებში იწყება საქართველოს შესახებ სპარსულ ისტორიულ წყاروებში დაცული ცნობების გამოქვეყნება. ეს მნიშვნელოვანი საქმე პირველად ვლ. ფუთურიძემ წამოიწყო. არ შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იძლება კმაყოფილების გრძნობით არ აღინიშნოს ის დიდი ამაგი, რომელიც აკად. ს. ჯიქიამ დასდო საერთოდ ქართულ აღმოსავლეთმცოდნეობას თავისი ფართოდ და კარგად ცნობილი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავებითა და გამოქვეყნებით.

ერთი სიტყვით, 30-იან-40-იან წლებში, მრისხანე დიდი სამამულო ომის წლებშიც კი, საქართველოში ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კვლევა-ძიება არ შეწყვეტილა, მაგრამ იგი მაინც ცალმხრივი იყო და შეეხებოდა ძირითადად მხოლოდ ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობის შესწავლას.

ახლო აღმოსავლეთის შესწავლის საქმე საქართველოში, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლეთმცოდნეობისა, რაოდენობრივად და თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1945 წლიდან გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ორი განყოფილებით — ფილოლოგიურითა და ისტორიულით და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1960 წელს ჩამოყალიბდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ფილოლოგიურ განყოფილებებთან ერთად ორი ისტორიული განყოფილებით, რომელიც ახლა მისი დამაარსებლის აკად. გ. წერეთლის სახელს ატარებს. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დაარსებიდან გავიდა სულ რაღაც ხუთიოდე წელი და 1950 წ. იმავე ფაკულტეტზე შესაძლებელი შეიქმნა ჩამოყალიბებულიყო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა.

აღნიშნული კათედრისა და აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების გახსნა, ისევე როგორც ომისშემდგომ წლებში ახლო აღმოსავლეთის ისტორიისა და საქართველოსთან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიის დარგში მიღწეული წარმატებები, დაკავშირებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვალერიან გაბაშვილის სახელთან, რომლის დაბადების 70, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი ფართოდ აღნიშნა გასულ წელს ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ.

ვალერიან გაბაშვილი ეკუთვნის იმ ბედნიერ და ნიჭიერ მეცნიერთა თაობას, რომელმაც თავისი სამეცნიერო წრთობა ახალგაზრდობაში გაიარა ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. მან ლექციების კითხვა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1942 წელს და მას შემდეგ იგი დაუღალავად იღვწის სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე

მრავალმხრივი და დიდად ერუდირებული მკვლევარი ვალერიან გაბაშვილი ინტენსიურად მუშაობს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (არაბული აღმოსავლეთი, ირანი, თურქეთი...) სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, საქართველოს ისტორიის, ქართული და აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობის, აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის, ქართული დიპლომატიის, ქართული და სპარსული ისტორიოგრაფიის, წყაროთმცოდნეობისა და სხვა მრავალ საკითხზე.

1958 წელს გამოქვეყნდა ვ. გაბაშვილის მონოგრაფია „ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებით შესწავლის ცდა)", ამ ნაშრომში ავტორმა მრავალი აღმოსავლური, ქართული და ევროპული წყაროების ცნობების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეისწავლა ქართული ფეოდალური ურთიერთობის ძირითადი საკითხები აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობასთან მიმართებაში, ქართული და აღმოსავლური მიწისმფლობელობის ფორმები, აღმოსავლური საგადასახადო ინსტიტუტები, ირანიდან ნასესხები ქართული ადმინისტრაციული ინსტიტუტები და სხვ. ვ. გაბაშვილმა ეჭვმიუტანლად გაარკვია, თუ რას წარმოადგენს საგადასახადო ინსტიტუტი „ბაჯ ო ხარაჯ", რომლის რაობა მკვლევარებს (ვლადიმერ მინორსკის, ილია პეტრუშევსკის და სხვ.) სხვადასხვანაირად ესმოდათ. მისი აზრით, „ბაჯ ო ხარაჯს", როგორც ხარკს, საშუალო თუ გარდამავალი ადგილი ეკავა „საურსა" და „მალუჯათს" შორის.

როგორც მკვლევარი მიუთითებს, „სათათრო მალის" ბუნების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „ბაჯ ო ხარაჯის" შეცვლა „მალუჯათით" არსებითად ცვლის საქართველო-ირანის ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმას, აუარესებს დამოკიდებული ქვეყნის საერთო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. „საური" კი, პირიქით, დამოკიდებულების თვალსაზრისით „ბაჯ ო ხარაჯზე" უფრო მსუბუქ ფორმას წარმოადგენს".

ვ. გაბაშვილის მიერაა ასევე გარკვეული, თუ რა შინაარსისაა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში ნახსენები „ვეზირის", „მუსტოუფისა" და „მუნშის" ინსტიტუტები, ირანული სამეთვალყურეო აპარატის მოხელეები, რომელნიც ქართლის ვალის მიუყენეს.

თავის მონოგრაფიაში ავტორი საგანგებოდ

ოთარ ცქიტიშვილი

სახელოვანი ცხოვრების გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იკვლევს საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის სოციალურ ეკონომიკურ მიზეზებს, აგრეთვე საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორებს, თუ როგორი იყო XV საუკუნის დასასრულისათვის საქართველოს პოლიტიკური დაშლის პირობები და ამ მოვლენასთან მჭიდროდ დაკავშირებული საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივების მიზეზები.

საქართველოს პოლიტიკური დაშლისა და სათავადოების წარმოქმნის მიზეზების დასადგენად, ავტორმა პირველ რიგში გამოიკვლია საქართველოში ბატონყმობის გამარჯვების დრო და პირობები, და გამოთქვა თვალსაზრისი მასზე, რომ საქართველოში ბატონყმობის გამარჯვებას ადგილი უნდა ჰქონოდა არა XV საუკუნეში, როგორც მანამდე მიაჩნდათ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე XII-XIII საუკუნეებში, ხოლო ბექა-აღბუღას სამართალში ფიქსირებული გლეხების მიწაზე მიმაგრების ფაქტი ამ მნიშვნელოვანი მოვლენის, კარგა ხნით ადრე დაწყებული გარდუვალი ისტორიული პროცესის უბრალო დაკანონება იყო. ვ. გაბაშვილი იქვე მიუთითებს, რომ მისი ნაშრომის გამოსვლამდე რამდენიმე წლით ადრე ნ. ბერძენიშვილმა თვით გადასინჯა თავისი თვალსაზრისი, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ეურდნობოდნენ საქართველოში ბატონყმურ ურთიერთობათა გამარჯვების თაობაზე XV საუკუნეში, და აღნიშნავდა, რომ XIII საუკუნისათვის ბარის ფეოდალურ საქართველოს სოციალური განვითარების მხრივ თავისი ზრდა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა.

ბატონყმობა წარმოადგენს ფეოდალიზმის განვითარების მაღალ საფეხურს. ფეოდალიზმის განვითარების შედეგს. ამდენადვე მის გამარჯვებას არ შეიძლებოდა გამოეწვია საქართველოს ფეოდალური დაშლა. მაგრამ ბატონყმობა თავისებურ ვითარებაში აღმოჩნდა საქართველოს ფეოდალური დაშლილობის პირობებში, როდესაც შეიზღუდა მისი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია. ვ. გაბაშვილის დაკვირვებით, ბატონყმობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო XV საუკუნის საქართველოში სათავადოთა წარმოქმნის არც ერთ-ერთი და არც, მით უმეტეს, ერთადერთი მიზეზი. როგორც იგი აღნიშნავს, სათავადო გაჩნდა არა ბატონყმობის ნიადგზე, არამედ პირიქით, ბატონყმობა თავისებურად შეუთავსდა სათავადოების სისტემას.

XV საუკუნეში ქართულმა მონარქიამ მომთაბარე ხალხების: მონღოლების, თემურ-ლენგის ურდოების, ყარა-ყოიუნლუსა და აყ-ყოიუნლუს (შავბატკნიან და თეთრბატკნიან თურქმანთა ტომების), დაბოლოს, ყველაზე საშიში, ძლიერი, აგრესიული და კულტურულად ჩამორჩენილი ოსმალო თურქების, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ყიზილბაში სპარსელების განუწყვეტელი მოძალების წინააღმდეგ ბრძოლების პირობებში (ხანმოკლე დროის გამოკლებით გიორგი V ბრწყინვალეს მეფობის ხანაში — 1314-1346 წწ.) პოლიტიკური დაშლა იწყო. არანაკლები მნიშვნელობის იყო ის გარემოება, რომ საქართველოს მეზობლად მოწინავე ქრისტიანული ბიზანტიის იმპერიისა და ტრაპიზონის საკეისროს ნაცვლად, აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერია და ქართული სამეფოს ირგვლივ საბოლოოდ შეიკრა მუსლიმურ სახელმწიფოთა რკალი.

მომთაბარეთა გაუთავებელი რბევა-თარეშის შედეგი იყო საქართველოს ეკონომიკური დაქვეითება, ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის (რა თქმა უნდა, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო ასეთი ერთიანი მეურნეობის არსებობა განვითარებული ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში) სრული მოშლა და ინტენსიური სამიწათმოქმედო მეურნეობის დაცემა, ქართული ქალაქების ეკონომიკური დასუსტება და რაოდენობრივად შემცირება, გაპარტახება. ქართული სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას ძალა აღარ შესწევს შეინარჩუნოს ადრინდელი პოზიციები და ძალაუფლება, წინ აღუდგეს ცენტრიდანულ ძალებს, ხელი შეუშალოს ქვეყნის დაქუცმაცება-დანაწევრებას. „სოფლის მეურნეობის დაქვეითება, („ნაოხარ" — „პარტახის" გამრავლება), სოფლის მეურნეობის ტექნიკის ერთ წერტილზე გაყინვა, ქალაქების გაღარიბება, ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემა, მწარმოებელი კლასის მკვეთრი შემცირება მკაფიო გამოვლინებას პოულობენ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ვითარებაში და საქართველოს პოლიტიკური დაშლილობაც მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა" — აღნიშნავს ავტორი. ერთი სიტყვით, საქართველო პოლიტიკურად დაიშალა და ჩამოყალიბდა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, შეიქმნა სათავადოთა სისტემა. მაშასადამე, ამ სისტემის ჩამოყალიბება საქართველოში მისი პოლიტიკური დაშლის მიზეზი კი არ არის, არამედ შედეგი. აღებული ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა და პოლიტიკური დაშლის შედეგი, ირანისა და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის უშუალო გამოვლინებები ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში იყო „ტყვეთა სყიდვა" დასავლეთ საქართველოში და „ლეკიანობა" აღმოსავლეთ საქართველოში.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის, ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის ამგვარად დასმისა და გადაჭრის შემდეგ, საჭირო იყო პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორ შეძლო პოლიტიკურად დაშლილმა და ეკონომიკურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასუსტებულმა საქართველომ მისთვის უცხო „უიზილბაშობისა“ და „ოსმალობის“ მოძალების პირობებში შეენარჩუნებინა „ქართველობა“ (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა). ვ. გაბაშვილის აზრით, „ქართველობის“ შენარჩუნების საფუძველს წარმოადგენდა მიწის ქართული მფლობელობა „საქართველოში მიწის ფეოდალური საკუთრების, შედარებით განვითარებულ ფორმებს ვერცერთმა მომთაბარე დამპყრობელმა ხალხმა ვერაფერი მოუხერხა, ვერ შეძლო მათი გაუქმება და მათ ნაცვლად თავისი მფლობელობის დანერგვა-განმტკიცება. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი მომთაბარე ხალხთა ნებისმიერი მარბიელი ლაშქარი შედარებით შესუსტებული ჩანდა აზერბაიჯანსა და სომხეთში წარმოებული მძიმე ომების შემდეგ, თუმცა მისი დარტყმების ძალა საკმარისი იყო, რომ საქართველოსთვის იგი უკიდურესად სავალალო სოციალურ-ეკონომიკური შედეგებით დასრულებულიყო. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ეს უნდა ყოფილიყო შემაფერხებელი მიზეზი იმისა, რომ განვითარებულმა ფეოდალიზმმა საქართველოში ვერ შეძლო გვიანდელ ფეოდალიზმში გადაზრდა; განვითარებული ფეოდალიზმი საქართველოში გახანგრძლივდა. მართალია, ხანმოკლე შესვენებების დროს, როცა არც ომი იყო და არც რბევა-თარეში, ფეოდალურ საქართველოს ეკონომიკური მოღონიერების შესაძლებლობა ეძლეოდა, მაგრამ მიღწეული წარმატებები მალევე ქრებოდა, როგორც კი ოსმალეთის ან ირანის აგრესია დაატყდებოდა თავს ქვეყანას. ამგვარად, საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივების მიზეზად ვ. გაბაშვილს მიაჩნია გარეგანი ფაქტორი, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შინაგან ფაქტორად იქცა.

საჭირო იყო ეკონომიკურად ჩამორჩენილი და პოლიტიკურად დაშლილი, მუსლიმური სახელმწიფოებით გარემოცული, მათი მუდმივი რბევა-თარეშისაგან გაპარტახებული საქართველოს ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოყვანა და მოწინავე, კულტურულად დაწინაურებული ევროპის სახელმწიფოებთან მისი დაახლოება, ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება-მოსპობისაგან გადარჩენა. საქართველოს ამ სასიცოცხლო ამოცანის შესრულება საკუთარი ძალებით გადაჭრა, როგორც ჩანს, აღარ შეეძლო. მას არც იმის შესაძლებლობა ჰქონდა, რომ აღედგინა ერთიანი ქართული მონარქია, დაეძლია სათავადოთა სისტემა, შეექმნა ერთიანი ბაზარი და საქართველოს ცალკეული რაიონები ერთმანეთთან ეკონომიკურად დაეკავშირებინა. შექმნილ ვითარებაში ამ ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად ერთადერთი სწორი გზა იყო, (მას შემდეგ რაც ევროპის სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირის დამყარების ცდებმა შედეგი ვერ გამოიღო) მეზობელ და ერთმორწმუნე რუს ხალხთან ქართველი ხალხის დაახლოება-დამეგობრება. მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეძლებდა საქართველო თავი დაეღწია კრიტიკული მდგომარეობიდან და ქართველი ხალხი მოწინავე რუსულ და დასავლეთ-ევროპულ კულტურას გასცნობოდა საფუძვლიანად და აეთვისებინა იგი. მომდევნო მოვლენებმა სავსებით დაადასტურა ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა იმ პოლიტიკის სისწორე, რომლის მიხედვითაც საქართველომ საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა სწორედ აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტაში მდგომარეობს.

ზემოდასახელებული მონოგრაფიის ყოველმხრივი განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. მხოლოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ვ. გაბაშვილის ეს სქელტანიანი ნაშრომი სამაგიდო წიგნია საქართველოსა და ირანის, საერთოდ ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის ისტორიაზე მომუშავე მკვლევართათვის.

პროფ. ვ. გაბაშვილმა რიგი ნაშრომებისა მიუძღვნა ქართული წყაროების მნიშვნელობის შესწავლას აღმოსავლეთის ისტორიისათვის. მან დაამტკიცა, რომ XI-XII საუკუნეების ქართული ისტორიული ნაწარმოებები საინტერესო წყაროებს წარმოადგენს იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის ისტორიისათვის. იგი ქართული წყაროების ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ XI-XII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია ახლო და შუა აღმოსავლეთში მომხდარი უველა მნიშვნელოვანი მოვლენა: თურქ-სელჩუკთა შემოსევები და მათი სახელმწიფოს წარმოქმნა-გაძლიერება, თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლა და „მრავალმთავრობის“ ნიადაგზე სხვადასხვა სასულთნოებისა და საათაბაგოების წარმოშობა, ჯვაროსანთა და მუსლიმთა დაპირისპირება, ბიზანტიის დასუსტება-დამარცხება, ახლო აღმოსავლეთში არსებული სოციალური მოძრაობანი (ისმაილიტები, რინდები...), ფეოდალური შინაომები და წინააღმდეგობანი. ამდენად, როგორც მკვლევარი ასკვნის, XI-XII საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სხვადასხვა საკითხების შესწავლისას ქართული ისტორიული წყაროების გათვალისწინება ისევე აუცილებელია, როგორც საკუთრივ აღმოსავლური წყაროებისა. მათ მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ქარ-

---

ოთარ ცქიტიშვილი

სახელოვანი ცხოვრების გზა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თულ ისტორიულ წყაროებში დამოწმებული ცნობები ეკუთვნის აღწერილი მოვლენების „თანადამხდურ" და „თვითმხილველ" ავტორებს.

ვ. გაბაშვილს ეკუთვნის აღმოსავლეთში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ახალი პერიოდიზაცია: ადრეფეოდალური ხანა — VI-X საუკუნეები, განვითარებული, მომწიფებული ფეოდალიზმის ეპოქა — X საუკუნე — XVIII საუკუნის პირველი ნახევარი და გვიანფეოდალური ხანა, XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — XIX საუკუნე. იგი სამართლიანად მიუთითებს, რომ XV-XVI საუკუნეები აღინიშნა თურქმანების, ოსმალო თურქებისა და უიზილბაში სპარსელების გაბატონებით წინა აზიის ვრცელ ტერიტორიაზე. განსაკუთრებით გამრავლდა მომთაბარული ელემენტი ირანში, რამაც დიდი ხნით შეაჩერა ამ ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება. ყოველივე ამის შედეგად მცირე აზიაში, არაბულ ქვეყნებში, შუა აზიასა და ირანში ხელოვნურად გახანგრძლივდა ფეოდალური განვითარების შუა ხანა, განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი.

გვიანფეოდალური ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შეინიშნება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო გამოკვეთილ სახეს ფეოდალური განვითარების ამ ხანის ნიშანთვისებები იღებს მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში.

ვ. გაბაშვილის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქალაქების, არამედ აგრეთვე საქართველოსა და განსაკუთრებით თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ მისი ნაშრომები ამ საკითხზე წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართულ ურბანისტიკაში.

მნიშვნელოვანი შენაძენია ვ. გაბაშვილის ნაშრომები ქართული სამართლის ისტორიისათვის. მანვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის შესწავლის საქმეში. ვ. გაბაშვილსავე ეკუთვნის X-XVIII საუკუნეების სპარსული ისტორიული მწერლობის ისტორიოგრაფიული ხასიათის ვრცელი მიმოხილვა.

აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის დამსახურება შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლაში. ვახუშტის, როგორც ისტორიკოსის მსოფლმხედველობის შესწავლას, მან ჯერ კიდევ 1947 წელს მიუძღვნა საინტერესო ნაშრომი. მასში მოცემულია ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის განვითარებაში ვახუშტი ბაგრატიონის განსაკუთრებული როლის სათანადო შეფასება. 1969 წელს კი გამოვიდა ვ. გაბაშვილის წიგნი „ვახუშტი ბაგრატიონი", რომელშიც ვახუშტის სამეცნიერო და პოლიტიკური მოღვაწეობის უველა მხარე საშური სიღრმითაა გაშუქებული. ხსენებულმა წიგნმა ფართო საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

საყურადღებოა ვ. გაბაშვილის ნაშრომები, მიძღვნილი XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლის სულხან-საბა ორბელიანისა და დიპლომატის იოსებ ქართველის მოღვაწეობისადმი. ამავე რიგის ნაშრომებს უნდა მივაკუთვნოთ ვ. გაბაშვილის ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა ირანში მოღვაწე ქართველების საქმიანობას, კერძოდ, უნდილაძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მოღვაწეობის შესწავლას.

ვ. გაბაშვილმა დაამტკიცა, რომ ტერმინი „სპარსეთი", „სპარსი", „სპარსული" XI-XII საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში (და არა მხოლოდ ისტორიოგრაფიაში) იხმარება კონკრეტული, საკუთრივ „სპარსეთისა" და „სპარსულის" აღსანიშნავად. ასევე ფართო მნიშვნელობითაც, კერძოდ, ამ უკანასკნელის გაგებით „სპარსეთი" ნიშნავდა მუსლიმურ სამყაროს, „სპარსი" კი ეწოდება უველა მუსლიმს: არაბს, თურქს, ხორეზმელს. ამგვარ განმარტებას გარკვეული სინათლე შეაქვს „ვეფხისტყაოსნის" ცნობილ სტროფში „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები".

ძნელია ზოგადი მიმოხილვითი ხასიათის სტატიაში დაწვრილებით განვიხილოთ პროფ. ვ. გაბაშვილის უველა ნაშრომი. მათი საერთო ოდენობა ასზე მეტს ითვლის.

პირად საუბარში, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა სასიქადულო მასწავლებელს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მისი მთავარი დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე სამეცნიერო ნაშრომები კი არ არის, არამედ იმ მრავალრიცხოვან მოწაფეთა აღზრდა, რომელნიც მისი გულისხმიერი და დაუზარელი მუშაობის შედეგად გავიდნენ ფართო სამეცნიერო ასპარეზზე.

ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა კადრების აღზრდის საქმეს ემსახურებოდა და ემსახურება ვ. გაბაშვილი ახალგაზრდული, ჩვეული ენერგიით თანამშრომლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრასთან, რომლის გამგე იგი იყო თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე, დღეს კი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიის განყოფილების მრავალრიცხოვან კოლექტივს ხელმძღვანელობს დღიდან მისი დაარსებისა. 1957 წელს გაბაშვილის თაოსნობით, მონაწილეობითა და რედაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორობით, მოწაფეების დახმარებით იმ დროისათვის ერთადერთი დამხმარე სახელმძღვანელო („მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ნარკვევები") გამოქვეყნდა. ამ დამხმარე სახელმძღვანელოში შესაძლებელი სისრულითაა დამუშავებულ-გაანალიზებული ახლო და შუა აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, დაწყებული სასანიანთა ირანის წარსულითა და დამთავრებული XIII-XVII სს. ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ურთიერთობათა ისტორიით. მოცემულია ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის საკითხები.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. გაბაშვილმა თავისი მოკრძალებული სიტყვა ქართულ მწერლობაშიც თქვა, ქართველი მკითხველისათვის ახლა კარგად ცნობილია რომანი „აივნიანი ქალაქი", „ნიკოლოზ გაბაონის" ფსევდონიმით რომ დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში".

ყოველი ზემოთქმულის, სახელოვნად განვლილი ცხოვრების გზის ნათელი დადასტურებაა ის, რომ პროფ. გაბაშვილი იუბილესთან დაკავშირებით პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა „ხალხთა მეგობრობის" ორდენით, ხოლო ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა მისი იუბილე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი უ მ ო რ ი

თანამედროვე ფლაპრები

უპრეტენზიო

იყო ერთი ახალგაზრდა, მაგრამ დიდი იმედის მომცემი პოეტი. მისი ერთი, ზოგჯერ ორი, სამი ამოსუნთქვითაც დაწერილი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

ერთ მშვენიერ დღეს წიგნის თაროზე გაჩნდა მისი ლექსებისა და პოემების პირველი კრებული, რამაც საკმაოდ დიდი პოპულარობა მოუტანა ახალგაზრდა ავტორს. პოეტს არც დიდი ჰონორარი მოუთხოვია, არც მწერალთა კავშირის წევრობა, არც ლიტერატურული პრემია, არც საზღვარგარეთის საგზური, არც რეცენზია, არც ბინა თბილისში... ისევ ჩუმად, უპრეტენზიოდ გააგრძელა შემოქმედებითი ძიება: წერს, თან მსახურობს, ცხოვრობს ხელმოკლედ, მაგრამ ტკბილად და ბედნიერად...

სიყვარული

ერთმა სტუდენტმა ვაუმა ქალაქელ გოგონას სიყვარული გაუმხილა და ბოლოს ცოლობა სთხოვა. გოგონას არც ჯინსების, არც ბრილიანტებისა და ოქროს საყურეების, არც „ჟიგულის", არც „ლაიკის" პალტოს, არც „დუბლიონკის" ყიდვა უთხოვია მისთვის, გაჰყვა ცოლად, ჩავიდა ქმრის მშობლებთან სოფლად, დაიწყეს რაიონში მუშაობა და ცხოვრობენ შეხმატკბილებულად...

საოცრება

უნივერმაღში იმპორტული ფეხსაცმელი იყიდებოდა. მომხმარებლები ჩუმად, წყნარად, მშვიდად, დინჯად, აუღელვებლად იდგნენ რიგში და ყიდულობდნენ. იქვე არც მილიცია იდგა და არც წითელსამკლავიანი წესრიგის დამცველი.

უნივერმაღში სიწყნარე სუფევდა...

ვანო ცინცაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე—72-26-30, ჰდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები—72-26-35, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ციხერის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 22. 3. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 5. 32 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. ოაბალი 15.85. შეკვ. № 743. უე 06245. ტირაჟი 53.400.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კეთილი ბუხაიძე

მე, ქართველი ბუხაიძე
ბარუსაგის მოგზაური ვიყავი...
რომ ფეოქრის საფლავიდან
ძვლები, მხრების წამოიღეს

მე სიყოფილის ხელოვანი
ჭეშმარიტი მეფეა მხოლ,
ჭეშმარიტი იმავ მიწის
ღვის რომ გულს ფიცარს.

ვინც ფიქრობდა, გრიგოლითა
სოჭიანელის ბაგებს ეს ვლიბ,
რომ მისი ტ, ბუხაიძე
ოდეს ვლოცულ ილბილ მეგლებს;

ეს ვუმეფლი ეროვნულ
გაცვეთილ ყვიავ ძვლებს...
მე საფლავში ისევ ვიწვები,
ოდ ეროვნულ ეფაფეს.

ეს ვუმაცეს ყოველ ქართველს
მიმა წამიღეს ვინ ისი —
მიველეს, მგონი მეფლია ფეოქრის
ეროვნული ეს ეროვნული.

1942, IX.
მოქმედი ადგილ.

331 91

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ